www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 6 ივლისი, 2002 წელი. №34 | ფასი 50 თეთრი

თინიკაშვილმა შემკვეთი დაასახელა

გაწირავს თუ არა შევარდნაძე თავის რწმუნებულს

ინგა ალავიძე

გასო გულაშვილის ფოტო

რუსთავის საქმე სერიოზულ სკანდალში გადაიზარდა.

კანონდამცველების მიერ დაპატიმრებულმა, ჯერჯერობით ერთადერთმა ბრალდებულმა, რუსთავის ბიულეტენების გამტაცებელმა გამოძიებას აღიარებითი ჩვენება მისცა.

შოთა თინიკაშვილმა გუშინ, შსს-ს წინასწარი დაკავების საკნიდან, გენერალურ პროკურორს განცხადება გაუგზავნა და დაკითხვა ითხოვა.

თინიკაშვილის აღიარება პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის გამომძიებელმა, თენგიზ კვარაცხელიამ ჩაიბარა. თინიკაშვილმა სამარშრუტო ტაქსზე თავდასხმისა და საარჩევნო ბიულეტენების გატაცების აღიარების შემდეგ, კანონდამცველები ზემო ფონიჭალაში, შავნაბადას სიახლოვეს მდებარე სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე გაიყვანა, შემთხვევის ადგილი და კრიმინალის ნაშთი – გატაცებული და შემდეგ დამწვარი ბიულეტენების ნარჩენები - აჩვენა.

სამართალდამცველთა მიერ უკვე მტკიცებულებად ქცეულ ბიულეტენთა ნარჩენებს ქიმიური ექსპერტიზა ჩაუტარდება.

შოთა თინიკაშვილს გამოძიებამ სისხლის სამართლის 163-ე მუხლით წაუყენა ბრალდება, დაადანაშაულა საარჩევნო კომისიის მუშაობის ხელის შეშლაში, რამაც არჩევნების ანდა საარჩევნო უბანში ხმის მიცემის პროცედურის ჩაშლა გამოიწვია.

ქვემო ქართლის რწმუნებულის პირადი დაცვის ყოფილი თანამშრომლის დაპატიმრებამ ლევან მამალაძეც სკანდალის ობიექტად აქცია. გუბერნატორ ლევან მამალაძის სახელი ყველაზე მსხვილ საარჩევნო დანაშაულთან საეჭვოდ დაკავშირდა.

მართალია, გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილემ, რევაზ ზარანდიამ ჩვენთან საუბრისას ლევან მამალაძის კავშირი რუსთავის საქმესთან უარყო, მაგრამ ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ქვემო ქართლის გუბერნატორის, როგორც საქმის მთავარი შემკვეთის, სახელი შემსრულებელმა მიცემულ აღიარებით ჩვენებაში გუშინ დაასახელა.

ჩვენს ხელთ არსებული არაოფიციალური ინფორმაციით, თინიკაშვილმა, ქვემო ქართლის რწმუნებულის გარდა, რეგიონის პოლიციის მაღალჩინოსანთა გვარებიც დაასახელა. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ გამოძიებას, თინიკაშვილის ჩვენების გარდა, დასახელებულ შემკვეთთა დანაშაულში მონაწილეობის სხვა დამადასტურებელი მტკიცებულება, ჯერჯერობით, არ მოეპოვება. იმავე ინფორმაციით, გენერალური პროკურატურა ამ დღეებში ქვემო ქართლის ზოგიერთ თანამდებობის პირთან საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას გეგმავს.

მამალაძემ არიერგარდი გამოიყვანა

მაია მოსიაშვილი

საქართველოს პარლამენტში პრეზიდენტის რწმუნებულის ინსტიტუტის გაუქმების საკითხის დაყენებამ და "ღამის კურიერის" ტელედებატებმა, 5 ივლისს გამართული ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის სხდომა პოლიტიკური განცხადებების არენად აქცია. ლევან მამალაძემ ჟვანია-სააკაშვილის გუნდს **"კარგად დაფინანსებული პოლიტიკური გაერთიანება"** უწოდა და თავისი კოზირი - ქვემო ქართლის ეთნიკური მრავალფეროვნება - ოპონენტებს ცხვირწინ აუფრიალა: **"ეს რეგიონი ეთნიკურად მრავალფეროვანია. დაპირისპირება ჩემი მისამართით კი არ არის, არამედ იმ რეგიონის მისამართით, სადაც არეულობის გამოწვევა ყველაზე დიდ ზიანს მიაყენებს სახელმწიფოს, მარტო იქედან გამომდინარე, რომ აქ სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარი გადის."**

გაგრძელება A2 გვერდზე

პრეზიდენტმა ხაჩიშვილი, გელაშვილი და პაპუკაშვილი შეიწყალა

ინგა ალავიძე

დღეს საპყრობილის კარებს გაუღებენ სამ ცნობილ ტუსაღს.

შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი თემურ ხაჩიშვილი, უშიშროების სპეცჯგუფ "ალფას" ბრიგადის უფროსი გურამ პაპუკაშვილი, "მხედრიონის" ერთ-ერთი ლიდერი გიგა გელაშვილი 7-წლიან პატიმრობას დაემშვიდობებიან. გუშინ დილით პრეზიდენტმა შევარდნაძემ პატიმართა შეწყალების არზას მოაწერა ხელი.

ედუარდ შევარდნაძემ თავისუფლება უბოძა 7 წლის წინ, 1995 წლის 29 აგვისტოს "იმელის" ეზოში მის წინააღმდეგ მოწყობილი პირველი ტერორისტული აქტის ორგანიზატორობისთვის გასამართლებულ ტუსაღებს. პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი იყო საზოგადოების ნაწილისთვის და თავად შეწყალებული პატიმრებისთვისაც კი. წლების წინათ, პრეზიდენტის აფეთქების მცდელობისთვის საპყრობილეში გამოკეტილი სამი პატიმარი დღეს უკვე პრეზიდენტის მადლიერია.

"24 საათი" ყოფილ პატიმრებს გათავისუფლებამდე საპყრობილეში ესაუბრა.

გურამ პაპუკაშვილი: **"ძალიან მოულოდნელი იყო ეს გადაწყვეტილება. დიდი მადლობა მინდა პრეზიდენტს გადავუხადო. ის, ბოლოს და ბოლოს, დარწმუნდა ჩემს უდანაშაულობაში. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ჩემი ტრაგედია თავის დროზე გულთან მიიტანა..."**

თემურ ხაჩიშვილი: **"ერთადერთი, რაც ამ მოულოდნელობის ფონზე შემიძლია ვთქვა, ისაა, რომ, პირველ რიგში, დიდი მადლობა პრეზიდენტს..."**

გიგა გელაშვილი: **"ძალიან გახარებული ვარ, მადლობა ედუარდ შევარდნაძეს..."**

სუფსის ნავსადგური „ბრითიშ პეტროლიუმის„ წინააღმდეგ

ვის მხარეს დაიჭერს საქართველოს მთავრობა?

გვანცა კვინიკაძე

საქართველოსა და ბაქო-სუფსის ნავთობსადენის კონსორციუმის წევრი კომპანიების ინტერესები, შესაძლოა, პირველად დაუპირისპირდეს ერთმანეთს. ამის რეალურ საფუძველს სუფსის ნავსადგურის მიერ დაკავებული პოზიცია ქმნის, რომელიც სუფსაში აზერბაიჯანული ნავთობით დატვირთული ტანკერების მომსახურების შესაბამისი ტარიფებით ანაზღაურებას ითხოვს. მილსადენის ოპერატორი კომპანია "ბრითიშ პეტროლიუმი" ("ბიპი"), ნავსადგურთან დავაში, საქართველოსა და კონსორციუმს შორის გაფორმებულ "მასპინძელი ქვეყნის ხელშეკრულებაზე" აპელირებს და აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულებით, ნავთობის გადამზიდავი ტანკერები გადასახადებისგან გათავისუფლებულნი არიან. სუფსის ნავსადგურის ხელმძღვანელს "ბიპი"-ის არგუმენტები არამართებულად მიაჩნია და ნავთობგიგანტებთან პაექრობაში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერას ითხოვს.

ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ამოქმედების შემდეგ, სუფსის ნავსადგური, ყოველწლიურად, დაახლოებით, 40-50 ტანკერს ემსახურება, თუმცა ამ საპორტო მომსახურებისთვის მას დღემდე არანაირი ანაზღაურება არ მიუღია. ამის გამო, ექსპერტთა გათვლებით, საქართველოს ბიუჯეტი ყოველწლიურად, დაახლოებით, 2.5 მილიონ დოლარს კარგავს. ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ამოქმედებიდან დღემდე კი საერთო დანაკარგმა 6.5 მილიონი დოლარი შეადგინა.

სუფსის ნავსადგურის ეს პრობლემა მას შემდეგ გახმაურდა, რაც 16 ივნისს სუფსის ნავსადგურმა, საპორტო მომსახურების საფასურის გადაუხდელობის გამო, ბერძნული ტანკერი დააკავა. საქმეში "ბიპი" ჩაერია და გემი გაათავისუფლეს, რა თქმა უნდა, ყოველგვარი გადასახადის გარეშე. სუფსის ნავსადგურის უფროსის, **გიორგი ქერქაძის** განცხადებით, "მასპინძელი ქვეყნის ხელშეკრულებაში," რომლითაც ნავთობკომპანიები დასახელებული ტარიფების გადაუხდელობას ამართლებენ, შეღავათები ნავთობის მხოლოდ მილსადენით, ანუ სახმელეთო ტრანსპორტირებას ეხება და იქ საერთოდ არაფერია ნათქვამი ტანკერებისთვის რაიმე სახის პრივილეგიების მინიჭებაზე.

გაგრძელება A4 გვერდზე

ავთანდილ ჯორბენაძემ მოსკოვი მოულოდნელად დატოვა

რუსიკო ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

მოსკოვში დანამდვილებით არავინ იცის, რატომ დაბრუნდა 5 ივლისს დილით თბილისში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, რომელიც საქართველო-რუსეთის სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიის რიგით მეხუთე სხდომის დასკვნითი ოქმის გასაფორმებლად იყო ჩამოსული რუსეთის დედაქალაქში. რუსი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ჯორბენაძე შევარდნაძემ გამოიძახა.

ქართველი მინისტრის არყოფნა კლებანოვის სამინისტროში დიდ დანაკლისად შეიძლება იქცეს თავად ჯორბენაძისათვის, რადგანაც სხდომის მიმდინარეობაში აქტიურად ერეოდა პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი და კონკრეტულ მომენტებში რუსეთის მხარე მასთან კონსტრუქციულ პოლემიკასაც აწარმოებდა, ანუ ბატონ ვახტანგს, სულ მცირე, პრემიერად მაინც ეჭირა თავი. ამ ფაქტმა ქართული დელეგაციის რამდენიმე წევრის გაღიზიანება გამოიწვია.

რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა ილია კლებანოვმა ქართულ მხარეს გააგებინა, რომ, ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველოზე გაივლებს რუსეთის ნავთობი და ამ ფაქტორს ვერანაირი ძალა ვერ შეცვლის.

გაგრძელება A2 გვერდზე

საქართველოს მალე ახალი მოიერიშე თვითმფრინავი ეყოლება

სოფიკო ოხანაშვილი

"თბილავიამშენისა" და ებრაული კომპანია "ELBIT SYSTEMS"-ის ერთობლივი პროექტით მოდერნიზებული SU-25KM "SCORPION"-ი მეორედ მიიღებს მონაწილეობას საერთაშორისო ავიაგამოფენაში. ამჟამად, საბოლოოდ მოდერნიზებული თვითფრინავი ინგლისს ესტუმრება. გამოფენა 2002 წლის 22-28 ივლისს მოეწყობა. SU-25KM "SCORPION"-ი გამოფენაზე 18 ივლისს გაფრინდება. **"საფრანგეთისგან განსხვავებით, ინგლისში საჩვენებელ ფრენას არ ვაჩვენებთ. თვითმფრინავი სტატიკურ მდგომარეობაში იქნება და, ვისაც აინტერესებს, შეუძლია ნახოს. რაც ყველაზე საინტერესო და კარგია, თვითმფრინავი მიდის თავისი სვლით"**, - სიამაყით აღნიშნა სააქციო საზოგადოება "თბილავიამშენის" გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ გოჩა გოგუაძემ.

უკვე დამთავრებულია თვითმფრინავების სანავიგაციო და ამომცნობი სისტემების გამოცდები. ამჟამად, მიმდინარეობს შეიარაღებული სისტემების გამოცდები. მიღებული შედეგით პროექტის ავტორები კმაყოფილები არიან. **"ოცი საპროგრამო გაფრენიდან თვრამეტი დაგვრჩა. ამ ეტაპზე თვითმფრინავმა მშვენივრად იმუშავა. პირველი გაფრენის შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა, რასაც ველოდით, იმაზე 80 პროცენტით ნაკლები შენიშვნები გამოჩნდა. ვვარაუდობთ, რომ ოცი გაფრენა, შეიძლება, საჭიროც აღარ იყოს"**, - აღნიშნა გოჩა გოგუაძემ.

გაგრძელება A3 გვერდზე

ანონსი

დღეს "24 საათის" სტუმრები იქნებიან პრეზიდენტისგან შეწყალებული თემურ ხაჩიშვილი, გურამ პაპუკაშვილი და გიგა გელაშვილი, რომლებსაც შეგიძლიათ დაუსვათ შეკითხვები

ტელ: **20 24 24**

ამინდი

თბილისი	28
ქუთაისი	27
ბათუმი	25
სოხუმი	26
ფოთი	26
თელავი	26
ზუგდიდი	28
გორი	24

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.2150
ევრო	2.1556
გირვანქა სტერლინგი	3.3628
რუბლი	0.0702

A2 ინფორმაცია | A3 რეკლამა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პოლიტიკა
B1 ჯაზი | B2 სტილი | B3-B6 გახმაურებული ისტორიები | B7 სპორტი | B8 სხვადასხვა

თბილისი. წამყვანი ქართველი სპეციალისტები მონაწილეობას მიიღებენ შიდსთან დაკავშირებულ მეთოთხმეტე საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც 8 ივლისს ბარსელონაში შედგება.

როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიური ცენტრის დირექტორმა თენგიზ ცერცვაძემ განუცხადა, ასეთი ღონისძიება ორ წელში ერთხელ იმართება, რომელშიც თავის მხრივ შიდსის 12 ათასი მკვლევარი, ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები და მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყნის საზოგადოებრივი მოღვაწეები მონაწილეობენ, მათ შორის საქართველოდანაც, რომელიც ბოლო ათი წლის განმავლობაში შესაბამის საერთაშორისო პროგრამებში აქტიურადაა ჩართული.

■ ■ ■

თბილისი. ვაზიანის სამხედრო ბაზაზე პარასკევს ერთი საათის განმავლობაში მიმდინარე ძლიერმა აფეთქებებმა თბილისის მოსახლეობა პანიკაში ჩააგდო.

როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრში აცნობეს, დაახლოებით 11 საათიდან ვაზიანის სამხედრო ბაზაზე საინჟინრო სამხედრო მასალების აფეთქება ხდებოდა, რაც ამიერკავკასიაში რუსეთის საჯარისო დაჯგუფების საგარეჯოს საწყობიდან შემოიტანეს.

ამასთან, საქართველოსა და რუსეთის სამხედრო უწყებათა შეთანხმების საფუძველზე, ვადაგასული საინჟინრო სამხედრო მარაგების ლიკვიდაცია უკვე რამდენიმე თვის განმავლობაში ხორციელდება.

როგორც პრაიმ-ნიუსს ამიერკავკასიაში რუსეთის საჯარისო დაჯგუფებიდან ინფორმირებულმა წყარომ აცნობა, საგარეჯოს საწყობში დაახლოებით 100 000 ტონა საინჟინრო სამხედრო მარაგი იყო, საიდანაც 35 ათასი, ორი ქვეყნის სამთავრობოთაშორისო შეთანხმებით სომხეთში, გიუმრიში რუსეთის სამხედრო ბაზაზე გაიტანეს, ხოლო ნაწილი უტილიზაციას ექვემდებარება.

პარასკევს ვაზიანის სამხედრო ბაზაზე განხორციელებულმა აფეთქებებმა, როგორც პრაიმ-ნიუსისათვის გახდა ცნობილი, უპირველეს ყოვლისა მახლობელი სოფლების მოსახლეობა დააზარალა, რომელთა თქმით, ამ ღონისძიების შედეგად სახლებში ახალი ბზარები გაჩნდა.

■ ■ ■

თბილისი. პრეზიდენტის რწმუნებულმა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში თეიმურაზ მოსიაშვილმა კატეგორიულად უარყო თავდაცვის ყოფილი მინისტრის თენგიზ კიტოვანის განცხადება, რომლის მიხედვითაც პანკისის ხეობაში "ბოევიკები" თურქეთიდან ახალციხის რაიონის გავლით ხვდებიან.

თურქეთთან საზღვარზე სომხური სოფლებია, რომლებიც დიდ ხმაურს ატეხავდნენ ასეთი ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში, - განუცხადა პრაიმ-ნიუსს თეიმურაზ მოსიაშვილმა.

მისი თქმით, რეგიონში სასაზღვრო, სახელმწიფო და მოსახლეობის კონტროლიც არსებობს.

■ ■ ■

თბილისი. "საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსი" პრეზიდენტისადმი ეროვნული თანხმობის მთავრობის შექმნის მოწოდებით გამოვიდა, რომელშიც წამყვან პოლიტიკურ ძალთა წარმომადგენლები შევლენ.

ქვეყანაში შექმნილი კრიტიკული ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი აღმასრულებელი ხელისუფლების სრულყოფილი რეორგანიზაციაა, რაც პრეზიდენტის შესაბამისი გადაწყვეტილების გზითაა შესაძლებელი, - განაცხადა პარასკევის პრესკონფერენციაზე ალიანსის ლიდერმა გიორგი კობახიძემ.

მისი თქმით, ორი ივნისის ადგილობრივმა არჩევნებმა თავისი ფუნქცია ვერ შეასრულა და უახლოესი 4 წლის მანძილზე საქართველოს სრულფასოვანი თვითმმართველობა არ ეყოლება.

■ ■ ■

თბილისი. პარტია „გაერთიანებული დემოკრატების" წარმომადგენლის, დედაქალაქის ძველი საკრებულოს ფრაქცია „თბილისელის" თავმჯდომარის დავით ხუციშვილის ინფორმაციით, მილიონი ლარი, რომელსაც პრეზიდენტი შევარდნაძე 25 აპრილის მიწისძვრით დაზარალებულებს შეპირდა, შესაბამისი ფონდის ანგარიშზე ჯერ ჩარიცხული არ არის.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის ვასილ გიგოლაშვილის განმარტებით, სამინისტრომ ბოლო 2-3 თვეში ბევრი გაუთვალისწინებელი ხარჯი გასწია; მარტო „თბილგაზის" დავალიანების დასაფარად 15 მილიონი ლარი გადაირიცხა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ აღნიშნულ ფონდში მილიონი ლარის ჩარიცხვა გაჭიანურდა.

■ ■ ■

თბილისი. ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ინიციატივით, ქვეყანაში ბიზნესის კლასიფიკაციის ერთიანი კლასიფიკატორი იარსებებს და მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესს ერთმანეთისგან გამიჯნავს.

კანონმდებლობაში პირველად გაჩნდება საშუალო ბიზნესის ცნება. მცირე საწარმოდ ჩაითვლება ის ორგანიზაცია, სადაც 20-მდე დასაქმებულია, მისი წლიური ბრუნვა კი ნახევარ მილიონ ლარს არ აღემატება.

საშუალოდ ჩაითვლება საწარმო, სადაც 100-მდე თანამშრომელი იმუშავებს, წლიური ბრუნვა კი 1.5 მილიონ ლარზე მეტი არ ექნება.

■ ■ ■

თბილისი. შპს „თბილწყალკანალის" ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, დიდი დავალიანების მქონე 50-ზე მეტ საბიუჯეტო ორგანიზაციას ამჟამად წყალი არ მიეწოდება. მათ შორის, იუსტიციის სამინისტროს, საოლქო სასამართლოს, ტექნიკურ უნივერსიტეტს, ქალაქის ინფექციურ საავადმყოფოს, სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრსა და სხვა ორგანიზაციებს.

როგორც „თბილწყალკანალში" აცხადებენ, წყლის მიწოდების შეწყვეტა ამჟამად გრძელდება და დავალიანების მქონე ორგანიზაციებს სანქციები მხოლოდ მაშინ მოესხნებათ, როცა ისინი ვალის ეტაპობრივ დაფარვას დაიწყებენ.

ბოლო მონაცემებით, „თბილწყალკანალისადმი" დედაქალაქის საბიუჯეტო ორგანიზაციების ვალი დაახლოებით 14 მილიონი ლარია.

■ ■ ■

თბილისი. ოჩამჩირე-გალის მონაკვეთზე, სოფელ კოხორაში გაძარცვულ ფრანგ ველოტურისტს ჟან ლიუკ ბონგრანდს სამშობლოში დაბრუნება საქართველოში საფრანგეთის საელჩომ ურჩია. იგი პარიზში პირველივე რეისით გაფრინდა.

გალის რაიონის სოფელ კოხორაში ფრანგ ველოტურისტ ჟან ლიუკ ბონგრანდზე თავდასხმა განხორციელდა, რომლის დროსაც მას 500 აშშ დოლარი წაართვეს. ველოტურისტის განცხადებით, იგი აზერბაიჯანისა და სომხეთის მონახულების შემდეგ რუსეთში გადასვლას აფხაზეთის გავლით გეგმავდა.

გალის აფხაზური ადმინისტრაციის სამართალდამცავთა მტკიცებით, ფრანგ ველოტურისტზე თავდასხმაში ეჭვმიტანილი, ოჩამჩირეს მკვიდრი დაკავებულია. ჟან ლიუკ ბონგრანდი ინციდენტის შემდეგ საფრანგეთის საელჩომ თბილისში გადმოიყვანა და სამშობლოში დაბრუნება ურჩია. იგი პარიზში პირველივე რეისით გაფრინდა.

როგორც "ინტერ-პრესს" საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამშვიდობო ძალების სარდალმა პოლკოვნიკმა კლიმენტი თევზაძემ განუცხადა, ეს აფხაზეთის ტერიტორიაზე ევროპელთა ძარცვის პირველი ფაქტი არაა. უკანასკნელი წლის განმავლობაში გალი-ოჩამჩირეს მონაკვეთზე ჯერ გერმანელი მოტოციკლისტები, შემდეგ კი გერმანელი ველოტურისტები გაიძარცვნენ.

■ ■ ■

კოდორი. კოდორის ხეობაში რუს სამშვიდობოთა მუდმივი პოსტის გახსნის საკითხი პრიორიტეტული იქნება სოხუმის ხელისუფლებისათვის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაში გაეროს გენერალური მდივნის ახალ სპეციალურ წარმომადგენელთან ხაიდი ტალიავინთან (შვეიცარია) დაგეგმილ პირველ მოლაპარაკებებზე, რომელიც სოხუმს მომავალ კვირას ეწვევა.

თბილისი კატეგორიულად ეწინააღმდეგება კოდორის ხეობაში რუს სამშვიდობოთა მუდმივი პოსტის გახსნას.

რუსი სამშვიდობოები კოდორის ხეობაში ასეთი პოსტის გახსნას 12 აპრილს შეეცადნენ, რასაც ქართული მხარის მწვავე პროტესტი მოყვა, რის შედეგადაც სამხედრო მოსამსახურეები დისლოკაციის ადგილს დაუბრუნდნენ.

■ ■ ■

სოხუმი. სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. ვიცე-პრეზიდენტი ვალერი არშბა აცხადებს, რომ ოფიციალურმა თბილისმა მხოლოდ დეკლარირება გაუკეთა ასლან აბაშიძის მონაწილეობას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების საკითხში.

„ამდენი ხნის განმავლობაში ჩვენ ასლან აბაშიძესთან არა თუ შეხვედრა, სატელეფონო საუბარიც კი არ გვქონია. ცალკე აღებული პოლიტიკოსი, რა მასშტაბისაც არ უნდა იყოს იგი, დამოუკიდებლად ვერაფერს გააკეთებს, სანამ არ მოგვარდება ურთიერთობა თავად ქართველებსა და აფხაზებს შორის. ქართველებმა და აფხაზებმა უშუალო შეხვედრებითა და ურთიერთობებით უნდა გადაწყვიტონ პოლიტიკური საკითხები. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი წინ წაწევა", - აცხადებს არშბა.

მისივე თქმით, საქართველო აფხაზეთს კვლავ თავის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს. „ჩვენ საქართველოს შემადგენლობაში აღარ შევალთ", - კატეგორიულია ვალერი არშბა.

■ ■ ■

გალი. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების სარდლობამ დაწყვიტა, გააუქმოს გალის რაიონში უსაფრთხოების ზონაში მდებარე 103-ე და 105-ე საგუშაგოები.

105-ე საგუშაგო გალის რაიონის სოფელ ბარღებში მდებარეობს. „მედია-ნიუსის" ინფორმაციით, ეს გადაწყვეტილება დსთ-ს სამშვიდობო ძალების სარდლობამ თავისი ინიციატივით მიიღო. ამის მიზეზი ის გახდა, რომ საგუშაგოები ნახევრად დანგრეული სკოლის შენობაში იყო განლაგებული.

დსთ-ს სამშვიდობო ძალების სარდლობამ თხოვნით მიმართა გაეროს მისიას, რათა სკოლის შენობის აღდგენაში დაეხმარონ.

რაც შეეხება 103-ე საგუშაგოს, იგი განთავსებული იყო სოფელ ეწერაში გალის რაიონის მკვიდრის, ვინმე გოგოხიას ასევე ნახევრად დანგრეულ სახლში. საგუშაგოს გაუქმებას ამ სახლის მფლობელი ითხოვს; იგი საკუთარ საცხოვრებელ სახლში დაბრუნებას აპირებს.

■ ■ ■

ერგნეთი. ორი კვირაა, რაც ერგნეთიდან კონტრაბანდული ტვირთები აღარ შემოდის, რაც მაკონტროლებლების მუშაობის გაუმჯობესებას არ უკავშირდება. კონტრაბანდას ამჯერად ბუნებამ შეუშალა ხელი; წყალდიდობამ ვლადიკავკაზიდან ცხინვალამდე სავალი გზები დაანგრია, ჩაკეტილია როკის გვირაბი, ჩამოწვა მეწყერი.

■ ■ ■

ტყვარჩელი. თურქული ფირმა „კარაელმასი" აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებასთან უკვე "ოფიციალურად" აფორმებს კონტრაქტს ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს ექსპლუატაციის შესახებ.

„კარაელმასმა"ადგილობრივ მცხოვრებთა შორის უკვე დაიწყო მუშების შერჩევა. ჯერჯერობით გაურკვეველია, რამდენს გადაუხდის თურქული ფირმა მუშახელს.

ფირმას ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს ამუშავებამდე მასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები აქვს მოსაგვარებელი. კერძოდ, „კარაელმასმა" დაიწყო მე-5 მაღაროსთან მისასვლელი საავტომობილო გზის მშენებლობა, რაც გზის მაღალმთიან მონაკვეთზე სქელი ყინულის საფარის გამო ფერხდება. ამჟამად ქვანახშირის საბადომდე გასაყვანია გზის 8-კილომეტრიანი მონაკვეთი.

პრაიმ-ნიუსი, მედია-ნიუსი, ინტერპრესი

მამალაძემ არიერგარდი გამოიყვანა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მამალაძის მუქარანარევ გაფრთხილებას მხარი აუბეს ქვემო ქართლის რაიონების გამგებლებმა. მათ, როგორც გუბერნატორის ღირსეულმა არიერგარდმა, მაღალი საბრძოლო მზადყოფნა გამოაცხადეს და თავიანთ გუბერნატორს ხალხის სახელით სრული მხარდაჭერა აღუთქვეს, ხოლო ერთგულების დასამტკიცებლად, კატეგორიული პოლიტიკური განცხადებები გააკეთეს (ცნობისათვის: არჩევნების შემდეგ, ქვემო ქართლის ექვსივე რაიონის გამგებელი უცვლელი დარჩა.)

გოჩა ლორია - მარნეულის გამგებელი: "მარნეულში უკიდურესი დაძაბულობაა. ეს რაიონი ეთნიკურად ჭრელია. მოდიან აზერბაიჯანელები, სომხები და გვეუბნებიან, ჩვენ, ალბათ, მალე ვიზების გაფორმება დაგვჭირდება თბილისში ჩასასვლელადო. რომ არ ვთქვა, არ შემიძლია, არის უკიდურესად დაძაბული სიტუაცია. ის უნდა განიმუხტოს სასწრაფოდ".

ზურაბ ჯაფარიძე - ბოლნისის გამგებელი: "ხალხი მშვენივრად მუშაობს, საქმე კეთდება და არავის უნდა განმეორდეს ის, რაც 5-7 წლის წინ იყო. ყველა მხარს გიჭერთ თქვენ და თქვენს პოლიტიკას".

შოთა ციხელაშვილი - დმანისის გამგებელი: "დმანისში ხალხისათვის სტაბილურობის გარანტი არის პრეზიდენტი და ქვემო ქართლის რწმუნებული ლევან მამალაძე. მათზე შეტევას ძალიან მტკივნეულად აღიქვამენ. თვითონ მოვიდნენ და გაანცხადეს, თითო სოფლიდან მინიმუმ თითო ავტობუსით წავალთო. ჩვენ დავაკავეთ და არ გამოვუშვით, მაგრამ ხალხი გამოდის მდგომარეობიდან."

ელდარ ხვისტანი - წალკის გამგებელი: "ვიღაცას არ აწყობს საქართველოს ერთიანობა. ვინც ამბობს, რომ უნდა გაუქმდეს პრეზიდენტის რწმუნებულის ინსტიტუტი, მას საქართველოს მთლიანობა არ უნდა, ეს არის ჩემი და იმ მოსახლეობის აზრი, ვინც ჩვენს მხარეში ცხოვრობს".

ვახტანგ ზანგურაშვილი - თეთრიწყაროს გამგებელი: "ძალიან რთული მგომარეობაა თეთრიწყაროს რაიონში, მოსახლეობამ რწმენა დაკარგა. იქნებ პრეზიდენტს სრულყოფილი ინფორმაცია არ აქვს, გავაგებინოთ, რა ხდება..."

ნუგზარ ფერიაშვილი - გარდაბნის გამგებელი: "დილით გარდაბანში რომ ჩავედი, დამხვდა ხალხი და პირდაპირ მკითხეს - ვინ არიან ისინი, ვინც ცდილობენ რუსთავის მოვლენები გარდაბანში გადმოიტანონო? ისინი მოითხოვენ ჩემგან გარანტიებს. ვიღაცეებს რომ ჰგონიათ, გარდაბანში ყუმი ხალხი ცხოვრობს, ისინი დღესვე აპირებდნენ კანცელარიის წინ მისვლას. მე ყველანაირად ვაწყნარებ მათ, მაგრამ ხვალ რა იქნება, არ ვიცი. მოგეხსენებათ, თბილისის გარშემოა გარდაბნის რაიონის რამდენიმე სოფელი და იქ სიტუაცია შეიძლება უმართავი გახდეს. როდემდე შევაკავებ ამ ხალხს, არ ვიცი."

იმავე თათბირზე პრეზიდენტის რწმუნებულმა ლევან მამალაძემ "რუსთავის საქმესთან" დაკავშირებით, თავისი დაცვის ყოფილი წევრის, შოთა თინიკაშვილის დაკავებას, პოლიტიკური შეკვეთა უწოდა და განაცხადა, რომ თინიკაშვილი დამნაშავე არ არის.

"ამ წუთში მომაწოდეს ინფორმაცია, რომ რუსთავში ჩამოტანილი ბიულეტენები უნდათ ჩაუდონ თინიკაშვილს. არ ვიცი, დალუქულია თუ არა გატაცებას გადარჩენილი ბიულეტენები. შეიძლება, სტამბაში იპოვონ რაიმე მსგავსი. ეს არის განმეორებითი პროვოკაცია."

მამალაძემ ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსს ალეკო ბუკიას და სამხარეო პროკურატურას ოფიციალურად დაავალა, ჩაშლილი არჩევნების შემდეგ დარჩენილი ბიულეტენების ასავალ-დასავალის გარკვევა.

სანამ პრეზიდენტის რწმუნებულის დავალებას ქვემოქართლელი სამართალდამცველები შეასრულებდნენ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ შოთა თინიკაშვილმა გამოძიებას აღიარებითი ჩვენება მისცა.

ავთანდილ ჯორბენაძემ მოსკოვი მოულოდნელად დატოვა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ლის რუსეთის მიერ დაფინანსებული მომხიბლავი ეკონომიკური პროექტები, და რომ ეკონომიკური საკითხების მოგვარება არნახულად შეუწყობს ხელს პოლიტიკურ დარეგულირებასაც. ვახტანგ რჩეულიშვილმა ამ საქმეში არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურება მოითხოვა და თბილისში, საკუთარი ინიციატივით, ეკონომიკური ფორუმის ჩატარებაც დაგეგმა. პასუხად რუსეთის ტრანსპორტის სამინისტროს წარმომადგენლებმა მორიდებით შეახსენეს, რომ ეკონომიკური საკითხების გადაჭრა პოლიტიკურად არასტაბილურ გარემოში შეუძლებელია.

ამ მხრივ ილია კლებანოვის პოზიცია, ცოტა არ იყოს, გაუგებარია. იგი ამბობს, რომ საბორნე-სარკინიგზო პორტი "კავკაზი," არასწორი ეკონომიკური გადაწყვეტილების გამო, შეიძლება, უსაფრთხოების რეჟიმის გარეშე დარჩეს, რისი დაშვების უფლებაც მხარეებს არ აქვთ, ამიტომ ეკონომიკური კომისიის რუსული შემადგენლობა საქართველოს ხელისუფლებისაგან პოლიტიკური კონფლიქტების მოწესრიგებას ითხოვს და მხოლოდ ამის შემდეგ აპირებს ეკონომიკურ პროექტებზე საუბარს. ამ მიზნით, რუსი ექსპერტების ერთი ჯგუფი უახლოეს მომავალში თბილისს ეწვევა. თავის მხრივ, თბილისი აფხაზეთზე ზეწოლას ითხოვს, მაგრამ პირველი ნაბიჯის გადადგმა არავის სურს. ასეთ პირობებში ძნელი საფიქრებელია, რომ მოსკოვში ხელმოწერილმა ეკონომიკურმა პროექტებმა იმუშაონ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კლებანოვი ანგარიშს უწევს სომხეთის წინადადებებს სარკინიგზო მიმოსვლაში პოლიტიკური კომპონენტისა და უსაფრთხოების ფაქტორის შერწყმაზე. იქვე კლებანოვი ამბობს, რომ აფხაზეთის საკითხი საქართველოს გარეშე არ გადაწყდება. მოკლედ, რუსეთმა კიდევ ერთხელ თავაზიანად შეგვახსენა, რომ პოლიტიკურ ჩიხს ვერც ეკონომიკა იხსნის, თუ ნამდვილი ვაჭრობა არ გაიმართა - ვინ უფრო მეტ ფულს ჩამოვა, ვინ ვის გაასწრებს...

ეკონომიკური კომპონენტების პოლიტიკურ შემადგენელზე მხარეთა პრინციპული პოზიციების მოსმენის შემდეგ, გაფორმდა საქართველო-რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკურ, ფინანსურ და ტურიზმის სფეროებში თანამშრომლობის გრძელვადიანი პროექტები. ასევე, ხელი მოეწერა ჩრდილოეთ ოსეთისა და მცხეთა-მთიანეთის

ჯორბენაძეს თბილისში გამოუძახეს... ᲑᲔᲡᲐ ᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

სავაჭრო-ეკონომიკურ, სამეცნიერო, ტექნიკურ და კულტურულ სფეროებში 2002-2007 წლებში თანამშრომლობის პროგრამას. ოქმის საზეიმო ხელმოწერის შემდეგ ითქვა, რომ ენერგეტიკის სფეროში 46 მლნ. დოლარის დავალიანების გადახდა (რაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებზე მოდის) დაიწყება იქ საქართველოს იურისდიქციის აღდგენისთანავე. ჯორბენაძის მოადგილემ, ნუგზარ უფლისაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ **"ასე, ხუთ წელიწადში იურისდიქცია აღდგება, ამ პერიოდში ენერგეტიკის სფეროში რუსეთის ვალი რესტრუქტურიზებულია, შემდეგ... შემდეგ კი რუსეთი კიდევ ასი წელი დაგვაცდის."**

რაც შეეხება კომპანია "იტერასთან" წარმოებულ რთულ და დაძაბულ დიალოგს, ენერგეტიკის მინისტრმა, მირცხულავამ "24 საათს" უთხრა, რომ მოლაპარაკებები კონსტრუქციულ ვითარებაში ჩატარდა, დეტალები კი ჯორბენაძეს ჰკითხეთო.

კომისიის სხდომის მთავარი შედეგი ის არის, რომ, კლებანოვის წინადადების თანახმად, საქართველომ რუსეთს უნდა წარუდგინოს საინვესტიციო პროგრამები. პასუხად კლებანოვი ამ პროგრამების რეალიზებას გვპირდება. საუბარია ქუთაისის საავტომობილო და რუსთავის მეტალურგიული ქარხნების ინვესტირებაზე. მთავარი ინტრიგა კი ის გახლავთ, რომ ყველა ერთობლივი ეკონომიკური პროექტი ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური კონფლიქტების დარეგულირების ფარგლებში უნდა გადაწყდეს (დასკვნით ოქმში ასეც დაფიქსირდა).

ვახტანგ რჩეულიშვილის აქტიურობა ერთმა ქართველმა ექსპერტმა "რჩეულიშვილის კორდებალეტად" მონათლა. რჩეულიშვილმა "24 საათისათვის " მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ის, რაც დღეს ხდება, მისი იდეაა.

- მთელმა საქართველომ იცის, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობების განვითარების ლობისტი ვარ, მთელმა რუსეთმა იცის, რომ მილიონი ხელმოწერა შევაგროვე, რამაც ჩემს მიმართ რუსეთში დიდი ნდობა გააჩინა. იმიტომ ჩამოვყევი ჯორბენაძეს მოსკოვში, რომ უფრო ნაყოფიერი გამხდარიყო ჩვენი მუშაობა. მე ბიძგს ვაძლევ ამ ურთიერთობებს, რადგანაც ჩრდილოეთ-სამხრეთ ოსეთის ვექტორის მნიშვნელობაზე მარტო მე ვლაპარაკობდი სამი წლის წინათ. ამიტომაც მე დღეს ვარ იქ, სადაც უნდა ვყოფილიყავი. ხოლო ჯორბენაძესთან ვთანამშრომლობ იმიტომ, რომ იგი, მისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, ამერიკაზეც მუშაობს და რუსეთზეც. ამ პროექტების უმრავლესობა კი ჩემი მომზადებულია - რუსეთის სენატში ჩემს კოლეგებთან, დეპუტატ კოდოხოვთან, ჩრდილოეთ ოსეთის პრემიერთან ერთად.

- იქნებ თქვენ მაინც გვითხრათ, რითი დასრულდა "იტერასთან" მოლაპარაკება - გაზი თუ ექნება საქართველოს?

- მე მგონი, დადებითი შედეგით დასრულდა და, ალბათ, საქართველოს უახლოეს დღეებში გაზი ექნება. რუსეთი სამართლიანად ითხოვს გადასახადების საკითხის მოწესრიგებას.

- მაგრამ რუსეთი ჯერ პოლიტიკური კონფლიქტების დარეგულირებას ითხოვს.

- დავანებოთ ახლა თავი აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსს - ჩვენთვის მთავარი უნდა იყოს მარტო ეკონომიკური საკითხები, აფხაზეთზე სარკინიგზო მიმოსვლის გახსნა, რაც კლებანოვიც ითხოვს. ჩვენ ჯერ არ ვაყენებთ აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხს, მაგრამ ხომ დადგება რეგიონში უსაფრთხოების პრობლემაც? ამიტომ ეკონომიკური და უსაფრთხოების საკითხები ერთად უნდა განვიხილოთ, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი.

მოსკოვში გამართული ორი ქვეყნის ეკონომიკური კომისიის სხდომიდან ქართულმა საზოგადოებამ რამდენიმე დასკვნა უნდა გამოიტანოს. პირველი, რომ რკინიგზა და ბორანი საქმეს ვერ უშველის, თუ პოლიტიკური ნება არ იქნა, და მეორე - თუ რჩეულიშვილს დაეჯერება, რუსეთი ჩვენი მეზობელია, ხოლო საქართველო - ჩვენი სამშობლო.

„ახლები" და „ალიანსელები" ერთმანეთს საბოლოოდ დაშორდნენ?!

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲮᲝᲠᲑᲐᲚᲐᲫᲔ

საქართველოს პარლამენტში ბადრი ბიწაძისა და ნინო ბურჯანაძის თანამდებობრივი მიზანშეწონილობა პირველად "ახლებმა" წამოჭრეს და მაშინ, ამ მოტივით, პარლამენტს მიღმა გარკვეული პერიოდიც დაჰყვეს. იმ დროს პარლამენტში ახალი რეალობა ჯერ მხოლოდ ფორმდებოდა - "მოქალაქური რღვევა" საბოლოო ეტაპამდე არ გახლდათ მისული.

ახლებს მხარი დაუჭირეს ფრაქცია "ალიანსმა", "აღორძინებამ" და "სოციალისტმა", თუმცა მათი პროტესტი, "ახლებისგან" განსხვავებით, მხოლოდ ერთი დღე გაგრძელდა.

მაშინ ჯერ კიდევ არ ფიგურირებდა პოლიტიკურ ავანსცენაზე ძლიერი ჯორბენაძე. იმდროინდელ პარლამენტში პრეზიდენტის მხარდაჭერით აღჭურვილი ნინო ბურჯანაძე, რომელიც, ამასთან, ზურაბ ჟვანიას გუნდისთვისაც "ახლობელი" იყო, პარლამენტართა უმრავლესობისთვის მისაღები ფიგურა აღმოჩნდა.

ამჯერად, ამ ოჯახის "შეუთავსებლობის" თემა პარლამენტის ხუთშაბათის სესიაზე უკვე ირაკლი გოგავამ წამოჭრა.

"ახლები", "ალიანსის" მიერ ამ თემის დღეს წამოწევას სამშაბათს გაცხადებულ ჯორბენაძე-ბურჯანაძის დაპირისპირების ფაქტს მიაწერენ.

"ვფიქრობ, რომ ეს უკავშირდება ჯორბენაძისა და ბურჯანაძის დაპირისპირებას. ვერ გეტყვით, რა გახლავთ ამ დაპირისპირების ზუსტი მიზეზი. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ეს ხელისუფლება ცდილობს სერიოზული ბერკეტების ხელში აღებას და პარლამენტშიც ამასთან გვაქვს საქმე," - განაცხადა "ახლების" წარმომადგენელმა ირაკლი იაშვილმა "24 საათთან" საუბრისას.

რა თქმა უნდა, ამ ვერსიას კატეგორიულად უარყოფს ირაკლი გოგავა, რომელიც გუშინ "24 საათის" კითხვებს პასუხობდა:

- დღეს შექმნილ სიტუაციას და თქვენს მიერ გაკეთებულ განცხადებებს პოლიტიკოსთა ნაწილი ჯორბენაძისა და ბურჯანაძის დაპირისპირების გაგრძელებად მიიჩნევს.

- არა მგონია, ეს ჯორბენაძესთან იყოს კავშირში.

აქ საკითხი დგას ცალსახად. პარლამენტის თავმჯდომარე რეალურად განეკუთვნება ზურაბ ჟვანიას გუნდს, რასაც ჩვენ, დეპუტატები, ყოველდღიურად ვგრძნობთ. გენერალური პროკურორის მოადგილე კი აშკარად ჩაერთო იმ თამაშში, რომელსაც ჟვანიას გუნდი თამაშობს.

- ნიშნავს თუ არა ეს, რომ თქვენ, რეალურად, პარლამენტის თავმჯდომარის გადადგომისთვის ბრძოლა დაიწყეთ?

- ჩემი თვითმიზანი ნამდვილად არ არის ან ერთის, ან მეორის თანამდებობიდან წასვლა. უბრალოდ, უნდა იყვნენ დარწმუნებულნი, რომ თუ პრეცედენტი ისევ გამეორდება, ჩვენ ამ საკითხს ისევ წამოვჭრით.

- თქვენ მიერ ამ საკითხის წამოჭრა დღეს შეფასდა, როგორც მცდელობა საკანონმდებლო ხელისუფლების სადავეების ბოლომდე ხელში აღებისა.

- ჩვენ არასოდეს გვიცდია ეს. ასე რომ არ იყოს, კომიტეტების გადანაწილებისას, ჩვენ სპიკერატის გადანაწილებასაც დავიწყებდით. რეალურად, ჩვენ ამ პარლამენტში უმრავლესობას ვერ ვფლობთ, და სულაც არ გვინდა, რომ პასუხისმგებლობა ჩვენი იყოს.

- ვისია პასუხისმგებლობა?

- დღეს პარლამენტის მართვაზე პასუხისმგებლობა ჟვანია-სააკაშვილის გუნდს ეკისრება.

- თქვენ სპიკერატის გადანაწილება არ გიცდიათ?

- არა.

- ელდარ შენგელაიას გადაყენების მცდელობა რას მივაწეროთ?

- ბატონი ელდარი "გაერთიანებული დემოკრატია" და მას, რეგლამენტის მიხედვით, არ აქვს უფლება, იყოს ვიცე-სპიკერი, თორემ ბატონი ელდარი შესანიშნავი პროფესიონალია. მსგავსი რეჟისორები საქართველოში თითზე ჩამოსათვლელია...

ბოლოდროინდელი საპარლამენტო ტრადიცია საკმაოდ ნათლად მიანიშნებს მთავრობის ინიციატივების მხარდამჭერი უმრავლესობის არსებობაზე. თუმცა, ფაქტია ისიც, რომ ეს "მორცხვი უმრავლესობა", რომლის წარმომადგენლები "ახლებიც" გახლავან და "ალიანსელებიც", დღეს საკმაოდ მყიფე ორგანიზმია და პარლამენტის ბოლომდე მართვას, ჯერჯერობით, მართლაც ვერ ახერხებს. შესაძლოა, სწორედ ამიტომაც იყოს დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მთავრობისთვის პარლამენტის მართვის სადავეების ხელში აღება.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჭაოშვილი.

40-8

Цифры изменяются

მოლაშვილი პატარკაციშვილს 300 ათასი დოლარის გადახდას აკისრებს

სოფიკო ბუკია

კონტროლის პალატა ქონების მართვისა და ფინანსთა სამინისტროებს "მაუდ-კამვოლის" არასწორ პრივატიზებაში ადანაშაულებს.

"მაუდ-კამვოლის" რევიზია კონტროლის პალატამ აღნიშნული საწარმოს აქციონერთა მოთხოვნით განახორციელა. კონტროლის პალატამ გუშინდელ პრეზიდიუმის სხდომაზე სს "მაუდის" მიერ 1996 წლიდან 1998 წლამდე გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა.

1994 წელს სახელმწიფოს საგარანტიო წერილით, "საქართველოს ბანკსა" და "მაუდ-კამვოლის" კომბინატს შორის გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის თანახმად "საქართველოს ბანკმა" მაუდის კომბინატს 6 თვით 220 ათასი დოლარი ასესხა. საგარანტიო წერილში ნათქვამია, რომ თუ "მაუდ-კამვოლი" ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროისთვის დავალიანებას არ დაფარავს, "საქართველოს ბანკს" უსასყიდლოდ გადაეცემა ამავე ბანკის აქციების სახელმწიფო წილი 297 ათასი დოლარის ოდენობით (გათვალისწინებულია საპროცენტო განაკვეთიც).

"მაუდმა" ვალი განსაზღვრულ დროს ვერ გადაიხადა. "საქართველოს ბანკში" აქციების სახელმწიფო წილი, ხელშეკრულების თანახმად, ბანკს უსასყიდლოდ გადაეცა.

მოლაშვილის უწყების მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ დაადგინა, რომ სახელმწიფოს დღემდე არ მიუღია "მაუდ-კამვოლისგან" აღნიშნული თანხა. უფრო მეტიც, საწარმოს საბუღალტრო მონაცემების მიხედვით, სს "მაუდს" ეს თანხები საკრედიტო დავალიანებად არც ერიცხება. შედეგად კი, როცა ქონების მართვის სამინისტრომ "მაუდ-კამვოლი" საქციო საზოგადოება "ლოგოვაზს" მიჰყიდა, სახელმწიფოს ვალზე სიტყვაც კი არ დასცდენია, ანუ ქონების მართვის სამინისტრომ პრივატიზებისას საწარმოს ვალები არ ასახა. ასე რომ, ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილმა "ლოგოვაზმა" "მაუდის" კომბინატი ისე იყიდა, რომ საბიუჯეტო დავალიანების შესახებ არაფერი იცოდა. **"როცა ჩვენ ეს საწარმო ვიყიდეთ, აღნიშნული ვალის შესახებ არც ქონების მართვის სამინისტროს და არც ფინანსთა სამინისტროს არ გავუფრთხილებივართ და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც დაგვისიზმრებია... თუ დამტკიცდება, რომ აღნიშნული დავალიანება "მაუდის" ახალმა მფლობელმა უნდა დაფაროს, კი ბატონო, ჩვენ თანახმა ვართ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამგვარი რამ არ დამტკიცდება,"** - აცხადებს "მაუდ-კამვოლის" გენერალური დირექტორი გელა ხიზანიშვილი.

"საქართველოს ბიუჯეტმა სოლიდური თანხით იზარალა და ეს ქონების მართვისა და ფინანსთა სამინისტროების უპასუხისმგებლობისა და გულგრილობის ბრალია," - აცხადებს კონტროლის პალატის თავმჯდომარე. სულხან მოლაშვილი ორივე უწყებას ავალებს, მიიღონ სათანადო ზომები აღნიშნული თანხის ბიუჯეტში დასაბრუნებლად. **"ეს ერთეული შემთხვევა არაა, როცა ამგვარი დაუდევრობით ბიუჯეტი თანხებს კარგავს,"** - დასძენს მოლაშვილი.

"მაუდის" კიდევ ერთი ვალი წარმოიშვა 1995 წლის 25 ოქტომბერს ფინანსთა სამინისტროსთან დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით, რომლის თანახმად, საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა ხელფასების გადასახდელად, 260 ათასი ლარი გადაეცა. დასკვნაში კონტროლის პალატა მიუთითებს, რომ "მაუდმა" სესხის გასტუმრება დააგვიანა და ამასთან თანხის თითქმის ნახევარი – 118 ათასი ლარი არამიზნობრივად გამოიყენა.

კონტროლის პალატა მიუთითებს, რომ 1998 წელს "მაუდის" პრივატიზაცია დარღვევებით მოხდა. ქონების მართვის სამინისტრომ არ ჩაატარა მოსამზადებელი სამუშაოები ობიექტის პრივატიზებისთვის, რის შედეგადაც საპრივატიზაციო თანხა 11 მილიონიდან 6 მილიონ ლარამდე შემცირდა.

სულხან მოლაშვილის მოთხოვნით, 1 ოქტომბრამდე ქონების მართვისა და ფინანსთა სამინისტროებმა "მაუდის" დავალიანების საკითხი უნდა გაარკვიონ. მისი თქმით, "უნდა ჩატარდეს მოკვლევა... სამართალდამცავებიც უნდა ჩაერთონ და საბოლოოდ უნდა გადაწყდეს, ვალს ვინ გადაიხდის".

სავალუტო ფონდი დოლარის გამყარებას მხარს დაუჭერს

საერთაშორისო სავალუტო ფონდი, სავარაუდოდ, ორგანიზებას გაუკეთებს საერთაშორისო კამპანიას, რომლის მიზანიც დოლარის კურსის ვარდნის შეჩერებაა.

გაზეთ "ფაინენშელ თაიმსთან" ინტერვიუში სავალუტო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა, ჰერსტ კელერმა აღნიშნა, რომ საკუთარ თავს სავალუტო ინტერვენციების მომხრეებს შორის ვერ ხედავს, მაგრამ დოლარის კურსის სწრაფი და უმართავი დაცემა ფონდს ასეთი ნაბიჯის გადადგმისკენ უბიძგებს.

საქმე ისაა, რომ დოლარის დაცემა უკვე რამდენიმე თვეა, გრძელდება. მიმდინარე წელს დოლარი ევროსთან მიმართებაში 12 პროცენტით გაიაფდა.

რუსეთის საგარეო აქტივების ზუსტი რაოდენობა უცნობია

დაახლოებით ერთი წლის წინათ, საქართველოს ხელისუფლებამ ყოფილი საბჭოთა კავშირის აქტივებზე, მოსკოვის სასარგებლოდ, ნებაყოფლობით თქვა უარი. სანაცვლოდ, რუსეთი ვალდებულებას იღებდა, ეკისრა საქართველოს კუთვნილი ვალები, რომელიც მას, როგორც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას, უნდა გადაეხადა. ხელისუფლების ამ გადაწყვეტილების მოწინააღმდეგენი აცხადებდნენ, რომ საქართველომ ზუსტად არც კი იცოდა, რა სიმდიდრეზე თქვა უარი.

როგორც ჩანს, ეს ინფორმაცია სინამდვილისგან არც ისე შორსაა. როგორც "ლენტა.რუ" იტყობინება, რუსეთის ხელისუფლება არ ფლობს სრულ ინფორმაციას საზღვარგარეთ არსებული ქონების ღირებულების შესახებ. ამის თაობაზე გუშინ რუსეთის საანგარიშო პალატის კოლეგიის სხდომაზე განაცხადეს.

რუსეთის მთავარი მაკონტროლებელი ორგანოს შეფასებით, ქვეყანა ყოველწლიურად მილიარდ დოლარზე მეტს კარგავს იმის გამო, რომ "მთავრობამ ჯერჯერობით ვერ შეძლო უცხოეთის კომპანიებში რუსეთის საფინანსო აქტივების სადივიდენდო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების შემუშავება", - აღნიშნეს კოლეგიის სხდომაზე.

„ინფოკომის„ პრივატიზების კანონიერებას მთავრობა დაადგენს

გიორგი კალანდაძე

სატელეკომუნიკაციო კომპანია "ინფოკომის" პრივატიზაციის კანონიერებას პარლამენტის ანტიკორუფციული კომისია განიხილავს. კომპანიის პრივატიზებამ ერთმანეთს ორი უწყება – ქონების მართვისა და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროები დაუპირისპირა. ისინი საკუთარ პოზიციებს მთავრობის უახლოეს სხდომაზე დაიცავენ. "ინფოკომი" 350 ათას დოლარად შეიძინა კომპანია "ცენტრინვესტი", რომელსაც რამდენიმე თვის ისტორია აქვს და რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი ბადრი პატარკაციშვილია.

გუშინ "ინფოკომის" პრივატიზების საკითხი პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა განიხილა. სხდომა საკმაოდ ხმაურიანი გამოდგა. **"კავშირგაბმულობის ობიექტების პრივატიზება საქართველოს კონსტიტუციით დაუშვებელია. კერძო ინვესტორი სახელმწიფო ინტერესზე მაღლა საკუთარს დააყენებს",** - ემოციური გამოსვლით გამოირჩეოდა პარლამენტარი ფრიდონ ინჯია, რომელსაც 1990-იან წლებში კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრის თანამდებობა ეკავა და პარლამენტის საგამოძიებო კომისიის მიერ კორუფციაში ბრალდების შემდეგ გადადგა. ინჯიამ მთავრობას საყვედური უთხრა, კავშირგაბმულობის ობიექტების გაყიდვისა და ამ საწარმოებში დასაქმებულ ადამიანთა ინტერესების გაუთვალისწინებლობის გამო.

აქტიურ ინჯიას ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე გიორგი კარბელაშვილი გამოეპასუხა. **"ნუ დამაწყებინებთ მოყოლას, რატომ დაინგრა 1995 წლიდან კავშირგაბმულობა. ნუ გამახსენებთ ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის პროექტს, სადაც სახელმწიფომ წილი დაკარგა. რატომ არ არის სახელმწიფო მეწილე მობილური კავშირგაბმულობის კომპანიებში?"** - მიმართა მან კავშირგაბმულობის ექს-მინისტრს. კარბელაშვილის თქმით, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი მერაბ ადეიშვილი მთავრობის უახლოეს სხდომაზე "ინფოკომის" პრივატიზების საკითხს დააყენებს.

ორი დღის წინათ კარბელაშვილმა განაცხადა, რომ გადადგება, თუ საქართველოს მთავრობა "ინფოკომის" პრივატიზების შედეგს არ გააუქმებს. **"ეს, ალბათ, გარიგება იყო. ველოდები, რომ პრივატიზების შედეგი გაუქმდება",** - აღნიშნა გიორგი კარბელაშვილმა საკომიტეტო სხდომის დასრულების შემდეგ.

ორ სამინისტროს შორის დაპირისპირება "ინფოკომის" გაყიდვის თაობაზე პირველი ტენდერის ჩაშლის შემდეგ წარმოიშვა. გიორგი კარბელაშვილი აცხადებს, რომ მან წერილობით მიმართა სახელმწიფო კანცელარიასა და ქონების მართვის სამინისტროებს გაყიდვის პროცესის შეჩერება. საწარმოს საწყისი ფასი 700 ათასი დოლარი იყო. **"ჩვენ პირველი ტენდერის დროს საწარმოს ორ მილიონ დოლარად გაყიდვას ვვარაუდობდით. თუმცა, ტენდერის ჩაშლის შემდეგ, წერილით მივმართეთ შესაბამის უწყებებს, გაყიდვის პროცესი შეეჩერებინათ",** - აღნიშნავს მინისტრის მოადგილე.

კარბელაშვილის თქმით, პირველი წერილი სატენდერო პროცესის შეჩერების თაობაზე კანცელარიასა და ქონების მართვის სამინისტროში 28 მაისს გააგზავნა. **"ამ წერილში ჩვენ ჩამოვაყალიბეთ მოსაზრება, რატომ უნდა შეჩერებულიყო "ინფოკომის" პრივატიზება. ჩვენი აზრით, უნდა მომხდარიყო სამი საწარმოს – "ინფოკომის", "საქართველოს ელექტროკავშირის" გაერთიანება. მათი ცალ-ცალკე პრივატიზება სასურველ ფისკალურ ეფექტს ვერ მოგვიტანს და ინვესტორების დაინტერესება მხოლოდ ამ საწარმოების ბალანსზე არსებული შენობა იქნება",** - აღნიშნა კარბელაშვილმა.

ამ წერილის თაობაზე არაფერი იციან ქონების მართვის სამინისტროში. ამ უწყების ხელმძღვანელის მოადგილის, გენო მალაზონიას განცხადებით, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროდან მათ ასეთი შინაარსის მხოლოდ ერთი წერილი მიიღეს, ისიც ტენდერის ჩატარების მეორე დღეს. კარბელაშვილის ვერსიით, წერილი საბოლოო ტენდერამდეა გაგზავნილი. სულ "ინფოკომის" საპრივატიზაციოდ სამი აუქციონი მოეწყო.

სხდომაზე მალაზონიამ არ გაიზიარა კარბელაშვილის პრეტენზია, რომ "ინფოკომის" პრივატიზების შესახებ განაცხადი ქონების მართვის სამინისტროს არ გაუხმაურებია. მალაზონიამ აღნიშნა, რომ განაცხადი გამოქვეყნდა როგორც სამინისტროს გაზეთში "მესაკუთრე", ასევე ინტერნეტის მეშვეობითაც გავრცელდა. მან მოიყვანა "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" კანონის ის მუხლი, რომლითაც "კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვის და პირდაპირი მიყიდვის ფორმით საპრივატიზებო ქონების შესახებ ინფორმაცია" უნდა გამოქვეყნდეს ქონების მართვის სამინისტროს ოფიციალურ გამოცემაში ან ადგილობრივ პრესაში, თუ პრივატიზებას ახდენს სამინისტროს ტერიტორიული ორგანო.

"ინფოკომი" საპრივატიზაციო ნუსხაში პრეზიდენტის 2001 წლის ბრძანებულების თანახმად მოხვდა, რომლითაც 2001-2003 წლებში პრივატიზების გეგმა განისაზღვრა.

რაც შეეხება უშუალოდ "ინფოკომის" მყიდველს, ესაა მიმდინარე წლის იანვარში დაფუძნებული შპს "ცენტრინვესტი", რომლის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეობა ლეკვეიშვილი კომიტეტის სხდომას, მართალია, დაესწრო, მაგრამ მისთვის დეპუტატებსა და მთავრობის წარმომადგენლებს ყურადღება არ მიუქცევიათ. ლეკვეიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ "ცენტრინვესტის" ერთ-ერთი დამფუძნებელია ბადრი პატარკაციშვილი.

ფრიდონ ინჯია

გიორგი კარბელაშვილი

გენო მალაზონია

ანზორ აბრალავა ლევან ხარბედიას ფოტო

"ინფოკომის" თანამშრომლები უკმაყოფილონი იყვნენ იმის გამო, რომ არ იცოდნენ, ვინ იყიდა ობიექტი. ახლა იციან, რომ საწარმო ბადრი პატარკაციშვილმა იყიდა. ისინი ინვესტორს მხარს უჭერენ", - აღნიშნა კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ოთარ შამანაძემ. კომიტეტის სხდომაზე კი დარიგდა "ინფოკომის" თანამშრომელთა კოლექტიური განცხადება, რომელშიც პრეტენზიაა გამოთქმული "მნიშვნელოვანი სახელმწიფო ქონების "ჩალის ფასად" ხელში ჩაგდების გამო". განცხადების ადრესატია ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ანზორ აბრალავა. წერილის მიხედვით, "ინფოკომს" თბილისის ცენტრში, რუსთაველის 31 ნომერში უკავია სამი სართული - სამი ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობით.

ხანგრძლივი და ემოციური სხდომის შემდეგ, დეპუტატები ხუმრობის ხასიათზე დადგნენ. დეპუტატ ვანო მერაბიშვილის თქმით, **"რადგანაც პრეზიდენტმა შევარდნაძემ არ იცის, რას და რატომ ყიდის, შემოვდივარ ინიციატივით, 2005 წლამდე გამოცხადდეს მორატორიუმი პრივატიზაციაზე. შემდეგ ეს ობიექტები 100-200 მილიონ დოლარად გაიყიდება".**

სუფსის ნავსადგური „ბრიტიშ პეტროლიუმის„ წინააღმდეგ

ვის მხარეს დაიჭერს საქართველოს მთავრობა?

პირველი გვერდიდან

ნავსადგურის მიერ საპორტო მომსახურების ტარიფების აკრეფის მართებულობა თითქმის ყველა შესაბამისმა დარგობრივმა სამინიტრომ და უცხოელმა ექსპერტებმაც დაადასტურეს. ქართული მხარის სიფრთხილე გასაკვირი არცაა: საქმე მსოფლიოს უდიდეს კომპანიებთან დავას ეხება, რომლებსაც დიდი ძალაუფლება და შესანიშნავი იურისტები ჰყავთ. გარდა ამისა, ნავთობკონსორციუმთან ურთიერთობების დაძაბვა დიდ პოლიტიკასთანაც არის კავშირში.

მნიშვნელოვანია, რომ სუფსაში ერთი ტანკერის მომსახურების თანხა, დაახლოებით, 40-50 ათას დოლარს შეადგენს. ამ თანხის გადახდა ტანკერის მფლობელისთვის, რომელსაც სუფსიდან ევროპაში, დაახლოებით, 80 მილიონი დოლარის ღირებულების ნავთობი მიაქვს, არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, საპორტო მომსახურების ტარიფების გადახდაზე ისინი მაინც უარს აცხადებენ. ამ ფაქტს ქერქაძე დანამდვილებით ვერ ხსნის. მისი აზრით, ამის მიზეზი, შესაძლოა, ის არის, რომ ნავთობკომპანიებს თავიდანვე დადგენილი თამაშის წესების შეცვლა არ სურთ. არადა, შემოსავლის ასეთი წყაროს გაჩენა სუფსის ნავსადგურს მნიშვნელოვნად გააძლიერებდა და ეს თანხები მდინარე სუფსის შესართავში ნავსადგურის ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდებოდა. გარდა ამისა, საკუთარი სახსრების არსებობის შემთხვევაში, სუფსა გაცილებით მეტ და სერიოზულ ინვესტორს მოიზიდავდა. არსებობს კიდევ ერთი მომენტი. საპორტო ტარიფების აკრეფასთან ერთად, ქართული მხარე ტანკერების, შემოწმების, უფლებასაც ითხოვს, რაც ყველა მოქმედი საერთაშორისო კონვენციით არის გათვალისწინებული.

სუფსის ნავსადგურის ხელმძღვანელი ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო და პრინციპულ გადაწყვეტილებას იმ სამთავრობო კომისიისგან ელის, რომელიც, სახელმწიფო მინისტრის ხელმძღვანელობით, მომავალ კვირას უნდა შეიქმნას. ამ პოზიციის დაცვა საქართველოს, შესაძლოა საერთაშორისო არბიტრაჟშიც მოუწიოს, რადგან, როგორც "ბიპი"-ის წარმომადგენლობაში აცხადებენ, თუ საკითხი მათთვის არასასურველი სახით გადაწყდება, ანუ, თუ ტანკერებს საპორტო მომსახურების ტარიფების გადახდა დაეკისრებათ, კომპანია საერთაშორისო არბიტრაჟს მიმართავს.

გიორგი ქერქაძის განცხადებით, ხელისუფლების პრინციპულ პოზიციაზე იქნება დამოკიდებული, იარსებებს თუ არა სუფსა ნავსადგურის სახით. **"სამწუხაროა, რომ ასეთ მდგომარეობაში ვართ, რადგან ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ხელშეკრულებამ კიდევ 27 წელი უნდა იმოქმედოს. ეს კი ნიშნავს, რომ ამ წლების განმავლობაში საქართველო, ამ თანხებთან ერთად, სუფსაში ნავსადგურის ინფრასტრუქტურის განვითარების შესაძლებლობას და, შესაბამისად, მომავალ ნავთობპროექტებში ამჟამინდელზე გაცილებით ხელსაყრელი პოზიციების მოპოვების შესაძლებლობას კარგავს",** - განაცხადა ქერქაძემ.

ჯორბენაძე „თბილგაზსა„ და მერიას კორუფციაში ამხელს

სახელმწიფო მინისტრის ინფორმატორი "იტერა" აღმოჩნდა

მაია ურუშაძე

მოსკოვიდან, რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის საბჭოს სხდომიდან დაბრუნებული ავთანდილ ჯორბენაძე არაორაზროვან მინიშნებებს აკეთებს "თბილგაზში" გამეფებული კორუფციის შესახებ. რასაკვირველია, ჯორბენაძის განცხადებები "**ქართული სტრუქტურებისა და ადამიანთა გარკვეული ჯგუფების ცოდვებთან**" დაკავშირებით, რომელთა შესახებაც მას "იტერაში" აცნობეს, მარტო "თბილგაზისკენ" არ იყო მიმართული. სახელმწიფო მინისტრის მოქნეული მათრახი მერიის ჩინოვნიკებსაც ხვდებათ, რომელთა მიმართ "იტერას" სათაო ოფისში გარკვეული პრეტენზიები გააჩნიათ.

როგორც ცნობილია, "თბილგაზის" ვალებთან დაკავშირებით, "იტერასთან" წარმოებულ მოლაპარაკებებში თბილისის გაზმომარაგების სისტემის გენერალურ დირექტორს, ვახტანგ ცაავას პერმანენტულად ესაჭიროებოდა თავისი კურატორის - მერიის დახმარება. **"იტერას" ძალიან აწუხებს სააქციო საზოგადოება "თბილგაზში" არსებული კორუფციის მაღალი დონე და ამ ორგანიზაციის არასწორი მენეჯმენტი",** - აცხადებს სახელმწიფო მინისტრი. ჯორბენაძის განცხადებით, მან ბევრი ინფორმაცია მიიღო "იტერასთან" ურთიერთობაში მყოფი სხვადასხვა ქართული სტრუქტურების საქმიანობის შესახებ.

"რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიის მეხუთე სხდომაზე მიღწეული შეთანხმებებით, თბილისს გაზის მოწოდება უახლოეს დღეებში უნდა აღუდგეს", - აცხადებს ჯორბენაძე.

გაზის პრობლემების გარდა, სხდომაზე, რომელიც კარგა ხნის შესვენების შემდეგ კვლავ შედგა და რომელსაც რუსეთის მხრიდან მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მინისტრი ილია კლებანოვი ხელმძღვანელობდა, რუსეთის ბაზარზე ფალსიფიცირებული ქართული საქონლის – კერძოდ კი, გაურკვეველი ჩამოსხმის "ბორჯომის" მოძალებისა და რუსეთის ტერიტორიაზე არსებული საქართველოს კუთვნილი ქონების – ღვინის ქარხნების დაბრუნების საკითხებიც დაისვა. აქვე განიხილეს რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებისთვის სამართლებრივი ბაზის სრულყოფის თემა და ხელი მოაწერეს ჩრდილოეთ ოსეთსა და მცხეთა-მთიანეთის მხარეს შორის სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას.

დღეს ქართული დელეგაცია თბილისში დაბრუნდება, ხოლო სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი მირცხულავა მოსკოვში, შეიძლება, ორშაბათამდე დარჩეს, რათა "იტერას" სათაო ოფისში "თბილგაზის" ძველი ვალების რესტრუქტურიზაციაზე იმსჯელონ. ვალები, რომელთაც ამერიდან "იტერა" ქართულ მხარეს აღარ შეახსენებს, 90 მილიონ ლარს აღწევს. ამ თემაზე "იტერასა" და ქართულ მხარეს შორის, ჯერჯერობით, მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმება არსებობს და ოფიციალური დოკუმენტაციის ხელმოწერა არ შემდგარა. შეგახსენებთ, რომ ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ამ ვალების გადასინჯვას ითვალისწინებს, საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ "იტერას" ჯერ კიდევ სამი თვის წინ შესთავაზა. პროექტის მიხედვით, არსებობს ვალების დაბრუნების შვიდწლიანი გეგმა, რომელიც ყოველთვიურად ვალის გარკვეული პროცენტის გასტუმრებას ითვალისწინებს. პროექტში გათვალისწინებულია ქართული მხარის გადაყვანა გადახდის რეალიზაციის შემდგომ მექანიზმზე, რაც "იტერასათვის" უჩვეულოა და იგი ამ მექანიზმს საქართველოსთან ურთიერთობაში გამონაკლისის სახით გამოიყენებს. ამ გეგმის დამტკიცების შემდეგ, "თბილგაზის" ძველი ვალები აღარ უნდა იქცეს "საქგაზისა" და "თბილგაზის" პერმანენტული ვაჭრობის საგნად.

მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

	UK£	US$	€uro	¥en
UK£		0.6575	0.6408	0.0055
US$	1.5209		0.9747	0.0083
€uro	1.5605	1.026		0.0085
¥en	182.58	120.07	117.01	

2002 წლის 6 ივლისიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

ევრო	1	2.1556 ლარი
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	1	3.3628 ლარი
შვეიცარიული ფრანკი	1	1.4715 ლარი
აშშ დოლარი	1	2.2150 ლარი
თურქული ლირა	1 000 000	1.3547 ლარი
იაპონური იენი	10	0.1838 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0702 ლარი
აზერბაიჯანული მანათი	1 000	0.4545 ლარი
სომხური დრამი	100	0.3860 ლარი
უკრაინული გრივნა	10	4.1567 ლარი

„ღმერთო, შენ შეაჩერე ჩვენი მთავრობა, პრეზიდენტი და პარლამენტი„

კითხვაზე, რაში სჭირდება სახელმწიფოს რელიგიური ცენზორის როლის შესრულება, ბელორუსის პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის, ერთაშორისი ურთიერთობებისა და მასმედიის კომისის თავმჯდომარემ, ლეონიდ ზემლიაკოვმა ასე უპასუხა: “ეს ხომ ძალიან მარტივია. ყველა სახელმწიფო მოვალეა, ყველაფერი შეამოწმოს და აკონტროლოს. იგი ამისათვის არსებობს”.

ახალმიღებული კანონი რელიგიის შესახებ უკანონოდ აცხადებს ყველა რელიგიურ ორგანიზაციას, რომელსაც ბელორუსში არსებობის 20 წელზე ნაკლები ისტორია აქვს. კანონი, აგრეთვე, მოითხოვს, რომ ყველა რელიგიური წიგნის ტექსტი წინასწარ იქნას შეთანხმებული სპეციალურ სამთავრობო კომისიასთან. ასევე, იკრძალება რელიგიური თემის რეგისტრაცია, თუ მას ოცზე ნაკლები წევრი ჰყავს.

კანონი აღიარებს რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს ქვეყნის ისტორიაში. ტრადიციულ რელიგიებად, მართლმადიდებლური ეკლესიის გარდა, მიჩნეულია კათოლიკური და ლუთერანული ეკლესიები, ორთოდოქსალური იუდაიზმი და სუნიტური ისლამი. რაც შეეხება დანარჩენ რელიგიურ ორგანიზაციებს, ისინი, სავარაუდოდ, ვერ შეძლებენ რეგისტრაციის გავლას და როგორც ერთერთი პროტესტანტი პასტორი ამბობს, მათი უმრავლესობა იატაკქვეშეთში გადავა და არალეგალურად განაგრძობს შეკრებასა და ღვთისმსახურებას. ეს, განსაკუთრებით, სხვადასხვა პროტესტანტულ განშტოებებზე და კრიშნაიდებზე ითქმის.

ამ კანონის მომხრეთა აზრით, იგი მართლმორწმუნეებს სულიერი აგრესიისაგან, დესტრუქციული ძალების ზეგავლენისა და ოკულტიზმისაგან დაიცავს, თანაც შეაჩერებს დასავლელ მქადაგებლებს, რომლებიც სახელს უტეხენ ტრადიციულ სლავურ ღირებულებებს. კაცმა რომ თქვას, სრულიად გაუგებარია: თუ ლუთერანული ეკლესია ნებადართული და კანონიერია, ბაპტისტებმა რა დააშავეს, - ამ ორ მიმდინარეობას შორის ხომ არცთუ ისე დიდი განსხვავებაა?

ალბათ, ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ამ კანონმა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან მწვავე კრიტიკა დაიმსახურა, თუმცა ბელორუსისაგან ამგვარი კანონები უკვე აღარავის უკვირს. კითხვა, ალბათ, შემდეგნაირად უნდა დაისვას: რა შეიძლება უქნა კაცს, რომელიც “უკანონოდ” ლოცულობს?



პრეზიდენტი ლუკაშენკო ИТАР-ТАСС

პუტინის „გორბაჩოვიზაცია”

22 ივნისს თვითგამოცხადებულ დნესტრისპირეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ტირასპოლში ცნობილმა რუსმა პოლიტიკოსებმა, პოლიტოლოგებმა, ჟურნალისტებმა გამართეს ფორუმი სახელწოდებით: “ჩვენ - რუსეთი”.

ფორუმის მონაწილეებმა პირველად სცადეს ჩამოეყალიბებინათ ახალი ანტი-პუტინური კოალიცია. რუსეთის დუმის დეპუტატმა ფრაქცია “რუსეთის რეგიონებიდან,” ვიქტორ ალკსნისმა განაცხადა, რომ “პუტინმა არა მხოლოდ გააგრძელა ოლიგარქების მფარველობის ელცინისეული პრაქტიკა, არამედ მთლიანად დათმო ქვეყნის გეოპოლიტიკური ინტერესები და... ბედის ანაბარა მიატოვა მოკავშირე ანკლავები ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე”. ერთი სიტყვით, პუტინი ხდება ახალი გორბაჩოვი, რომელსაც ამერიკელი პატრონები მაშინვე მიატოვებენ, როგორც კი რუსეთის დაშლა დაიწყება.

ფორუმის მონაწილეებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ახალი, მემარჯვენე პარტიის შექმნა, რომელიც მომდევნო არჩევნებში ხმების 30 პროცენტის მიღებას შეძლებს.

მონაწილეების განცხადებით, ამგვარი პარტიის შექმნა მხოლოდ კრემლთან თანამშრომლობით შეიძლება, რადგან სახელისუფლო პარტიას რუსეთში დიდი ხანია, თავად ხელისუფლება ქმნის.

ამგვარი აშკარა წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, პუტინის კრიტიკასა და, მეორე მხრივ, კრემლთან ალიანსზე წასვლის მცდელობას შორის, დელეგატებმა იმით ახსნეს, რომ დღევანდელი პუტინი ის პუტინი აღარ არის, რომელიც 1999 წელს იყო და ამიტომაც პრეზიდენტის ძველ ფორვატერში დაბრუნებაა საჭირო.

ფორუმზე არ მივიდა დნესტრისპირეთის თვითმარქვია პრეზიდენტი სმირნოვი, როგორც ჩანს, იმის გამო, რომ დაგეგმილი იყო ბორის ბერეზოვსკის ტელემიმართვის მოსმენა. ეს მოსმენა არ შედგა იმის გამო, რომ, როგორც ფორუმის ორგანიზატორები ირწმუნებიან, რუსულმა სპეცსამსახურებმა ბერეზოვსკის წარმომადგენლებს ტირასპოლში ჩასვლის საშუალება არ მისცეს.

აშშ-ერაყი - მეორე რაუნდი

პარასკევს გაზეთმა “ნიუ-იორკ ტაიმსმა” გამოაქვეყნა ე.წ. “ცენტრალური სარდლობის მოქმედების კურსის,” ანუ ერაყის წინააღმდეგ ომის გეგმის ზოგიერთი დეტალი. ჟურნალისტების ცნობით, ადგილი ჰქონდა ინფორმაციის გაჟონვას, რომლის წყაროც მაღალი რანგის ანონიმური ჩინოვნიკი იყო. საქმეში ჩახედული ხალხის აზრით კი, ამგვარი გაჟონვები, თანაც ამგვარ გაზეთებში, მხოლოდ ხელისუფლების თანხობით ხდება.

გეგმის თანახმად, აშშ-ს არმია და საზღვაო ქვეითები ერაყს, ძირითადად, კუვეიტის მხრიდან დაარტყამენ. ომში 250 ათასი ჯარისკაცი მიიღებს მონაწილეობას. სახმელეთო დარტყმები სამი მხრიდან: ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან და დასავლეთიდან განხორციელდება. საჰაერო იერიშებს კი სხვადასხვა ქვეყანაში მდებარე რვა სამხედრო აეროპორტებიდან მიიტანენ, მათ შორისაა: კუვეიტი, თურქეთი, ბაჰრეინი, ყატარი და არაბთა გაერთიანებული საემიროები. საუდის არაბეთის მხრიდან საბოტაჟის თავიდან აცილების მიზნით, საჰაერო ოპერაციის შტაბს ერ-რიადის სიახლოვეს მდებარე პრინც სულტანის საჰაერო ბაზიდან ყატარში, უდეიდის საჰაერო ბაზაზე გადაიტანენ, რომელსაც სამხედრო-საჰაერო ძალები ამჟამად ინტენსიურად არემონტებენ. საჰაერო შეტევაში ასეულობით თვითმფრინავი მიიღებს მონაწილეობას, რომელთა მოვალეობა იქნება არა მხოლოდ სამხედრო ობიექტების, არამედ აეროდრომების, გზების, კომუნიკაციის საშუალებათა და ა.შ. განადგურება.

ავღანეთის ომის შემდეგ აშშ-ს ავიაცია ზუსტი დამიზნების ბომბების ნაკლებობას განიცდის. სამხედრო-საჰაერო ძალები დაუყოვნებლივ აპირებენ ამ დანაკლისის შევსებას, რათა სრულ მზადყოფნაში შეხვდნენ ომის დაწყების ბრძანებას. ბრძანების გაცემის სავარაუდო თარიღი უცნობია. ზოგიერთი შეფასებით, ოპერაცია, შესაძლოა, მომავალი წლის დასაწყისში გახორციელდეს.

იმავე ამერიკულ პრესაში “გაჟონილ” მასალებზე დაყრდნობით, აშშ-ს პრეზიდენტმა უკვე მისცა უფლება ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს, გააქტიუროს მოქმედება ერაყში. ცსს-ს რაზმებს სადამ ჰუსეინის “მკვლელობის ლიცენზიაც” გააჩნიათ.

მას შემდეგ, რაც ბუშმა განაცხადა, თავისი საგარეო პოლიტიკის უმთავრეი მიზნად ჰუსეინის მთავრობის დამხობა დაისახა, ამერიკელმა სტრატეგებმა ერაყთან ომის ორი სხვადასხვა გეგმა შეიმუშავეს.

პირველი მათგანი, რომელსაც პრეზინდეტის მრჩეველი კონტრტერორიზმის საკითხებში, გენერალი დაუნინგი ლობირებდა, ერაყში ავიაკეთა ერაყის ისლამური რევოლუციის უმაღლესი საბჭოს ლიდერმა, მოჰამად ბაკერ ალ ჰაკიმიმ. ხსენებული საბჭო ყველაზე გავლენიანი შიიტური ორგანიზაციაა.

გეგმის ჩავარდნას გენერალ დაუნინგის გადადგომაც მოჰყვა.

მეორე გეგმა, რომელიც ერაყის წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის დაწყებას გულისხმობს, ამერიკელი სამხედროების მიერ ბაღდადის აღებით, ჰუსეინის გადაყენებითა და ერაყში დემოკრატიის დამყარებით უნდა დასრულდეს.

ერაყის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის დაწყებას არც არაბული ქვეყნები და არც აშშ-ს ნატო-ელი მოკავშირეები დიდი ენთუზიაზმით არ უყურებენ. ფორმალურად, ერთადერთი საბაბი, რომელიც ამერიკას ერაყის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების დასაწყებად გააჩნია, ბაღდადის მიერ “აკრძალული იარაღის” შექმნის მცდელობაა. “უდაბნოს ქარიშხლის” დასრულების შემდეგ, გაერო-ს ინსპექტორებმა ერაყში ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის შექმნის დიდი პროგრამები აღმოაჩინეს. ერაყი ირწმუნება, რომ მან ეს პროგრამები დიდი ხანია, შეწყვიტა, მაგრამ ბაღდადი 1998 წლიდან გაერო-ს ინსპექტორებს ქვეყანაში აღარ უშვებს, ჰუსეინის სიტყვაზე ნდობა კი არც ისე იოლია.

თუმცა, ამ მხრივაც იცვლება ვითარება. როგორც ჩანს, ბაღდადი საფრთხის მოახლოებას გრძნობს და გაერო-სთან ნამუსის მოწმენდას ცდილობს. 4 ივლისს ვენაში გაიმართა შეხვედრა ერაყისა და გაერო-ს მაღალი თანამდებობის პირების მონაწილეობით, რომელიც ინსპექტორების შესაძლო შეშვებას შეეხებოდა. მართალია, გადაწყვეტილება გაერო-ს სპეციალური კომისიის ერაყში შეშვების შესახებ ჯერ მიღებული არ არის, მაგრამ შეხვედრის შემდეგ ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრი ნაჯი საბრი და გაერო-ს გენერალური მდივანი კოფი ანანი აცხადებდნენ, რომ შეხვედრის შედეგებით კმაყოფილი დარჩნენ. თუ ინსპექტორები ერაყში დაბრუნდებიან, აშშ-ს ამ ქვეყანაზე იერიშის მიტანისთვის ფორმალური მიზეზი აღარ დარჩება. არადა, გაერო-სა და აშშ-ს შორის ამჟამად არსებული უთანხმოებაც ბაღდადის წისქვილზე ასხამს წყალს.

სადამ ჰუსეინი

ამბები

აშშ „ორსაფეხურიან სასამართლოს” მოითხოვს

აშშ-ს ელჩმა გაეროში, ნეგროპონტემ უშიშროების საბჭოს თავისი მთავრობის კომპრომისული წინადადება გააცნო. მის თანახმად, სამშვიდობო ძალების ჯარისკაცები ყველა იმ ქვეყნიდან, რომელსაც ხელი არა აქვს მოწერილი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ქარტიაზე, 12 თვის მანძილზე ამ სასამართლოს დევნისაგან იმუნიტეტს მიიღებენ, 12 თვის გასვლის შემდეგ კი საერთაშორისო სასამართლოს მათი საქმეების გამოძიების უფლება მიენიჭება, მაგრამ მხოლოდ უშიშროების საბჭოს თანხმობის შემთხვევაში. უშიშროების საბჭოში კი აშშ-ს ვეტოს უფლება გააჩნია.

ამ წინადადების მიზანი იმ ჩიხიდან გამოსვლა იყო, რომელიც მას შემდეგ შეიქმნა, რაც აშშ-მ ვეტო დაადო ბოსნიის სამშვიდობო მისიის გაგრძელებას. აშშ თავისი სამშვიდობო ჯარების სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციიდან იმუნიტეტს ითხოვს.

ვაშინგტონის ეს წინადადება ჩავარდა 13 ხმით 2-ის წინააღმდეგ. მას მხოლოდ ჩინეთმა დაუჭირა მხარი, რომელსაც ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით საკუთარი პრობლემები აქვს.

უშიშროების საბჭოს დანარჩენმა წევრმა ქვეყნებმა განაცხადეს, რომ აშშ-ს ეს წინადადება, ფაქტობრივად, კლავს ჰააგის სასამართლოს, ამიტომ მის განხილვაზე უარი განაცხადეს.

უშიშროების საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თანახმად, გაერო-ს მისიას ბოსნიაში 15 ივლისამდე აქვს მანდატი. ამის შემდეგ, თუ კონფლიქტი ვერ გადაიჭრა, მისია უნდა დაიხუროს. ევროკავშირმა განაცხადა, რომ მზადაა, თავის თავზე აიღოს სამშვიდობო ოპერაციის ერთი ნაწილის პატრონაჟი, მეორე ნაწილი კი დეიტონის შეთანხმების საფუძველზე შეიქმნა და უშიშროების საბჭოს მანდატი არ ესაჭიროება. ექსპერტების აზრით, მისია რომც გადარჩეს, მიმდინარე მოვლენები ურყოფითად იმოქმედებს აშშ-ს საერთაშორისო იმიჯზე.

"ძირს ამერიკა, გაუმარჯოს კოკაინს!"

ამგვარი ლოზუნგით გამოდის ბოლივიის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი, ევო მორალესი. ცენტრალური ამერიკის ამ გაღატაკებული ქვეყნის ბევრ რეგიონში კოკაინის მოყვანა ფერმერთათვის თავის რჩენის ერთადერთი საშუალებაა. მორალესი ამტკიცებს, რომ იგი სწორედ მათ უფლებებს იცავს და ებრძვის აშშ-ს პოლიტიკას, რომელიც ცენტრალურ ამერიკაში ნარკოტიკების პლანტაციების განადგურებისკენაა მიმართული.

მორალესის პოპულარობა საგრძნობლად გაიზარდა მას შემდეგ, რაც აშშ-ს ელჩმა ბოლივიაში, მანუელ როხამ განაცხადა, რომ მორალესის არჩევის შემთხვევაში აშშ ბოლივიას დახმარებას შეუწყვეტს.

კოკაინის მხარდაჭერის გარდა, მორალესი თავს გლობალიზაციისა და კორუფციის წინააღმდეგ დაუნდობელ მებრძოლადაც აცხადებს.

ტრაქტი ლოს-ანჟელესის აეროპორტში

4 ივლისს ლოს-ანჟელესის საერთაშორისო აეროპორტში ეგვიპტელმა ჰეშამ მოჰამად ჰადაიეტმა ცეცხლი გაუხსნა მგზავრებს, რომლებიც ავიაკომპანია “ელ ალი”-ს თვითმფრინავით ისრაელში გასაფრენად ემზადებოდნენ. წინასწარი მონაცემებით, სროლის შედეგად 3 ადამიანი დაიღუპა და სამიც დაიჭრა. პოლიციასთან ატეხილი სროლის დროს ჰადაიეტი მოკლეს.

შეერთებული შტატების უშიშროების სამსახურები მიიჩნევენ, რომ ეგვიპტელი მარტო მოქმედებდა და რომელიმე ტერორისტულ ორგანიზაციასთან არ იყო დაკავშირებული. ისრაელის ტრანსპორტის მინისტრი, ეფრაიმ სნეჰი კი მომხდარ ტრაგედიას ტერორისტულ აქტად მიიჩნევს.

4 ივლისი კარლ მარქსის თეატრში

სრულიად მოულოდნელად, კუბაში ამერიკის დამოუკიდებლობის დღე აღნიშნეს. ქვეყნის მთავრობამ განაცხადა, რომ ეს მან კეთილშობილი ამერიკელი ხალხისადმი პატივისცემის ნიშნად გააკეთა.

ჰავანის კარლ მარქსის სახელობის თეატრში თავად კასტრო დაესწრო 4 ივლისის აღსანიშნავად გამართულ წარმოდგენას, ხოლო ქვეყნის ტელევიზიამ დიდხანს ისაუბრა ამ დღის ისტორიულ მნიშვნელობაზე.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენის შემდეგ, სტუმრებს მოკლეტალღოვან რადიომიმღებებს ჩუქნიდნენ, რომლითაც ოპოზიციური “რადიო მარტის” მოსმენაა შესაძლებელი. რამდენიმე თვის წინ ამერიკელების მიერ ამ რადიომიმღებების გავრცელებამ ოფიციალური ჰავანის სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია.

უკრაინის საჰაერო სივრცეში ფრენა სახიფათო ხდება

უკრაინის საზენიტო არტილერიამ კიდევ ერთხელ ესროლა თელ-ავივიდან მომავალ თვითმფრინავს. ისრაელის რადიოს მიერ გავრცელებული ცნობით, თელ-ავივიდან მოსკოვში მიმავალი თვითმფრინავის პილოტმა დნეპროპეტროვსკის თავზე, საჰაერო ხომალდიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით გაურკვეველი საგნის აფეთქება დაინახა. ექსპერტების აზრით, გაურკვეველი საგანი, რომელიც 10 ათასი მეტრის სიმაღლეზე ფეთქდება, სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა საზენიტო რაკეტა.

შეგახსენებთ, რომ 2001 წლის 4 ოქტომბერს უკრაინელმა მეზენიტეებმა უფრო მეტი “გულმოდგინება” გამოიჩინეს და თელ-ავივიდან მომავალი ავიაკომპანია “სიბირის” თვითმფრინავი ჩამოაგდეს, რის შედეგადაც 78 ადამიანი დაიღუპა.

რუსეთმა აშშ-ში ნავთობის ექსპორტი დაიწყო

რუსული ნავთობით დატვირთული პირველი ტანკერი ჰიუსტონის პორტში სამ ივლისს შევიდა. ეს ამერიკის შეერთებულ შტატებში რუსული ნავთობის ექსპორტის პირველი შემთხვევაა. აქამდე აშშ-ს ნავთობი, ძირითადად, კარიბის ზღვის აუზიდან და ახლო აღმოსავლეთიდან შემოჰქონდა.

არასტაბილურ და არასაიმედო ახლო აღმოსავლეთზე სანავთობო დამოკიდებულების შემცირება აშშ-ს ენერგეტიკული სტრატეგიის ერთერთი უმთავრესი ასპექტია. ამ სტრატეგიის ნაწილია კასპიის ზღვის ნავთობის ათვისებისა და მისი ტრანსპორტირების გრანდიოზული პროექტებიც.

ეკონომიკური თვალსაზრისით, სიშორის გამო, რუსეთი არ არის აშშ-ს ყველაზე ხელსაყრელი ნავთობმიმწოდებელი. 3 ივლისს ჰიუსტონში შეკრებილ ექსპერტებს სჯეროდათ, რომ რუსული ნავთობის ექსპორტი ამ ბაზარზე ფასების დაცემას გამოიწვევდა. ამ ეფექტის თავიდან ასაცილებლად, რუსეთის ნავთობკომპანიებმა ნავთობის ექსპორტის ფასი ბარელზე 25 დოლარით შეამცირეს.

ამერიკისათვის რუსული ნავთობის იმპორტი, პირველ რიგში, პოლიტიკური თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც, როგორც ამბობენ, ვაშინგტონი სპარსეთის ყურეში ახალი ომისათვის ემზადება.

ერთ ავარიულ სახლზე ერთი ლარიც არ შეგროვებულა

ნანა ქადაგიშვილი

პარლამენტის 7 ივნისის დადგენილებას მიწისძვრის შედეგების აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ, ფინანსთა სამინისტრო უკმაყოფილოდ შეხვდა. ფინანსისტები აცხადებენ, რომ ეს მოუმზადებლად და მათთან შეუთანხმებლად მიღებული დადგენილებაა და სათანადო პროგრამის შემუშავების გარეშე მისი განხორციელება შეუძლებელია. წინა მოწვევის საკრებულოს წევრები კი ამ დადგენილებაში არარეალურს ვერაფერს ხედავენ და ფინანსთა სამინისტროს მოსახლეობისადმი გულგრილობაში ადანაშაულებენ.

პარლამენტის დადგენილება მოითხოვს, რომ მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესული მოგების, აქციზის, დღგ-სა და საშემოსავლო გადასახადებიდან ანარიცხების სათანადო საპროცენტო განაკვეთი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებს მოხმარდეს. ყოფილი საკრებულოს წევრები ფინანსთა სამინისტროს მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენისას ამ დადგენილების გათვალისწინებას სთხოვენ. **“მიწისძვრის შემდეგ ქალაქის ხელმძღვანელობა, შეძლებისდაგვარად, ყველაფერს აკეთებს, მაგრამ ფულის გარეშე ბევრს ვერაფერს შეძლებს. მიწისძვრამ ქალაქს 170 მლნ. დოლარის ზარალი მიაყენა, თბილისის ბიუჯეტი კი მხოლოდ 170 მლნ. ლარია. ავარიული შენობების ფონდში ამჟამად მხოლოდ 8 400 ათასი ლარია. აქედან ერთ ავარიულ სახლზე ერთი ლარიც არ მოდის. პარლამენტმა დროული და გონივრული გადაწყვეტილება მიიღო. მოგების, აქციზის, დამატებითი ღირებულებისა და საშემოსავლო გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის 15 პროცენტი ქალაქის ბიუჯეტში უნდა ჩაირიცხოს და მიწისძვრის შედეგად დაზარალებულებს მოხმარდეს,”** – აცხადებს “გაერთიანებული დემოკრატების” წარმომადგენელი, წინა მოწვევის საკრებულოს წევრი დავით ხუციშვილი.

ფინანსთა მინისტრის მოადგილე ვასილ გიგოლაშვილი კი ქალაქის ხელმძღვანელობას ვერანაირ გარანტიას ვერ აძლევს. **“დამატებითი ღირებულებისა თუ აქციზის გადასახადიდან შემოსული თანხების ასე მიზნობრივად მიმართვა არ შეიძლება. ყველაფერს თავისი წესი აქვს. 2003 წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებამდე ქალაქის ხელმძღვანელობამ უნდა წარმოგვიდგინოს სათანადო პროგრამა, სადაც ყველაფერი გათვლილი და დაზუსტებული იქნება. ეს პროგრამა სამინისტროში 5 აგვისტომდე უნდა შემოიტანოს. თუმცა, წინასწარ გარანტიას მაინც ვერ მოგცემთ, რომ ბიუჯეტის პროექტში ამ პროგრამის მოთხოვნებს გავითვალისწინებთ. მართალია, მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა დახმარება პრიორიტეტული საკითხია, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში პრიორიტეტული კიდევ ბევრი რამეა,“** - ამბობს ვასილ გიგოლაშვილი.

მისი პასუხით გაღიზიანებული თბილისის საპატიო მოქალაქეები კი საპროტესტო აქციებით იმუქრებიან.

რა ბედი ელის აბესაძის №12-ს

ათი მეზობელი ერთის წინააღმდეგ

ნანა ქადაგიშვილი

სოლოლაკში, აბესაძის ქ.№12 სახლის ერთი მეპატრონე სახლის დანგრევას ითხოვს. მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობაც ამ შენობას სასწრაფოდ დასანგრევად მიიჩნევს,რადგან მიწისძვრის შემდეგ მშენებლობის სამინისტროს კომისიამ ეს სახლი მესამე ავარიულ კატეგორიას მიაკუთვნა. **“სახლის ქუჩისპირა ფასადი ისეთ მდგომარეობაშია, შეიძლება ყოველ წუთას ჩამოინგრეს. მისი მობინადრეები კი, ერთის გარდა, დანგრევას სასტიკად ეწინააღმდეგებიან, - სანამ თავისით არ ჩამოინგრევა, ხელი არ ახლოთო. არადა, უბედურება რომ მოხდეს, პასუხს ჩვენ და მერიას მოგვთხოვენ,“** – გვითხრა გამგეობის ინჟინერმა.

სახლის დანგრევის მომხრე მობინადრის ბინა ყველაზე მძიმე მდგომარეობაშია. დაბზარულ კედლებს იგი ყოველდღე შიშით შეჰყურებს. მას ქალაქის ხელმძღვანელობისა და კეთილი სპონსორებისადმი ნდობა ჯერ კიდევ არ დაუკარგავს და იმედი აქვს, სახლს თუ დაუნგრევენ, აუშენებენ კიდეც. სახლის დანარჩენი 10 მობინადრე კი სხვანაირად ფიქრობს. ისინი მშენებლობის სამინისტროს დასკვნას ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის დასკვნას უპირისპირებენ. დეპარტამენტი სამინისტროს გადაწყვეტილებას დაუსაბუთებლად მიიჩნევს და აბესაძის №12 სახლს მეორე კატეგორიის ავარიულობას უსადაგებს. **“შენობა მესამე კატეგორიისა იმ შემთხვევაშია, თუ სრულიად ჩამონგრეული და ჩამოზვავებულია. აბესაძის 12 კი აღდგენას ექვემდებარება,”** – აცხადებს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი. სახლის დანარჩენი 10 მობინადრის ბინები მართლაც ბევრად უკეთეს მდგომარეობაშია. მათ კედლების ჩამონგრევის, ჯერჯერობით, არ ეშინიათ. თანაც, სახლის დანგრევაზე უარს სხვა მიზეზითაც აცხადებენ. **“მშენებლობის სამინისტრომ დასკვნა ნაჩქარევად გამოიტანა. ჩვენ უფრო ძეგლთა დაცვის დეპარტამენტს ვენდობით. შენობა დასანგრევი კი არა, გასამაგრებელია. კარვებსა და საავადმყოფოებში ცხოვრებას, ისევ აქ ყოფნა გვირჩევნია. თანაც, რომ დაგვინგრიონ, მერე ვინღა აგვიშენებს. მერიამ წერილობითი გარანტიაც რომ მოგვცეს, მაინც არ ვენდობით. მშენებლობა რომც დაიწყონ, შუა გზაში მიატოვებენ და ღია ცის ქვეშ დავრჩებით,”** – შიშობს მოსახლეობა და ყველანაირად ცდილობს, სახლი დანგრევას გადაარჩინოს. თუმცა, როგორც ჩანს, სახლის ერთი მობინადრის შეშფოთება უსაფუძვლო არ უნდა იყოს. როგორც სამეფო უბნის თეატრის ხელმძღვანელმა გვითხრა, გუშინწინ, ღამით, თეატრისა და ამ სახლის საზიარო კედლის ნაწილი ჩამონგრეულა.

აბესაძის ქ. №12 იური ლეონიძის ფოტო

ყველანი უბიუჯეტო საქართველოს შვილები არიან

ეთერ მამულაშვილი

გუშინ, საღამოს, “თბილწყალკანალის” გადაწყვეტილებით, შიდსის, ინფექციური პათოლოგიებისა და სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრებს სასმელი წყლის მიწოდება შეუწყდათ. ამის მიზეზი, როგორც “თბილწყალკანალში” აცხადებენ, უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე დაგროვილი დავალიანების გადაუხდელობაა, შესაბამისად 290.000 და 90.700 ლარი. “თბილწყალკანალში” აცხადებენ, რომ გადაწყვეტილება კატეგორიულია და წყლის მიწოდება მხოლოდ დავალიანების დაფარვის შემთხვევაში აღდგება.

“ამჯერად ჩვენ ძალზე პრინციპულები ვიქნებით, რადგან ბოლო წლების მანძილზე ამ ობიექტებიდან არც ერთი თეთრი არ გადმორიცხულა “თბილწყალკანალში”. საყურადღებოა ერთი დეტალი, როდესაც ავადმყოფი იხდის მკურნალობის საფასურს, აქ შედის მოხმარებული წყლის საფასურიც, მაგრამ საავადმყოფო ჩვენ პრინციპულად არაფერს გვირიცხავს,”- განუცხადა “24 საათს” “თბილწყალკანალის” პრესსამსახურის უფროსმა ბოჩა ჯელიამ.

დაგროვილი ვალების არსებობას არ უარყოფენ საავადმყოფოების ხელმძღვანელები და ამის მიზეზად სახელმწიფოს მათდამი დავალიანებას ასახელებენ.

“ძალიან კარგად გვესმის მათი, მაგრამ ჩვენც გამოუვალ მდგომარეობაში ვართ. სახელმწიფო სადაზღვევო კომპანიას ჩვენი ვალი აქვს. ბოლო ორი წლის მანძილზე ამ ვალმა 800.000 ლარს მიაღწია. თანაც გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: მიმდინარე წლიდან წყალი გაძვირებული ტარიფით (1.60 თეთრი 1 კუბური მეტრი) მოგვეწოდებოდა, რაც წლევანდელი წლის სახელმწიფო დაფინანსებაში არ იყო გათვალისწინებული. ამის გარდა, არსებობენ ჩვენზე მეტი დავალიანების მქონე ობიექტები და რაღა ჩვენგან დაიწყო “თბილწყალკანალმა” ქვეყანაში ფინანსური მდგომარეობის გამოსწორება?! ვერანაირ გამართლებას ვერ მოვუძებნი “თბილწყალკანალის” საქციელს. შეიძლებოდა ახლა ზაფხულის პერიოდში ინფექციური საავადმყოფოსთვის წყლის გათიშვა?!”- განაცხადა ინფექციური საავადმყოფოს დირექტორმა **შოთა გოგიჩაიშვილმა.**

“თბილწყალკანალი” თანახმაა, წყლის მიწოდება აღუდგინოს საავადმყოფოებს იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ისინი ეტაპობრივად მაინც გადაიხდიან დავალიანებას.

“ კი ბატონო, თანახმა ვართ, გადავიხადოთ ეტაპობრივად, მაგრამ არა იმ გრაფიკით, რაც “თბილწყალკანალმა” დააწესა. ისინი თვეში 15.000 ლარის გადახდას ითხოვენ, ჩვენ კი მხოლოდ 5 ათასის გადახდა შეგვიძლია,” – გვითხრა **გოგიჩაიშვილმა.**

სადამსჯელო ღონისძიებები ერთი კვირის წინათ დაიწყო, მაგრამ გოჩა ჯელიასთვის სამწუხაროდ და ზოგიერთი ურჩი გადამხდელის გასახარად, “თბილწყალკანალის” ტექნიკური ბაზა იმის საშუალებას არ იძლევა, რომ წყალი ყველას ერთბაშად შეუწყვიტონ. თუმცა, “თბილწყალკანალში” აცხადებენ, რომ კვირის ბოლომდე წყალს ყველას გამოურთავენ.

„შორს ბინძური ხელები ჯანდაცვის ობიექტებისაგან„

ქონების მართვის სამინისტროს წინ აქცია იგეგმება

ქეთი ქადაგიშვილი

უახლოეს დღეებში რკინიგზის №2 პოლიკლინიკის თანამშრომლები ქონების მართვის სამინისტროს წინ საპროტესტო აქციის გამართვას გეგმავენ. ექიმები პოლიკლინიკის შენობის საპრივატიზაციო სიიდან ამოღებას მოითხოვენ. უკიდურეს შემთხვევაში კი სურთ, კონკურსის გამოცხადების გარეშე შენობის 96 186 ლარად შესყიდვის ნება მისცენ (ეს თანხა პოლიკლინიკის საწესდებო კაპიტალია). ამ მოთხოვნებით მათ ერთი აქცია უკვე მოაწყვეს და შესაბამის უწყებებში წერილობითი ბარათებიც გააგზავნეს. თუმცა, დღემდე არც ერთი უწყებისგან პასუხი არ მიუღიათ.

პოლიკლინიკის თანამშრომლებმა შენობის სამედიცინო დაწესებულებათა საპრივატიზაციო დამატებით სიაში შეტანის შესახებ წლეულს, მაისში, ქონების მართვის სამინისტროდან მიღებული ბარათით შეიტყვეს. **“მას შემდეგ შენობას პრივატიზაციისგან ვიცავთ. კარზე წარწერაც გავაკარით - “შორს ბინძური ხელები ჯანდაცვის ობიექტებისგან”. ახლახან გავიგეთ, რომ მისი შესყიდვა ცენტრალური სუპერმარკეტის დირექციას სურს, ერთ კვადრატულ მეტრს 1000 დოლარად ყიდულობს, დირექციის უკან კი მთავრობის რომელიმე მაღალჩინოსანი დგასო, გვითხრეს, მაგრამ პოლიკლინიკის შენობას ცოცხალი თავით არავის დავუთმობთ. ჩვენ, როგორც კოლექტივს, შენობის პრივატიზებისას უპირატესობა გვენიჭება,”** - აცხადებენ ექიმები.

ქონების მართვის სამინისტროში კი გვითხრეს, რომ სახელმწიფოს კუთვნილი შენობის პრივატიზებისას ცხადდება ტენდერი და შენობას ტენდერში გამარჯვებული ყიდულობს. უპირატესობა კი არავის ენიჭება.

პოლიკლინიკის თანამშრომელთა ნათქვამი ცენტრალური სუპერმარკეტის დირექციამაც უარყო. **”პოლიკლინიკის შენობა რა ჯანდაბად მინდა, ნეტა, რაც კანონით გვეკუთვნის, ის ტერიტორიები დამაბრუნებინაო”**, - გვითხრა დირექტორმა **ლაერტ ზუბადალაშვილმა.**

კახელებს ორშაბათის იმედი აქვთ

თამარ მაისურაძე

წყალდიდობის შედეგად ყველაზე დაზარალებულად კახეთის რაიონი გამოცხადდა.

გუშინ კახეთში, კერძოდ, სიღნაღში სახელმწიფო მინისტრის ორი მოადგილე **აკაკი ზოიძე** და **მამუკა ნიკოლაიშვილი** გაემგზავრნენ. **”სიღნაღის რაიონში წყალდიდობის შედეგად მიყენებული ზარალი 15 მილიონ დოლარზე მეტს შეადგენს.**

სიღნაღში მიმდინარეობს პირველადი სამუშაოები. ქვა-ღორღისგან იწმინდება გზები. მეწყერმა ამოავსო სარწყავი მილები. დაზიანებული ხიდების აღდგენაზე საგზაო ფონდი მუშაობს. თუმცა, პირველ რიგში, სამანქანო გზის, ელექტროგაყვანილობისა და სასმელი წყლის პრობლემაა მოსაგვარებელი,” – გვითხრა აკაკი ზოიძემ. რაც შეეხება მოსავალს, მისი თქმით, **”მზესუმზირა და ვენახი ასეულობით ჰექტარზეა განადგურებული, ეს კი წლევანდელი მოსავლის დაახლოებით 30-40 პროცენტია.”**

რაც შეეხება მოსავლის გარეშე ლამის ულუკმაპუროდ დარჩენილ მოსახლეობას, მათ დახმარებაზე ჯერჯერობით არავინ არაფერს ამბობს. დახმარებას მხოლოდ ისინი მიიღებენ, ვისაც მოსავალი დაზღვეული ჰქონდა.

მომავალ ორშაბათს წყალდიდობასთან დაკავშირებით გაიმართება სპეციალურად შექმნილი სახელმწიფო კომისიის სხდომა, სადაც კომისიის წევრები წარადგენენ ზარალის შესახებ სრულ მონაცემებს და იმსჯელებენ იმაზე, თუ საიდან მოიტანონ ამდენი ფული. **“გადაუდებელ ღონისძიებებს ჩვენ მივხედავთ, ჩვენ დავაფინანსებთ,”** – დაგვაიმედა სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ. როგორც მისგან გავიგეთ, ამ შემთხვევაში საზღვარგარეთის დახმარების იმედი არ უნდა გვქონდეს, რადგან მათთვის დასახმარებლად მიწისძვრის შემდეგ მიუმართავთ, **“მაგრამ ჯერ არ გამოგვხმაურებიან. საერთოდ, საზღვარგარეთიდან დახმარება გვიან მოდის ხოლმეო,”** – გვითხრა კახეთიდან დაბრუნებულმა ზოიძემ.

სამხატვრო აკადემიის ღია კარი

დალი კუპრავა

ადრე მერაბ ბერძენიშვილს უხუმრია, წვერი რომ მოვიპარსო და გამოცდებზე გავიდე, აკადემიაში მეც არ მიმიღებენო.

გუშინ თბილისის სამხატვრო აკადემიაში მისაღები გამოცდების სეზონი დაიწყო. არქიტექტურის ფაკულტეტის სპეციალობებზე აბიტურიენტებმა განაცხადი გააკეთეს- დახატეს ფანქარში და ფერში. ხვალ კომპოზიციაში ცდიან ბედს და თუ ვინმე ვაშლის ნაცვლად მსხალს არ დახატავს, მიიღებენ. ბოლო წლებში ამ ფაკულტეტზე შეამსუბუქეს აბიტურიენტებისთვის “მოხვედრის” პროცედურა, სასწავლო პროცესი კი პროფესიულ კონკურენციაზე ააგეს.

გუშინვე მოეწყო ღია კარის დღე. აკადემიის რექტორმა სოსო ქოიავამ განაცხადა, რომ წელს აკადემია 120 საბიუჯეტო სტუდენტს მიიღებს და მათი შერჩევის შემდეგ 70 ფასიანი აბიტურიენტი ჩაირიცხება. აბიტურიენტები გამოცდებზე დაიშვებიან გასაუბრებისა და ბუღალტერიაში 25 ლარის გადახდის შემდეგ. ეს თანხა საგამოცდო ხარჯებს ფარავს. თუმცა, ეს ხარჯები არ ითვალისწინებს მომავალი მხატვრის სახატავ დაფასა და ფურცელს. სწავლის საფასურს სტუდენტები სწავლის დაწყებიდან ათ დღეში გადაიხდიან.

აკადემიაში ქართული ენის გამოცდა და შემდეგ სწავლება სერიოზულია. ქართული ენის პედაგოგის, ღვთისო ზარიძის გამოსვლის შემდეგ, პრეზიდიუმში ერთ-ერთმა მასწავლებელმა იხუმრა, ეგონებათ, გზა აებნათ და უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე მოხვდნენო. მშობლებისა და აბიტურიენტებს თითქოს არც აინტერესებდათ აკადემიის წარმომადგენელთა პასუხებით.”ეს ხომ ვიცოდით”.., “გასაგებია”... გაისმა და დარბაზი დაიშალა ისე, რომ პრეზიდიუმს დასასრული არ გამოუცხადებია.

გარეთ კი კვლავ საბუთების ჩასაბარებლად მოსულთა რიგი იდგა. მშობლები კვლავ თავის დროს იხსენებდნენ, როცა აკადემიაში ჩაბარება ჯოჯოხეთში ჩასვლა-ამოსვლას უდრიდა. თითქოს, მათ ჯიბრზე, ფერწერიდან კმაყოფილები და მშვიდები გამოდიოდნენ მომავალი არქიტექტორები და მონუმენტალისტები...

სასამართლო დარბაზი

და ძმის პატიმრობიდან დახსნას აპირებს

ხათუნა ჯანგირაშვილი

“ჩემს უბედურ ძმას ჩვენი საბრალო მშობლები არ დაუხოცავს,” – უკვე მეორე დღეა, ამ სიტყვებს სასამართლო დარბაზის გარეთ, უზენაესი სასამართლოს ფოიეში, მშვიდად და ირონიულად იმეორებს მშობლების მკვლელობაში ბრალდებული განსასჯელის, არჩილ ძეგველიშვილის და - ნინო ძეგველიშვილი, რომელსაც გამოძიებამ დანაშაულში თანამონაწილეობა ვერ დაუმტკიცა.

ეს სიტყვები ნინო ძეგველიშვილს არც წინასწარი გამოძიების დროს უთქვამს და არც სასამართლო პროცესზე, რამდენიმე დღის წინ მოწმედ დაკითხვისას. არადა, ამის თქმის საშუალება მას ნამდვილად გააჩნდა.

იმის მიუხედავად, რომ კანონით მას უფლება ჰქონდა, საკუთარი ოჯახის წევრის შესახებ არანაირი ჩვენება არ მიეცა, სასამართლო დარბაზში ნინო ძეგველიშვილმა, ზედმეტი კითხვების დასმის გარეშე, უპრობლემოდ, მშვიდად და აუღელვებლად უამბო დამსწრეთ მკვლელობის ღამის საზარელი ისტორია – როგორ შევიდა მასთან ოთახში ძმა და მშობლების დახოცვის ამბავი ამცნო; დასარწმუნებლად თოფის ლულაზეც ასუნინა, ხომ ხედავ, ჯერ კიდევ სუნი ასდის, ახლა გავისროლე სამი ტყვიაო. ძმის თხოვნით, როგორ დატოვა მან მშობლების გვამების უნახავად სახლი და როგორ დააბრუნა მეოთხე დღეს ძმამ სახლში, სადაც ქვიშით ამოვსებული ტახტის სათავსოში მისი დედ-მამის გვამები ეწყო.

ნინო ძეგველიშვილის სასამართლო ჩვენება გამოძიებაში მიცემული ჩვენების იდენტური იყო. პროცესზე მან ისიც კი თქვა, სხვები რატომ ჩაიდენენ მსგავს დანაშაულს, ჩვენ ხომ ყველასგან განსხვავებული მშობლები გვყავდაო.

საბრალდებო დასკვნით გათვალისწინებული უვადო პატიმრობა, სასამართლო პროცესზე სახელმწიფო ბრალმდებელმა 19-წლიანი პატიმრობის მოთხოვნით შეცვალა, რასაც განსასჯელის დის უკმაყოფილება მოჰყვა. მამიდაც, რომელიც აქამდე ითხოვდა, ნინო აჩიკოს გვერდით უნდა დასვანო, პროკურორის ბოლო სიტყვით უკმაყოფილო დარჩა, თუმცა, ამავე დროს, კვლავ ძველებურად იმეორებს: “და-ძმას მშობლები არ უყვარდათ, დახოცეს და დაისვენეს”. მეორე მამიდა ისევ განსასჯელს ამართლებს და მომხდარში ბრალს კვლავ ძმასა და რძალს სდებს - შვილებთან განსაკუთრებით მკაცრი მოპყრობის გამო. ორივე მამიდას ნინო ძეგველიშვილის ფსიქიკურ მდგომარეობაში უფრო ეპარება ეჭვი, ვიდრე უკვე განაჩენის მომლოდინე აჩიკოსაში.

რაც შეეხება ნინო ძეგველიშვილის მოულოდნელ განცხადებას, რომ მშობლები მისმა ძმამ კი არა, სხვამ - სწორედ იმან დახოცა, ვინც აჩიკოს ემუქრებოდა, მამიდებმა თან არ დაიჯერეს და თან დაიჯერეს კიდეც. **“ნინო საკმაოდ რთული გოგოა, დასაშვებია, ტყუილს ამბობდეს, დასაშვებია – მართალს”,** - თქვა ორივე მამიდამ ჩვენთან საუბრისას. თავად ნინო ძეგველიშვილი კი, ნებისმიერი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, გადაწყვეტილების გასაჩივრებასა და ძმის დახსნას აპირებს.

ერთი სიტყვით, საზარელი მკვლელობის გარშემო ატეხილ აურზაურს ორშაბათს მოსამართლე იური ტაბუცაძე დაუსვამს წერტილს - არჩილ ძეგველიშვილისთვის გამოტანილი განაჩენით.

გუშინდელ პროცესზე განსასჯელის ადვოკატმა სახელმწიფო ბრალდების მიერ მოთხოვნილი საპატიმრო ვადის შეცვლა მოსთხოვა მოსამართლეს, იმის გათვალისწინებით, რომ ძეგველიშვილმა დანაშაული მძიმე სულიერი აღელვების ნიადაგზე ჩაიდინა. თავად განსასჯელმა საკუთარი უფლება – ეთქვა ბოლო სიტყვა, არ გამოიყენა და მხოლოდ ადვოკატის სიტყვას დაეთანხმა.

განსასჯელები განაჩენისთვის ემზადებიან

ხათუნა ჯანგირაშვილი

დასასრულს მიუახლოვდა ორთვიანი დაძაბული სასამართლო პროცესი, რომელზეც სამხედრო აკადემიის შვიდ კურსანტს ასამართლებენ. საბოლოო განაჩენს უზენაესი სასამართლო შვიდივე განსასჯელს ორშაბათს გამოუტანს.

შეგახსენებთ, რომ განსასჯელებს ბრალად ედებათ ასევე სამხედრო აკადემიის კურსანტის, ვიქტორ ბიჩუკის დამამძიმებელ გარემოებაში მკვლელობა, რაც კანონით უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

რკინიგზის სადგურ “ძირულასთან” სამხედრო აკადემიის კურსანტის, ვიქტორ ბიჩუკის ხეზე ჩამოკიდებული, გახრწნილი გვამი, რომელიც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ექვსი თვის განმავლობაში ეკიდა ხეზე, დაახლოებით, ორი წლის წინ იპოვეს. წელიწადნახევრიანი გამოძიების შემდეგ, გამომძიებელმა დაადგინა, რომ ბიჩუკი ჯერ მატარებლიდან გადააგდეს, შემდეგ მოძებნეს და თავის ქალის მძიმე დაზიანებით უკვე გარდაცვლილი, იქვე, ახლოს, ხეზე ჩამოკიდეს. მოკლულის შარვლის ჯიბეში ნაპოვნი ბარათი თვითმკვლელობაზე მიანიშნებდა. გამოძიების დროს თავდაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებულმა ტექნიკურ-კრიმინალისტიკურმა ექსპერტიზამ ბარათის დამწერად ერთ-ერთი ბრალდებული – აფხაძე ამხილა.

სიტუაცია სრულიად შეიცვალა სასამართლო პროცესზე. სასამართლო გამოძიების დროს დაკითხულმა, მრავალრიცხოვანმა მოწმეებმა დანაშაულში განსასჯელთა მონაწილეობა რომ უარყვეს, ამის შესახებ “24 საათი” უკვე წერდა. სასამართლო გამოძიებისას ადვოკატების მოთხოვნით ჩატარებულმა გრაფიკულ-კალიგრაფიულმა ექსპერტიზამ კი თავდაყირა დააყენა საბრალდებო დასკვნა. ხელმეორედ ჩატარებული კომისიური ექსპერტიზის დასკვნამ, მართალია, სიძველის გამო ბარათის დაწერის ვადა ვერ დაადგინა, მაგრამ განსასჯელთა კალიგრაფიის შესწავლის საფუძველზე, კატეგორიულად გამორიცხა რომელიმე მათგანის ხელით ბარათის დაწერა. ექსპერტების ჩვენებამ, საბოლოოდ, თავისთავად გამორიცხა მკვლელობის ვერსია. “სავარაუდოდ, წერილი ბიჩუკის მიერვეა დაწერილი,” – ასეთია სასამართლოს მოთხოვნით განმეორებით ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა.

სასამართლო გამოძიებისას ისიც გაირკვა, რომ მკვლელობის დღეს განსასჯელთაგან არც ერთს ფოთი-თბილისის მარშრუტით მიმავალი მატარებლით არ უმგზავრია. ეს ის მატარებელია, რომლიდანაც, ქუთაისის სამხედრო პროკურატურის მიერ დაწერილი საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ბიჩუკი გადააგდეს.

გუშინდელ პროცესზე მხარეებს შორის გამართული კამათის დროს, სახელმწიფო ბრალმდებელი, რომელმაც განსასჯელთა სასჯელის ზომად 13-15-წლიანი პატიმრობა მოითხოვა, კვლავ ამტკიცებდა, რომ ვიქტორ ბიჩუკს თავი არ მოუკლავს. შვიდი განსასჯელის რვა ადვოკატი კი პროკურორს აკრიტიკებდა და კოლეგა სამხედრო პროკურორების მიერ ბიჩუკის საქმეზე ჩადენილი დანაშაულის დაფარვაში ამხელდნენ, რომლებმაც, მათი თქმით, ვიქტორ ბიჩუკის მკვლელობის სამი სქელტანიანი ტომი შეკერეს. **“დამნაშავე პროკურორები ისე არიგებენ 15-წლიან სასჯელს და უვადო პატიმრობას, ვითომ არაფერი მომხდარიყოს. ვერანაირი მტკიცებულება მათ ვერ წარმოადგინეს, უბრალოდ, საქმე ვითომ გახსნეს და ამით არიან კმაყოფილები,”** – ასეთ შეფასებებს აძლევდნენ პროკურორების საქმიანობას ადვოკატები, მოსამართლე აკაკი ქოიავას კი ობიექტურად და სრულყოფილად ჩატარებული ორთვიანი სასამართლო გამოძიებისთვის მადლობას უხდიდნენ.

გუშინ განსასჯელებმა კანონით გათვალისწინებული ბოლო სიტყვა თქვეს.

„აეროფლოტის„ საქმის განხილვა კვლავ გადაიდო

ინგა ალავიძე

მოსკოვის სასამართლომ კვლავ გადადო “აეროფლოტის” ყოფილი ხელმძღვანელების კრიმინალური საქმიანობის სასამართლო განხილვა. პროცესი გადაიდო ადვოკატ დიმიტრი იაკუბოვსკის გამოუცხადებლობის გამო. იაკუბოვსკი იცავდა საქმის მთავარ განსასჯელს, “აეროფლოტის” გენერალური დირექტორის ყოფილ მოადგილეს ნიკოლაი გლუშკოვს.

ნიკოლაი გლუშკოვმა ხუთშაბათს განახლებულ სასამართლო პროცესზე მოულოდნელად უარი თქვა იაკუბოვსკის მომსახურებაზე. გლუშკოვმა განაცხადა, რომ სურს სასამართლო პროცესი დროულად დასრულდეს, რაც იაკუბოვსკის მოუცლელობის გამო არ ხერხდება. სასამართლომ გლუშკოვის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა იმ მიზეზით, რომ ადვოკატის აცილების პროცედურას დამცველიც უნდა ესწრებოდეს. არადა იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დააკმაყოფილებდა განსასჯელის მოთხოვნას, საქმის ხელახალი შესწავლა უნდა დაწყებულიყო, რაც გამოიწვევდა ისედაც გაგრძელებული პროცესის კიდევ უფრო გახანგრძლივებას.

“აეროფლოტის” საქმის სასამართლო პროცესი 14 იანვარს დაიწყო, მაგრამ ამდენი ხნის განმავლობაში, სასამართლომ ვერ მოახერხა საქმის მოსმენის დაწყება - სხვადასხვა მიზეზის გამო, პროცესი მუდმივად იდებოდა.

შეგახსენებთ, რომ “მოსკოვის სასამართლო ასამართლებს აეროფლოტის” 7 თანამშრომელს კომპანიის სოლიდური ქონების დატაცებისთვის. “აეროფლოტის” გენერალური დირექტორის ორი მოადგილის, მთავარი ბუღალტერის და სხვების თაღლითობის გამო, კომპანიას 252 მილიონი დოლარის ზარალი მიადგა.

ბორის ბერეზოვსკი

“აეროფლოტის” საქმეში ფიგურირებს ბერეზოვსკის და ბადრი პატარკაციშვილის სახელებიც. თუმცა, რუსეთის პროკურატურამ, რომელიც სამი წლის მანძილზე იძიებდა “აეროფლოტის” საქმეს, კომპანიაში ბერეზოვსკი-პატარკაციშვილის ფარული საქმიანობის თაობაზე მტკიცებულებების მოპოვება-გამოაშკარავება ვერ მოახერხა. არადა, არაოფიციალური ინფორმაციით, “აეროფლოტს” სწორედ ეს დუეტი “აკონტროლებდა”.

რუსეთის პროკურატურა სხვადასხვა გზებით არაერთხელ ეცადა ბერეზოვსკის მოხელეთებას, მაგრამ -- უშედეგოდ. სულ ცოტა ხნის წინათ, ბრიტანელმა სამართალდამცველებმა უარით უპასუხეს რუსეთის გენერალურ პროკურატურის უკვე მეორე მოთხოვნას ბერეზოვსკის გადაცემის შესახებ. რუსი კოლეგების მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიიჩნიეს შვეიციელმა კანონდამცველებმაც, როცა რუსმა სამართალდამცველებმა შვეიციაში ბერეზოვსკის ქონებისა და საბანკო ანგარიშების დაყადაღება მოითხოვეს.

ახლა რუსეთის პროკურატურა გამოსავალს ეძებს და ბერეზოვსკის საქმეში აღმოჩენილი ახალი გარემოების შესახებ საუბრობს, თუმცა -- დაკონკრეტების გარეშე. თანაც ირწმუნება, რომ სულ ცოტა ხანში ინგლისს თავშეფარებული ოლიგარქი რუს სამართალდამცველთა ხელში აღმოჩნდება. რუსეთის გენერალური პროკურორი ბერეზოვსკის იმ მეგობართა ვინაობასაც არ ასახელებს, რომელთა რუსეთში ჩაყვანის, გასამართლებისა და წაღებული დიდი ფულის უკან, რუსეთში დაბრუნების პირობასაც იძლევა. ერთი სიტყვით, “აეროფლოტის” საქმეს რუსეთის პროკურატურის მიერ ბოლო წლებში გამოძიებულ ერთერთ უმსხვილეს საქმედ მიიჩნევენ და ვარაუდობენ, რომ საქმე ახალი დეტალებით შეივსება.

არის თუ არა რუსეთის გენერალური პროკურორის შავ სიაში საქართველოში ბიზნესითა და ქველმოქმედებით დასაქმებული ბადრი პატარკაციშვილის გვარი, ამის თაობაზე მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეიძლება.

ქრონიკა

ყაჩაღობაში ეჭვმიტანილები დააკავეს

ზუგდიდის რაიონის პოლიციამ დააკავა სოფელ ორსანტიაში მცხოვრები, ნასამართლევი, ედიშერ ხაზალია. მან სოფელ ორსანტიაში ორ პირთან ერთად ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით ზუგდიდელ ლესტამბერ იზორიას წაართვა ავტომანქანა, ხოლო მის მგზავრს, გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში მცხოვრებ 35 წლის დიანა ქულავას, 1500 ლარი.

ხაზალიას სახლიდან ამოიღეს რევოლვერი 6 ვაზნით. საქმე გამოსაძიებლად გადაეცა საგამოძიებო დეპარტამენტს.

შსს-მ და აჭარის შს სამინისტროს თანამშრომლებმა დააკავეს ყაჩაღობისთვის ძებნილი შენგელი ჭეჭვაძე, რომელმაც 26 მაისს სხვა პირებთან ერთად ბათუმი-თბილისის საავტომობილო გზის ქარელის მონაკვეთზე დააყაჩაღა კასპის რაიონის სოფელ თელიანში მცხოვრები კობა ბერიაშვილის მიკროავტობუსი.

ბელორუსის პრეზიდენტმა იტალიელი ჯაშუში შეიწყალა

ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ ხელი მოაწერა იტალიელი ანჯელო ანტონიო პიუს შეწყალების ბრძანებულებას, რითაც მან პიუ სასჯელის მოხდისგან გაათავისუფლა.

2000 წლის 12 სექტემბერს ანჯელო ანტონიო პიუს იტალიის ჯაშუშობისთვის ოთხ-ნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

პიუმ სასამართლო განაჩენის გამოტანის შემდეგ ბელორუსის პრეზიდენტს პატიება-შეწყალება სთხოვა. ანალოგიური თხოვნით მიმართა ბელორუსის პრეზიდენტს იტალიის პრეზიდენტმა და ვენეციის მთავრობამ. იტალიის მხარემ აღიარა თანამემამულის დანაშაული და დაადასტურა ბელორუსის დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ გამოტანილი სასჯელის სისწორე.

ბელორუსის პრეზიდენტის პრესმდივნის თქმით, ქვეყნის მეთაურმა გაითვალისწინა მრავალი შუამდგომლობა შეწყალების თაობაზე. ის ფაქტი, რომ ანტონიო პიუმ პირველად ჩაიდინა მსგავსი დანაშაული, მოინანია და პატიებაც ითხოვა, გახდა საფუძველი იმისა, რომ ლუკაშენკომ იტალიელი ჯაშუში გაათავისუფლა.

რუსი „ნიკიტა” 12 - წლიან სასჯელს ციხეში მოიხდის

12-წლიანი თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა ქალაქ პეროვსკის საერთაშორისო მუნიციპალური სასამართლოს ყოფილ მდივანს ლარისა როსჩინას. სწორედ ამ ქალბატონმა გაითქვა სახელი შეკვეთილი მკვლელობების სერიით და მოსკოვის კრიმინალურ სამყაროში “ნიკიტას” სახელით მოინათლა.

20 წლის ახალგაზრდა მდივანი მოსკოვის სასამართლომ ორი ადამიანის მკვლელობაში, მკვლელობის მუქარასა და სხვა მკვლელობების მცდელობაში ამხილა.

როსჩინამ თავის მსხვერპლთა – კუზოვლევისა და ვასილევის - მკვლელობა 3 ათასი დოლარის საზღაურად ჩაიდინა, რადგან მას ნაცნობის ვალი მართებდა.

მისი თქმით, მას სწორედ მევალემ მისცა იარაღი და მკვლელობის ჩადენა უბრძანა.

მკვლელობის გეგმის შემუშავების დროს ლარისა როსჩინა პეროვსკის სასამართლოში დროებით აღარ მუშაობდა, რადგან იმყოფებოდა დეკრეტულ შვებულებაში.

შეკვეთილი მკვლელობის სისრულეში მოყვანისას კი სულ “ახალი” დედა გახლდათ.

ტრაგედია დატრიალდა მოსკოვში, გასული წლის 21 საქტემბერს. როსჩინამ მსხვერპლი საბაჟო პრობლემის გარჩევის მიზნით სადარბაზოში შეიტყუა.

კუზოლოვი ამავე სახლის მე-12 სართულზე ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა.

კუზოლოვის მოლოდინში მყოფი ვასილევი კი სადარბაზოსთან მდგარ მანქანაში გამოასალმა სიცოცხლეს. მკვლელობას კინაღამ შეეწირა მეზობლად მცხოვრები, თვითმხილველი ცოლ-ქმარი.

მკვლელობიდან რამედენიმე დღეში სამართალდამცავებმა მკვლელის კვალს მიაგნეს. ლარისა როსჩინამ დაასწრო მათ და თავად გამოცხადდა პოლიციის განყოფილებაში. მან თავიდან აღიარა დანაშაული, შემდეგ კი ჩვენება შეცვალა.

ლარისა როსჩინამ სასამართლო პროცესის მსვლელობისას არ ცნო თავი დამნაშავედ და სხვადასხვა ფაქტების მოშველიებით ეცადა თავის მართლებას.

სასამართლომ ჩადენილ დანაშაულში ამხილა ლარისა როსჩინა და ახლა მას თორმეტწლიანი სასჯელის მოხდა საერთო რეჟიმის კოლონიაში მოუწევს.

ჩეჩენი მაფიოზები დააკავეს

მოსკოვში ჩეჩენი გამომძალველების ბანდა დააკავეს. დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები უმუშევარ მოქალაქეს 5000 დოლარის გადახდას სთხოვდნენ.

მორალურად დაზარალებული მოქალაქე ანერვიულებული მივიდა პოლიციის განყოფილებაში და განაცხადა, რომ რამდენიმე დღის წინ მის ბინაში ანონიმური ზარი შევიდა. სატელეფონო ტერორისტმა, კავკასიური აქცენტით მოსაუბრემ, 5 ათასი დოლარის სასწრაფოდ გადახდა მოითხოვა. დაზარალებული მამაკაცის თქმით, უცნობი არარსებული ვალის დაფარვას ითხოვდა. ოპერატიული მუშაობის შედეგად პოლიციის თანამშრომლებმა, რომლებიც ყაჩაღებს დაზარალებულის სახლთან ჩაუსაფრდნენ, ჩეჩენ მაფიოზთა დაჯგუფების ორი წევრი დააკავეს. ყაჩაღობის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, სასამართლო გამოძიება დაწყებულია. ამჟამად მიმდინარეობს კვლევა, დატუსაღებულთა მიერ მოსკოვში ჩადენილ სხვა დანაშაულებებზე.

თრეფიკინგი - დანაშაულებრივი ბიზნესი

თამარ მაისურაძე

საქართველოში გაჩნდა ახალი ტერმინი - თრეფიკინგის მსხვერპლი. თრეფიკინგი, თავისი შემოსავლებით, არ ჩამოუვარდება იარაღისა და ნარკოტიკების ბიზნესს. თრეფიკინგის "ქსელში" საქართველოც ჩაერთო და ამ დანაშაულებრივმა ბიზნესმა ჩვენთანაც კარგად ორგანიზებული და ჩამოყალიბებული სახე მიიღო.

ზოგადი ინფორმაციით, თრეფიკინგის, ანუ მონობის მსხვერპლნი, ძირითადად, ქალები არიან. ამას ოფიციალური მონაცემებიც მოწმობს.

ქართველი მიგრანტების გამოკითხვის შედეგად, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში კარგად ჩანს თრეფიკინგის მსხვერპლთა სტატისტიკა. საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, მონობაში მყოფთა დიდი ნაწილი - 86,8 პროცენტი ქალები არიან. მათი უმეტესობა დაოჯახებულია, საშუალო ან უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული. შედარებით მცირე პროცენტული მაჩვენებელია ქართველ კაცებზე. თუმცა, როგორც ერთი, ისე მეორე სქესის წარმომადგენლების უმეტესობა რეპროდუქტიულ ასაკს მონობაში ატარებს. საქართველოს რეგიონების მიხედვით, იძულებითი სამუშაოს შესრულება ყველაზე მეტად თბილისელებს უწევთ. მათ ოდნავ ჩამორჩებიან იმერეთისა და კახეთის რაიონების მცხოვრებლები. პროცენტული მაჩვენებელის მიხედვით, შემდეგ შიდა ქართლის, მცხეთის და ქვემო ქართლის მოსახლეობა მოდის.

ეს ინფორმაცია ახალი არავისთვის არ არის: თრეფიკინგის საშიშროების შესახებ ჩვენი სამართალდამცავი ორგანოები თუ არასამთავრობო ორგანიზაციები დაუღალავად ლაპარაკობენ, თუმცა, ფაქტია, რომ დღემდე არაფერი იცვლება.

ჩვენმა ინტერვიუერმა საკუთარ თავზე იწვნია ეს ძალადობა. სულ ცოტა ხნის წინ ის ერთ-ერთი იმათთაგანი იყო, ვინც ფულის საშოვნად საზღვარგარეთისკენ მიმავალ გზას დაადგა - თურქეთში წავიდა. მან სამხატვრო სასწავლებელი დაამთავრა, შემდეგ ხელოვნების აკადემიის სარეჟისორო ფაკულტეტი, კინოხელოვნებაზე ფანატიკურად შეყვარებული "დიდ კინოგადაღებებზე" ოცნებობდა... დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ... მაგრამ უმუშევარი დარჩა... თურქეთში წავიდა და "გაყიდეს"... თრეფიკინგის - ამ შავი ბიზნესის მსხვერპლი გახდა. ოღონდ, მისი თხოვნით, მის ვინაობას არ ვასახელებთ.

"თურქეთში სამუშაოს შესახებ სასტუმროში მიგვიყვანა. ვის არ ნახავდით იქ - მშენებლებს, ხელოსნებს, მუსიკოსს, მხატვარს... მორბენალ სტრიქონში ამოვიკითხე და სააგენტოს ოფისში მივედი. შემომთავაზეს სამუშაო თურქეთის ქალაქ ჩორუმის აგურის ქარხანაში, 300 - დოლარიანი ხელფასით. ამ ფირმისთვის, სამსახურში მოწყობისა და დაბინავების შემდეგ, 350 დოლარი უნდა გადამეხადა. ჩემთან ერთად კიდევ ოთხი ქართველი წამოვიდა: ერთს სოლიდური ვალი უნდა გაესტუმრებინა თურქეთში ნაშოვნი ფულით; მეორეს შვილი ჰყავდა მძიმედ ავად; მესამეს ცოლშვილი კიევში და მათთან რომ ჩაეღწია, ყველაფრისთვის მზად იყო; მეოთხე ქორწილისთვის ემზადებოდა; მე კი - ოჯახის რჩენას ვაპირებდი თურქეთიდან...

ჩორუმის ქარხანაში ჩასულებს გვითხრეს, ხალხი არ გვჭირდებაო. რა უნდა გვექნა, დავიწყეთ სამსახურის ძებნა. ფირმის თანამშრომელიც თან გვახლდა. თურქეთის ქუჩებში ხეტიალისას, ხშირად ვფიქრობდი, ნეტავ, ის ქართველები, თავის დროზე თანამემამულეებს რომ ყიდდნენ მონებად, ჩვენს მეგზურს თუ ჰგავდნენ რაღაცითმეთქი - მეგობრულს, მხიარულს, თანაც, ჩვენი ბედის მოზიარეს. სტამბოლში ქართველებით სავსე ბოლოს ჩვენმა მეგზურმა სტამბოლის მახლობლად საფეიქრო ფაბრიკაში მოგვაწყო სამუშაოდ. ანაზღაურება დაბალი შემოგვთავაზეს - 200 დოლარი, მაგრამ სხვა გზა არ იყო და დავთანხმდით. ტანსაცმლის შეფუთვასა და მარკირებაზე უნდა გვემუშავა. ჩავუთვალე ჩვენს მეგზურს ფული და დავიწყეთ მუშაობა... ერთი კვირის თავზე მეპატრონემ ხელფასი არ გადაგვიხადა. იგივე გამეორდა მეორე, მესამე კვირასაც. ერთი თვის თავზე გაფიცვა მოვაწყვეთ, ხელჩართულ ბრძოლამდე მივიდა საქმე. ვმუშაობდით არანორმალურ პირობებში - დღე და ღამე, ზედიზედ რამდენიმე ცვლაში. ორთქლში გახვეულები 24 საათი ფეხზე ვიდექით, სამი თვის შემდეგ კვლავ გაფიცვა მოვაწყვეთ. ისევ დაპირებებით გაგვაჩუმეს. მერე ფაბრიკაში ვიღაც კაცი მოვიდა, გვითხრა, თქვენი მეპატრონე გაკოტრდა, ფულს აღარავინ გადაგიხდით, ვისაც უნდა, ჩემთან წამოვიდეს სამუშაოდ, 150 დოლარს გადაგიხდითო. თხუთმეტმა კაცმა სამი თვის ნამუშევარი დავკარგეთ, კაპიკი აღარ მოგვეპოვებოდა და რაღას ვიზამდით, დავთანხმდით. მან საცხოვრებელი ოთახი გამოგვიცვალა - უფრო დიდი და სუფთა მოგვცა, საკვებიც უკეთესი გვქონდა, მაგრამ სამუშაო - უმძიმესი. მაშინ ზუსტად მივხვდი, რას ნიშნავს მონობა... ერთ თვეს გავუძელი, ავიღე ხელფასი, რომელიც თბილისში დასაბრუნებლად საკმარისი იყო და გამოვიქეცი...

ფაბრიკაში ერთი 50 წელს მიტანებული მამაკაცი მუშაობდა, ქართველი. ძალიან მხიარული ვინმე იყო. მისი ხუმრობა გვატანინებდა პრობლემებს. თურქებმა ის გააგდეს და მერე გავიგეთ, რომ სადგურში გარდაცვლილი უპოვნიათ - ჩამოძონძილ-დაკონკილმა, მათხოვრობაში დალია სული.

ადამიანებად არ გვთვლიდნენ, პირუტყვებივით გვექცეოდნენ. სულ მცირე შეცდომის გამო ფაბრიკის მეპატრონემ ქართველი ქალი სასტიკად ცემა. იქ არაფერი გაგიკვირდება... ყველაფერს ნახავ...

თბილისში რომ დავბრუნდი, ვფიქრობდი, სპონსორს ვიშოვი და ჩემს თურქულ თავგადასავალს - მონად ყოფნის ოთხთვიან ისტორიას - ფილმად გადავიღებ-მეთქი. ახლა ფულიც რომ მქონდეს, ასე აღარ მოვიქცევი. ეს უკვე გააკეთა სხვამ - იმაზე უფრო კარგად, ვიდრე მე შევძლებ. გაიხსენეთ ალან პარკერის "შუაღამის ექსპრესი", მაშინ ჩემს თურქულ თავგადასავალსაც ადვილად აღიქვამთ..."

თრეფიკინგი საქართველოში შემოიჭრა და ღრმადაც გაიდგა ფესვები. არასრული სტატისტიკით, ბოლო ათი წლის მანძილზე ქვეყანა მილიონ-ნახევარმა ადამიანმა დატოვა. მიზეზი ბანალურია - ისინი საქართველოს ყოფით რეალობას - უმძიმეს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას გაექცნენ... რამდენი ადამიანი ჩაითრია თრეფიკინგმა, რამდენი გახდა ამ ძალადობის მსხვერპლი, რა თქმა უნდა, არც ეს აღურიცხავს არავის. ამ შავი ბიზნესის კლანჭებში აღმოჩენილთა ბედით არც ხელისუფლება დაინტერესებულა.

“ეს ძალიან რთული საკითხია, საკანონმდებლო ბაზაც არ არსებობს, ყველაფერი თავიდანაა დასაწყები. წელიწადი არ არის, რაც საქართველოში თრეფიკინგი ახსენეს, სისხლის სამართლის კოდექსშიც დანაშაულის ეს სახეობა ჯერ არ არის შეტანილი... გეუბნებით, ყველაფერი თავიდანაა დასაწყები,” – ჩვენთან საუბრისას განაცხადა შს მინისტრის მოადგილემ **ზურაბ ჩხაიძემ.**

როგორც ხედავთ, თრეფიკინგი – მძიმე დანაშაულის ეს სახეობა ქართველი სამართალდამცველებისთვის ჯერ “უცხო ხილია”.

ჯარში წასვლა აღარავის უნდა

საგაზაფხულო გაწვევა ტრადიციული გარღვევებითა და დარღვევებით მთავრდება

ზაზა წულაძე

გიორგი, *თბილისელია, გუშინ მან კიდევ ერთხელ გამოართვა მამამისს 150 დოლარი და სამხედრო კომისარიატში მიიტანა. გიორგიმ ასე დააღწია თავი, უკვე მეორედ, საქართველოს ჯარში გაწვევას. "ახლა მამაჩემი რაღაც ფასიან უნივერსიტეტში მაწყობს, აქამდეც უნდოდა, მაგრამ ფული ვერ შეაგროვა. ჯარში რა მინდა?!" – მეუბნება იგი. ლევანი ახალციხელია; კომისარიატში მისულმა, ალტერნატიული სამსახური მოითხოვა, თავიდან დაემუქრნენ, ფულიც მოსთხოვეს, მაგრამ, "თავისუფლების ინსტიტუტის" ჩარევის შემდეგ, ალტერნატიული ჯერ არ ამუშავებულაო, უთხრეს და სახლში გაუშვეს. დათო თბილისელია, ბავშობიდან ღვიძლი აწუხებს, ერთ-ერთ ინსტიტუტში აბარებდა, სამხედრო მიწერა მოსთხოვეს. კომისარიატში წავიდა და აღარ დაბრუნებულა. "კინაღამ შევიშალეთ. ღამე, ორ საათზე საიდანღაც გვირეკავს და გვეუბნება, რომ ჯარშია. ექიმს საერთოდ არ გაუსინჯავს. აგერ მთელი ცნობები მაქვს, რომ მართლა ავადაა. პირდაპირ შეიშლები...მესამე სართულზე, ჩვენს ზევით, დათოს კბილა, სამი ბიჭი ცხოვრობს. არავის მოუკითხავს, რადგან მაგათი მამები სამინისტროებში მუშაობენ," – ცრემლმორეული მეუბნება ქალბატონი ანა, რომელიც რამდენიმე დღეა შვილის ავადმყოფობის დამტკიცებას ცდილობს.*

...საქართველოში საგაზაფხულო გაწვევა მთავრდება და, ტრადიციულად, გეგმაში გარღვევაა.

წლევანდელი საგაზაფხულო გაწვევა, წინა გაწვევებისგან განსხვავდება. უკვე ცნობილია, რომ 2003 წლიდან, სამხედრო კომისარიატები ადგილობრივი თვითმმართველობის დაქვემდებარებაში გადადიან, პარალელურად კი, პარლამენტმა "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" კანონში (მის ასამოქმედებლად მხოლოდ პრეზიდენტის ხელმოწერაა საჭირო) ახალი შესწორებები მიიღო, რომლის მიხედვითაც, წვევამდელს შეუძლია 200 ლარი გადაიხადოს და ჯარში ერთი წლის მანძილზე არ წავიდეს. **"კომისარიატებში ხვდებიან, რომ ქრთამის სახით შემოსავალი აღარ ექნებათ. არადა, ეს საკმაოდ სოლიდური შემოსავალია. 6 თვით გადავადება 100-200 დოლარი ღირს, თუმცა, თუ ნახეს, რომ მშობელს ფული აქვს, 300 დოლარსაც გამოართმევენ. ჯარიდან საერთოდ გათავისუფლება, სამხედრო ბილეთის მოცემით, 1000-1500 დოლარი ჯდება. ნაწილში ფორმალური ჩარიცხვა და შემდეგ ბილეთის მიღება უფრო ძვირი. ამიტომ ამ ეტაპზე კომისარიატების ამოცანა ერთია, რაც შეიძლება დიდი ფული ამოიღონ, გეგმას ხომ ისედაც ვერ შეასრულებენ,"** – გვითხრა ასოციაცია "სამართალი და თავისუფლების" დირექტორმა ირაკლი სესიაშვილმა.

მთავარი სამხედრო კომისარიატის მონაცემებით, საგაზაფხულო გაწვევის გეგმა შეიძლება, მხოლოდ 55 პროცენტით შესრულდეს, ისიც, თუ დარჩენილ 25 დღეში (გაწვევა 31 ივლისს მთავრდება) რაღაც სასწაული მოხდა. დღეისათვის, გასაწვევი 8245 წვევამდელიდან, მხოლოდ 2832-ია გაწვეული, რაც გეგმის მხოლოდ 34 პროცენტია. აქედან თბილისზე, მხოლოდ 503 ახალი ჯარისკაცი მოდის. **"თუ გეგმა ძალიან ჩაგვივარდა, მაშინ, ალბათ, გაწვევის ვადის კიდევ ორი თვით გახანგრძლივება მოგვიწევს,"** – გვაცნობეს მთავარ სამხედრო კომისარიატში.

"ჯარში არ მიდის ახალგაზრდობა, რადგან ხელისუფლება არაფერს აკეთებს, ამ სამსახურის პრესტიჟულობისთვის. ჯარი უნდა გახდეს პროფესიული, სწორედ ეს აქცევს მას პრესტიჟულად. დარწმუნებული ვარ, რომ არცერთი უმუშევარი ქართველი ახალგაზრდა პროფესიულ ჯარში წასვლაზე უარს არ იტყვის. ჯარში არის უმრავი პრობლემა - კორუფციის, უსახსრობის; გავრცელებულია ათასგვარი დაავადება. დიდი პრობლემაა ისიც, რომ ხალხი, ამ ხელისუფლების გადამკიდე, სახელმწიფოს თავისად ვერ აღიქვამს. მიაჩნია, რომ ეს შევარდნაძეების, ჩხარტიშვილების, თარგამაძეების ქვეყანაა. შესაბამისად, არ ცდილობს, დაიცვას იგი ისე, როგორც საკუთარ ოჯახს დაიცავდა. როგორ შეიძლება, სახელმწიფო ჯარში ძალით წაყვანილი ჯარისკაცის იმედზე იყოს?!" – ამბობს "თავისუფლების ინსტიტუტის" დირექტორი ლევან რამიშვილი.

ასოციაცია "სამართალი და თავისუფლების" მიერ ჩატარებული გამოკითხვით, ჯარში, ძირითადად, მხოლოდ ღარიბი ოჯახების, არასრული განათლების მქონე ყმაწვილები მიჰყავთ და უმრავლესობას ფორმალურად უტარებენ სამედიცინო გამოკვლევას. **"მე ვიცნობ ადამიანებს, რომლებიც სრულიად ჯანმრთელები წავიდნენ ჯარში, მაგრამ, როგორც კი ამ სისტემაში მოხვდნენ, რაც ჰქონდათ ჯანმრთელობის თვალსაზრისით ნაკლი, ყველაფერმა იჩინა თავი. ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დაავადება, როგორიც არის ნევროზი, ჯარში დღეს ყველაზე გავრცელებული დაავადებაა. ამიტომ გამორბიან და კიდევ გამოიქცევიან ჯარიდან ჯარისკაცები. წვევამდელი კი ყველანაირად ეცდება ამ სისტემაში არ მოხვდეს,"** – ამბობს ასოციაცია "სამართალი და თავისუფლების" დირექტორი ირაკლი სესიაშვილი.

ექსპერტთა აზრით, ქართული ჯარი ტრადიციულად რამდენიმე კატეგორიისგან შედგება: არის ჯარისკაცთა ძალიან მცირე ნაწილი, რომელსაც გულით სურს ემსახუროს სამშობლოს (ძირითადად, პროვინციიდან); არის კატეგორია, რომელსაც სჭირდება ჯარში სამსახური, რათა შემდეგ პოლიციასა და უშიშროებაში მოწყობა შეძლოს; არის ნაწილი, რომელსაც ტრადიციულად აქვს სტერეოტიპი, რომ ჯარში წასვლა აუცილებელია (ძირითადად, მთის ქართველობა, აზერბაიჯანული და სომხური მოსახლეობა). ყველაზე დიდი რაოდენობა კი არის ნაწილი, დაახლოებით, 75-85 პროცენტი, რომელიც ჯარში ძალით წაიყვანეს.

ირაკლი სესიაშვილი ამბობს, რომ კომისარიატები გაწვევების დროს წარმოუდგენელ რაღაცეებს აკეთებენ, რათა როგორმე გეგმა შესრულდეს. **"გორში ერთი ძმის ნაცვლად, რომელიც ნაწილიდან გაიქცა, მეორე ძმა გაიწვიეს. სულ ახლახან, იანვარში, თელავში 151 სანტიმეტრის, მძიმედ ავადმყოფი ვანო სოღროევი წაიყვანეს, რომელიც სულ 43 კილოგრამს იწონის. თავად ვნახე ერთი ობოლი ახალგაზრდა ქისტი, იგი უბრალოდ მოიტაცეს, ისე, რომ არავინ მის შესახებ არაფერი იცოდა. მთხოვა, მიმეწერა მის სოფელში ნათესავებისთვის, რომ ცოცხალია და ჯარშია, რადგან სამი თვის მანძილზე დაკარგული და მკვდარი ეგონათ. იყო შემთხვევა, რომ ბიჭი სოფელში ყანას თოხნიდა, კომისარიატის წარმომადგენლებმა მანქანით ჩამოიარეს, ეგრევე მოკიდეს ხელი, ჩააგდეს მანქანაში და გაიწვიეს. ბიჭმა თოხს ხელი არ გაუშვა და მერე ზედმეტსახელად "თოხი" შეარქვეს. ასეთი ფაქტებით, მხოლოდ ჯარის დისკრედიტირება ხდება"**.

მოლაშვილი და გაჩეჩილაძე მარეგულირებელი კომისიების დამოუკიდებლობის წინააღმდეგ

გუშინ პრეზიდენტ შევარდნაძესთან გაიმართა თათბირი, რომელზეც განიხილეს კანონპროექტი "დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიების შესახებ". კანონპროექტის ავტორია პარლამენტარი ზურაბ ცქიტიშვილი.

კანონპროექტის წინააღმდეგ გამოვიდა კონტროლის პალატის თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი, რომელმაც მიზანშეუწონლად მიიჩნია პალატის მხრიდან კონტროლის ფუნქციების შესუსტება ბუნებრივ მონოპოლიებთან მიმართებაში.

კანონპროექტი, რამდენიმე დღის წინათ, სამივე მოსმენით მიიღო პარლამენტმა, თუმცა, მასზე პრეზიდენტს ხელი ჯერ არ მოუწერია. **"ამ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციები კიდევ გაგრძელდება",** - აღნიშნა ზურაბ ცქიტიშვილმა.

კანონპროექტის მიხედვით, პარლამენტმა უნდა გამოაცხადოს ტენდერი. მისი მსვლელობის დროს გამოვლინდება საერთაშორისო აუდიტი, რომელიც შეამოწმებს მარეგულირებელი კომისიების საქმიანობას.

ახალი წესების წინააღმდეგ გამოვიდა ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი გიორგი გაჩეჩილაძე. ამ უწყებაში შემავალი ანტიმონოპოლიური სამსახური მოითხოვს კონტროლის დაწესებას ბუნებრივი მონოპოლიების მიერ მომხმარებელთა უფლებების დარღვევის შემთხვევებზე.

"24 საათი"

ედუარდ კოკოითი:
"მუდამ საქართველოსთან, საქართველოში კი - არასოდეს!"

კოკოითის შემთხვევაში მოხდა ის, როცა "პრეზიდენტებს" სენატორები არ ეთანხმებიან...

რუსიკო ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

სამხრეთ ოსეთის ე.წ. პრეზიდენტის პრეზენტაცია, "ინტერფაქსის" ოფისში, მაისში ანრი ჯერგენიამ მოაწყო. ამის შემდეგ ედუარდ კოკოითმა მოსკოვში ვიზიტები გაახშირა. 5 ივლისის პრესკონფერენცია კი, ედუარდ კოკოითს იმის სათქმელად დასჭირდა, რომ რუსპუბლიკას რუსეთის შემადგენლობაში შესვლა აქვს განზრახული. მისი თქმით, მოსახლეობის 60 პროცენტზე მეტს რუსეთის მოქალაქეობა აქვს მიღებული, უახლოეს მომავალში მათი რიცხვი 100 პროცენტამდე გაიზრდება (როგორც ჩანს, კოკოითს ან წაკითხული არა აქვს "მოქალაქეობაზე" რუსეთის ახალი კანონი, რომლის თნაახმადაც, მოქალაქედ გახდომისათვის რუსეთში ცხოვრების მინიმუმ ხუთი წელია საჭირო, ან რუსეთში სეპარატისტებს ყველაფრის ნებას აძლევენ).

"პრეზიდენტის" თქმით, საქართველოს ხელისუფლება არაქართული მოსახლეობის დისკრიმინაციას ეწევა. რესპუბლიკა კი უკვე ათი წელია საქართველოს იურისდიქციას არ ემორჩილება, ამიტომ სამხრეთ ოსეთში პოპულარულია შემდეგი ლოზუნგი: "მუდამ საქართველოსთან, საქართველოში კი არასდროს!"

პანკისის ხეობაში ამერიკა-რუსეთ-საქართველოს შესაძლო ერთობლივ ოპერაციაზე კოკოითმა განაცხადა, რომ "ეს ოპერაცია პირველ რიგში რუსეთმა საკუთარი ძალებით უნდა ჩაატაროს, რადგანაც ხეობაში მოკალათებული ბოევიკები რუსეთის ტერიტორიაზე განხორციელებული ტერაქტების მონაწილენი არიან". კოკოითმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ რუსლან გელაევი დღეს პანკისის ხეობაში იმყოფება და, სხვა საველე მეთაურებთან ერთად, აფხაზეთზე გალაშქრებას აპირებს.

რუსმა და უცხოელმა ჟურნალისტებმა შეიტყვეს ისიც, რომ სულ მალე სამხრეთ ოსეთში დაიწყება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ერთობლივი სამხედრო სწავლებები ანტიტერორისტული ოპერაციის ფარგლებში. **"ამჟამად ჩვენი რესპუბლიკების სამხედრო უწყებების მეთაურები ათანხმებენ ორგანიზაციულ საკითხებს და იმ თანხებს ,რაც ოპერაციის ჩასატარებლად იქნება საჭირო,"** - თქვა მან. კოკოითმა გაიმეორა მაისის თვეში ანრი ჯერგენიას მიერ გახმოვანებული იდეა, საქართველოს შეიარაღებული აგრესიის მოსაგერიებლად, **"აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შექმნის პერსპექტივაზე".** საინტერესო იყო, რომ კოკოითის ეს ფრაზა "ინტერფაქსმა" აღარ გაავრცელა.

ამ პრესკონფერენციის შემდეგ, საქართველო-რუსეთის ეკონომიკური კომისიის სხდომაზე მისულს, რუსეთის პარლამენტის ზედა პალატის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა კადოხოვმა მთხოვა, არ გადმომეცა ინფორმაცია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ამ შესაძლო ალიანსზე. სენატორ კოდოხოვის არგუმენტი ასე ჟღერდა: არ ღირს თბილისში საზოგადოებრივი აზრის გაღიზიანება იმ სასიკეთო მოვლენების ფონზე, რასაც ორი ქვეყანა დღეს ხელს აწერსო.

პარლამენტში მინისტრთა კაბინეტის თემა გორდება

კულუარებში ამას ნინო ბურჯანაძესა და ავთანდილ ჯორბენაძეს შორის დაპირისპირებას უკავშირებენ

თამარ მჭედლიშვილი

ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ, პარლამენტში შესული საკონსტიტუციო ცვლილებათა თემა კლავ აქტუალური ხდება. საუბარია პროექტზე, რომელიც ქვეყანაში მინისტრთა კაბინეტის შემოღებას ითვალისწინებს {პრეზიდენტს პროექტი დღემდე უკან არ გაუწვევია}. რამდენიმე დღეა, დეპუტატთა ნაწილი ამ საკითხის განხილვის აუცილებლობაზე საუბრობს. მეტიც, როგორც ირკვევა, პარლამენტის ბიუროს გასვლით სხდომებზე პრეზიდენტის პროექტი უკვე დღის წესრიგშია შეტანილი.

ერთი წლის წინ მინისტრთა კაბინეტის თემა მთლიანად უკავშირდებოდა პრლამენტის მაშინდელი თავმჯდომარის, ზურაბ ჟვანიას მოსალოდნელ გაპრემიერმინისტრებას. თუმცა, პრეზიდენტის პროექტი პარლამენტს არ განუხილავს – ედუარდ შევარდნაძისა და პარლამენტის თავმჯდომარის ხედვები რადიკალურად განსხვავებული აღმოჩნდა.

შეგახსენებთ: პრეზიდენტის პროექტი ძლიერი პარლამენტის, ძლიერი პრეზიდენტისა და ძლიერი მთავრობის შექმნას გულისხმობს, თუმცა, მთლიანობაში, იგი საპრეზიდენტო მმართველობის გაძლიერებისაკენ არის მიმართული. ამ პროექტის თანახმად, პრეზიდენტს ენიჭება პარლამენტის დათხოვნისა და რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის, თავად პარლამენტს კი, ბიუჯეტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებისა და მისი დათხოვნის უფლება. და, რაც ყველაზე მთავარია, - პრეზიდენტი ცალსახად აკონტროლებს ძალოვან უწყებებს.

რამდენიმე დღის წინ, ბევრისთვის აბსოლუტურად მოულოდნელად, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის მორიგი სხდომის დღის წესრიგში პრეზიდენტის მიერ ინიცირებული პროექტიც შევიდა. მას თან ერთვოდა რამდენიმე კითხვისაგან შემდგარი ანკეტაც. პირველი ორი კითხვა ასე ჟღერდა: **"უჭერთ თუ არა მხარს მინისტრთა კაბინეტის შექმნას? თუ მხარს უჭერთ, როდიდან?"**

იმის მიუხედავად, რომ კომიტეტმა სხდომის გამართვა ვერ შეძლო (სწორედ მაშინ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს პარლამენტის თავმჯდომარე და სახელმწიფო მინისტრი), მის წევრებს ანკეტები მაინც დაურიგდათ. რაც შეეხება კომიტეტის ინიციატივის ოფიციალურ ვერსიას, იგი ასე ჟღერს:

ნუგზარ ნავაძე – რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე:

"კომიტეტის დაინტერესება ამ საკითხით იმით არის გამოწვეული, რომ 19, 20 და 21 ივლისს დაგეგმილია პარლამენტის ბიუროს გასვლითი სხდომა. ეს სხდომა იხილავს რამდენიმე სერიოზულ საკითხს. მათ შორის, გათვალისწინებულია მინისტრთა კაბინეტზე მსჯელობაც. ჩემთვის, როგორც კომიტეტის თავმჯდომარისთვის, აუცილებელი იყო კომიტეტის წევრთა აზრის გათვალისწინება. ამიტომ გადავწყვიტეთ კომიტეტის სხდომის გამართვა. გამოვიყენეთ ანკეტებიც. მე შემიძლია, უკვე დღეს გითხრათ: იმის მიუხედავად, რომ ყველა წევრის გამოკითხვა ვერ მოხერხდა, აბსოლუტური უმრავლესობის აზრი ცალსახაა. მინისტრთა კაბინეტი უნდა შეიქმნას მომავალი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. კანონის მიღება ახლაც შეიძლება, მაგრამ მთავრობის დაკომპლექტება უნდა მოხდეს ახალ პარლამენტში შესული პოლიტიკური ძალების მიერ".

ამ თემის მორიგი აგორება სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა "ახალი მემარჯვენეებისათვის."

ირაკლი იაშვილი:

"ჩემთვის მართლაც გაუგებარია, ვის ინტერესებში შედის ამ თემის აგორება. გაუგებარია აგრეთვე, რამდენად შედის ეს მთავრობის ინტერესებში. ავთო ჯორბენაძეს დღეს კონკრეტული ამოცანები და დავალებები აქვს, რომლებიც უნდა შეასრულოს – პირველ რიგში, ბიუჯეტი. ამიტომ მე გამოვრიცხავ, რომ ამ თემის აგორება ხელისუფლებისგან არის ინიცირებული. ჩემი აზრით, იგი პარლამენტართა გარკვეული ჯგუფის ნახელავია. რაც შეეხება თავად მინისტრთა კაბინეტს, ამ მოწვევის პარლამენტი მას ვერ დააკომპლექტებს. პარლამენტის მომავალ არჩევნებამდე ამაზე საუბარი არასწორად მიმაჩნია. დაველოდოთ მომავალ პარლამენტს. ისინი გადაწყვეტენ, იქნება თუ არა მინისტრთა კაბინეტი."

ირაკლი იაშვილი — ლევან ხარხელაძის ფოტო

ამ თემის მორიგი აგორება სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა "ახალი მემარჯვენეებისათვის."

საქართველოსთვის" წევრი, საგარეო ურთიერთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ზვიად მუკბანიანი აკონკრეტებს:

"მინისტრთა კაბინეტის იდეის რეანიმაცია პარლამენტის თავმჯდომარეს ეკუთვნის. მან ეს წინადადება ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ, ბიუროს ერთ-ერთ სხდომაზე წამოაყენა. მაშინ ჩვენ საკმაოდ მკაცრი შეფასებები მივეცით ამ ინიციატივას, რადან მივიჩნიეთ, რომ ეს არის პოლიტიკური პრესინგის გახორციელების მცდელობა. რამდენიმე დღის წინ პარლამენტის თავმჯდომარე ღიად დაუპირისპირდა სახელმწიფო მინისტრს. ასე რომ, მე არ გამიკვირდება, თუ ბურჯანაძე დაჟინებით მიუბრუნდება ამ იდეას. არ მესმის, რა საჭირო იყო ამ კანონპროექტის რეანიმირება. პირველად, როცა იგი შემოვიდა, ძალიან ბევრი პოლიტიკური ინტრიგისა და დაპირისპირების მიზეზი გახდა. ვფიქრობ, რომ ეს საკითხი უნდა განიხილოს ახალი მოწვევის პარლამენტმა. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში ამ თემის აგორება პარლამენტის თავმჯდომარის უშუალო დაკვეთით მოხდება. ეს არის მცდელობა, სერიოზული ზემოქმედება და პრესინგი განახორციელონ სახელმწიფო მინისტრზე. ეს ყველაფერი ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ. პოლიტიკურად ანგაჟირებული თემის წამოწევა არის ქალბატონი ნინოს ინიციატივა და დაკვეთა".

ჯერჯერობით მინისტრთა კაბინეტის შექმნა ნაადრევად მიაჩნია ფრაქცია "ახალი აფხაზეთის წევრს" დემურ გიორხელიძესაც.

ამის მიუხედავად, სამი საპარალმენტო ფრაქცია - "ნაციონალები", "დემოკრატები" და "ტრადიციონალისტები" - ამის აუცილებლობაზე კვლავ საუბრობს. თუმცა, პრეზიდენტის პროექტი მათთვის აბსოლუტურად მიუღებელია. ისინი საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელს ემხრობიან და მხარდამჭერთა ძიებაში არიან.

ერთი სიტყვით, პარლამენტში მორიგი დაპირისპირება მწიფდება, რომლის ეპიცენტრი უკვე ბორჯომში, პარლამენტის ბიუროს გასვლით სხდომათა დარბაზში იქნება.

"თავისუფლების ინსტიტუტი" რეგიონულ ბიუროებს აყალიბებს

ვასილ გულეური
გორიდან

"მოძრაობა ადამიანთა უფლებებისათვის უნდა იქცეს საერთო სახალხო მოძრაობად," – ასე გამოხატა გიგა ბოკერიამ, გორში "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელთა ვიზიტის ძირითადი მიზანი. ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მასმედიასთან შეხვედრაზე, სამართლებრივი განათლების ასოციაციის (ALPE) წარმომადგენელმა მერაბ ბასილაიამ ისაუბრა ადამიანის უფლებების მდგომარეობის ყოველწლიური მიმოხილვის მომზადების მეთოდოლოგიაზე. სოზარ სუბელიანმა კი აუცილებლად მიიჩნია, რომ ინფორმაცია ადამიანის უფლებათა დარღვევაზე მოდიოდეს საქართველოს ყველა კუთხიდან. ამისათვის, მისი ინფორმაციით, ახლახან შიდა ქართლში, კახეთში და სამცხე-ჯავახეთში გაიხსნა "თავისუფლების ინსტიტუტის" რეგიონული ბიუროები.

გიგა ბოკერიამ ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულება უაღრესად ნეგატიურად შეაფასა და თქვა, რომ **"სანამ არ დავამკვიდრებთ თამაშის წესს, რომ ყველაფერი, რაც ხდება ხელისუფლებაში, არის ჩვენი საქმე; სანამ არ დაინერგება პრინციპი, რომ ისინი ვალდებულნი არიან ანგარიში ჩაგვაბარონ, მოგვაწოდონ ყველა ინფორმაცია და შეგვითანხმონ ყველა გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენს ბედზე რაიმე ზეგავლენას მოახდენს, არცერთი სხვა პრობლემა არ გადაწყდება. აქამდე არ გვქონდა ქსელი საქართველოში და ეს დიდი შეცდომა იყო. ჩვენ გვინდა, რომ დღეიდან მდგომარეობა გამოსწორდეს და "თავისუფლების ინსტიტუტი" არ იყოს მარტო თბილისის ორგანიზაცია. გორში ბევრად უფრო კარგი საფუძველია ამ მოძრაობის გასაშლელად, რადგან აქ არის საკმაოდ აქტიური სამოქალაქო სექტორი. ეს მოძრაობა უნდა გახდეს ნამდვილი პრობლემა ჩვენი დღევანდელი ხელისუფლებისათვის, რომელიც, სამწუხაროდ, აგრძელებს იმ ტრადიციებს, რაც ჩვენ საბჭოთა წარსულიდან შემოგვრჩა,"** - განაცხადა გიგა ბოკერიამ.

„საზოგადოებას, რომელიც შარაძეს აგენტ კიბალჩიჩის სახელით იცნობს, უფლება აქვს, მას შეკითხვები დაუსვას„

ვერიკო თევზაძე

"საქართველოს პარლამენტის რეაქცია შარაძის განცხადების თაობაზე (როცა მან საჯაროდ გამოაცხადა, რომ პროტესტის ნიშნად დატოვებდა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს) ბევრად უფრო სამარცხვინოა, ვიდრე თავად გურამ შარაძის "მოღვაწეობა"... შარაძის სახით ხელისუფლებამ შექმნა ადამიანი, ვისაც აქვს ექსკლუზიური უფლება, ისაუბროს ეთნოკონფლიქტებზე, რელიგიის საკითხებზე, ხელისუფლებას მასთან თითქოს კონტრაქტი აქვს გაფორმებული..." – განაცხადეს გუშინ "თავისუფლების ინსტიტუტში" გამართულ პრესკონფერენციაზე.

პრესკონფერენციის ორგანიზატორებმა ჟურნალისტებს აუწყეს, რომ ისინი კვლავ იტოვებენ უფლებას, ეჭვი გამოთქვან შარაძის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით, ვინაიდან მან საბჭოთა რეჟიმის პირობებში კარიერა უცხოური ვიზიტებით გაიკეთა. ლევან რამიშვილის აზრით, **"საზოგადოებას, რომელიც გურამ შარაძეს აგენტ კიბალჩიჩის სახელით იცნობს, უფლება აქვს, დაუსვას მას შეკითხვები წარსულზე. შარაძემ კი, ისტერიკების ნაცვლად, კეთილი უნდა ინებოს და ლეგიტიმურ კითხვებს უპასუხოს."**

"თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ შარაძე, "რუსთავი-2"-ის ეთერში ჩავარდნისა და საკუთარი თავის გაყიდვის შემდეგ, შანტაჟს აწყობს და ამაზე გადააქვს მოსახლეობის ყურადღება. **"მთელი პოლიტიკური სპექტრი ცდილობს შარაძის რეაბილიტაციას, ზურგს უკან კი ყველა ლანძღავს და აგინებს. პარლამენტმა, რომელმაც გურამ შარაძის მიმართ ფარისევლობა გამოიჩინა, უნდა იცოდეს, რომ იგი, კოლეგაზე უფრო მეტად, ამომრჩევლის წინაშეა პასუხისმგებელი."**

პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ შარაძე ეთნიკურ და რელიგიურ შუღლს აღვივებს საქართველოს პრეზიდენტის წაქეზებით, რომელმაც გურამ შარაძე ვახტანგ გორგასლის ორდენით დააჯილდოვა და რომელსაც სურს, ამ თემების ამოტივტივებით მწვავე სოციალურ საკითხების მიმართ მოსახლეობის ყურადღება მოადუნოს: **"ეთნიკური და რელიგიური შუღლის გაღვივება კრიმინალური დანაშაულია, რომელსაც სისხლის სამართლის კოდექსი მკაცრად სჯის."**

დავით ზურაბიშვილის ინფორმაციით, ნოე რამიშვილის შვილიშვილი აკაკი რამიშვილი თავის წიგნში მოგვითხრობს გურამ შარაძის ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაზე.

"გურამ შარაძე, ჯანსულ ჩარკვიანი, ელიზბარ ჯაველიძე, ბასილ მკალავიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა დაჯგუფებებში არიან გაერთიანებულნი, ყველანი შევარდნაძის საცეცები არიან, რომლებიც ქართველი ხალხის რელიგიურ და ეროვნულ გრძნობებზე მოქმედებენ," - ეს ეჭვები, ანუ პირადი მოსაზრებები ეკუთვნის ზურაბ ჭიაბერიშვილს, რომელიც მზად არის, თავი დაიცვას საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, ლადო ჭანტურიას წინაშე, თუკი იგი ამისათვის პასუხს მოსთხოვს.

"გურამ შარაძისგან განსხვავებით, ჩვენ არ ვაპირებთ თავის მართლებას. ნამდვილად გვაქვს კავშირები სოლიდურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ვამაყობთ კიდეც ამით," - აცხადებენ "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლები.

ჯაზით გატეხილი დამღები

ევროპული ჯაზ-ფესტივალების კალენდრის ხუთი გამორჩეული დღე

ტანია მარია

ბობ მინცერი

ვერა ნეფარიძე

წუხელ ამერიკელი საქსოფონისტის, ალფრედ "პი ვი" ელისის მხიარული აკორდით თბილისის ჯაზ-ფესტივალი დასრულდა. თბილისის მეექვსე საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალი ნამდვილად ჩაეწერა ევროპული ფესტივალების თანრიგში. ელ ჯეროს, ბობ მინცერისა თუ დენის როლინსის დაფასებულ თბილისურ ჯაზის საღამოებში, დიდი იმედია, რომ მომავალში ჯაზის სხვა ოსტატებიც სიამოვნებით მიიღებენ მონაწილეობას.

ამ ფესტივალით თბილისმა გარკვეულწილად აღიდგინა ჯაზის ის ტრადიცია, რომელსაც საფუძველი 1962 წელს, ბენი გუდმანის სტუმრობით ჩაეყარა. თბილისელი მელომანები დღემდე სიამოვნებით იხსენებენ 60-იანი წლებიდან თბილისში გამართულ მუსიკის ისეთი კორიფეების კონცერტებს, როგორებიც არიან: ტედ ჯონსი, მელ ლუისი ან ბი ბი კინგი. ეს ყველაფერო ოთხმოციან წლებამდე გრძელდებოდა. კულმინაცია კი, 1989 წელი იყო, როდესაც თბილისს ესტუმრნენ: ჯიმი სმიტი, ლუთერ ელისონი, არტ ბლეიკი, კენი დრიუ, ზბიგნევ ნამისლოვსკი, აზიზა მუსტაფა-ზადე და კიდევ ბევრი სხვა. შემდეგ დადგა ექვსწლიანი პაუზა, რომელიც თბილისელებს ლათინო-ამერიკული რიტმებით, ტანია მარიამ დაურღვია. მას შემდეგ ჩვენი საჰაერო სივრცე გაარღვიეს სხვა ვარსკვლავებმაც: Cool&The Gang, რეი ჩარლზი, "შაკატაკი", მიშელ პეტრუჩიანი, იან გარბარეკი, ჯო ზავინული და კარგია, რომ ეს ჩამონათვალი კიდევ შეგვიძლია გავაგრძელოთ. თუმცა, ამ შემთხვევაში ამ სახელების თანმიმდევრობა არ არის მნიშვნელოვანი. მთავარია, რომ სისტემა, რომელიც მუსიკის იმპორტს გულისხმობს, მეტ-ნაკლებად აეწყო. პირველ რიგში, გამოჩნდა ორგანიზაცია (ამ შემთხვევაში "ისთერნ პრომოუშენი") და რამდენიმე სერიოზული კომპანია (British Ayrways, რომელიც მუსიკოსების ჩამოყვანას უზრუნველყოფს, ფესტივალის სტუმრების მუდმივი მასპინძელი, "შერატონ-მეტეხი პალასი"), ვინც თავისი საქმიანობით გარკვეულწილად, ფესტივალის მნიშვნელოვანი გარანტიაა.

სხვადასხვა პრობლემების (ძირითადად, ფინანსური) მიუხედავად, თბილისის საერთაშორისო ფესტივალმა ტრადიცია არ დაარღვია (რისი სერიოზული საშიშროებაც თავიდან ნამდვილად იყო). სპონსორობის ახალი ფორმა, თითო კომპანიას თითო შემსრულებლის გამოსვლა დაეფინანსებინა, როგორც ჩანს, უფრო მარტივი და მისაღები აღმოჩნდა ორგანიზატორებისთვის. შედეგად, მივიღეთ საკმაოდ პრესტიჟული, შეძლებისდაგვარად, ჟანრობრივად მრავალფეროვანი (ბრაზილიური ჯაზი, ფანკი, თანამედროვე ჯაზი, ბლუზი, ეისიდ-ჯაზი) ჯაზ-ფესტივალი.

სასიამოვნო იყო, რომ მხოლოდ ცნობილი, მაგრამ მოძველებული სახელების გარდა, ფესტივალში ჩვენში ნაკლებად გახმაურებული, თუმცა საინტერესო მუსიკოსებიც მონაწილეობდნენ. მონაწილეების შერჩევის ასეთი პრინციპი, ალბათ, ერთადერთი გამოსავალია (ყოველ შემთხვევაში, ჩვენს რეალობაში), რომ ფესტივალმა გაამართლოს, ანუ საინტერესოც გამოვიდეს და კომერციულად მომგებიანიც. სამწუხაროდ, ჩვენმა სნობურმა დამოკიდებულებამ იქამდეც მიაღწია, რომ ტანია მარიამ ვეღარ დაფარა გაოგნება და დარწმუნებული ვარ, აბსოლუტურად გულწრფელი იყო, როდესაც თქვა: "საქართველო ერთადერთი ქვეყანა, სადაც მაყურებელი აღმიქვამს, როგორც ნამდვილ ვარსკვლავს; აქ განსაკუთრებით ვგრძობ ჩემდამი ამ განწყობას". პირადად, მიჭირს გავამტყუნო კონცერტის ორგანიზატორი, როდესაც დიდი ვარსკვლავის სტატუსით ტანია მარიას მიიწვევს, როდესაც იცის, რომ ფილარმონიის პარტერს სწორედ ამ ვარსკვლავის დამსახურებით გაავსებს. ტანია მარია კი, აუცილებლად შენიშნავდა პროგრესს: შვიდი წლის წინანდელი კონცერტისგან განსხვავებით, ამჯერად მას გაცილებით დიდი აუდიტორია უსმენდა.

თბილისის ჯაზ-ფესტივალის პროგრესულად განვითარებად აღვიქვი სერიოზული ჯაზმენის, ბობ მინცერის მოწვევა. დიდი მუსიკალური ნიჭითა და გამოცდილებით გამორჩეული, ორიგინალური არანჟირების ოსტატის, ცნობილი კომპოზიციების ავტორის, ნიუ-იორკელი ბობ მინცერის მონაწილეობა ცხადია, ფესტივალის პრესტიჟის გაზრდაში დიდ როლს შეასრულებს. მისი გამოსვლით თბილისის ბიგ-ბენდთან და საკუთარ ჯგუფთან ერთად კი ვნახე, როგორ შეუძლია ნამდვილ პროფესიონალს ერთნაირი ოსტატობით შეასრულოს ძველი, ტრადიციული საორკესტრო და თანამედროვე, ვირტუოზული ჯაზი. ბობ მინცერის წყალობით, თბილისელებმა კიდევ ერთი უდიდესი მუსიკოსი, პიანისტი ფილ მარკოვიჩი გაიცნეს. "რუსთავცემენტისა" და ნიკო ლეკიშვილის "გადამხდელთა კავშირის" სახით (მინცერის კონცერტი მათი დამსახურება იყო) კი, თბილისურ ჯაზის საღამოებს, ალბათ, დიდი მხარდამჭერი გაუჩნდათ. ბობ მინცერის თბილისურ კონცერტზე საფუძველი ჩაეყარა ინტერნაციონალურ იდეას: მინცერი თანახმაა, საკუთარ ბენდთან, რამდენიმე რუს, უკრაინელ მუსიკოსებთან და თბილისის ბიგ-ბენდთან ერთად, თბილისში კონცერტი გამართოს..

წლევანდელი ფესტივალის კულმინაცია ნამდვილად იყო მსოფლიოს ერთერთი ყველაზე ძვირადღირებული სტუმრის, ელ ჯეროს კონცერტი (რაც კომპანია "ლუკოილის" წყალობით მოხერხდა). მართალია, მის ჩამოსვლას მცირე უსიამოვნებაც მოჰყვა, მაგრამ ექსცესზე მსოფლიო ვარსკვლავს მხოლოდ პატარა კომენტარი წამოსცდა: "ეს რა იყო, ვიღაც რუმინელი ბიჭის გამო აეროპორტში ორი საათი რომ მაყურყუტეს?1". ფესტივალის დანარჩენი მონაწილეების, ინგლისელი ტრომბონისტის, დენის როლინსისა და ამერიკელი ტენორ-საქსოფონისტის მოსმენის შესაძლებლობა მხოლოდ ღამის კლუბ "ჯოის" სტუმრებს ჰქონდათ. ამ კატეგორიაში კი აბონემენტების მფლობელები, ორგანიზატორები, სპონსორები და ფესტივალის განსაკუთრებული მხარდამჭერი მასმედიის წარმომადგენლები იყვნენ.

ეს იყო, რითაც თავს დაგვამახსოვრეს თბილისის მეექვსე საერთაშორისო ფესტივალი. მისი განვითარების პროგრესია რატომღაც მაიმედებს, რომ ფესტივალი გაისად კიდევ უფრო უკეთესი იქნება. მათ კი, ვისაც საქართველოში უცხოური მუსიკის იმპორტი აინტერესებს, ვაცნობებთ, რომ "ისთერნ პრომოუშენი" საშემოდგომოდ საინტერესო პროექტს ამზადებს. სამუშაო სტილის მიხედვით, კომპანიის ხელმძღვანელები თავს იკავებენ წინასწარ სახელების განდობაზე. თავის დროზე კი, იმედი გვაქვს მკითხველი ამ ყველაფერს "24 საათიდან" პირველი შეიტყობს.

ელ ჯერო

ალფრედ პი ვი ელისი

დენის როლინსი

ბეს გასპარიანის ფოტოები

კაფეების ტერასებზე დაბადებული ვარსკვლავები...

დღეს არლის ფოტოფესტივალი იხსნება

თამარ ბაბუაძე

რაც დრო გადის, იზრდება არა მხოლოდ ფოტოხელოვანთა, არამედ ამ ხელოვნების დამფასებელთა რიცხვიც. წავიდა ის დრო, როცა ევროპის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმებს ფოტოგრაფიის განყოფილებები არ ჰქონდა. ახლა ის დრო დგას, როცა ხელოვნების ნიმუშთა კოლექციონერები რემბრანდტის შედევრებთან ერთად, ანსელ ადამსის ფოტოშედევრებითაც ამაყობენ. ფოტოგრაფია მოდური ხელოვნება გახდა, ფოტოგრაფიის ფესტივალის ჩატარება კი – მოდური ღონისძიება. ამ ფონზე სულ უფრო მეტად ფასობს ტრადიცია და სახელი. არლს არც ერთი აკლია და არც მეორე...

ეს პატარა ქალაქი წელიწადის ოთხივე დროს შეიძლება მხოლოდ ვან გოგის, გოგენის ან, უბრალოდ, ფრანგული კულტურის მოყვარულებს აღელვებდეთ. მაგრამ, როცა 6 ივლისი დგება, სიტუაცია იცვლება. არლი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩასული ფოტოხელოვანების სიყვარულის ობიექტიც ხდება. 6-იდან 13 ივლისის ჩათვლით ეს ქალაქი მსოფლიოში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფოტოფესტივალს მასპინძლობს.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, არლის ფესტივალი ფოტოჟანრებს შორის არსებულ საზღვრებს მთლიანად სპობს. იქ ლიმიტს, სანქციებს არ ცნობენ.

ფოტოგრაფია ხელოვნებაა და მას თავისუფლება და სივრცე სჭირდება – ამ პრინციპით, არლში წარმოდგენილი ნამუშევრები გიგანტური ფორმატითაც იწონებენ თავს და ციფრული "მიდგომითაც". შემოქმედებითობას და თავისუფალ სტილს არც ვებ-გვერდები უჩივიან. მოკლედ, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ამ ფესტივალის დირექტორთა საბჭო იძულებული გახდა, გადამდგარიყო მხოლოდ იმიტომ, რომ გამოფენაზე ფერადი და 40X50 ზომაზე დიდი ფოტოები დაუშვა...

მაინც რა სახელის და ტრადიციის მქონე ფესტივალია არლი?

არსებობს ფოტოგრაფიის ფესტივალების სამი კატეგორია:

ბაზრისთვის განკუთვნილი: Aipad ნიუ იორკში, Paris Photo - პარიზში დაVisa pour l'image პერპინიანში.



ჰელმუტ ნიუტონი საკუთარ გამოფენაზე REUTERS

დიდი ფესტივალები: პარიზის, მონრეალის, ბარსელონას, მადრიდის, ჰიუსტონის, მოსკოვის

სპეციალისტებისთვის განკუთვნილი ფესტივალები: ბამაკო, ტულუზა, ბიარიცი და ისევ პერპინიანი.

არლი არც ერთ მათგანს არ ჰგავს. ის არა მარტო ჟანრებს შორის საზღვრებს აქრობს, არამედ მაესტროსა და შეგირდს შორის დისტანციასაც ამცირებს. ამ ფუნქციას არლი უკვე 33 წელიწადია, ასრულებს. სწორედ ამიტომ ეს ფესტივალი ზემოთჩამოთვლილი კატეგორიის ღონისძიებებს კი არ ეჯიბრება, არამედ ავსებს.

ანუ, შეიძლება ითქვას, რომ არლი იგივეა ფოტოგრაფიისთვის, რაც კანი კინემატოგრაფისთვის. ფესტივალზე ფოტოსთან დაკავშირებული ათასი ჯურის ხალხი ირევა: კოლექციონერები, გამომცემლები, გალერეების მფლობელები, კრიტიკოსები, ახალბედა ფოტოგრაფები. არლის მყუდრო კაფეების ტერასებზე დგება კონტრაქტები, იბადებიან ვარსკვლავები, იწერება ფოტოგრაფიის ისტორია.

წლევანდელი არლის პროგრამის გადაკითხვა იქ ყოფნას ბევრ ფოტომოყვარულს მოანდომებს: გამოფენები (რომლებიც შვიდ საღამოს გაგრძელდება), კონფერენციები, მასტერკლასები, სემინარები, დაჯილდოების ცერემონიები... ერთი სიტყვით, ფოტო ხელოვნება ყველა ბრუნვაში და ყველა რაკურსით.

წელს პირველად ფესტივალის ორგანიზატორები შვიდ მთავარ ჯილდოს დაარიგებენ, ანუ სტანდარტულ ჟანრებთან ერთად (პორტრეტი, მოდა, ფოტოჟურნალისტიკა და ა.შ.) სხვა ასპექტებზეც გამახვილდება ყურადღება. კერძოდ, პრიზი გადაეცემა წლის ფოტოგრაფს, წლის აღმოჩენას, სპეციალური ჯილდო გადაეცემა ფოტოგრაფს, რომელიც არსებულ წესებს და საზღვრებს არ ცნობს, ასევე იმ სპეციალისტს, რომლის ნამუშევრებიც კაცობრიობის საკეთილდღეოდ არის მიმართული. წიგნის ფოტოილუსტრაციებისთვის დაჯილდოვდება 2001 წლის 1 ივნისსა და 2002 წლის 31 მაისის განმავლობაში გამოცემული წიგნი. სპეციალური ჯილდო გამოიყოფა წიგნის ან კატალოგის დაბეჭდვისთვის, რომელიც ფინანსური პრობლემების გამო შეჩერებული. გრანტს გადასცემენ ფინანსური პრობლემების მქონე ფოტოგრაფსაც, რომელსაც კონკრეტული პროექტის განხორციელება სურს.

თითოეულ ჯილდოს კი, 10 ათასი ევროს სახით, "დაკოტა ჯგუფი", 1988 წელს დაარსებული საინვესტიციო მედია-კომპანია გამოყოფს.

ბუნებრივია, ამ პრესტიჟულ ფესტივალზე ღირსეულ ფოტოგრაფებს ფოტოსამყაროს ვარსკვლავები გამოავლენენ. წელს ჟიური ცნობილი სახელებით არის სავსე:

ესპანელი ალბერტო ანაუ – გაზეთ "ელ მუნდოს" ილუსტრირებული დამატების ხელმძღვანელი;

დენის კურტი – ეს იტალიელი ახლახან ბიენალეს ფარგლებში ჩატარებული ტურინის საერთაშორისო ფოტოგამოფენის მთავარი კურატორი გახლდათ, ხელმძღვანელობდა ევროპის დიზაინის ინსტიტუტის ფოტოგრაფიის დეპარტამენტსაც;

ამერიკელი ალის როს ჯორჯი – ის გამოფენების კურატორია. იყო ჟურნალების, Fortune, Time, Details ფოტორედაქტორი;

მანფრედ ჰეიტინგი – ეს სახელი მთელმა ფოტოსამყარომ ზეპირად იცის. ჰოლანდიელი მსოფლიოს წამყვანი ფოტოკოლექციონერია...

დღეს ფესტივალს ჩეხი ხელოვანის, ჯოზეფ კოდელკას ფოტოების რეტროსპექტივა ხსნის. ხვალ კი მაყურებელი მარტინ პარის ნამუშევრებს და გილიელმ ჰერბოს პროექტს: "ჩერნობილელები" იხილავს. 10 ივლისს კი წარმოდგენილი იქნება ცნობილი ამერიკელი ფოტოხელოვანის, ლარი სულტანის რეტროსპექტივაც ლოს ანჯელესის სერიიდან. იმავე დღეს მილანს ვინჩენცო კასტელა გაგვაცნობს.

სემინარებს და მასტერკლასებს კი ფოტოსამყაროს ცნობილი სახელები წარუძღვებიან: რობერტო კოხი ფოტოჟურნალისტიკაზე ისაუბრებს, ლორენ მონლო – პორტრეტზე, არნაუ კლაასი - ფოტოგრაფიის ენაზე, გაბრიელ ბაზილიკო – ქალაქის და გლობალურ სივრცეზე, პატრიკ მესინა კი – პავილიონის ფოტოკამერის სხვადასხვა ტექნიკებზე.

ფესტივალი პიკს 9 ივლისის საღამოს მიაღწევს. ამ დღეს დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი და ბანკეტი შედგება, მოგვიანებით კი ფოტოხელოვანების ზეიმი დისკოთეკით გაგრძელდება...

გაქცეული საპატარძლო საკურთხევლისკენ გარბის

ყველაზე ორიგინალურად 4 ივლისის დღესასწაული ოსკარით დაჯილდოებულმა მსახიობმა ჯულია რობერტსმა აღნიშნა. მან ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს ჯვარი დაიწერა. რობერტსის რჩეულია ოპერატორი დენიელ მოდერი. წყვილმა ერთმანეთი ორი წლის წინათ, ფილმ "მექსიკელის" გადაღებებზე გაიცნო. მათი რომანის შესახებ საერთაშორისო პრესა ადრეც წერდა. თუმცა, არც ერთ პაპარაცის აზრადაც არ მოსვლია, რომ რობერტსის ეს მორიგი გატაცება ქორწინებით დასრულდებოდა. ჯულიას გამო მოდერმა შარშან მეუღლეც, ვიზაჟისტი ვერა შტეინბერგიც მიატოვა. "მექსიკელის" გადაღებამდე მათ ერთად ხუთი წელი გაატარეს.

მსახიობის დაქორწინების შესახებ კი ინფორმაციას მისი აგენტი, მერსი ინგლმენიც ადასტურებს: "დიახ, ჯულია რობერტსი დენიელ მოდერს მართლაც გაჰყვა ცოლად, მაგრამ დეტალებზე საუბრისგან თავს შევიკავებ".

თუმცა, ჟურნალისტებმა საქორწინო ცერემონიალის ადგილსამყოფელს მაინც მიაკვლიეს. რობერტსი შორს არ წასულა, ნიუ მექსიკოში, საკუთარ, 2 მილიონ ფუნტ სტერლინგად შეფასებულ რანჩოზე იქორწინა. ჯვარიც იქვე დაიწერა, ეკლესიაში, რომელიც მსახიობის მამულს ეკუთვნის და რომლის სამშენებლო სამუშაოებიც ექვსიოდე კვირის წინათ დასრულდა.

ჯული და დენი დამოუკიდებლობის დღეს დაქორწინდნენ

წვეულების დაწყებამდე რეპორტიორებმა შეიტყვეს, რომ რობერტსი მართავდა ბარბექიუს ტრადიციულ საღამოს, რომელსაც ჯორჯ კლუნი და ბრედ პიტიც უნდა დასწრებოდნენ. თუმცა, ეს ტრადიციული ბარბექიუ სინამდვილეში ქორწილით დაგვირგვინდა. ზეიმი 2 მილიონ დოლარად შეფასებულ რანჩოზე თითქმის შუაღამეს დაიწყო. გალავნის მიღმა შეკრებილი რეპორტიორები ეზოში გაშლილ თეთრ კარვებს ხედავდნენ, ისმოდა მუსიკისა და ხმამაღალი სიცილის ხმაც. ახლადდაქორწინებულებმა ახლო მეგობრები, ბრიუს უილისის და ჯორჯ კლუნის ჩათვლით, რანჩოზე კერძო თვითმფრინავით ჩაიყვანეს. თან, ისინი წინასწარვე გააფრთხილეს, რომ თეთრები ჩაეცვათ. როგორც უცხოური პრესა იუწყება, ჯულია რობერტსმა მათაც სიურპრიზი მოუწყო, მიიპატიჟა დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნად და სინამდვილეში საკუთარ ქორწილს დაასწრო.

რომანების ქრონოლოგია: ჯულია რობერტსმა უკვე დიდი ხანია თავისი ერთ-ერთი გმირის მიხედვით, გაქცეული საპატარძლოს სტატუსი მოიპოვა. პირველად ის კიფერ საზერლენდს გაექცა, თანაც ჯვრისწერამდე სამი დღით ადრე და ჯეისონ პატრიკი შეიყვარა. შემდეგ ის ქანთრის მომღერალ ლაილ ლოვეტს გაჰყვა ცოლად, მაგრამ ორი წლის შემდეგ მასაც დაშორდა. რობერტსთან ერთად ხედავდნენ დილან მაკდერმოტს, ლიამ ნისონს. მაგრამ რობერტსი მათგანაც გარბოდა. ბოლოს კი, დენიელ მოდერის გამოჩენამდე, ჯულია რობერტსმა ოთხი წელი ბენჯამინ ბრეტთან ერთად გაატარა. ამ უკანასკნელს მსახიობი ყველაზე ცივილურად დაშორდა. ბრეტმა განაცხადა, რომ ჯულიას ვარსკვლავურ ცხოვრებას ვერ უძლებდა და დაშორდა. მან მალე ნაკლებად ცნობილ მსახიობ ტალისა სოტოზე იქორწინა.

ჯონ ლენონით შთაგონებული სამკაულები

იოკო ონო კვლავ გამოჩნდა ელიტარულ ქრონიკებში. ჯონ ლენონის გარდაცვალებიდან ოცი წლის თავზე ის ძვირფასეულობის საკუთარ ხაზს ხსნის. მის კოლექციაში შედის 70-მდე დიზაინის სამკაული, რომლებიც ექს-ბითლის ნახატების მიხედვით არის შექმნილი. ფასი ნაკეთობისა და გამოყენებული მასალის მიხედვით მერყეობს. იოკო ონოს კოლექციაში შეხვდებით 35 ფუნტ სტერლინგიან ვერცხლის ბეჭედსაც და 14 კარატიან ოქროს სამაჯურსაც, რომელიც 300 ფუნტი სტერლინგი ღირს. იოკოს წარმომადგენელი, ელიოტ მინცი ლენონის ქვრივის ახალ წამოწყებას ასე ხსნის: "იოკო გრძნობს, რომ ეს ახალი პროექტი ადამიანებს განწყობას აუმაღლებს. ყველაფერი, რაც ჯონს აგონებს, მისთვის ულამაზესია". კოლექცია უკვე მზად არის. თავისი ძვირფასეულობით ექს-ბითლის ქვრივი უკვე ამერიკაში მოგზაურობს და ლენონის ნახატებით შთაგონებულ სამკაულებს პროპაგანდას უწევს. ეს ამერიკული ტურნე, ძვირფას ნაკეთობებთან ერთად, იოკო ონოს ახალი ალბომის Blueprint For a Sunrise-ის პოპულარიზაციასაც ისახავს მიზნად.

მოდის მომავალი სახეები

ბრიტანეთის მოდის საბჭო, TopShop-თან ერთად, უკვე მეორე სეზონია, იმ ახალი სახეების დაჯილდოების ცერემონიალს ატარებს, რომელთაც ვარსკვლავური მონაცემები აქვთ. წელს საბჭოს ფინანსური ჯილდო 20 დიზაინერს ერგება. მათ 2003 წლის გაზაფხული/ზაფხულის ახალი თაობა ჰქვიათ. საინტერესოა, რომ წარსულში ამ პრესტიჟული სტიპენდიით სახელგანთქმულ დიზაინერებს, ალექსანდერ მაკუინს, კლემენტს რიბეიროს, ჯულიენ მაკდონალდსს და მეთიუ უილიამსონსაც უსარგებლიათ. სექტემბრის პოდიუმის ახალ სახეებში ემა კუკი და რაფაელ ლოპესი, ჰემიშ მოროუ, რასელ სეიჯი, House of Jazz და Tata-Naka პირველად შევლენ, სტილური აქსესუარების დიზაინის განხრით კი ფინანსურ ჯილდოებს Buba-ს და Jeremy&Biba-ს, კირტ ჰოლმზს და სელი ტარნერს გადასცემენ. ამ სახელების დამახსოვრება ნამდვილად ღირს, მათ ხომ შანსი აქვთ, მომავლის მოდის ვარსკვლავები გახდნენ.

უოტერგეიტის სკანდალი
30 წლის შემდეგ

ლინა პანტელეევა

უოტერგეიტის ცნობილი სკანდალის შემდეგ უკვე 30 წელი გავიდა. ამისდა მიუხედავად, უოტერგეიტი ამერიკის ისტორიაში ყველაზე გახმაურებულ პოლიტიკურ სკანდალად რჩება. ეს გასაკვირი არ არის, რადგან სკანდალის შედეგად აშშ-ის პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი გადადგა – ასეთი რამ ამერიკის ისტორიაში პირველად და ჯერჯერობით ერთადერთხელ მოხდა. გარდა ამისა, საქმეში დამნაშავედ ცნეს და თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს 30-მდე ადამიანს, მათგან 19 პრეზიდენტის ადმინისტრაციის და ხელახლა არჩევის კომიტეტის წევრი იყო.

უოტერგეიტმა ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებას წარუშლელი დაღი დაასვა. ამ სკანდალის შემდეგ ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან პოლიტიკურ სკანდალს "გეიტ" ბოლოსართს დაურთავენ ხოლმე. უოტერგეიტს ამერიკულ პოლიტიკაში "ახალი სტანდარტების" დამკვიდრებაში დიდი წვლილი მიუძღვის – შეიცვალა მედიაში მთავრობის საქმიანობის გაშუქებისადმი მიდგომა, შეიცვალა მოსახლეობის დამოკიდებულება და ნდობა მთავრობისადმი, შეიქმნა ახალი ინსტიტუტები, მაგალითად, სპეციალური პროკურორის ინსტიტუტი და სხვ. შეიძლება ეს ხმამაღლა იყოს ნათქვამი, მაგრამ ამერიკაში **"უოტერგეიტის შედეგად ტყუილის თქმა უფრო ძვირი ჯდება"**. და კიდევ ერთი, უოტერგეიტმა მეოთხე ხელისუფლების რეალური ძალა და მნიშვნელობა გამოააშკარავა.

და მაინც, რა მოხდა 1972 წლის 17 ივნისს?

რატომ "უოტერგეიტი"?

"უოტერგეიტ" - 1972-1974 წლებში მომხდარი პოლიტიკური სკანდალების მთელი კომპლექსის კრებითი ტერმინია. ვაშინგტონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ვირჯინია ავენიუს 2600-ში უოტერგეიტის სასტუმრო მდებარეობს. უოტერგეიტის კომპლექსი ყოველთვის მრავალ ოფისსაც მასპინძლობდა, მათ შორის, 1972 წელს დემოკრატების ნაციონალურ კომიტეტსაც. 1972 წლის 17 ივნისს სწორედ უოტერგეიტის შენობაში მდებარე დემოკრატების ოფისი 5 უცნობმა გატეხა. აქედან დაიწყო ამერიკის ისტორიაში ყველაზე გახმაურებული პოლიტიკური სკანდალი, რომელიც "უოტერგეიტის" სახელწოდებით არის ცნობილი.

დღეს უოტერგეიტი უკვე ძალაუფლების ბოროტად გამოყენების სინონიმია. გარდა ამისა, ეს ტერმინი მთელ რიგ დანაშაულებებთან მიმართებაშიც გამოიყენება: პოლიტიკური ქურდობა, მექრთამეობა, ფულის გამოძალვა, სატელეფონო საუბრების მოსმენა, შეთქმულება, სასამართლო ობსტრუქცია, მტკიცებულებების განადგურება, გადასახადების დამალვა, საარჩევნო კამპანიის დროს დაფინანსების არალეგალური წყაროების გამოყენება, პირადი მიზნებისთვის სახელმწიფო ორგანოებისა და სახელმწიფო რესურსების არალეგალური გამოყენება.

უოტერგეიტის კონტექსტი

უოტერგეიტის მთავარი შედეგი ის იყო, რომ ამერიკელებმა ხელისუფლებისადმი ნდობა დაკარგეს. თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ უოტერგეიტის სკანდალი განცალკევებული მოვლენა არ ყოფილა და 60-იანი წლების ბოლოს დაწყებული პროცესის მხოლოდ კულმინაციურ მომენტს წარმოადგენდა. ამერიკის პოლიტიკის "ოქროს ხანა" კენედის სიკვდილთან ერთად (1963 წელი) დასრულდა და მას შემდეგ მოსახლეობის დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ თანდათან იცვლება.

1958-1964 წლებში ჩატარებული გამოკითხვების შედეგებით, ამერიკის მოსახლეობის 1/2 მთავრობას ნდობას უცხადებდა, 1966 წელს – 65 პროცენტს, 1968 წელს – 61 პროცენტს, 1970 წელს – 53 პროცენტს, 1974 წელს ანუ უოტერგეიტის შემდეგ – 36 პროცენტს. რა თქმა უნდა, აქ პოლიტიკურ ფაქტორებთან ერთად ეკონომიკური ფაქტორებიც არის გასათვალისწინებელი. 1984 წლის გამოკითხვით – რეიგანის მმართველობის პერიოდია და ქვეყანა ეკონომიკურ ბუმს განიცდის – მოსახლეების ნდობის მაჩვენებელი 44 პროცენტამდე ადის. თუმცა, უკვე 1997 წლის გამოკითხვებით, მაჩვენებელი 32 პროცენტამდე ეცემა, ეს მაშინ, როცა აშშ არის ერთადერთი სუპერძალა, ეკონომიკა აღმავლობას განიცდის, დამნაშავეობა კი კლებულობს.

რა იყო წლების მანძილზე მოსახლეობის ნდობის ასე მკვეთრად შეცვლის მიზეზი? მიზეზი ერთი არ ყოფილა და აქ მოვლენებისა და ფაქტორების მთელი კომპლექსი უნდა გავითვალისწინოთ.

1960-იანი წლების ბოლო აშშ-ში დიდი პოლიტიკური და სოციალური ძვრების პერიოდია. პრეზიდენტ ჯონსონის რეპუტაცია ვიეტნამის ომის შედეგად შეილახა. ჯონსონი აცხადებს, რომ 1968 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში თავის კანდიდატურას არ წამოაყენებს. ამ პერიოდშივე ყალიბდება შავკანიანთა უფლებების დაცვის და აგრეთვე ომის წინააღმდეგ მოძრაობები, საუნივერსიტეტო კამპუსები კი მეამბოხურმა სულისკვეთებამ მოიცვა.

1968 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკელი რიჩარდ ნიქსონი ამერიკის 37-ე პრეზიდენტი ხდება. ნიქსონის წინასაარჩევნო დაპირებათაგან მთავარი ვიეტნამში ომის დამთავრება იყო. საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, ნიქსონის პრეზიდენტობა საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა – ნიქსონმა ჩინეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება და საბჭოთა კავშირთან "დეიტანტი" ანუ დაძაბულობის განმუხტვა მოახერხა. რომ არა უოტერგეიტი, ნიქსონი ამერიკის ისტორიაში შევიდოდა როგორც პრეზიდენტი, რომელიც "ჩინეთში ჩავიდა", მაგრამ მისი ბედის ბორბალი უკუღმა დატრიალდა.

რა მოვლენები უსწრებდა წინ ნიქსონის გადადგომას?

1971 წელს ამერიკულ გაზეთებში "ვაშინგტონ პოსტსა" და "ნიუ-იორკ ტაიმსში" იბეჭდება ე.წ. "პენტაგონის ქაღალდები", თავდაცვის დეპარტამენტის საიდუმლო მასალები, რომლებიც ვიეტნამის ომში ამერიკელების ჩარევას ეხებოდა. გაზეთის ინფორმატორი თავდაცვის დეპარტამენტის თანამშრომელი დენიელ ელსბერგი აღმოჩნდა. ნიქსონი უზენაეს სასამართლოს მიმართავს და პუბლიკაციის საკითხი "ნიუ-იორკ ტაიმსის" სასარგებლოდ წყდება. ამ დროიდან იწყება ნიქსონის ბრძოლა მისი კრიტიკოსებისა და პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ. 1972 წლის არჩევნების წინ ნიქსონი შელახული რეპუტაციის აღდგენასა და ოპონენტების პოლიტიკურად განადგურებას ცდილობს. უოტერგეიტი, ფაქტობრივად, ამ მომენტიდან დაიწყო.

ნიქსონის ინიციატივით ჩამოყალიბდა თეთრი სახლის საიდუმლო სპეციალური საგამოძიებო ერთეული, ე.წ. "პლამბერების" (ინგლისურად პლამბერი წყალგაყვანილობის სპეციალისტს, ზეინკალს ნიშნავს) ჯგუფი, რომელიც პრეზიდენტის პოლიტიკურ ოპონენტთა პირადი ცხოვრების გამოძიებას იწყებს. საუბარი იყო იმაზეც კი, რომ ნიქსონს აქვს შედგენილი "შავი სია", რომელშიც მრავალი დემოკრატის სახელი იყო შესული. სწორედ "პლამბერები" შეიჭრნენ ელსბერგის ფსიქიატრის ოფისში მაკომპრომეტირებელი საბუთების ხელში ჩაგდების მიზნით. ამავე პერიოდში ნიქსონმა პოლიტიკურ ოპონენტებთან გამკლავების კიდევ ერთ საშუალებას მიაგნო - თეთრი სახლის ოვალურ დარბაზსა და კიდევ რამდენიმე ოთახში ჩამწერი მოწყობილობები დაამონტაჟეს. ეს 1972 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მოსამზადებელ ღონისძიებათა ჯაჭვის ერთ-ერთი, შესაძლოა, უმთავრესი რგოლი იყო, რადგან დემოკრატების წინააღმდეგ კომპრომატების შეგროვებისა და მათი დისკრედიტაციის საშუალება იყო. გარდა ამისა, მოსასმენი მოწყობილობები უოტერგეიტის სასტუმროში, დემოკრატების ნაციონალური კომიტეტის ოფისშიც დაამონტაჟეს. **დემოკრატების ოფისის მოსმენა და ოფისში შეღწევა რესპუბლიკელთა დიდი გეგმის "მარგალიტი" იყო** (ოპერაციის ერთერთი მონაწილის შეფასება).

1972 წლის 17 ივნისს დემოკრატების ოფისში შესული პირები გამოძიების ფედერალური ბიუროს (გფბ) აგენტის გორდონ ლიდის მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით მოქმედებდნენ. გორდონ ლიდი ჯაშუშური ოპერაციების დაგეგმვის დიდოსტატი იყო და მათი განხორციელებისთვის მრავალფეროვან ხერხებს იყენებდა: მეძავები, სატელეფონო საუბრების მოსმენა, ადამიანთა გატაცება, ოპონენტთა მაკომპრომეტირებელი ფოტოების შეგროვება და სხვ. უოტერგეიტში მოსმენისა და შეღწევის ოპერაციას "პლამბერების" წევრი ჰოვარდ ჰანტი ხელმძღვანელობდა. როგორც შემდგომში გაირკვა, ჰანტი ელსბერგის ფსიქიატრთან შეღწევის ოპერაციის მთავარი ორგანიზატორიც იყო (სხვათა შორის, კენედის მკვლელობასთან (1963 წელი) ჰანტის შესაძლო კავშირზეც საუბრობდნენ). კავშირი უოტერგეიტის შემთხვევასა და პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიას შორის ნაწილობრივ ჰანტის წყალობით დადგინდა. საქმე ის არის, რომ გამოძიებამ ჰანტის ტელეფონის ნომერი უოტერგეიტში შეღწეულთაგან ერთ-ერთის სატელეფონო წიგნში აღმოაჩინა.

დემოკრატთა ოფისში შეღწეულთაგან ოთხნი გადასახლებული კუბელების მაიამის სათვისტომოს წევრები იყვნენ და გამოძიების პერიოდში მათ "კუბელების" სახელით მოიხსენიებდნენ. თუმცა, მათგან ერთი კუბური წარმოშობის არ ყოფილა. ჯგუფის მეხუთე წევრი ჯეიმს მაკკორდი ნიქსონის საარჩევნო კომიტეტში უსაფრთხოების საკითხებს განაგებდა.

დღემდე დაზუსტებით არ არის ცნობილი, თუ რას ეძებდნენ დემოკრატების ოფისში შესული პირები. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ისინი აპირებდნენ სამი კვირით ადრე დაყენებული ტელეფონის მოსასმენი მოწყობილობის შეკეთებას (სავარაუდოდ, გაფუჭდა). გარდა ამისა, ისინი საბუთებში რაღაცას ეძებდნენ და ფოტოებიც გადაიღეს. მათი გეგმა უოტერგეიტის სასტუმროს დარაჯმა ჩაშალა – მან დაინახა, რომ დემოკრატების ოფისის კარზე ლუქი მოხსნილი იყო და პოლიციას გამოუძახა. ოპერაციის მსვლელობას თვალყურს ადევნებდა გზის მეორე მხარეს ჰოვარდ ჯონსონის სასტუმროს 723-ე ნომრის აივანზე მყოფი "პლამბერების" ჯგუფის რამდენიმე წევრი.

გამოძიებამ სწრაფად დაადგინა მათი შესაძლო კავშირი პრეზიდენტის ხელახლა არჩევის კომიტეტთან შეღწეულთა ჯიბეებში აღმოჩენილი ტკიცინა 100-დოლარიანი კუპიურების მეშვეობით. თუმცა, თეთრი სახლი და ყოფილი იუსტიციის მინისტრი, პრეზიდენტის ხელახლა არჩევის კომიტეტის თავმჯდომარე ჯონ მიტჩელი უოტერგეიტის შენობაში შეღწეულ პირებთან რაიმე კავშირს უარყოფდნენ. დემოკრატთა ოფისში შეღწევას ნიქსონმა "მესამეხარისხოვანი ქურდობის" კვალიფიკაცია მისცა. ამავე დროს, ნიქსონი ხვდება, რომ მოვლენები მისთვის სახიფათოდ ვითარდება და საქმის მსვლელობაში პირადად იწყებს ჩარევას.

ამ კავშირის დადგენაში ოფიციალურ გამოძიებას "ვაშინგტონ პოსტის" კორესპონდენტთა ჟურნალისტური გამოძიებაც დაეხმარა. უოტერგეიტის საქმეში "ვაშინგტონ პოსტის" ჟურნალისტების ჩარევა დემოკარტთა ოფისში შეღწევიდან მეორე დღესვე დაიწყო. მას შემდეგ, რაც "ვაშინგტონ პოსტის" კორესპონდენტმა ვუდვორდმა გაიგო, რომ მაკკორდი დაკითხვის დროს ცენტრალურ საგამოძიებო სამმართველოს (ცსს) ახსენებს, იგი მიხვდა, რომ ეს უბრალო შეღწევა არ უნდა ყოფილიყო. ასე ჩაეყარა საფუძველი ვუდვორდისა და ბერნსტინის გამოძიებას, რომელმაც მათ "პულიცერის პრემია" მოუტანა.

1972 წლის 17 ივნისს "ვაშინგტონ პოსტის" პირველ გვერდზე ქვეყნდება ბობ ვუდვორდისა და კარლ ბერნსტინის პირველი სტატია უოტერგეიტზე. უკვე ერთ თვეში კი იბეჭდება სტატია, რომელშიც ჟურნალისტური გამოძიების ავტორები საუბრობენ დემოკრატთა ოფისში შეღწევის შესაძლო კავშირზე პრეზიდენტის ხელახლა არჩევის კომიტეტთან. პრეზიდენტს ამ პუბლიკაციაზე მწვავე რეაქცია ჰქონდა - ნიქსონი გაზეთს ეკონომიკური სადამსჯელო ღონისძიებების გატარებით დაემუქრა. ნიქსონი ღიად უცხადებს ომს "ვაშინგტონ პოსტს": **"პოსტს ძალიან საშინელი, საშინელი პრობლემები ექნება. მათ ტელეარხი აქვთ და ლიცენზიის განახლება დასჭირდებათ. თამაში საშინლად უხეში წესებით წარიმართება".**

კიდევ ორ კვირაში "ვაშინგტონ პოსტის" პირველ გვერდზე იბეჭდება ვუდვოდ-ბერნსტინის ახალი, სენსაციური პუბლიკაცია – ჟურნალისტები, სანდო წყაროზე დაყრდნობით, აცხადებენ, რომ პრეზიდენტის გამოძიების კომიტეტში არსებობს საიდუმლო ფონდი (350,000 დოლარი), რომელსაც 5 კაცი აკონტროლებს. მათგან ერთი იუსტიციის მინისტრი ჯონ მიტჩელია. ეს ფონდი გამოიყენებოდა დემოკრატების წინააღმდეგ მიმართული ოპერაციების დასაფინანსებლად. ბერნსტინი პირადად უკავშირდება მიტჩელს და ეუბნება, რომ ასეთი ინფორმაცია აქვს და ის გაზეთში დაიბეჭდება. მიტჩელი აღშფოთებას ვერ მალავს და სტატიის დაბეჭდვის შემთხვევაში "ვაშინგტონ პოსტის" გამომცემელს ქეთრინ გრეჰემს ემუქრება. ქეთრინ გრეჰემი და აღმასრულებელი რედაქტორი ბრედლი იღებენ გადაწყვეტილებას, რომ სტატია უნდა დაიბეჭდოს.

ამის შემდეგ ადმინისტრაცია "ვაშინგტონ პოსტს" ბოიკოტს უცხადებს – მათ სატელეფონო ზარებზე არ უპასუხებენ, მათ შეხვედრებს არ ესწრებიან და სხვ. ნიქსონი პირადადაც კი ჩერთო ამ კამპანიაში. იგი წერილს უგზავნის თეთრი სახლის კადრების უფროსს (რომელიც ნიქსონის "მეკარის" მეტსახელით არის ცნობილი) ბობ ჰელდემანს: "არავითარ შემთხვევაში "ვაშინგტონ პოსტიდან" არავის შეხვდეთ და მათ ზარებს არ უპასუხოთ. მოეპყარით "ვაშინგტონ პოსტს" ძალიან ცივად – მის ყველა თანამშრომელს ასე უნდა მოექცეთ".

"მეგობრობა ეარლიჩმანთან და ჰელდემანთან ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული აღმოჩნდა", წერს ერთ-ერთი ამერიკელი ჟურნალისტი. საქმე ის არის, რომ 1972 წლის 23 ივნისს ნიქსონსა და ბობ ჰელდემანს შორის შედგა საუბარი, რომელიც ნიქსონისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ჰელდემანი ნიქსონს სთავაზობს, გფბ-ს მიერ წარმოებულ გამოძიებას ხელი შეუშალოს. ეს საუბარი ოვალურ დარბაზში ნიქსონისვე ბრძანებით დამონტაჟებულმა ჩამწერმა მოწყობილობამ დააფიქსირა. ასე დაიწყო ამ ისტორიაში დანაშაულის დაფარვა. შემდგომში სწორედ ეს ფირი გახდა ის ბოლო წვეთი, რომელმაც ნიქსონის წინააღმდეგ არა მარტო დემოკრატები, არამედ უკვე რესპუბლიკელებიც აამხედრა.

1972 წლის ოქტომბერში "ვაშინგტონ პოსტში" იბეჭდება სტატია, რომელშიც უოტერგეიტში შეღწევა გრანდიოზული პოლიტიკური ჯაშუშობისა და საბოტაჟის ეროვნული მასშტაბის კამპანიის მხოლოდ ერთ შემადგენელ ნაწილად არის მიჩნეული. ეს კამპანია პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიას ემსახურებოდა და თეთრი სახლისა და ხელახლა არჩევის კომიტეტიდან იმართებოდა.

"ვაშინგტონ პოსტზე" ადმინისტრაციისა და საზოგადოების მხრიდან განხორციელებული ზეწოლის მიუხედავად, ჟურნალისტები ჯიუტად აგრძელებდნენ გამოძიებას. აღსანიშნავია, რომ გაზეთის მკითხველები ჟურნალისტებს არაპროფესიონალიზმსა და პატრიოტული გრძნობის უქონლობაში ადანაშაულებდნენ, ანუ **ამერიკას არ სჯეროდა, რომ ასეთი რამ შესაძლებელია.** ამ ფონზე გასაკვირი არ არის, რომ 1972 წლის ნოემბერში საპრეზიდენტო არჩევნებში ნიქსონი 61 პროცენტით ყველა შტატში იმარჯვებს, მასაჩუსეთსის შტატისა და კოლუმბიის ოლქის გარდა. უოტერგეიტს არჩევნებზე გავლენა არ მოუხდენია.

"ვაშინგტონ პოსტის" წინააღმდეგ დაწყებულმა ომმა მალე ნაყოფი გამოიღო – კომპანია ფინანსურ პრობლემებს განიცდის. მას მოუხდა ბრძოლა მაიმიში ორი ტელეარხისთვის ლიცენზიის განახლებაზე. ადმინისტრაციის ან, ყოველ შემთხვევაში, მისი ქვეშევრდომების ჩარევა მათი ტელეარხებისთვის ლიცენზიების მიღებისას დაბრკოლებების შექმნაში აშკარა იყო, რადგან 30 ტელეკომპანიიდან პრობლემა მხოლოდ "ვაშინგტონ პოსტის" არხებს შეექმნა. კომპანიის აქციების ღირებულება 38 დოლარიდან 16-17 დოლარამდე დაეცა, რითაც კომპანიის ღირებულება განახევრდა. ადმინისტრაციასთან ბრძოლას "ვაშინგტონ პოსტი" ჯერჯერობით აგებდა. ქეთრინ გრეჰემი ამ პერიოდს იხსენებს: "ვაშინგტონ პოსტის" არსებობა ბეწვზე ეკიდა". თუმცა, ჟურნალისტური გამოძიება მაინც გრძელდებოდა.

1973 წლის იანვარში უოტერგეიტის საქმის სასამართლო პროცესი დაიწყო. ჰანტმა და "კუბელებმა" თავი დამნაშავედ ცნეს შეთქმულებაში, დემოკრატების ოფისში შეღწევასა და სატელეფონო საუბრების მოსმენაში. ლიდს და მაკკორდს იგივე ბრალდება წაუყენეს.

1973 წელს მაკკორდი მოსამართლე სირიკას უგზავნის წერილს, რომელშიც არ აცხადებს, რომ ბრალდებულები ზეწოლის შედეგად ცრუ ჩვენებებს იძლეოდნენ. ეს "ვაშინგტონ პოსტის" ტრიუმფის დასაწყისი იყო, რადგან მაკკორდის წერილით მათი პუბლიკაციები დასტურდებოდა. 30 აპრილს ნიქსონი სატელევიზიო გამოსვლაში აცხადებს, რომ სრულ პასუხისმგებლობას კისრულობს მისი ქვეშევრდომების კავშირზე უოტერგეიტის საქმესთან. მეორე დღეს კი მისმა პრეს-მდივანმა საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე "ვაშინგტონ პოსტს" საჯაროდ მოუხადა ბოდიში. ერთ კვირაში გაზეთს უოტერგეიტის საქმის გაშუქებისთვის "პულიცერის პრემია" მიანიჭეს.

1973 წლის 21 მარტს ნიქსონთან მიდის თეთრი სახლის ადვოკატი ჯონ დინი და ჰანტის მოთხოვნას გადასცემს. ჰანტმა მოითხოვა შეწყალების პირობა და 1 მლნ. დოლარი, რათა "პლამბერებმა" ხმა არ ამოიღონ და არ დადასტურდეს ნიქსონის ხელახლა არჩევის კომიტეტთან მათი კავშირი. დინმა აუწყა პრეზიდენტს: "ჩვენ შანტაჟს გვიწყობენ". ნიქსონის პასუხი: "თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ მილიონი დოლარი. თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ ნაღდი ფული. მე ვიცი, სად შეიძლება ამ ფულის შოვნა".

ამ დროისთვის სენატმა დაიწყო გამოძიება (სენატის უოტერგეიტის კომიტეტი 1973 წლის თებერვალში იქმნება), იუსტიციის სამინისტრო კი თეთრი სახლისა და პრეზიდენტის ხელახლა არჩევის კომიტეტის წარმომადგენლების დაკითხვას აწარმოებს. შეთქმულების ობობა ნელ-ნელა იხსნებოდა: დინი და მაგრუდერი (თეთრი სახლის კომუნიკაციის დირექტორის მოადგილე და ჰელდემანის მოადგილე) ჩვენებებს იძლევიან. ნიქსონი იბარებს ჰელდემანსა და ეარლიჩმანს (თანაშემწე შიდა საქმეებში და "პლამბერების" ჯგუფის ხელმძღვანელი) და მათ გადადგომას უბრძანებს. გარდა ამისა, გადადგა იუსტიციის მინისტრი კლაინდინსტი. ამ პერიოდში დინი გამოძიებასთან თანამშრომლობას იწყებს და უკვე 25 ივნისს ჩვენებებს იძლევა სენატის უოტერგეიტის კომიტეტში. მისმა ჩვენებებმა დაადასტურა თეთრი სახლის კავშირი უოტერგეიტის საქმესთან. უფრო მეტიც, იგი აცხადებას, რომ ნიქსონი უოტერგეიტის შემთხვევის შემდეგ რამდენიმე დღეში პირადად იწყებს მონაწილეობის მიღებას დანაშაულის დაფარვაში.

ნიქსონის ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა მისი ასისტენტის ალექსანდერ ბატერფილდის 1973 წლის 16 ივლისის განცხადებამ. სენატის უოტერგეიტის კომიტეტს იგი აწვდის ინფორმაციას საიდუმლო ავტომატური ჩამწერი სისტემის არსებობის შესახებ, რომელიც ნიქსონის ბრძანებით 2 წლის წინ თეთრი სახლის ოვალურ დარბაზში, პრეზიდენტის კაბინეტში, ლინკოლნის სასტუმრო ოთახსა და კემპ-დევიდში, პრეზიდენტის კაბინეტში დაამონტაჟეს, ანუ ამ პერიოდის განმავლობაში ნიქსონის ყველა საუბარი ფირზე იყო ჩაწერილი. ნიქსონი ძალ-ღონეს არ იშურებს, რათა ფირები გამოძიებას ხელში არ ჩაუვარდეს. ერთ-ერთ ფირზე ნიქსონის საუბარია ჩაწერილი: "მე მინდა, რომ თქვენ ამას წინ აღუდგეთ, თუნდაც, წამოაყენონ მეხუთე შესწორების დარღვევის ბრალდება, დაფარვა ან ნებისმიერი სხვა რამ".

ნიქსონი ცდილობს, გაუმკლავდეს ყველა იმ პირს, ვინც მისი გეგმების გამოაშკარავებას ცდილობს. კერძოდ, 1973 წლის 20 ოქტომბერს მან თანამდებობიდან გაათავისუფლა სპეციალური პროკურორი არჩიბალდ კოქსი, რომელიც ფირების გადმოცემას მოითხოვდა. ეს დღე უოტერგეიტის ისტორიაში "შაბათი ღამის ხოცვა-ჟლეტის" სახელით არის ცნობილი. ნიქსონმა კოქსის გათავისუფლება იუსტიციის მინისტრს რიჩარდსონს დაავალა. რიჩარდსონმა უარი განაცხადა დავალების შესრულებაზე და იგი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. იგივე ბედი ეწია მის მოადგილეს. თუმცა, ამით არაფერი შეცვლილა, რადგან მოსამართლე ჯონ სირიკამ მოითხოვა, აუდიოფირები სასამართლოსთვის გადაეცათ. საქმე უზენაეს სასამართლოში გადადის.

1974 წლის მარტში სენატის სასამართლოს კომიტეტი ნიქსონის წინააღმდეგ იმპიჩმენტის საკითხის განხილვას იწყებს. 27 ივლისს სასამართლო კომიტეტმა კენჭი უყარა (27-11) იმპიჩმენტის სასამართლო ობსტრუქციის მუხლს. თავდაპირველად, საკომიტეტო მოსმენების დროს, პრეზიდენტის იმპიჩმენტს უმეტესად დემოკრატები უჭერდნენ მხარს, მაგრამ მას შემდეგ, რაც 5 აგვისტოს ნიქსონმა კომიტეტს ჰელდენმანთან 18-წუთიანი საუბრის ფირი გადასცა (მას "მხრჩოლავ თოფს" უწოდებენ) აშკარა გახდა, რომ პრეზიდენტს სენატში რესპუბლიკელების იმედიც აღარ უნდა ჰქონოდა. 7 აგვისტოს ნიქსონი ხვდება 3 რესპუბლიკელ კონგრესმენს, რომლებიც არწმუნებენ, რომ ის იმპიჩმენტს ვერ აიცილებს.

1974 წლის 9 აგვისტოს ნიქსონმა განაცხადა გადადგომის შესახებ, რითაც იმპიჩმენტი თავიდან აიცილა. ამერიკა შოკირებული იყო. მანამდე ის შეხვდა ადმინისტრაციის წევრებს და მათ თავისი გადაწყვეტილების შესახებ აუწყა. ერთ-ერთი იმ პირთაგან, ვინც ამ შეხვედრას ესწრებოდა, იხსენებს, რომ პრეზიდენტმა განაცხადება გააკეთა, "დაემხო, ატირდა და, იძულებული გახდა, ოთახიდან გასულიყო. ჩვენც დავემხეთ და ავტირდით".

თეთრი სახლიდან ნიქსონი მიდის კალიფორნიაში, სადაც ოთხ წელიწადს რჩება. 1974 წლის 8 სექტემბერს პრეზიდენტმა ფორდმა ნიქსონი შეიწყალა და თავისი გადაწყვეტილება იმით დაასაბუთა, რომ "ქვეყანამ საკმარისი ტანჯვა გადაიტანა".

ნიქსონის წინააღმდეგ იმპიჩმენტი სამი მუხლისგან შედგებოდა:

სასამართლო ობსტრუქცია – ნიქსონი პირადად და თავისი ქვეშევრდომების მეშვეობით ჩაერია დემოკრატების ოფისში შეღწევის საქმეში, რათა გამოძიებისთვის ხელი შეეშალა, საქმეში გარეული პირები და არაკანონიერი ქმედებები დაეფარა; სასამართლო კომიტეტში მხოლოდ ამ მუხლს უყარეს კენჭი.

ძალაუფლების ბოროტად გამოყენება – მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები დაარღვია და სასამართლო და აღმასრულებელი შტოების ორგანოები პირადი მიზნებისთვის კანონსაწინააღმდეგოდ გამოიყენა.

სასამართლო უწყებების უგულებელყოფა – წარმომადგენელთა პალატის სასამართლო კომიტეტის მტკიცებულებების (ფირები და სხვა დოკუმენტები) წარმოდგენის მოთხოვნა პრეზიდენტმა ოთხჯერ უგულებელყო.

გაგრძელება B6 გვერდზე

უოტერგეიტის სასტუმრო

REUTERS

რიჩარდ ნიქსონი

REUTERS

უოტერგეიტის გაკვეთილები

მელორ სტურუა
საკ. კორ. მინეაპოლისი, აშშ

ორშაბათს, 1972 წლის 17 ივნისის ღამეს, ფრენკ ვილსმა, უოტერგეიტის - სასტუმროს, მდიდრული აპარტამენტებისა და ოფისების კომპლექსის - ღამის დარაჯმა, შენობის შემოვლისას აღმოაჩინა, რომ აშშ-ს დემოკრატიული პარტიის ნაციონალური კომიტეტის ოფისში საკეტი გატეხილია და სინათლე ანთია. ვილსმა დაუყოვნებლივ გამოიძახა პოლიცია. შემთხვევის ადგილას მისულმა პოლიციელებმა დააკავეს მოდურ კოსტიუმებსა და რეზინის ქირურგიულ ხელთათმანებში გამოწყობილი ხუთი მამაკაცი, რომლებიც გამალებით აწყობდნენ ყუთებში ქაღალდებსა და დოკუმენტებს. დაკავებულებს ჯიბეები დატენილი ჰქონდათ ასდოლარიანი კუპიურებით. შემდგომში ნომრების მიხედვით ძიებამ დაადგინა ამ კუპიურების წარმომავლობა. აღმოჩნდა, რომ ფული ეკუთვნოდა ნიქსონის პრეზიდენტად ხელმეორედ არჩევის კომიტეტს. ასე დაიწყო გრანდიოზული პოლიტიკური სკანდალი, რომელიც საბოლოოდ (1974 წ. 9 აგვისტოს) პრეზიდენტ ნიქსონის გადადგომით დასრულდა. ეს სკანდალი ისტორიაში შევიდა უოტერგეიტის სახელწოდებით. მან წარმოშვა ფორმულა, რომელიც ასე ჟღერს: მესამეხარისხოვანი ქურდობა, რომელიც იქცა პირველხარისხოვან პოლიტიკურ კრიზისად. სინამდვილეში ასეც იყო.

მას შემდეგ 30 წელი გავიდა. უოტერგეიტის ექო ისევ გაისმის ამერიკაში და ეს თარიღიც აქ ფართოდ აღინიშნა. მაინც როგორ? ჯერ ერთი, პრესამ ეს "იუბილე" გამოიყენა მის მიმართ საზოგადოების აღფრთოვანების საბაბად. როგორც ცნობილია, უოტერგეიტი გაახმაურეს "ვაშინგტონ პოსტის" მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა რეპორტიორებმა - ვუდვორდმა და ბერნსტინმა, შემდგომში - მილიონერებმა. რა თქმა უნდა, უოტერგეიტის შეთქმულების გამომჟღავნებაში მათი დამსახურება ეჭვგარეშეა, მაგრამ ამ მოვლენის შეფასებისას შემოვიფარგლოთ მხოლოდ პრესის ეფექტიანობით, ნიშნავს, მივჩქმალოთ მისი მნიშვნელობა; მეორეც - უოტერგეიტის 30 წლისთავზე ინტერესს იწვევდა "ღრმა ყელი" ანუ წყარო თეთრ სახლში, რომელიც საიდუმლო ინფორმაციით კვებავდა "ვაშინგტონ პოსტის" რეპორტიორებს. "ეჭვმიტანილთა წრე" საკმაოდ ვიწროა. ნიქსონის პერიოდის მრჩეველი თეთრ სახლში, რომელმაც პირველმა მისცა აღიარებითი ჩვენება სასამართლოზე და მოიხადა სასჯელი, შემდგომში გახდა უკვე "მოხალისე" და ინტერნეტჟურნალში დაასახელა ოთხი გვარი: ნიქსონის კონსულტანტი პეტ ბიუქენენი, ნიქსონის სპიჩრაიტერი რეი პრაისი, თანაშემწე სტეფენ ბელი და პრეს-მდივანი რონ ზიგლერი. ამ ოთხეულიდან ორმა - პრაისმა და ბელმა მათი მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს "მხატვრული ფანტაზია" უწოდა, ბიუქენენიც უარყოფს თავის ავტორობას, თუმცა, არცთუ მტკიცედ, ხოლო ზიგლერი თვლის, რომ "ღრმა ყელი" ერთი ადამიანი კი არ არის, არამედ კრებითი სახელია. ასახელებენ კიდევ ორ პიროვნებას - უოტერგეიტის პროკურორს - ერლ ზილბერტს და გენერალ ალექსანდრ ჰეიგს, რომელიც ხელმძღვანელობდა თეთრი სახლის შტატს ნიქსონის პერიოდში. თუმცა, ორივე კატეგორიულად უარყოფს, რომ რაიმე როლი შეასრულეს ამ ისტორიაში. უოტერგეიტის 30 წლისთავთან დაკავშირებით ილინოისის უნივერსიტეტმა გამოაქვეყნა კოლექტიური ნაშრომი, რომელიც ეძღვნება "ღრმა ყელის" საკითხს; ყველაფერი, თვით "ყელის" გარდა, ცნობილია რეპორტიორების - ვუდვორდისა და ბერნსტინისათვის და "ვაშინგტონ პოსტის" მაშინდელი მთავარი რედაქტორის - ბრედლისათვის. ისინი თევზებივით დუმან.

რასაკვირველია, მარჩიელობა "ყელის" გარშემო ძალიან საინტერესოა, როგორც ნებისმიერი გამოცანა-დეტექტივი. მაგრამ "ღრმა ყელის" საკითხმა ამ დღეებში მიჩქმალა თვით უოტერგეიტის პრობლემა, რომელმაც დარტყმა მიაყენა ამერიკის სახელმწიფოებრიობას. არ მინდა, ვიმკითხაო: პრესაში ტრაბახი და "ღრმა ყელის" დეტექტიური გამოძიებანი იყო შეგნებული მცდელობა - დაეკნინებინათ სკანდალის მნიშვნელობა, თუ "ასე გამოვიდა". მაგრამ ფაქტია - უოტერგეიტის და მისი გაკვეთილების სერიოზული ანალიზი არ გაკეთებულა. მესამეხარისხოვანი ქურდობა "საიუბილეო" დღეებში პირველხარისხოვან დეტექტივად იქცა...

სავსებით ვეთანხმები რიჩარდ რივსს, ავტორს ჭეშმარიტად ღრმააზროვანი წიგნისა - "რიჩარდ ნიქსონი: ეული თეთრ სახლში". რივსი ამბობს, რომ ნიქსონს მოეწონებოდა ეს ყველაფერი - როგორ აღინიშნა უოტერგეიტის 30 წლისთავი. პოლიტიკური დრამა იქცა დეტექტიურ მელოდრამად. "ნიქსონი ბედნიერი იქნებოდა, რომ ეს მოვლენა ისტორიაში შესულიყო არა როგორც უოტერგეიტი, არამედ როგორც "მონიკაგეიტი" - ბილ ქლინთონისა და მონიკა ლევინსკის უხამსი ისტორია", - წერს რივსი. ეს გადააქცევდა უოტერგეიტს ტრივიალურ "გეიტად", მიჩქმალავდა რა მის ჭეშმარიტ არსს. არსი მდგომარეობს იმაში, რომ პრეზიდენტმა ნიქსონმა შეგნებულად და ავი ზრახვებით დაგეგმა შეთქმულება, გადატრიალებაც კი, სახელმწიფოებრივი მართვის ამერიკული სისტემის წინააღმდეგ. 30 წლის განმავლობაში დაგროვილი გამოძიების უზარმაზარი მასალა უეჭველს ხდის იმ ფაქტს, რომ ნიქსონს სურდა, შეექმნა სრულუფლებიანი საპრეზიდენტო მმართველობის ახალი სისტემა. ის არასოდეს მალავდა ზიზღს კონსტიტუციის იმ მუხლების მიმართ, რომლებიც ზღუდავენ პრეზიდენტის ძალაუფლებას.

ძალაუფლების ფილოსოფიას, რომელსაც ქადაგებდა ნიქსონი, კვებავდა მისი პიროვნული თვისებებიც. ის იყო ნიჭიერი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, პრეზიდენტის როლისათვის მომზადებული ბევრად უკეთ, ვიდრე მისი წინამორბედნი და მემკვიდრენი. აშშ-ს ახლანდელი პრეზიდენტი ბუში, მასთან შედარებით, უვიცია, განსაკუთრებით, საგარეო პოლიტიკის სფეროში. ამას ვამბობ პრეზიდენტთან და ექს-პრეზიდენტ ნიქსონთან მრავალწლიანი ურთიერთობის საფუძველზე. ამავე დროს, მას ჰქონდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, სრულიად არასაპრეზიდენტო თვისებები. მისივე აღიარებით, ის იყო "ჩაკეტილი კაცი (ანუ თავის თავში ჩაკეტილი - მ.ს.) ღია ბიზნესში" (ანუ პრეზიდენტის საზოგადოებრივ თანამდებობაზე - მ.ს.). თეთრ სახლში ყოფნისას ნიქსონი დღითიდღე კიდევ უფრო არაკომუნიკაბელური ხდებოდა. მას თვით უახლოეს თანაშემწეებთან ყოფნისასაც კი ერჩია, თავისი ცნობილი ყვითელი წიგნაკით და ქაღალდით ხელში, მარტო ყოფილიყო. სწორედ ამ ყვითელ წიგნაკს ანდობდა ნიქსონი ღამ-ღამობით თავის ფარულ ზრახვებს და მწარე იმედგაცრუებებს. მხოლოდ ორი პიროვნება - პრეზიდენტის შტაბის ხელმძღვანელი ჰელდემანი და თანაშემწე ნაციონალური უსაფრთხოების დარგში (შემდგომში სახელმწიფო მინისტრი) ჰენრი კისინჯერი იყო დაშვებული მის აზრთა ამ "ინტიმურ წრეში"; მხოლოდ ისინი მონაწილეობდნენ აშშ-ს კონსტიტუციის წინააღმდეგ შეთქმულების დაგეგმვაში. საყოველთაოდ ცნობილია ნიქსონის ფრაზა იმის შესახებ, რომ იგი "შენატრის" მაო ძედუნს, რომელიც თავის უზარმაზარ ქვეყანას ერთპიროვნულად მართავს და მხოლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობს 2-3 პიროვნება. ჩემთან საუბარშიც ნიქსონმა, ფაქტობრივად, იგივე აზრი განავითარა, როდესაც მითხრა, რომ "შურდა" სტალინის და, ბრეჟნევისაც კი, ვინადან მათ ჰყავდათ "მარიონეტული უმაღლესი საბჭო".

და, აი, ნიქსონის ხასიათის ეს ორი თვისება: პირადი სწრაფვა მარტოობისაკენ და ფილოსოფიური სწრაფვა ერთპიროვნული ძალაუფლებისაკენ, შეერწყა ერთმანეთს და სიმბოლური გამოხატულება ჰპოვა უოტერგეიტში. სიმბოლური, მაგრამ არა მთავარი. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ნიქსონის საქმიან ქაღალდებში იპოვეს ფრიად ყურადსაღები დოკუმენტი - საიდუმლო კონტრაქტი, რომელზეც მან აიძულა ხელისმოწერა თავისი კაბინეტის წევრებს ხელახალი არჩევის შემდეგ - 1972 წელს. ეს დოკუმენტი ნიქსონმა თვითონ შეადგინა კემპდევიდში განმარტოებისას, სადაც ის ფიქრობდა ხელისუფლების აღმასრულებელი ნაწილის რეორგანიზაციაზე. ასე მაგალითად, ამ საიდუმლო დოკუმენტის მე-15 პარაგრაფში ეწერა: "არავითარი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლიათ პოლიტიკურ საბჭოს, პრეზიდენტის თანაშემწეებს, პრეზ. მრჩევლებს ან მინისტრთა კაბინეტს, თუ მათ ამ მომენტში არ გააჩნიათ პრეზიდენტის პირდაპირი მითითება (უფლებამოსილება)... კაბინეტის წევრებს არა აქვთ პრეზიდენტთან თავისუფალი შეხვედრის და ხშირი კონსულტაციების საშუალება და ა.შ." მოკლედ, ყველამ თავისი ადგილი უნდა იცოდეს...

ნიქსონი პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა აბსოლუტური პირადი იზოლაციის და პოლიტიკური გასაიდუმლოების პირობებში, საზოგადოებისგან დაცული ყველანაირი, დიდი თუ მცირე, ზოგჯერ გათამაშებული მანევრებით. რაც უნდა უცნაური იყოს, ასეთი "ჰერმეტული მართვის" მეთოდი ზოგჯერ კარგ შედეგს იძლეოდა, განსაკუთრებით, თეთრ სახლში პირველი ვადით ყოფნისას. მოვიყვან მხოლოდ ორ მნიშვნელოვან მაგალითს: ჩინეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება 1972 წელს და 1971 წლის ამერიკული დოლარის ოქროს სტანდარტის გაუქმება, რამაც არსებითად შეცვალა მთელი მსოფლიოს ეკონომიკა, ორივე ეს გადაწყვეტილება დაიბადა ნიქსონის გონებაში, დაიწერა მისი წიგნაკის ყვითელ ფურცლებზე და განხორციელდა ადამიანთა მცირე ჯგუფის მიერ. არც კონგრესმა, არც უზენაესმა სასამართლომ, არც ფედერალურმა მოხელეებმა, თვით ყოვლისმცოდნე პრესამაც კი არაფერი იცოდნენ ამ მონუმენტური გადაწყვეტილებების შესახებ. საზოგადოება სრულიად არაინფორმირებული იყო, ვინაიდან არავითარ ღია დებატებზე საუბარიც არ ყოფილა. გარკვეულწილად, ასევე გაჩნდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობებში დაძაბულობის განმუხტვის გეგმა და ხელმოწერილ იქნა რიგი შეთანხმებებისა სარაკეტო-ბირთვული შეიარაღების კონტროლის შესახებ. ქვეყანამ გაიგო ამ გადაწყვეტილებების, როგორც მომხდარი ფაქტის, შესახებ ნიქსონის სატელევიზიო გამოსვლებიდან.

ნიქსონი სახელმწიფოებრივი მართვის ასეთ სტილს უწოდებდა "მოულოდნელობის მეთოდს". რა თქმა უნდა, მას შურდა მაო ძედუნის, სტალინის და "ბრეჟნევისაც კი", მაგრამ მათი მიბაძვა მას არ შეეძლო, რადგან ის მოღვაწეობდა სრულიად სხვა პოლიტიკურ ატმოსფეროში, დასავლური ტიპის დემოკრატიის პირობებში. ამიტომაც მისთვის მისაბაძი კონკრეტული მაგალითი იყო შარლ დე გოლი, დემოკრატიული გზით არჩეული ანტიდემოკრატი პრეზიდენტი. დე გოლი მართავდა, ძირითადად, თავისი ედიქტებით ისევე, როგორც მოგვიანებით სხვა ანტიდემოკრატი პრეზიდენტი, ასევე არჩეული დემოკრატიული გზით, მართავდა ბრძანებებით. მე, რა თქმა უნდა, ვგულისხმობ რუსეთის პირველ პრეზიდენტს ბორის ელცინს. მაგრამ ამერიკაში, საფრანგეთისგან და, მით უმეტეს, რუსეთისგან განსხვავებით, "მოულოდნელობის მეთოდით" ქვეყნის მართვა გაცილებით რთულია. ეს მეთოდი მოითხოვს ზედმიწევნით გასაიდუმლოებას, ვინაიდან მასმედია, როგორც ცერბერი, თვალყურს ადევნებს ხელისუფლებას. გასაიდუმლოების ასეთი ხარისხი კი შეიძლება შენარჩუნებულ იქნას მხოლოდ უკიდურესი და ტოტალური სიცრუის ატმოსფეროში. აი, რას წარმოადგენდა უოტერგეიტი, თუ მას ჩამოვაშორებდით დეტექტივის ელემენტებს. არავინ იცოდა, რა ხდება სინამდვილეში. ბოლოს უკვე თვით ნიქსონიც გაიხლართა თავისივე მოქსოვილ ბადეში. საქმე იქამდე მივიდა, რომ შექმნილი სიტუაციით შეშფოთებულმა შტაბების უფროსთა ჯგუფმა აამოქმედა საკუთარი დაზვერვა - დაიწყო თეთრ სახლში სატელეფონო საუბრების მოსმენა და იქ თავისი ოპერმუშაკების გაგზავნაც კი. ისინი ამოწმებდნენ ნაგვის ყუთებიდან ამოღებულ ქაღალდებს და იპარავდნენ საიდუმლო დოსიეებს, ფირებს და ფოტოებს ოთახიდან, რომელშიც ტარდებოდა აშშ-ს ნაციონალური უსაფრთხოების საბჭოს თათბირი. გენერლებს, ბუნებრივია, ნაკლებად აღელვებდათ უოტერგეიტი და დემოკრატიის ბედი. მათ აღელვებდათ ქაოსი პრეზიდენტის აზრებსა და ქმედებებში, პრეზიდენტისა, რომელიც ფლობდა ცნობილ "ატომურ ჩემოდანს" - ბირთვული ომის პანდორას ყუთს.

მმართველობა "მოულოდნელობის მეთოდით" და შენიღბული სიცრუის მეშვეობით დაიწყო არა 1972 წლის 17 ივნისის ქურდობით უოტერგეიტში, არამედ გაცილებით ადრე - ნიქსონის პირველი საპრეზიდენტო ვადის დასაწყისში - 1969 წლის ივნისში. ნიქსონმა მოატყუა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, რათა ტრიბუნალისგან ეხსნა ექვსი "მწვანე ბერეტიანი", რომელთაც საკუთარი ჯარშუში მოკლეს. საქმე ის არის, რომ ეს ჯარშუში საიდუმლოდ მუშაობდა კამბოჯის ტერიტორიაზე დაბომბვის ობიექტების შესარჩევად. იმ პერიოდში დაბომბვები კამბოჯაში გასაიდუმლოებული იყო და ტრიბუნალის სასამართლოზე შეიძლება გამოაშკარავებულიყო საიდუმლო, რომლის შესახებ არაფერი იცოდა არც აშშ-ს კონგრესმა და არც ამერიკელმა საზოგადოებრიობამ. მათ აწვდიდნენ ყალბ ცნობებს ამერიკული საჰაერო ძალების საომარი ოპერაციების შესახებ.

ერთი წლის შემდეგ პრეზიდენტმა თავისი წიგნაკის ყვითელ ფურცლებზე შეადგინა ახალი ოპერაციის გეგმა, ე.წ. "ჰესტონის გეგმა". ამ გეგმის მიხედვით შესაძლებელი ხდებოდა ამერიკელი მოქალაქეების ელექტრონული თვალთვალი, სახლებსა და ბინებში სამართალდამცველების საიდუმლო შესვლა, ცხადია, ჩხრეკის ორდერის გარეშე. რაც უნდა ითქვას გფბ-ს აწ განსვენებულ დირექტორზე ედგარ გუვერზე, ამ შემთხვევაში იგი კონსტიტუციის მტკიცე დამცველი აღმოჩნდა. გუვერმა დაარწმუნა ნიქსონი, უარი ეთქვა "ჰესტონის გეგმაზე", ვინაიდან, ადრე თუ გვიან, კონგრესი და მთელი საზოგადოება გაერკვეოდა მომხდარში და დაიწყებოდა გრანდიოზული საკონსტიტუციო კრიზისი.

მაგრამ, თქვა რა უარი "ჰესტონის გეგმაზე" სრულიად ამერიკის მასშტაბით, ნიქსონმა განახორციელა იგი თეთრ სახლში 1971 წელს. მისი ბრძანებით შეიქმნა საიდუმლო (კანონის გვერდის ავლით) ჯგუფი სახელწოდებით "პლამბერები" (რუსულ პრესაში ეს სიტყვა ითარგმნებოდა, როგორც "ზეინკალი" ან "სანტექნიკოსი", თუმცა, ინგლისურში მას აქვს კიდევ ერთი სპეციფიკური მნიშვნელობა - "ხვრელების დამხშობი"). "პლამბერების" ჯგუფი შედგებოდა ცსს-ს და გფბ-ს ყოფილი აგენტებისგან და სპეცდანიშნულების რაზმის პრეზიდენტის ერთგული მებრძოლებისგან. "პლამბერებს" უხდიდნენ ნაღდი ფულით - ხელიდან ხელში. უხდიდა, რა თქმა უნდა, არა თვით ნიქსონი, არამედ მისი უწყება - რესპუბლიკური პარტიის ნაციონალური კომიტეტი, არალეგალური ფონდებიდან. "პლამბერები" უთვალთვალებდნენ სახლებს და საელჩოებს, ისმენდნენ სატელეფონო საუბრებს, იღებდნენ კონფიდენციალური დოკუმენტების ფოტოასლებს.

უოტერგეიტის საქმეზე "პლამბერები" სრულიად შემთხვევით "ჩავარდნენ". მათ თავს წაადგა დარაჯი ფრენკ ვილსი, რომელსაც, ბუშმა წინასწარ იცოდა 11 სექტემბრის ტერაქტის შესახებ მთელი წლის განმავლობაში და არაფერი ილონა მის თავიდან ასაცილებლად. ან, უარესი - ხმები იმის შესახებ, რომ ეს ტერაქტი თვითონ პენტაგონის მოწყობილია, ავღანეთისა და ერაყის წინააღმდეგ ომის დაწყების მიზნით. პოსტუოტერგეიტული უნდობლობის კლიმატის შენარჩუნებას ხელს უწყობს ნიქსონის გარდაცვალების შემდგომი რეაბილიტაციის მცდელობა და მომდევნო სკანდალები - "გეიტები", ისევე, როგორც მრავალწლიანი ომი ვიეტნამში.

სწორედ ეს არის უოტერგეიტის გაკვეთილები!

უოტერგეიტმა ყველას დაანახა, რომ შეერთებულ შტატებში იმპერიული მმართველობა არ არის მხოლოდ დასავლეთის ლიდერების - მაოს და სტალინის შეუზღუდავ ძალაუფლებაზე მეოცნებე ლიდერების - ილუზია. იმპერიული იყო რეიგანის საპრეზიდენტო მმართველობაც. ამასვე ცდილობს ჯორჯ ბუშ-უმცროსიც. და, რაც ყველაზე საინტერესოა: უოტერგეიტის შემდეგ ამერიკაში ეს აღარავის უკვირს. პოლიტიკურ მეცნიერებათა ამერიკული ასოციაციის ყოფილი ხელმძღვანელი ჩარლზ ჯონსი ამბობს: " უოტერგეიტმა გვასწავლა, რომ ყოველთვის შეიძლება იყოს მოსალოდნელი ისეთი სკანდალები, რომელთა შესახებ ადრე წარმოდგენაც არ გვქონდა". ისტორიის პროფესორის ჯოელ სილბის სიტყვებით, "როდესაც პოლიტიკოსები იყენებენ სუფიქს "გეიტ"-ს, ეს მაშინვე იწვევს საფრთხის, შიშის, კატასტროფის ასოციაციას, ვინაიდან უოტერგეიტი იყო ყველაზე საშინელი სკანდალი შეერთებული შტატების ისტორიაში".

დაბოლოს, უოტერგეიტმა დარტყმა მიაყენა რწმენას, რომ ძალაუფლების დემოკრატიული დაყოფა შესაძლებელია. როგორც ამერიკელი რატომღაც, შენობის დაუგეგმავი შემოვლა გადაეწყვიტა. მერე კი, ჯაჭვის რგოლებივით, ყველაფერი ერთმანეთს მიჰყვა. ამაოდ ცდილობდა ნიქსონი, ზვავი შეეჩერებინა ცსს-ს ჩართვით, ფულით გაუჩუმებინა საბრალდებო სკამზე აღმოჩენილი "პლამბერები". სკანდალის დინამიკამ და ინერციამ მოიცვა მთელი თეთრი სახლი. ნიქსონმა კი, რომლის თავზეც დამოკლეს მახვილივით აღიმართა იმპიჩმენტი და დაპატიმრებაც კი, არჩია, გადამდგარიყო. მანამდე კი მიიღო ყველა ცოდვისა და დანაშაულის შენდობის პირობა ახალი პრეზიდენტის - ჯერალდ ფორდისაგან.

ოფიციალური პროპაგანდის ყველანაირი მცდელობისა მიუხედავად, უოტერგეიტმა წარუშლელი კვალი დატოვა შეერთებული შტატების პოლიტიკურ ისტორიაში. მან შეარყია ამერიკელების რწმენა საკუთარი მთავრობის მიმართ. 1974 წელს, როდესაც ნიქსონი იძულებით გადადგა, მთავრობისადმი ნდობა მერყეობდა სადღაც 50 პროცენტის დონეზე, ანუ მოსახლეობის ნახევარს არ სჯეროდა თავისი ადმინისტრაციისა. თუმცა, კიდევ უფრო საგულისხმო მდგომარეობაა დღეისათვის. ბუშის ადმინისტრაციის მხარდამჭერი კონსერვატორული ჟურნალის - "US News and World Report" მონაცემების მიხედვით, მთავრობისადმი ქვეყნის ნდობა დაეცა 40-პროცენტიან ნიშნულამდე! სწორედ ამაშია უოტერგეიტის ნამდვილი შედეგი და მნიშვნელობა, და არა "ღრმა ყელის" ძიებაში. ქვეყანას ძველებურად არ სჯერა ხელისუფლების, რომელიც ძველებურად შესაძლებლად თვლის, სიცრუით მართოს ეს ქვეყანა. მხოლოდ მსგავს ატმოსფეროში შეიძლებოდა აღმოცენებულიყო ხმები იმის შესახებ, რომ ბუშმა წინასწარ იცოდა 11 სექტემბრის ტერაქტის შესახებ მთელი წლის განმავლობაში და არაფერი ილონა მის თავიდან ასაცილებლად. ან, უარესი - ხმები იმის შესახებ, რომ ეს ტერაქტი თვითონ პენტაგონის მოწყობილია, ავღანეთისა და ერაყის წინააღმდეგ ომის დაწყების მიზნით. პოსტუოტერგეიტული უნდობლობის კლიმატის შენარჩუნებას ხელს უწყობს ნიქსონის გარდაცვალების შემდგომი რეაბილიტაციის მცდელობა და მომდევნო სკანდალები - "გეიტები", ისევე, როგორც მრავალწლიანი ომი ვიეტნამში.

სწორედ ეს არის უოტერგეიტის გაკვეთილები!

უოტერგეიტმა ყველას დაანახა, რომ შეერთებულ შტატებში იმპერიული მმართველობა არ არის მხოლოდ დასავლეთის ლიდერების - მაოს და სტალინის შეუზღუდავ ძალაუფლებაზე მეოცნებე ლიდერების - ილუზია. იმპერიული იყო რეიგანის საპრეზიდენტო მმართველობაც. ამასვე ცდილობს ჯორჯ ბუშ-უმცროსიც. და, რაც ყველაზე საინტერესოა: უოტერგეიტის შემდეგ ამერიკაში ეს აღარავის უკვირს. პოლიტიკურ მეცნიერებათა ამერიკული ასოციაციის ყოფილი ხელმძღვანელი ჩარლზ ჯონსი ამბობს: " უოტერგეიტმა გვასწავლა, რომ ყოველთვის შეიძლება იყოს მოსალოდნელი ისეთი სკანდალები, რომელთა შესახებ ადრე წარმოდგენაც არ გვქონდა". ისტორიის პროფესორის ჯოელ სილბის სიტყვებით, "როდესაც პოლიტიკოსები იყენებენ სუფიქს "გეიტ"-ს, ეს მაშინვე იწვევს საფრთხის, შიშის, კატასტროფის ასოციაციას, ვინაიდან უოტერგეიტი იყო ყველაზე საშინელი სკანდალი შეერთებული შტატების ისტორიაში".

დაბოლოს, უოტერგეიტმა დარტყმა მიაყენა რწმენას, რომ ძალაუფლების დემოკრატიული დაყოფა შესაძლებელია. როგორც ამერიკელი

ახალი ამბების პირველი ლედი

ქეთრინ გრეჰემი, პრეზიდენტ ბუშის სიტყვებით, იყო "ამერიკული ჟურნალისტიკის უსაყვარლესი პირველი ლედი"

1933, ივნისი: ქეთრინ გრეჰემის მამამ იუგენ მეიერმა კრიზისში მყოფი "ვაშინგტონ პოსტი" იყიდა.

1939-45: ქ-ნი გრეჰემი "ვაშინგტონ პოსტში" წერილების გვერდის რედაქტორებას იწყებს

1963: ქ-ნი გრეჰემი კომპანია "ვაშინგტონ პოსტის" პრეზიდენტი ხდება

1963, აგვისტო: მისი მეუღლე ფილიპ გრეჰემი თავს იკლავს

1965: ქ-ნ გრეჰემს "ვაშინგტონ პოსტში" ბენ ბრედლი მოყავს, რომელიც "ნიუსვიკს ვაშინგტონის" ბიუროს უფროსი იყო

1969: ქ-ნი გრეჰემი ხდება "ვაშინგტონ პოსტის" გამომცემელი, ხოლო ბრედლი კი აღმასრულებელი რედაქტორი

1971, ივნისი: "ვაშინგტონ პოსტში" იბეჭდება სტატია "პენტაგონის ქაღალდების" შესახებ სასამართლოს აკრძალვის მიუხედავად (საიდუმლო მასალები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომიდან 1968 წლამდე ინდოჩინეთში აშშ-ის ჩარევას ეხება).

1973: "ვაშინგტონ პოსტი" უოტერგეიტის სკანდალის ჟურნალისტურ გამოძიებას აწარმოებს. პერზიდენტი ნიქსონი გადადგა. გაზეთმა "პულიცერის პრემია" მიიღო.

1979: ქ-ნი გრეჰემი კომპანიას თავის შვილს დონალდ გრეჰემს გადასცემს.

1998: ქეთრინ გრეჰემმა "პულიცერის პრემია" მიიღო ავტობიოგრაფიისთვის "პირადი ისტორია".

2001 წლის 17 ივლისს ახალი ამბების პირველი ლედი 84 წლის ასაკში გარდაიცვალა

© GRAPHIC NEWS

The Washington Post

FINAL

Nixon Denies Role in Cover-up. Admits Abuses by Subordinates

U.S. to Appeal Court Order On Milk Data

Says Tapes' Release Would Be 'Crippling'

Pocket Veto In Recess Ruled Illegal

პუბლიკაცია უოტერგეიტზე.



ვუდვორდი და ბერნსტაინი, 1973 წლის 30 აპრილი

პუბლიცისტი როჯერ საიმონი წერს, " უოტერგეიტმა დაგვანახა, რომ საკანონმდებლო და სხვა დაცვითი ინსტიტუტების მიუხედავად, ყველაზე მნიშვნელოვანია პრეზიდენტის პიროვნება და მისი ძალაუფლება". დიახ, პიროვნების კულტი - ეს არ არის მხოლოდ კომუნისტური მოვლენა.

შემთხვევითი არ არის, რომ დამნაშავეები - უოტერგეიტის სკანდალის მონაწილეები, ისევე, როგორც ამ დამნაშავეთა მამხილებელი ჟურნალისტები, სასჯელის მოხდის და განთავისუფლების შემდეგ მილიონერებად იქცნენ. ისინი აქვეყნებენ მემუარებს და კითხულობენ ლექციებს, ამასთან, ცდილობენ, გაამართლონ საკუთარი თავიც და ყოფილი ხელმძღვანელობაც. ახლა ამერიკაში მთავარია, იყო ცნობილი, არა აქვს მნიშვნელობა - რა ნიშნით, "პლუსით" თუ "მინუსით". ნიქსონი კი დღევანდლამდე ამერიკის ყველაზე ცნობილი ჰეროსტრატეა. მაგრამ, უოტერგეიტის ერთ-ერთმა მთავარმა გმირმა - ჰელდემანმა ნიქსონის სამშობლოში, მისივე სახელობის ბიბლიოთეკაში, მოსწავლეების წინაშე გამოსვლისას თქვა: "ღვთის გულისათვის, ნუ დაუჯერებთ ისტორიის სახელმძღვანელოებს. დაბეჭდილი სიტყვა ჯერ კიდევ ფაქტი არ არის". თუმცა, ფაქტი ჯიუტი რამეა, როგორც უყვარდა თვალთმაქცურად თქმა სტალინს, მაგრამ სიცრუე კიდევ უფრო ჯიუტია. და ისტორიის წიგნებიც ვერ აცდნენ მრავალ სიცრუეს, მით უმეტეს, რომ მათი უმრავლესობა ლეგენდების კრებულია და რედაქტირება ხდება "გარემოებებისდა მიხედვით" (მაგალითად, უოტერგეიტის დარაჯი, ყველასგან მივიწყებული ფრენკ ვილსი 2000 წელს გარდაიცვალა, ხოლო უოტერგეიტის "გმირები" კი ისტორიაში შევიდნენ).

არ შემიძლია უოტერგეიტის გაკვეთილებზე მსჯელობა ისე დავასრულო, რომ არ ვახსენო ზოგიერთი პირადი მომენტი, მით უმეტეს, რომ ეს პირადი ზოგადის ნათელი ილუსტრაციაა. დავიწყებ იმ მოგონებით, თუ რა ჟურნალისტური ტანჯვა-წამება გამოვიარე უოტერგეიტის პერიოდში. ჩემი მონდომება და მცდელობა ერთბაშად ჩააქრო მოსკოვიდან მოსულმა სარედაქციო ბრძანებამ: არაფერი დაიწეროს უოტერგეიტის შესახებ! ბრძანება ფორმალურად სარედაქციო იყო. სინამდვილეში იგი მოდიოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტიდან და ეხებოდა ყველა გაზეთს და ჟურნალისტს. უოტერგეიტზე დადებული ტაბუ გრძელდებოდა ზუსტად ნიქსონის გადადგომის დღემდე. მთელი ინფორმაცია - ეს იყო TACC-ის ძალიან ძუნწი შენიშვნები, რომლებშიც დამახინჯებული იყო საქმის არსი. ეს შენიშვნები იწერებოდა ცკ-ში, ბრეჟნევის პრეს-მდივნის ლეონიდ ზაპიატინის განყოფილებაში. მიუხედავად ამისა, მე თითქმის ყოველდღე უაზრო სიჯიუტით ვგზავნიდი და ვგზავნიდი რედაქციაში კორესპონდენციებს უოტერგეიტის შესახებ მანამ, სანამ არ დამაბრუნეს ამერიკიდან. რატომ ვიქცეოდი ასე? ალბათ, ნამდვილ ჟურნალისტს სავსებით შეუძლია პერიფრაზირება დეკარტის გამოთქმისა: "ვწერ, ე.ი. ვარსებობ". ძირითადად კი იმიტომ, რომ ვყოფილიყავი მართალი "შთამომავლობის წინაშე". ჩვენს ხელობაში სიტყვაზე არ გიჯერებენ. მე ვიცნობდი ბევრ ჟურნალისტს, რომელსაც კარგად წერა შეეძლო, მაგრამ არაფერს წერდა, თუ იცოდა, რომ მასალა ვერ გავიდოდა. როდესაც შემდგომში ისინი ყველაფერს აბრალებდნენ "მთავლიტს" და ცენზურას, მათ ცინიკურად ეკითხებოდნენ: "მაინც, სად იყო თქვენი ნამუშევარი?" მართლაც, ეს "ნამუშევარი " როგორც გორკის ბიჭუნა, არ არსებობდა. ჩემი მასალა კი არ დაკარგულა და უკეთეს დროში შეგროვდა წიგნის სახით.

მაგრამ, მაინც რატომ დუმდა კრემლი უოტერგეიტის შესახებ? თითქოს ასეთი ხელსაყრელი შემთხვევა იყო, რათა გაემათრახებინათ ნაქები "ე.წ. ბურჟუაზიული დემოკრატია!" ამას ორი მიზეზი ჰქონდა: პოლიტიკური - ზედნადები და ფსიქოლოგიური - შინაგანი.

დავიწყებ პირველიდან. უოტერგეიტი დაემთხვა მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის "დეიტანტს", რომელსაც განასახიერებდნენ პრეზიდენტი ნიქსონი და "განმუხტვის არქიტექტორი", გენერალური მდივანი ბრეჟნევი. ერთი შეხედვით, სრულიად განსხვავებული ხასიათისა და პოლიტიკური სტილის ადამიანები, ბრეჟნევი და ნიქსონი, მოულოდნელად შეეწყვნენ ერთმანეთს, უკეთებდნენ ძვირფას საჩუქრებს - ავტომობილებს, კატერებს და ა.შ. მოკლედ, თითქმის დამეგობრდნენ, ამიტომ ბრეჟნევის გარემოცვამ ადვილად დაარწმუნა გენერალური მდივანი, რომ უოტერგეიტი იყო შედეგი აშშ-ს ულტრარეაქციული წრეების მცდელობებისა, ვინაიდან მათ არ მოსწონდათ საბჭოეთთან ურთიერთობის დათბობა და სურდათ ნიქსონის თავიდან მოშორება. ამ ვერსიას ორი ძლიერი მხარე ჰქონდა: ჯერ ერთი, პრიმიტიული იყო და ადვილად გასაგები ბრეჟნევისათვის; და მეორეც - კარგად ეხმიანებოდა მის მსოფლმხედველობას. მას ვერ წარმოედგინა, რომ ისეთ წვრილმანს, როგორიც იყო უოტერგეიტი - ეს მესამეხარისხოვანი ქურდობა, შეიძლება მიეყვანა საქმე თვით აშშ-ს პრეზიდენტის გადადგომამდე! ძნელია, ბრეჟნევი აზროვნების შეზღუდულობაში დავადანაშაულოთ. ის ხომ, ნიქსონის ადგილას, "პლამბერების" ნაცვლად გაგზავნიდა კგბ-ს თანამშრომლებს, აღჭურვილს ყველა საჭირო ორდერით, და არა როგორც ქურდებს - გვიან ღამით, არამედ - დღისით, მზისით. და ხმის ამოღებასაც კი ვერავინ გაბედავდა, ვერავითარი მოსკოვური "ვაშინგტონ პოსტი", ვერც ერთი საბჭოთა ვუდვორდი და ბერნსტინი. თუ ამოიღებდნენ, განვითარდებოდა ნაცნობი სცენარი - ანტისაბჭოთა პროპაგანდა, ლუბიანკა, სასამართლო და ციმბირი.

მოკლედ, საბჭოთა კავშირში უოტერგეიტი ვერ მოხდებოდა, რადგან მთელი ცხოვრება იყო ერთი მთლიანი უოტერგეიტი, - სკანდალი გამოაშკარავების გარეშე, დანაშაული სასჯელის გარეშე...

ახლა კი ფსიქოლოგიურ მიზეზებზე. მაგრამ ჯერ ერთი ძველთაძველი ანეკდოტი. საბჭოელი და ამერიკელი კამათობენ, სად უფრო მეტი თავისუფლებაა - ამერიკაში თუ საბჭოთა კავშირში. "ჩვენთან მეტია, - თქვა ამერიკელმა, - მე შემიძლია მივიდე თეთრ სახლთან და ვიყვირო: ძირს ამერიკის პრეზიდენტი! და არავინ დამიჭერს". საბჭოელმა უპასუხა: "დიდი ამბავი! მეც შემიძლია, მივიდე კრემლთან და დავიყვირო: ძირს ამერიკის პრეზიდენტი! და მეც არავინ დამიჭერს".

სასაცილოა, მაგრამ ტყუილია. საბჭოთა წლებში ჩვენს რედაქციებში მსხდომ მთავლიტის ცენზორებს ჰქონდათ საკუთარი ბიბლია, რომლის მიხედვით აკრძალული იყო უცხო სახელმწიფოების ლიდერების და მთავრობების კრიტიკა, რომელიც ზევიდან არ იყო სანქცირებული. ამიტომაც თვით ფრაზა "ძირს ამერიკის პრეზიდენტი!" დასჯადი იყო, მით უმეტეს, განმუხტვის პერიოდში. ჩემი მოღვაწეობის წლებში არასანქცირებული პერსონიფიცირებული ლანძღვა და კარიკატურები ნებადართული იყო მხოლოდ ტიტოს და ფრანკოს მისამართით. პირველი იყო "клики" მეთაური, მეორე - "სისხლის მსმელი ჯალათი". დანარჩენების ლანძღვა შესაძლებელი იყო აბსტრაქტულად - "ზოგიერთი წრეები", "რეაქციული წრეები", "იმპერიალისტური წრეები" და ა.შ.

ეს ყველაფერი, თითქოს, იმიტომ კეთდებოდა, რომ არ გაფუჭებულიყო ურთიერთობა ამა თუ იმ კაპიტალისტურ სახელმწიფოსთან. ჩვენ ვავრცელებდით ჩვენს მენტალიტეტს მათ სისტემაზე. მაგალითად, თუ რომელიმე ამერიკული გამოცემა მეტისმეტად დაჟინებით წერდა ბრეჟნევის სისუსტეებზე, მის მოსკოველ კორესპონდენტს მაშინვე ადანაშაულებდნენ ჯაშუშობაში და აძევებდნენ "განვითარებული სოციალიზმის" ქვეყნიდან. მაგრამ იყო კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი, რატომაც ჩვენ არ შეგვეძლო დარტყმაზე დარტყმით გვეპასუხა და სწორ ინფორმაციაზე ბრეჟნევის "შეუძლოდ ყოფნის" შესახებ გვეპასუხა დეზინფორმაციით, რომ იგივე ნიქსონი, ფორდი ან კარტერი ავად არის, ვთქვათ, სიფილისით და უკვე ტვინიც დაზიანებული აქვს. ეს იმიტომ, რომ ჩვენი ხელისუფლება პატივს სცემდა ნებისმიერ ხელისუფლებას ზოგადად, ხელისუფლებას, როგორც იდეას, პატივს სცემდა და აღმერთებდა. ჩვენი მთავრობა მშვენივრად ხვდებოდა, რომ თუ დაუშვებდა თავის ქვეშევრდომთა მხრიდან სხვა ხელისუფლების კრიტიკის პრეცედენტს, ეს მათ თვალში შეარყევდა საერთოდ ხელისუფლების წმიდათაწმიდა ხელშეუხებლობას. თუ მოქალაქეებს ნებას დართავდნენ, კრემლის კედელთან ეყვირათ: "ძირს ამერიკის პრეზიდენტი!" ეს უბიძგებდა მათ შემდეგი ლოგიკური ნაბიჯისაკენ: "ძირს საბჭოთა პრეზიდენტი და გენმდივანი!"... რაც, ბოლოს და ბოლოს, მოხდა კიდეც.

თავისი უკანასკნელი სახელმწიფო ვიზიტის დროს საბჭოთა კავშირში, მაშინ, როდესაც უოტერგეიტი უკვე ზენიტში იყო, პრეზიდენტმა ნიქსონმა მიიღო ბრეჟნევის წინადადება - გაეტარებინა ერთიორი დღე იალტაში, ნიჟნი ორეანდში. უცნაურია, მაგრამ მაშინ უსაფრთხოების ზომები გაცილებით ლიბერალური იყო, ვიდრე ახლა, და ჩვენ, ჟურნალისტებს, შეგვეძლო ბრეჟნევის და ნიქსონის ნახვა ნიჟნი ორეანდის პარკში სეირნობისას, ორიოდე სიტყვის თქმაც კი (სცადეთ და გააკეთეთ ეს ახლა ნოვოოგარევოში ან კროუფორდის რანჩოში!)

ასე რომ, ერთხელ შევძელი, გამოვლაპარაკებოდი გენერალურ მდივანს. მან დიდსულოვნად დამითმო საუბრისთვის დრო. ვინაიდან მე ამერიკანისტი ვარ, მას უნდოდა, ჩემგან მოესმინა იმის დადასტურება, რომ უოტერგეისტი შეთქმულებაა განმუხტვის წინააღმდეგ. მე, გენმდივანთან ურთიერთობის მდიდარი გამოცდილების მიუხედავად, მაინც დავიწყე ამ ხელოვნური კონსტრუქციის გაშიფვრა. ბრეჟნევის სახეს მაშინვე ჩამოშორდა კეთილგანწყობის გამომეტყველება და ის შეიცვალა უკმაყოფილო დაბნეულობით. გაკვალული გზიდან გადახვევამ გენმდივანს დისკომფორტი აგრძნობინა. მას მაშინვე მშველელად გამოუჩნდა ყველგან მყოფი ზამიატინი, თვალები საშინლად დამიბრიალა და ვითომ იხუმრა:

- აი, ხედავთ, ლეონიდ ილიჩ, თვით მისი ამერიკული პროპაგანდაც კი...

ბრეჟნევი როგორღაც ისევ გამხიარულდა. მისი სამყარო ისევ დატრიალდა ძველი ჩვეული ღერძის გარშემო და მან შვებით ამოისუნთქა...

უოტერგეიტის გაკვეთილმა ამაოდ ჩაიარა ჩვენი გენმდივნებისათვის, რის გამოც მათ ისტორიამ სასტიკი გაკვეთილი განუმზადა. მაგრამ უოტერგეიტი, როგორც სკოლა, არ ამოწურულა არც თანამედროვე ამერიკელი პრეზიდენტებისა და არც რუსი ან რომელიმე სხვა პრეზიდენტისათვის, რომლებიც გამოჩნდნენ პოსტსაბჭოთა სივრცეში.

უოტერგეიტის გაკვეთილები გრძელდება...

ივნისი, 2002





რიჩარდ ნიქსონი და ლეონიდ ბრეჟნევი

უოტერგეიტის სასამართლო პროცესი

დასაწყისი 86 გვერდიდან

ვინ იყო "ღრმა ყელი"?

"ვაშინგტონ პოსტის" წყარო ცნობილია "ღრმა ყელის" სახელით. ეს მეტსახელი ინფორმატორს "ვაშინგტონ პოსტის" თანამშრომელმა ჰოვარდ საიმონსმა შეარქვა. "ღრმა ყელი" 70-იან წლებში ერთ-ერთი პოპულარული პორნოფილმის სახელწოდებაა. ამერიკის პოლიტიკასა და ჟურნალისტიკაში "ღრმა ყელის" ვინაობა ყველაზე კარგად შენახული საიდუმლოა. 30 წლის შემდეგაც მისი ვინაობა ცნობილია მხოლოდ 4 ადამიანისთვის – ბობ ვუდვორდისთვის, კარლ ბერსტინისთვის, ბენ ბრედლისთვის და თვითონ "ღრმა ყელისთვის".

ვუდვორდმა 1972 წელს განაცხადა, რომ ინფორმატორის ვინაობას არ გაამხელს, რადგან მას ანონიმურ წყაროდ დარჩენა სურს. და ეს დაპირება შეასრულა კიდეც. თუმცა, წლების განმავლობაში ზოგიერთი დეტალი მაინც დაზუსტდა. ვუდვორდისა და ბერნსტინის აღწერით, მას აშშ-ის აღმასრულებელ ხელისუფლებაში მაღალი თანამდებობა ეკავა. ეს არის პიროვნება, რომელსაც "მხოლოდ ძალიან მნიშვნელოვან შემთხვევებში შეიძლება დაუკავშირდე". "ღრმა ყელი" მწეველია და სვამს "სკოჩს". "მან იცოდა თავისი სისუსტეები და თამამად აღიარებდა შეცდომებს. იგი უიმედოდ განუკურნებელი ჭორიკანა იყო. იგი შეიძლება ყოფილიყო შფოთისთავი, ზედმეტი დაელია, იყო მატყუარა. გრძნობების დამალვა უჭირდა, თავისი თანამდებობისთვის იდეალური კანდიდატურა არ გახლდათ".

"ღრმა ყელის" ვინაობა 30 წლის შემდეგაც ბურუსით არის მოცული. ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია არსებობს. ერთ-ერთი ვერსით, "ღრმა ყელი" გფბ-ს თანამშრომელი იყო. 1992 წლის მაისში "ატლანტიკ მანსლიში" დაიბეჭდა "ვაშინგტონ პოსტის" ყოფილი კორესპონდენტის ჯეიმს მანის სტატია. მანი იხსენებს, რომ ვუდვორდი ხშირად საუბრობდა "მეგობარზე გფბ-ში". თანაც, გფბ-სთვის ხელმისაწვდომი იყო თეთრი სახლისა და პრეზიდენტის ხელახლა არჩევის კომიტეტის ინფორმაცია. გფბ-ს მოტივი, შესაძლოა, თეთრი სახლის მხრიდან კრიტიკისა და ბიუროს საქმიანობაში ჩარევისგან თავდაცვა ყოფილიყო. მანი 4 შესაძლო კანდიდატს ასახელებს. მათგან ერთ-ერთი, პატრიკ გრეი, 1972 წელს გფბ-ს დირექტორი იყო. დემოკრატების ოფისში მისი დანიშვნიდან ერთ თვეში შეაღწიეს. არსებობს მოსაზრება, რომ იგი არა მარტო ერგება "ღრმა ყელის" ვუდვორდ-ბერნსტინისეულ აღწერილობას, არამედ ეჭვმიტანილთაგან ერთადერთი იყო, ვინც დროის იმ მონაკვეთში შეიძლება შეხვედროდა ვუდვორდს.



რიჩარდ ნიქსონი



განცხადება გადადგომის შესახებ

ცენტრალური სამმართველოს (ცსს) საკუთარი ვერსია აქვს – "ღრმა ყელი" სამმართველოს თანამშრომელი იყო. ეს სრულიად შესაძლებელია, რადგან იგივე ინფორმაცია ცსს-თვისაც ხელმისაწვდომი იყო. სამმართველო ორ შესაძლო კანდიდატს ასახელებს. კორდ მეიერი ჯონსონისა და ნიქსონის პრეზიდენტობის პერიოდში ცსს-ს დირექტორის ჰოლმსის თანაშემწე იყო. 1973 წელს, მას შემდეგ, რაც მან უარი განაცხადა ნიქსონის მოთხოვნაზე ცენტრალური სამმართველოს გფბ-ს მიერ წარმოებული გამოძიების შეფერხებისთვის ცენტრალური სამმართველოს დირექტორის უილიამ ქოლბია, რომელიც ერთ-ერთი უკანასკნელი "დიდი ჯგაშუშის" სახელით არის ცნობილი. სამმართველოს წინა დირექტორის, ჰელმსის დროს მისი მთავარი ფუნქცია სააგენტოს იმიჯის დაცვა იყო. ასე რომ, მისი მოტივაცია სრულიად გასაგებია. თუმცა, ეს ვერსია მას შემდეგ გამოირიცხა, რაც იგი 1996 წელს გარდაიცვალა, რადგან ცნობილია, რომ ვუდვორდი ინფორმატორის ვინაობას მისი სიკვდილის შემდეგ გაამხელს.

თეთრი სახლის ვერსიის თანახმად კი, ვუდვორდის ინფორმატორისთვის ხელმისაწვდომი იყო იმდენად საიდუმლო და შიდა ინფორმაცია, რომ ის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი, ე.წ. პრეზიდენტის კაცი უნდა ყოფილიყო. აქ, ძირითადად, ორ პიროვნებაზეა ეჭვი – ალექსანდერ ჰეიგი, ნიქსონის კადრების ხელმძღვანელი, და ჰენრი კისინჯერი, ნიქსონის ჯერ ეროვნული უშიშროების მრჩეველი, შემდეგ - კი სახელმწიფო მდივანი. უოტერგეიტის სკანდალი არც ერთს არ შეეხო. ცნობილია, რომ ჰეიგი და ვუდვორდი ერთმანეთს იცნობდნენ. რაც შეეხება კისინჯერს, იგი პრეზიდენტთან ყველაზე დაახლოებულ პირთაგან ერთ-ერთი იყო და ძალიან უყვარდა მედიის ფოკუსში ყოფნა.

როგორც ჩანს, ვერსიები მხოლოდ ვერსიებად დარჩება, სანამ "ვაშინგტონ პოსტის" ჟურნალისტები "ღრმა ყელის" ვინაობას არ გაამხელენ. ამ სკანდალის ყველა მონაწილესა და მასთან რაიმე კავშირში მყოფ თითქმის ყველა პირს საკუთარი, კარგად დასაბუთებული ვერსია აქვს. თუმცა, წყაროს წარმომავლობა არც ისე მნიშვნელოვანი უნდა იყოს. ყველაზე მნიშვნელოვანი საქმის გახსნა, მისი შედეგები და გაკვეთილები იყო.

უოტერგეიტის შედეგები

ამგვარად, უოტერგეიტის საქმის გამოძიება დასრულდა, დამნაშავეთა ვინაობა დადგინდა და ისინი დაისაჯნენ კიდეც. მას შემდეგ უკვე 30 წელი გავიდა, მაგრამ ამერიკელები მას ძვლებურად აფასებენ. CNN/USA Today/Gallup Survey გამოკითხვის თანახმად, გამოკითხულ ამერიკელთა 78 პროცენტი მიიჩნევს, რომ უოტერგეიტი იყო გადამწყვეტი მომენტი მთავრობისადმი ხალხის ნდობის შეცვლის თვალსაზრისით. ამავე დროს, მხოლოდ 44 პროცენტი მიიჩნევს, რომ ნიქსონი იმპიჩმენტს იმსახურებდა, მაშინ როდესაც 38 პროცენტი თვლის, რომ იგი სხვა პრეზიდენტებისგან განსხვავებულად არ იქცეოდა. გამოკითხულთა მხოლოდ 1/3-მა ამ სკანდალის შესახებ არაფერი იცის.

უოტერგეიტის მთავარ შედეგად, ყველაზე ხშირად, მთავრობისადმი ამერიკელების ნდობის დაკარგვას ასახელებენ. გარდა ამისა, არის საუბარი ახალი სტანდარტების დამკვიდრებაზე – შეიცვალა პრესა-ხელისუფლების ურთიერთობა; პრესა პრო-სკანდალური გახდა; ხელისუფლების ავტორიტეტი იმდენად შეილახა, რომ იწყება კორუფციის აღმოფხვრის სისტემატური მცდელობები და სხვა.

სკანდალმა გამოააშკარავა, რომ ამერიკულ პარტიებს არალეგალური, იატაკქვეშა დაფინანსება ჰქონდათ. ორივე პარტიას არალეგალურად 21 დიდი კორპორაცია აფინანსებდა. უოტერგეიტის შემდეგ, რაღაც დროის განმავლობაში, არჩევნები მხოლოდ ე.წ. "სუფთა ფულით" ფინანსდებოდა: პრაიმარიზზე ნებადართული იყო მხოლოდ 1000 დოლარის გამოყენება, შეიქმნა ფედერალური საარჩევნო კომისია, რომელსაც წინასაარჩევნო კამპანიის წესების დადგენა და მათი მონიტორინგი უნდა ეწარმოებინა და სხვ. თუმცა, ეს პერიოდი დიდხანს არ გაგრძელებულა – უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც კვლავ დაიწყო საარჩევნო კამპანიისთვის მილიონობით დოლარის გამოყენების პერიოდი, ოღონდ, 70-იან წლებთან შედარებით, საუბარია უკვე ასობით მილიონ დოლარზე.

უოტერგეიტს ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტი ჰქონდა – ეს იყო ამერიკული პოლიტიკური სისტემის ერთგვარი გამოცდა. უოტერგეიტის მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი გაკვეთილი იმაში მდგომარეობს, რომ ამერიკული სისტემა საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა - მან შეძლო, მოეშორებინა პრეზიდენტი, რომელმაც საზოგადოების ნდობა ბოროტად გამოიყენა და სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა. სისტემა ერთ პიროვნებასა და ადმინისტრაციაზე ძლიერი აღმოჩნდა. უოტერგეიტმა გვიჩვენა იმ სისტემის ძლიერი მხარეები, რომელიც ერთი პიროვნებისა ან პირთა ჯგუფის ნება-სურვილზე არ არის აგებული – ასეთი სისტემა კიდევ ბევრ "ნიქსონს" გაუძლებს. უოტერგეიტის გაკვეთილი ყურადსაღებია ყველასთვის, განსაკუთრებით იმ სახელმწიფოებისთვის, რომელთა ინსტიტუტები ჩამოყალიბების პროცესშია. ჭკვიანი სხვის შეცდომებსა და გაკვეთილებზე უნდა სწავლობდეს.

კომენტარი

„უოტერგეიტი იყო აშშ-ში დემოკრატიის განვითარების კიდევ ერთი ეტაპი„

გელა ჩარკვიანი

საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე საერთაშორისო ურთიერთობებში

- რა გახსოვთ უოტერგეიტის სკანდალზე?

- ეს იყო, ფაქტობრივად, პირველი შემთხვევა, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტს მოუწია პოსტის ვადამდე დატოვება. პრეზიდენტ ნიქსონის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურა იწყებოდა, მაგრამ ნიქსონი დროულად გადადგა. უოტერგეიტი დაკავშირებული იყო ისეთ საქმესთან, რომელიც თავისთავად სერიოზული დანაშაული გახლდათ. კერძოდ, მოხდა კონკურენტი პარტიის ანუ დემოკრატების შტაბ-ბინის საუბრების მოსმენა. უოტერგეიტი შემთხვევითი სახელია. უბრალოდ, დემოკრატების ოფისი უოტერგეიტის სასტუმროში იყო. კიდევ იმას დავუმატებდი, რომ ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა ორმა ამერიკელმა ჟურნალისტმა. მათ მოახერხეს, საქმის არსს კარგად ჩაწვდომოდნენ და ამერიკის საზოგადოებისთვის მიეწოდებინათ. ამან დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოების დამოკიდებულებაზე ხელსუფლებისადმი.



გელა ჩარკვიანი ბესო გელაგეილის ფოტო

- რა რეზონანსი ჰქონდა უოტერგეიტს საბჭოთა კავშირში?

- ტრადიციულად, ყველაფერი ცუდი, რაც კი აშშ-ში ხდებოდა, საბჭოთა კავშირში სიხარულით აღიქმებოდა და ეს შემთხვევა ამერიკის მძაფრი კრიტიკის საგნად იქცა. საბჭოთა კავშირის ხელისუფლება იმ პრინციპით ხელმძღვანელობდა, რომ, რაც უფრო ცუდი რამ მოხდება აშშ-ში, მით უკეთესია საბჭოთა კავშირისთვის. ასე იყო უოტერგეიტის შემთხვევაშიც. უოტერგეიტი და სხვა უფრო არასერიოზული საკითხები, როგორც წესი, გაზეთებში იბეჭდებოდა რუბრიკით "Их Нравы". ამ რუბრიკას იყენებდნენ იმისთვის, რომ საზოგადოებისთვის ემცნოთ – აი, როგორები არიან ეს დასავლელები, ეს კაპიტალისტები. ისინი თავიანთ კონკურენტებს უკანონოდ უსმენენ. ეს, რა თქმა უნდა, ცინიკური განცხადებები იყო საბჭოთა კავშირის მხრიდან, სადაც საერთოდ არ არსებობდა არჩევნები. საბჭოთა კავშირის მთავრობის აზრით, ნამდვილი დემოკრატია სწორედ აქ ყვაოდა, სადაც ერთი პარტია ჰეგემონი იყო და მოქალაქეებს მხოლოდ მინიმალური საბაზო სოციალური გარანტიები ეძლეოდა. საბჭოთა კავშირში ადამიანის უფლებებად იგულისხმებოდა მხოლოდ სოციალური უფლებები, ხოლო ბუნებრივ უფლებებზე, როგორიცაა ძირითადი თავისუფლებები, აქ საუბარიც კი არ იყო. უოტერგეიტი კიდევ ერთი საბაბი გახდა საბჭოთა კავშირისთვის, რომ საქვეყნოდ განეცხადებინა – აი, როგორი გახრწნილია დასავლეთის დემოკრატია, რომ "ბურჟუაზიული დემოკრატიის" ფარგლებშიც კი მათი პოლიტიკოსები ამორალურად იქცევიან.

- რას იტყოდით უოტერგეიტის შედეგებზე? არსებობს მოსაზრება, რომ უოტერგეიტის შემდეგ ამერიკის პოლიტიკაში ახალი სტანდარტები დამკვიდრდა. იყო თუ არა უოტერგეიტი ისეთი მნიშვნელობის, რასაც ახლა ანიჭებენ?

- პირველყოვლისა, უოტერგეიტის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან შექმნა პრეცედენტი. ასეთი რამ ამერიკის ისტორიაში პირველად მოხდა – პრეზიდენტი, რომელმაც სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა, გადადგა. პრეზიდენტის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცესი ერთხელ ერთი საუკუნით ადრე მიმდინარეობდა, მაგრამ 2 ხმა დააკლდა და ამიტომ ენდრიუ ჯონსონის იმპიჩმენტი არ შედგა. ნიქსონის შემთხვევაშიც იმპიჩმენტი არ მომხდარა, რადგან ნიქსონმა გადადგომა არჩია.

უოტერგეიტის მნიშვნელობა იმაშიც გამოჩნდა, რომ ამ შემთხვევის შემდეგ ნებისმიერ სკანდალურ ისტორიას ან ისტორიას, რომელიც უნდათ, რომ სკანდალურად წარმოაჩინონ, "გეიტ" სუფიქსს დაუმატებენ ხოლმე. არადა "გეიტ" ინგლისურად ჭიშკარს ნიშნავს და სკანდალთან არავითარი კავშირი არა აქვს. მაგალითად, იყო ე.წ. "ირანგეიტი" და სხვა "გეიტები". ამგვარად, უოტერგეიტმა ენაზეც კი მოახდინა გავლენა.

კიდევ მნიშვნელოვანი იყო ის, თუ რა როლი შეასრულეს ამ სკანდალის გახმაურებასა და გახსნაში ამერიკელმა ჟურნალისტებმა – ბერნსტინმა და ვუდვორდმა. მათმა მოღვაწეობამ და იმან, რომ მათ შეძლეს ასეთი კოლოსალური გამოძიების ჩატარება, ვერ ვიტყვი, რომ უოტეგეიტის ბედი მთლიანად გადაწყვიტა, მაგრამ თავისთავად პრესის მნიშვნელობა შეუდარებლად გაზარდა. აქ გამოჩნდა მეოთხე ხელისუფლების ძალა და როლი – ანუ ის, თუ როგორი უნდა იყოს ეს როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში. დემოკრატიული საზოგადოება არის დინამიური სისტემა, რადგან იგი შედგება ძალებისგან, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთმოქმედებენ და, წესით, ერთმანეთს უნდა აწონასწორებდნენ. თუ ამ სისტემაში არ არის ბალანსი, მაშინ დემოკრატია დეფექტურია. უოტერგეიტის შემდეგ ამერიკული დემოკრატია უფრო დაბალანსდა. პრესის როლი უფრო გაიზარდა. ღია საზოგაოებაში იგი მაღალი უნდა იყოს.

გარდა ამისა, უოტერგეიტი იყო პრეცედენტი პრეზიდენტებისთვის და ყველა მაღალი თანამდებობის პირებისთვის. ნიქსონი, სხვათა შორის, ნიჭიერი პოლიტიკოსი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, მას არ სწამადა დღეს ძალიან მოდური სიტყვისა "ტრანსპერენტულობა". მას არ სწამდა იმისა, რომ პოლიტიკურ პროცესს გამჭვირვალობა სჭირდება. უოტერგეიტმა გაზარდა გამჭვირვალეობის ხარისხი ხელისუფლების ყველა დონეზე. ამის შემდეგ, ისეთ სტრუქტურებშიც კი, რომლებიც საიდუმლო ინფორმაციას ფლობენ, მუშაობის პროცესი გამჭვირვალე გახდა ან, ყოველ შემთხვევაში, ნაწილობრივ საზოგადოებრივ კონტროლს დაექვემდებარა.

უოტერგეიტის შედეგად ძალიან ბევრი რამ მოხდა და დავეთანხმები იმას, რომ ამერიკის პოლიტიკაში ამ სკანდალმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ეს იყო კიდევ ერთი ეტაპი აშშ-ში დემოკრატიის განვითარებისა.

- რაც შეეხება პრესის ძალას...

- უოტერგეიტის დროს პრესის ძალა რეალურად გამოჩნდა. მე უკვე ვახსენე დემოკრატიის დინამიკურობა და მისი წარმატებულად ფუნქციონირებისთვის მასში წონასწორობის აუცილებლობა. სისტემის ოთხივე კომპონენტი – საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლება და პრესა ძლიერი და ერთმანეთის გამაწონასწორებელი უნდა იყოს. პრესის როლმა უოტერგეიტში დემოკრატია უფრო მაღალ სტანდარტამდე აიყვანა. უოტერგეიტმა სისტემის ყველა კომპონენტი გაამაგრა და წონასწორობა შექმნა.

- ასეთი რამ მხოლოდ ამერიკაშია შესაძლებელი, ვგულისხმობ პრესის ამგვარ როლს, თუ საქართველოშიც შეიძლება შეასრულოს პრესამ ასეთი როლი?

- მე მიმაჩნია, რომ საქართველოშიც პრესამ შეიძლება შეასრულოს ძალიან დიდი და სასარგებლო როლი. უოტერგეიტის შემთხვევაში, საქმე ეხებოდა დანაშაულს, რომელიც სრულად დამტკიცდა. პრესამ, სასამართლომ და სხვა სტრუქტურებმა მათზე დაკისრებული ამოცანა პირნათლად შეასრულეს.

ბუნებრივია, საქართველოშიც პრესას შეუძლია მნიშვნელოვანი როლის შესრულება და, მე მგონი, კიდეც ასრულებს. იგი სისტემის გამაწონასწორებელია. მნიშვნელოვანია მისი ძალისხმევა ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით და სიტყვის თავისუფლების შენარჩუნების საქმეში.

მე პირადად ვისურვებდი, რომ ჩვენ ქვეყანაში ყველა კომპონენტი ერთანაირად ძლიერი და ერთმანეთის გამაწონასწორებელი იყოს. კარგი იქნება, თუ ძლიერ პრესასთან ერთად იარსებებს ძლიერი სასამართლო, რადგან როდესაც პრესაში ადგილი აქვს ცილისწამებას, უნდა იყოს ინსტიტუტი, რომელიც ამას წინ აღუდგება. ამგვარად, თუ საქართველოში ყველა ეს კომპონენტი ძლიერი იქნება, საქართველოს დემოკრატია მიაღწევს იმ სტანდარტებს, რომლისკენაც ჩვენ ყველა მივისწრაფით. არა მგონია, რომ დღეს ყველა კომპონენტი ერთნაირად ძლიერია.

ესაუბრა **ლინა პანტელეევა**

„თვითმფრინავზე რომ დამეგვიანა, უოტერგეიტის ოპერაცია გადაიდებოდა„

რობერტ ჰანტერი

1993-98 წლებში იყო აშშ-ის ელჩი ნატო-ში. ამჟამად "რენდ კორპორეიშენის" უფროსი მრჩეველია

უოტერგეიტი მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ აშშ-ის პრეზიდენტი დანაშაულის დაფარვაში აღმოჩნდა გარეული. მან დაარღვია ის ნდობა, რომელიც ამერიკელ ხალხს ჰქონდა მისადმი, ნდობის გარეშე კი ლიდერობა შეუძლებელია. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, პოლიტიკა არ გამხდარა სუფთა, მაგრამ აშკარაა მზარდი ტენდენცია მედიის მხრიდან, გამოააშკარაოს ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულები და შეცდომები, უფრო სკეპტიკურად შეხედოს მთავრობის წარმომადგენლებს. ჭეშმარიტ დემოკრატიად ქცევისათვის დიდი გზაა გასავლელი და ჩვენ ამ გზის მხოლოდ ნახევარი გვაქვს გავლილი.

რობერტ ჰანტერი ბესო გელაგეილის ფოტო

მეც გარკვეული როლი შევასრულე უოტერგეიტის საქმეში. მე ვმუშაობდი დემოკრატების ნაციონალურ კომიტეტში და იმ ოთახში ვიჯექი, სადაც 5 "პლამბერი" დააპატიმრეს. პარასკევი ღამე იყო, როდესაც ეს მოხდა. საღამოს მე მეგობრის სანახავად სხვა ქალაქში მივდიოდი და ძლივს მივუსწარი თვითმფრინავს. რომ დამეგვიანა, ოფისში დავბრუნდებოდი და იქ დიდხანს დავრჩებოდი, რადგან მნიშვნელოვან პროექტზე ვმუშაობდი. ამ შემთხვევაში ის კაცი, რომელიც გზის მეორე მხარეს ჯონსონის სასტუმროდან თვალყურს ადევნებდა დემოკრატთა კომიტეტის ოფისს, დაინახავდა შუქს ფანჯარაში და, ალბათ, გადადებდა ოპერაციას. რაკი სინათლე არ ენთო, ისინი შევიდნენ. ღამის დარაჯმა დაინახა, რომ ლუქი კარზე მოხსნილი იყო და პოლიციას დაურეკა. დილის ხუთის ნახევარზე პოლიციამ დაურეკა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს. როდესაც ის მოვიდა, ოფისში დახვდა პოლიცია, რომელსაც ხუთივე ყაჩაღი ბორკილდადებული ჰყავდა. ჩემი მაგიდა, რომელიც კუთხეში იდგა, გატეხილი იყო, ქაღალდები უწესრიგოდ ეყარა. პოლიციას ეგონა, რომ ეს ხუთნი ოფისს ძარცვავდნენ და ამის მაგალითად ჩემს მაგიდაზე მიუთითეს, რაც, რა თქმა უნდა, არასწორი იყო. უტერგეიტის მერე ყველა სკანდალს, რაც ამერიკაში მოხდა, "გეიტის" დაბოლოება მიეცა. მაგრამ საბოლოოდ მისი გავლენა მაინც სასიკეთო იყო, რადგან ხალხი მიხვდა, რომ კორუფციისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლა ყველას საქმეა.

TOUR DE FRANCE

ნაცრისფერი გზის რაინდები

ლუჩანო ტაიოლი
ლუქსემბურგი
სპეციალურად "24 საათისთვის"

ეს დღესასწაული უნდა ნახო

ცოტა ვთქვა - გამოდის, რომ არაფერი ვთქვა, ბევრის თქმა კი ნამდვილად წყლის ნაყვა იქნება. და, საერთოდ, ტურ დე ფრანსზე ლაპარაკი ძნელია, ტურ დე ფრანსი უნდა ნახო, ერთხელ მაინც...

არც ჯადოქარი ვარ და არც დროის მანქანა მაქვს, მაგრამ, თუ მომენდობით, ნამდვილად გიჩვენებთ სამყაროს, რომელიც არც ერთს არა ჰგავს; დაგანახებთ ადამიანებს, რომლებიც ოცდაერთ დღეში ასწრებენ იმას, რისთვისაც ზოგს მთელი ცხოვრებაც არ ჰყოფნის; ხელის გულზე გადაგიშლით ქვეყანას, რომლის ველები და მთები, ხეობები და უღელტეხილები დასერილია სულ რაღაც ხუთკილოგრამიანი საოცარი მანქანის ვიწროზე ვიწრო ნაკვალევით; გაჩვენებთ შეჯიბრებას, რომლის ასწლიანი ისტორია ლეგენდებით არის დახუნძლული; საკუთარი თვალით ნახავთ ტკივილისა და სიხარულის, სასოწარკვეთისა და უმაგალითო აღმაფრენის მაგალითებს, სულმოკლეობასა და გამტანობას; შეიგრძნობთ ყოველი ეტაპისა და, მით უფრო, მთელი ტურის შინაგან დრამატურგიას, ურომლისოდაც ნებისმიერი მრავალდღიანი და თვით ტურ დე ფრანსიც ორასიოდე საქმეგამოლეული ველოსიპედისტის მიერ პედლების უაზრო ტრიალს ემსგავსება.

და მაინც, ჩემი თხრობა იმ კადრით მინდა დავიწყო, რომელიც არასდროს არ მშორდება თავიდან.



ამერიკელი ლანს არმსტრონგი წლეულსაც ფავორიტია REUTERS

ობელისკები

პირველი ხუთი წლის წინათ პირენეის მთებში ვნახე. ის ეტაპი უცნაურად დაიწყო. არავინ არავის დარაჯობდა, არავინ ცდილობდა შეტევის დაწყებას. ლიდერებიცა და აუტსაიდერებიც მშვიდად ატრიალებდნენ პედლებს. უღელტეხილიც ერთად გადაიარა მთელმა პელოტონმა, არც დაღმართზე უცდია ვინმეს გაქცევა.

და უცებ, მთელი პელოტონი, როგორც ერთი კაცი, ისე შეჩერდა. გზისპირზე, მომყუდროებულ ადგილას, ობელისკი იდგა. იქვე - ადამიანების ჯგუფი, რომელსაც ვერაფრით ვერ მიაკუთვნებდი სპორტსმენებს. ქალებიც, ბავშვებიც, ხანში შესულნიც. ისინი რამდენიმე წლის წინათ ზუსტად ამ ადგილას დაღუპული ველოსიპედისტის ოჯახის წევრები იყვნენ - მეუღლე, დედ-მამა, შვილი, ახლო ნათესავები. არავინ ტიროდა. არავის ეცვა შავი. შავი არ მოუხდებოდა ამ სურათს. ყველაფერი როგორღაც საქმიანი, ჩვეულებრივი, სიკეთითა და კეთილშობილებით იყო სავსე...

ყოველ წელიწადს იცვლება ტურ დე ფრანსის ტრასა, თითქმის ყოველ წელიწადს მისი რომელიმე ეტაპი აუცილებლად ჩაუვლის გზისპირზე აღმართულ ობელისკს. ტური არავის ივიწყებს - არც ჩემპიონებს და არც იმათ, ვინც აქ, მიუვალ ალპებსა თუ პირენეებში დაიდეს სამუდამო ბინა.

დიდი მარყუჟი - ფრანგული წრე

პირველი ტურ დე ფრანსი 1903 წელს გაიმართა. ტურის ტრასა, ტრადიციულად, საფრანგეთს გარშემო უვლის ("ტური" ფრანგულად წრეს ნიშნავს). გამარჯვებულად ცხადდება სპორტსმენი, რომელიც მთელი ტრასის გავლას ყველაზე ნაკლებ დროს მოანდომებს. არის სხვა ნომინაციებიც: მთის მეფე, საუკეთესო სპრინტერი, საუკეთესო გუნდი, საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენი.

ლიდერი საერთო ჩათვლაში ყვითელი მაისურით ასპარეზობს, ლიდერი სპრინტში - მწვანეთი, ახალგაზრდებს შორის საუკეთესო - თეთრით, მთის მეფეს კი წითელხალებიანი თეთრი მაისურა აცვია.

წლევანდელი 21 ეტაპიდან 10 ვაკეა (დიდი აღმართ-დაღმართების გარეშე), 6 - მთის ეტაპი, ერთი - საშუალო, დანარჩენი კი ინდივიდუალურ რბოლებს განეკუთვნება, რომელშიც სპორტსმენები ცალ-ცალკე, 3-3 წუთის ინტერვალით იღებენ სტარტს. აკრძალულია მეტოქის ზურგს ამოფარებული რბოლა. ერთი სიტყვით, ამგვარ ეტაპებზე (პროლოგი საშუალოდ 10 კმ-მდეა, დანარჩენი სამი, რომელთაგან ერთი გუნდურია - გუნდი ცალკე ასპარეზობს - დაახლოებით 50 კმ) ველოსრბოლს მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ დანარჩენ ეტაპებზე, განსაკუთრებით კი, ვაკე-ეტაპებზე, პელოტონის დიდი ნაწილი, მუშა-მრბოლების ზურგს ამოფარებული, თითქმის არ ხარჯავს ენერგიას. სხვა საქმეა მთიანი ეტაპები. აქ უკვე გუნდების ლიდერები (სულ წლევანდელ ტურში 21 გუნდი იასპარეზებს, თითოეულში 9 სპორტსმენია) გამოდიან პელოტონის სათავეში.

წლეულს ტური ლუქსემბურგში აიღებს სტარტს. გაივლის გერმანიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს, გავა ატლანტის ოკეანის სანაპიროზე და სამხრეთით, პირენეებისკენ დაეშვება. მობრუნდება აღმოსავლეთით, რამდენიმე დღეს იხეტიალებს ალპებში, და ბოლოს, ელბადან გამოქცეულ ნაპოლეონ ბონაპარტესავით, ზარ-ზეიმით შევა პარიზში.

ფული ყველაფერია?

არ დაიჯეროთ, თითქოს ტურის მომხიბვლელობა და საპრიზო ფონდი პირდაპირპროპორციულ კავშირშია ერთმანეთთან. გამოყოფილია სულ ორნახევარი მილიონი ევრო. საერთო ჩათვლაში გამარჯვებულის წილი ოთხასი ათასია. აი, აქ კი სპორტის საკმაოდ ბევრ სახეობაში დატრიალებული დოლარების რაოდენობით გაოგნებულ თუ აღტაცებულ ხალხს იმედი უნდა გავუცრუო. ცალკეულ ეტაპებსა თუ სხვადასხვა ნომინაციაში მოპოვებულ თანხას გუნდი ერთად უყრის თავს და მხოლოდ ამის შემდეგ ნაწილდება იმის მიხედვით, ვის რა დამსახურება მიუძღვის. დამსახურებით კი ზოგიერთი შავი მუშა, ეგრეთ წოდებული გრეგარი, ნომინანტზე მეტსაც იმსახურებს.

ფული, ცხადია, არავის სწყენს, მაგრამ, დამერწმუნეთ, ტურ დე ფრანსის ჩემპიონობა ისეთი რამ არის, იქით დადებს კაცი ფულს. აქ მოპოვებული გამარჯვება აქაურ პრიზებს ათჯერ და ასჯერაც აჭარბებს. ტური ველოსიპედისტთა ოლიმპიური თამაშებია, ტურის ჩემპიონი - ოლიმპიური ჩემპიონი ველოსპორტში. ეს კი სამუდამო ტიტულია, სიცოცხლის ბოლომდე და იმის შემდეგაც.

მაინც ვინ

იან ულრიხის, მარკო პანტანისა და ალექს ცულეს არყოფნით ამერიკელ ლანს არმსტრონგს ამოცანა ერთობ გაუადვილდა. რა თქმა უნდა, ტურ დე ფრანსში გამარჯვებას არმსტრონგს ხონჩით არავინ მიართმევს, მაგრამ, საფიქრებელია, რომ ვერც შარშანდელი ტურის ბრინჯაოს პრიზიორი, ესპანელი ხოსება ბელოკი, ვერც ტელეკომელი ბობი ჯულიჩი, ვერც სამი საოცრად ნიჭიერი ახალგაზრდა მრბოლი - ესპანელი ოსკარ სევილა ("კელმე"), რუსი დენის მენშოვი ("ბანესტო"), ესპანელი ფრანცისკო მანსებო ("ბანესტო") - ვერ გაუწევენ კონკურენციას ტურის სამგზის გამარჯვებულს. საეჭვოა, რომ იტალიელებმა დარიო ფრიგომ ან პაოლო სავოლდელიმ (წლეულს პირველი იყო "ჯიროში იტალიაში") ივაჭკაცონ საფრანგეთის მაღალ ალპებში. ამასთან, ყველა ზემოჩამოთვლილი სპორტსმენი ინდივიდუალურ რბოლაში აშკარად ჩამორჩება ამერიკელს. რაც შეეხება ვეტერანებს, ჩემი აზრით, მორომ, ვირანკმა (ხუთჯერ იყო მთის მეფე ტურზე) და დიუფომ უკვე გაიარეს სპორტული კარიერის პიკი. ასე რომ... თუმცა, არის ერთი რამ, რის გარეშეც მრავალდღიანი ერთობ მოსაწყენ შეჯიბრებად გადაიქცეოდა. ნებისმიერ ეტაპზე, ვიმეორებ, ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება მოხდეს ისეთი რამ, რისი წინასწარ გათვალისწინებაც მამაღმერთს თუ შეუძლია. ტურზე, ისევე როგორც ჯიროზე ან ვუელტაზე (ესეც წრეს ნიშნავს, ოღონდ - ესპანურს) ერთობ ხშირია "ზედახორები". ვიღაცა რაღაცის გამო წაიქცევა და ზედ სხვებიც მიჰყვებიან ხოლმე. ამგვარი "ავარიების" შემდეგ დაშავებულ სპორტსმენებს სამედიცინო მანქანებში უწევთ ჩაჯდომა, რაც შეჯიბრებასთან გამომშვიდობებას ნიშნავს. უფრო კურიოზული შემთხვევებიც იცის ტურ დე ფრანსმა. 1999 წელს ტურის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი, შვეიცარიელი ალექს ცულე ერთი ასეთი "ავარიის" შემდეგ ჩამორჩენილთა ჯგუფში აღმოჩნდა. "ავარია" პელოტონის შუაგულში მოხდა და, სანამ დამტვრეული ველოსიპედებისგან და ხელ-ფეხ გადაყვლეფილი სპორტსმენებისგან ათავისუფლებდნენ გზას, წინა ჯგუფმა ორწუთიანი განსხვავება "გააჩალიჩა". ამას კიდევ მოევლებოდა, მაგრამ წინა ჯგუფში მოხვედრილმა რამდენიმე გუნდმა (მათ შორის იყო ტურის მომავალი გამარჯვებულის ლანს არმსტრონგის გუნდიც) პირი შეკრა და მაქსიმალური სიჩქარე განავითარა. განახევრებული გუნდის ამარა დარჩენილი შვეიცარიელი ბევრს ეცადა, მაგრამ... დაწინაურებული ჯგუფის სათავეში ოთხი სრული გუნდი "მუშაობდა", მდევართა ჯგუფში კი, ცულესა და მისი რამდენიმე თანაგუნდელის გარდა, მაინცდამაინც არავის ანაღვლებდა ორ, ოთხ თუ ექვსწუთიანი ნაგება ლიდერებთან. ეს მოხდა მეორე თუ მესამე ეტაპზე. საბოლოოდ კი შვეიცარიელს სწორედ ის ექვსი წუთი არ ეყო არმსტრონგთან თანაბრად საბრძოლველად.

ეს ნაღვლიანი ამბავი მხოლოდ იმიტომ მოვყევი, რომ მსგავსისა და კიდევ უარესისგან ტურზე არავინ არის დაზღვეული.

და ბოლოს, ყოფნა-არყოფნასავით უცილობელი კითხვა - ვინ? ვინ გახდება ჩემპიონი?! მოკლედ, საჭიროა პროგნოზი - დესერტი, ურომლისოდაც არ მთავრდება არც ერთი ქომაგის ყველაზე მსუბუქი წახემსებაც კი...

მაინც ვინ გახდება ჩემპიონი?

შევეცდები, ამ კითხვას ფეხბურთის წიაღში დაბადებული ხუმრობის ანალოგით ვუპასუხო: ბოლო წლების ტურ დე ფრანსი მსოფლიოს საუკეთესო ველოსპორტსმენთა სამიათასკილომეტრიანი მარათონია, რომლის ფინიშზეც მეტოქეებს კარგა ხანია უცდის ამერიკელი ლანს არმსტრონგი.

თუმცა, ერთიც არის. თქმა არ უნდა, იშვიათად, მაგრამ ისევე, როგორც სპორტის სხვა სახეობებში, აქაც ხდება ეგრეთ წოდებული სენსაციები. მე თუ მკითხავთ, ეს ყბადაღებული სიტყვა "სენსაცია" უფრო უცოდინრობისა და საქმეში ჩაუხედაობის შედეგია, თორემ გავა ხოლმე სულ ცოტა ხანი და აღმოჩნდება, რომ არავითარი სენსაცია არ მომხდარა. მერე და მერე ყველა ხვდება, რომ იმ თითქოსდა მოულოდნელი შედეგის ავტორს სავსებით დამსახურებულად უჭირავს სწორედ მისთვის განკუთვნილი ადგილი. ამით იმის თქმა მინდა, რომ ერთია პროგნოზები, სულ სხვა კი - რეალობა. ამიტომ, სულაც არ გამიკვირდება, თუ 28 ივლისს ელისეს მინდვრებზე დაფნის გვირგვინით ბობი ჯულიჩს, ოსკარ სევილას, ანდა, სულაც რომელიმე ვეტერანს შემოსავენ.

კალენდარი

6 ივლისი - პროლოგი: ლუქსემბურგი 6,5 კმ.
7 ივლისი - I ეტაპი: ლუქსემბურგი - ლუქსემბურგი 195 კმ.
8 ივლისი - II ეტაპი: ლუქსემბურგი - საარბრიუკენი 175 კმ.
9 ივლისი - III ეტაპი: მეც - რემსი 185 კმ.
10 ივლისი - IV ეტაპი: ეპერნი - შატო-ტიერი. გუნდური რბოლა, 68 კმ.
11 ივლისი - V ეტაპი: სუასონ - რუანი 198 კმ.
12 ივლისი - VI ეტაპი: ფორჟ-ლეზ-ო - ალანსონი 198 კმ.
13 ივლისი - VII ეტაპი: ბანიოლ დე ლორნ - ავრანში 173 კმ.
14 ივლისი - VIII ეტაპი: სან-მარტინ-დე-ლანდელ - პლუაი 214 კმ.
15 ივლისი - IX ეტაპი: ლანესტერ - ლორეანი, ინდივიდუალური რბოლა, 55 კმ.
16 ივლისი - დასვენების დღე.
17 ივლისი - X ეტაპი: ბაზა - პო 147 კმ.
18 ივლისი - XI ეტაპი: პო - ლა მონჟიე 158 კმ.
19 ივლისი - XII ეტაპი: ლანემეზან - პლატ დე ბეილ 198 კმ.
20 ივლისი - XIII ეტაპი: ლაველან - ბეზიერ 166 კმ.
21 ივლისი - XIV ეტაპი: ლოდევ - მონ ვენტუ 220 კმ.
22 ივლისი - დასვენების დღე.
23 ივლისი - XV ეტაპი: ვეზონ-ლა-რომენ - ლე დოზ ალპ 226 კმ.
24 ივლისი - XVI ეტაპი: ლე დოზ ალპ - ლა პლან 179 კმ.
25 ივლისი - XVII ეტაპი: ემ - კლუზ, 141 კმ.
26 ივლისი - XVIII ეტაპი: კლუზ - ბურგ-ან-ბრეს 180 კმ.
27 ივლისი - XIX ეტაპი: რენიე-დიურტ – მაკონი, ინდივიდუალური რბოლა, 52,5 კმ.
28 ივლისი - XX ეტაპი: მელუნ - პარიზი (ელისეს მინდვრები) 145 კმ.

გუნდები

იტალია
1. ფასა ბარტოლო
2. ლამპრე დაიკინი
3. მაპეი
4. ტაკონი
5. ალესიო

საფრანგეთი
6. AG 2R
7. ბონჟურ
8. კოფიდისი
9. კრედიტ აგრიკოლა
10. FDJEUX
11. დელატური

ესპანეთი
12. ბანესტო
13. კელმე
14. ონსე
15. ეუსკალტელი

ბელგია
16. დომო
17. ლოტო

გერმანია
18. ტელეკომი

აშშ
19. us პოსტალ სერვისი

დანია
20. ტისკალი

ჰოლანდია
21. რაბობანკი

გამარჯვებულები
1992-დან 2002-მდე

2001 - ლანს არმსტრონგი (აშშ)
2000 - ლანს არმსტრონგი
1999 - ლანს არმსტრონგი
1998 - მარკო პანტანი (იტალია)
1997 - იან ულრიხი (გერმანია)
1996 - ბიარნ რიისი (დანია)
1995 - მიგელ ინდურაინი (ესპანეთი)
1994 - მიგელ ინდურაინი
1993 - მიგელ ინდურაინი
1992 - მიგელ ინდურაინი

2001 წლის შედეგები

1. ლანს არმსტრონგი (აშშ)
2. იან ულრიხი (გერმანია)
3. ხოსება ბელოკი (ესპანეთი)
4. ანდრეი კივილევი (ყაზახეთი)
5. იგორ გონზალეს გალდეანო (ესპ.)
6. ფრანსუა სიმონი (საფრანგეთი)
7. ოსკარ სევილა (ესპანეთი)
8. სანტიაგო ბოტერო (ესპანეთი)
9. მარკოს სერანო (ესპანეთი)
10. მაიკლ ბოგარდი (ჰოლანდია)

გამარჯვებული ქვეყნები

საფრანგეთი - 36
ბელგია - 18
იტალია - 9
ესპანეთი - 8
აშშ - 6
ლუქსემბურგი - 4
შვეიცარია - 2
ჰოლანდია - 2
გერმანია - 1
ირლანდია - 1
დანია - 1

"ტურ დე ფრანსის" მარშრუტი

უიმბლდონი

პირველი ნომერი ფინალშია



ჰიუიტის მეტოქე დღეს გაირკვევა

REUTERS

"ძალიან ცუდ ფორმაში ვიყავი და კანონზომიერად წავაგე. ჰიუიტი დღეს მართლაც საუკეთესოა. მეორე სეტის გახსენებაც კი არ მინდა. ეს იყო ჩემს მიერ ჩატარებული ყველაზე სუსტი სეტი კარიერის განმავლობაში. ლეტონს კი წარმატებას ვუსურვებ," - ეს სიტყვები ინგლისელმა ჰენმანმა, უიმბლდონის ნახევარფინალის დასრულების შემდეგ წარმოთქვა. ინგლისელები ჰენმანისაგან მხოლოდ გამარჯვებას ითხოვდნენ. სპეციალისტები კი აღნიშნავდნენ, რომ ბრიტანელი უიმბლდონის მსვლელობისას შორს იყო თავის ოპტიმალურ ფორმისგან. პირველი სეტი ლეიტონ ჰიუიტმა დაძაბული ბრძოლის შედეგად, 7:5 მოიგო. მაყურებელი მეორეში დაძაბულ ბრძოლას ელოდა, მაგრამ ამაოდ. ავსტრალიელის უპირატესობა უფრო საგრძნობი გახდა-ჰენმანმა მხოლოდ ერთი გეიმი მოიგო და უბრძოლველად 1-6 წააგო. ამის შემდეგ ცხადი გახდა, რომ მომდევნო სეტი მხოლოდ ფორმალობა იყო. მასპინძელმა კი გაიბრძოლა, მაგრამ კვლავ 5:7 დამარცხდა და ფინალის საგზური აშკარად უფრო ღირსეულს, ავსტრალიელ ლეიტონ ჰიუიტს დაუთმო. "თამაშით კმაყოფილი ვარ. ტიმოტი ძლიერი ჩოგბურთელია, მაგრამ დღეს ობიექტურად უკეთ ვითამაშე და გავიმარჯვე. გადამწყვეტი მეორე სეტი გამოდგა, რომელიც ძალიან ადვილად მოვიგე და, საბოლოოდ, ფსიქოლოგიური უპირატესობაც მოვიპოვე. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, ვის შევხვდები ფინალში. კორტზე მხოლოდ მოსაგებად გავალ," - განაცხადა ავსტრალიელმა. მისი მეტოქე არგენტინელი დევიდ ნალბანდიანისა და ბელგიელი ქსავიე მალისეს შეხვედრას უნდა გაერკვია. პირველი სეტი უაღრესად დაძაბული გამოდგა და ტაი-ბრეიკით, არგენტინელის გამარჯვებით დასრულდა. მეორე სეტის დაწყების წინ მოიღრუბლა და წვიმაც წამოვიდა. შეხვედრა მაშინ შეწყდა, როდესაც ნალბანდიანი 4:2 იგებდა და მალისე კი აწვდიდა. წვიმის გამო შეწყდა კიდევ 10 შეხვედრა. მატჩი განახლდა და ორი სეტი ჯერ არგენტინელმა, შემდეგ კი ბელგიელმა მალისემ მოიგო. ამის შემდეგ შეხვედრა შეწყდა და ჰიუიტის მეტოქის ვინაობა დღეს გაირკვევა. თუმცა, ერთი მატჩის დასრულება მაინც მოესწრო. ქალთა ერთეულთა თანრიგის ფინალისტები, დები უილიამსები წყვილთა თანრიგის ნახევარფინალშიც გავიდნენ. ამერიკელებმა ორ სეტში იოლად დაამარცხეს სლოვაკი ჩოგბურთელები კრიზანი და სრებოტნიკი 6:2, 6:2. ქალთა ფინალი დღეს გაიმართება. უილიამსების შეხვედრის პირდაპირ რეპორტაჟს თქვენ სამაუწყებლო კომპანია რუსთავი-2-ის ეთერში იხილავთ.

TV პროგრამა 6 ივლისი

რუსთავი - 2

შაბათი 6.07

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
10.00 უიმბლდონის ტურნირის მიმოხილვა
11.00 მულტსერიალი
12.00 სერიალი „ნიკიტა“
12.50 მხ.ფილმი
14.20 სიმფსონები
14.50 მხ. ფილმი
16.50 ჯაზი
18.00, 00.00 კურიერი
18.20 უიმბლდონის ტურნირის ფინალი ქალებში
19.30 დოკ. ფილმი
20.00 ჯეოპოპი
21.00 კურიერი ზყთყ
22.00 ფსიქო. მხ.ფ. „მამინაცვალი“
00.15 მხ.ფ. „იაკუძა“. მთ.როლებში: როგერტ მიტჩემი, ტაკაკურა კენი
02.00 ღამის ჯაზი

პირველი არხი

08.00, 15.00, 00.00 მოამგე
08.15 მულტსერიალი „სიმბა ფეხბურთელი“
08.40 მხიარული კარუსელი
09.05 „მსოფლიოს ველური ბუნება“
10.00 „დილის პაემანი“
11.00 გინდ დაიჯერეთ, გინდ არა
11.25 ცირკი
12.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე
12.25 კვალი
12.55 საწინდარი
13.25 ტელე-სინე-ვიდეო
14.00 „თქვენთვის, თქვენზე და თქვენს შესახებ“
14.15 გელკანტო
14.35 50-50
15.15 სატელევიზიო სპექტაკლი „უგემური ვახშამი“
15.45 შორეული ახლოგელი
16.20 ვიცი
16.50 მხ. ფილმი „რუი გლაზი“
18.25 ფიქრის გორა
19.00 „ვესტნიკი“
19.40 ტელეზღაპარი
20.00 ტაიმაუტი
20.55 კონცერტი
22.25 ქიმერიონი
23.00 მეალობანია
23.35 დოკ.სერიალი „მეოცე საუკუნე“
00.15 მხ. ფილმი „უკანასკნელი სექტემბერი“

მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამგე“ მეორე არხზე
19ყ10 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი „ბრძოლა იერუსალიმისათვის“
21.30 მიზანი
22.10 მხ. ფილმი „გულით ველურები“

ევრიკა

10.00 მხ. ფილმი „თხუპნია ჯოს თავგადასავალი“
12.00 პროგრამა „სალონი“
13.30 ექიმი გვირჩევს
14.30 მუსიკა
15.00, 21.00 ვესტი
15.30 მულტფილმი
16.00 ლაბირინთი
16.30 სერიალი „მოქალაქე უფროსო“
17.30 თქვენი ადვოკატი
18.30 რუსული ენის ტელეგაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის ტელეგაკვეთილი
19.30 ცეროდენა ვარსკვლავები
20.00 თინეიჯერი
21.25 ზერკალო
22.00 ...და ღმერთმა შექმნა ქალი
22.40 თეატრალური შეხვედრები
23.40 მსოფლიო სპორტი
0.40 მხ. ფილმი „ოპერაცია „ი“ და შურიკას სხვა თავგადასავლები“

იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია
08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი
08.15, 20.15 აღსავალი
08.20, 10.05, 12.45, 20.20, 22.05, 23.45 მუსიკა
08.25 მხ.ფ. „მებოგრების წრეში“
10.15 მხ.ფ. „მალჰოლანდის ძუჩა“
20.25 მხ.ფ. „ძალთა ორთაბრძოლა“
22.15 მხ.ფ. „ელემენტები“

პირველი სტერეო

07.30 „ცხოვრება სიტყვაში“
10.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა „ტორტლა“
13.00 „ცენტრი“ განმეორებით
14.00 „მუსიკალური ათეული“ განმეორებით
14.45 „მო“ განმეორებით
15.40 „სწ.მედია“ მხ.ფ. „ცუდი გიჭები“
18.00 „სველი ხაზი“ განმეორებით
19.00 მუსიკა
20.00 ჩაძირობანა
22.00 „პაპარაცები“ განმეორებით
23.00 პრეს-პრესი
00.00 „ბრავო“ მხ.ფ. „არასაბავშვო ფილმი“, „მშობლებთან გაცნობა“, „მეცხრე კარიბჭე“
02.00 „ღამურა“ მხ.ფ. „ცოლქმრული ღალატის ტექნიკა“. მთ. როლში რიშარ გერი
03.30 ნონ-სტოპი

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „ინტუიცია“
13.30 მხ. ფილმი „დიკ ტრეისი
15.00 მხ.ფ. „უფსკრული“
17.00 მხ.ფ. „ბანგკოკ ჰილტონი“
19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“
19.20 მუსიკა
21.00 მხ.ფ. „გაიცანით ჯო გლექი“
00.20 მხ.ფ. „უშველე და შეინარჩუნე“

მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 „დღის ამბები“
09.20 ლიმონი და ლიმონათი
09.35 მულტფილმი „ალექსი“ 25-ე სერია
10.00, 15.00 საინფორმაციო შემეცნებითი მუსიკალური გადაცემა „დილა“
11.20 მხ.სერიალი „ჰორასი და თინა“ 25-ე სერია
11.45, 13.50, 18.40, 22.10, 00.20 მუსიკა
12.00 მხ. ფილმი „გორტს იქით“
14.00 მუსიკალური გადაცემა „გელისიმო“
14.45 მულტფილმი „მხიარული გელოდიები“
16.20 მთავარი თემა
17.00, 19.40 დისკავერი
17.45 დოკ. ფილმი „იაპონური კინოს ასი წელი“
19.00 გადაცემა „ჭკუის კოლოფი“
21.10 მხ.სერიალი „ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური“
22.15 მხ. ფილმი „ფოტოგრაფი“. მთ. როლში ჯო პეში
00.40 მხ.ფ. „ეშმაკის ადვოკატი“ მთ. როლებში კიანუ რივზი, ალ პაჩინო

აჭარის ტელევიზია

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 სათავგადასავლო ფილმი „გეთჰოვენი 3“
10.05 მსოფლიო ხელოვნების დიდოსტატები „როდენი“
11.15 „ეძსკლუზივი“
12.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 ქართული მხატვრული ფილმი „მარადისობის კანონი“
13.30 „მზე აქ შემოჩერება“
13.40 მიუზიკლი „ჰელოუ , დოლი“
16.15 მულტფილმი „მაუგლი“
16.55 დრამა „სასტიკი ადამიანები“
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“
19.30 „ყველანი ვართ პატარები“
19.40 მხატვრული ფილმი „ცისმგირელი დალაქი“ 1 ნაწილი
21.00 დოკუმენტური ფილმი
21.40 „ფოკუსი“
22.50 „პერსონა“
23.20 „Улово“
00.50 მხატვრული ფილმი „ პირველი რაინდი“
03.30 დრამა „ვილარი და ჯეკი“

VII არხი

18.00, 21.45,23.00,01.55 ანონსი
18.05,21.50 ამინდის პროგნოზი
18.15 მუსიკალური ტაიმაუტი
18.40 „სახლიდან გაუსვლელად“
19.00 „აჩიკუდა“
19.25 „გედნიერი ერი“ ილიას აუგლიცისტური წერილების მიხედვით.
19.35 მხ.ფ.ჟანრებში: - „ცხელი თავები“ - 1 სერია
ა.შ.შ. 1998 წელი. კომედია. რეჟისორი - ჯეიმს აბრაჰამსი. როლებში: ჩარლი შინი, კერი ელვესი.
20.55 „სახლიდან გაუსვლელად“
21.15 „ღამის კაპარიზი“
22.20 პრესის მიმოხილვა
22.35 „სახლიდან გაუსვლელად“
22.55 მხ.ფ.ჟანრებში: - „ცხელი თავები“ - მე-2 სერია
ა.შ.შ. 1998 წელი. კომედია. რეჟისორი - ჯეიმს აბრაჰამსი. როლებში: ჩარლი შინი, კერი ელვესი.
00.20 სპორტული პროგრამა - „კასკადიორები“
00.40 მუსიკალური ტაიმაუტი.
01.10 პრესის მიმოხილვა.

1 ОРТ

07.40 х.ф. "ЖИЛ-БЫЛ НАСТРОЙЩИК"
09.00, 11.00, 100 Новости.
09.15 "Незнайка на луне"
09.30 Ералаш
09.50 Слово пастыря.
10.05 сериал "СОБАЧЬЕ ДЕЛО"
11.10 Смехопанорама Евгения Петросяна
11.45 Смак
12.05 "Смиертельное оружие: Русская версия"
12.45 "БЕГЛЕЦ"
13.25 "Чтобы помнили..."
14.05 "КТО ЗАПЛАТИТ ЗА УДАЧУ"
15.30 Дисней-клуб.
16.10 Фестиваль "Реальная музыка"
17.15 "ВЫЙГРЫШ ОДИНОКОГО КОММЕРСАНТА"
19.20 Последняя "Большая стирка"
16.55 х.ф. "БЕРЛИНСКИЙ ЭКСПРЕСС" 1-я с .
21.00 "Кто хочет стать милионером?"
22.00 Время
22.30 х.ф. "КРАСНЫЙ УГОЛ"
00.45 х.ф. "КАЗИНО"

РТР

07.20 х.ф. "ТРОЙНАЯ ПРОВЕРКА"
08.55 "ПОВЕЛИТЕЛЬ ЗВЕРЕЙ"
09.40 Здоровье и жизнь
10.15 Военная программа.
10.30 Золотой ключ.
10.50 Доброе утро, страна!
11.25 "КОРОЛЕВА КРАСОТЫ ИЛИ ОЧЕНЬ ТРУДНОЕ ДЕТСТВО"
11.50 Телеигра "Сто к одному"
12.45 "ВЗЛОМЩИКИ"
14.25 "КОМЕДИЙНЫЙ КОКТЕЙЛЬ"
15.00, 21.00 Вести
15.20 "ОПАСНО ДЛЯ ЖИЗНИ"
17.00 Концерт З.Тутова
18.30 Вести - Москва.
19.00 Моя семья
19.55 Аншлаг
21.25 Зеркало
22.00 х.ф. "ОТЧАЯННЫЙ"
00.05 х.ф. "МОРДАШКА"
02.10 чемпионата мира по автогонкам Формула 1

НТВ

07.35 Сериал "ГОЛУБОЕ ДЕРЕВО"
09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00 Сегодня.
09.15 фильм "СЫН ПОЛКА".
10.30 Ох уж эти дети
11.20 "Чистосердчное признание"
11.45 "Женский взгляд" А. Кабаева
12.25 Квартирний вопрос.
13.25 фильм "ПРИКАЗАНО ВЗЯТЬ ЖИВЫМ"
15.10 Вкусные истории.
15.25 Путешествия натуралиста.
16.00 Своя игра.
17.25 Профессия-репортер.
17.55 "Необыкновенные приключения африканцев в России".
18.50 Док. сериал "Неизвестная планета".
19.45 Вы будете смияться
20.35 фильм "ОХОТА НА ЗОЛУШКУ".
21.40 фильм "УДАР ЛОТОСА"
23.45 Бокс
00.55 фильм "КРЕОЛА"

TV პროგრამები მოგვაწოდა საბეჭდო ინფორმაციამ

02:00 სთ-ზე
უიმბლდონის მიმოხილვა

რეინკარნაცია

ვიესა-კიჩი უსასრულო მოქმედებად

მოქმედი პირნი: **შემსრულებელი:**

თვითონ ... რეალური, ცხოვრებიდან

წამყვანი ... "კავკასიური ცარცის წრიდან"

მასხარა ... "მეფე ლირიდან"

ლუარსაბი ... "კაცია-ადამიანიდან?!"

მხატვარი ... იგივე თვითონ

გამღიზიანებელი ... ქეთევან სადღოგელაშვილი

მოქმედება და სურათი ყოველწამიერად იცვლება

სცენა წარმოადგენს ნახატებით სავსე ოთახს. თვითონ და გამღიზიანებელი პირისპირ, "საბრძოლო პოზიციებს" იკავებენ, ლევიტაციურ მდგომარეობაში მყოფი დანარჩენები გამოსვლას ელოდებიან, წვერგაპარსული ფოტოგრაფი ხან გამოჩნდება, ხან გაქრება.

მოქმედი პირნი

გამღიზიანებელი: *(კითხვა უინტერესოდ ეჩვენება და ფირს გადაახვევს)*

წამყვანი: ფსიქიკაში უკვე მოიძველდა ლაპარაკი და ფიქრი იმაზე, თუ როგორ ვხატავ, როგორ ვთამაშობ, რანაირად მოვევლინე სამყაროს, საიდან და როდის დაიწყო ჩემი "შემოქმედებითი წიაღსვლები..."

გამღიზიანებელი: მაშინ საკუთარ თავს თავი დაანებეთ და მოვლენები ახსენით...

თვითონ: *(პაუზა)* ერთ მშვენიერ დღეს ფანჯარას რომ გააღებ, იგრძნობ იმას, რასაც მთელი ცხოვრება ვერ გრძნობდი - თურმე, შენი ფანჯრის წინ ამდენი ხანია დგას ფანტასტიკური ხე. უტილიტარულ, ჩვეულებრივ ცხოვრებაში, იყურები შენი სარკმლის იქით, გამვლელისკენ, ქუჩით ერთობი და ვერ ხედავ ხეს, რომელიც აგერ, შენს თვალწინაა. ერთხელ სარკმლის გაღება და მშვენიერების დანახვა ყველას ცხოვრებაში ხდება, ზოგჯერ ადრე, ზოგჯერ გვიან, ფხიზელი თვალი ანუ გონება ამას ოდესმე აუცილებლად დაინახავს და ჩაავლებს...

გამღიზიანებელი: *(ცდილობს პრაგმატულ მკითხველზეც იფიქროს და კონკრეტიკისკენ ექაჩება)*

რა მასალას იყენებთ ხატვისას?

(გაღიზიანებულია, პირობას დებს, რომ აღარასოდეს გაუწევს ანგარიშს ყველაფრის მკითხველს და მსგავს იდიოტობას აღარავის შეეკითხება)

მხატვარი: შერეულ ტექნიკას - აკრილს, ზეთს, ტემპერას. მუყაოს და ტილოს აღარ მივათვლი. ნახატს ერთი ამოსუნთქვით ვაკეთებ. როცა ვიწყებ, თუ მაშინვე არ დავამთავრე, ნერვები მეშლება და ფსიქიკა მიტრიალდება, არც ერთი ნამუშევარი ნაფიქრი არაა. თავიდან ლაქების მიხედვით ვხვდები, როგორი ხასიათის, მიზიდულობისა და "აღმაფრენის" გამოდის, მერე ჩნდება გამოსახულება, რომელსაც მივყვები - ან ვამდიდრებ, ან ვაფუჭებ. არ მინდა, მატრაკვეცული ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ ტალანტი მხოლოდ გენიოსებს მისცა ღმერთმა, მე კი ხატვის პროცესი ყოველდღიურ გართობასა და "ჟამთა სრბოლის" გამარტივებაში მეხმარება, ვატყუებ და ვახარებ ჩემს ჭიას, რაც მთავარია, აქ მე ვარ რეჟისორი და სხვის მითითებებს არ ვასრულებ...

გამღიზიანებელი: ანუ მხატვრობა არის ადგილი, სადაც იკმაყოფილებთ იმ პატივმოყვარეობას, რომელიც თეატრში რეჟისორმა დაგითრგუნათ...

მხატვარი: არ მინდა, კითხვა გამიმძაფროთ და გახადოთ ისეთივე ანტაგონისტური, როგორიცაა ურთიერთობა რეჟისორსა და მსახიობს შორის. ჩემთვის გამოცდაა ყველაფერი - სცენაზე უნდა წარდგე შენი ცხვირ-პირით, ტილოზე კი - შენგან მოგონილი ილუზიებით. პრინციპში, ორივე ილუზორული სამყაროა...

გამღიზიანებელი: და ორივე შემთხვევაში თქვენ გამოდიხართ მატყუარა - მაყურებელს ნახატითაც ატყუებთ და პერსონაჟითაც...

თვითონ: ხელოვნება, ზოგადად, კარგი ტყუილია, მაგრამ ჩემთვის ესაა მამაკაცური საწყისის ჟინი - რაღაცის დამორჩილების, გალამაზების, შეცვლის, ურთიერთობების. რეზიუმეებით უნდა იყოს გატენილი ცხოვრება. ერთ მშვენიერ დღეს რომ აღარ გექნება ინტერესი და გაიცრიცება სურვილები, ე.ი. ცხოვრება დამთავრდა.

გამღიზიანებელი: ასაკს ძალიან განიცდით ამ ბოლო დროს...

წამყვანი: არაფერსაც არ განვიცდი, იწყება მეორე სუნთქვა, მესამე, ჩემს შემთხვევაში კი – მეათე. ადრე ბევრი რამ გადაიდო ფსიქიკაში და ახლა ვიწყებ იმის დატრიალებას, რაც განუხორციელებელი დამრჩა. ობივატელურ სურვილებს არ ვგულისხმობ...

გამღიზიანებელი: რა, ობივატელი არა ხართ?

მასხარა: ობივატელიც ვარ, ამპარტავანიც, ეგოისტიც, გათახსირებულიც. მოკლედ, ქართველი ვარ. ამიტომ ჩემშია კარგიც და უფრო მეტი - საშინელი თვისებები და ნიშნები. გამორჩეულობისთვის არ ვიბრძვი და თუ მაინც ვცდილობ ამას, გამოცდის ჩაბარებისთვის მჭირდება. გამოცდა კი მოცემული პირობაა ზევიდან - რეალობა და მისტიკა ერთად. კითხვის ნიშნები ადრეც ჩნდებოდა და ახლა – მით უმეტეს, მაგრამ "დროთა სრბოლაში" ცოტა სიბრძნეც ხომ ემატება ადამიანს?

გამღიზიანებელი: ე.ი. მე ბრძენს ველაპარაკები?

მასხარა: ამდენი კითხვის ნიშანი ბრძენს არ აწუხებს. როცა ერთს აკეთებ, მეორეს ფიქრობ და მესამე გამოგდის, უბრალოდ, გინდა, გაიგო, რა არის საერთო ამ სამს შორის. ანალიზის ანალიზით არა ვარ გართული, მაგრამ ქვეცნობიერი მაწვალებს. ახლაც ვცდილობ, მარადიულ კითხვებზე არ გავიდე, მაგრამ, ჩემდა უნებურად, სულ იქ ვტრიალებ.

გამღიზიანებელი: რა კარგი იუმორის გრძნობა გქონდათ და როგორ ფილოსოფიურ შემოტევებს შეუწირავს...

თვითონ: დღესაც არაჩვეულებრივი იუმორით ვუყურებ ყველაფერს. ნახავ, ბოლო წინადადებას რომ ჩაამთავრებს, მკითხველი მიხვდება, რომ წაიკითხა ერთი კაცის აბდაუბდა და კარგადაც იმხიარულებს.

გამღიზიანებელი: *(ლმობიერია)* რომანტიკოსი ხართ?

მასხარა: არა ვარ რომანტიკოსი, მაგრამ მომწონს რომანტიკოსები, დღეს - მით უმეტეს. მათში ვხედავ რაღაც "ფალშს", რომელიც მილამაზებს აზრს ადამიანებზე, თუმცა, ამის მიღმაც ჩნდება კითხვის ნიშანი: როგორ შეიძლება ასეთი იყო?

გამღიზიანებელი: მე კიდევ მგონია, რომ არტისტი ბუნებით უნდა იყოს რომანტიკული. სხვა შემთხვევაში ვერ გაუძლებდა იმ ცვალებადობას, რომელიც მასთან შემოდის ყოველი გმირის სახით, რადგან არტისტი ქმნის იმას, რაც ეფემერულია და ხვალ-ზეგ აღარ იარსებებს. რომანტიკოსი რომ არ იყოთ, გაწირავთ თქვენს ცხოვრებას არყოფნისთვის? აბა, სადღაა "ყვარყვარე", "გუშინდელნი", "ლირი"... სადაა, რომელ სივრცეში?

წამყვანი: კი ბატონო, იყო რაღაც სპექტაკლები, რომლებიც მოკვდა, გაფრინდა, აღარ არსებობს, მაგრამ ამის გამო არ ვწუხვარ. რაც გასაქრობია, უნდა გაქრეს. არსებობს მათზე აზრი, ნოსტალგია და, რაც მთავარია, ლეგენდა. შეიძლება წარსულზე ფიქრში გაჩნდეს რაღაც რომანტიკულიც, მაგრამ გმირის სათამაშოდ სპექტაკლზე გამოცხადებული რომანტიკოსი რომ მივდიოდე, ეგრე არაა. პერსონაჟის ხასიათი კომპლექსურია და თავის თავში მოიცავს უამრავ თვისებას, მათ შორის რომანტიკულსაც. ასე ეგზისტენციურად თუ განვიხილავთ, ღმერთსაც აქვს განსხვავებული თვისებები, თუნდაც ეგოიზმი, დიდება მე! – როცა ამბობს, ეგოზე არაა მახვილი?

გამღიზიანებელი: ჩათვალეთ, რომ ანათემის კანდიდატი ხართ...

თვითონ: მე არა ვარ რელიგიური, უფრო სწორად, ეკლესიური. თუმცა, მწამს იმ უდიდესი მოვლენისა, რომელიც აწესრიგებს სამყაროს. რაღაც შინაგან, მორალურ კანონს რომ უნდა ემორჩილებოდეს ადამიანი, ამას ქვეცნობიერად ვგრძნობ, წვდომები და ლოცვა იმათ გამო, ვინც მიყვარს, შემიძლია.

გამღიზიანებელი: არ ვიცი, ეს პოზაა თუ სიმართლე, მაგრამ ბევრი ხელოვანისგან გამიგია, რომ არასოდეს, ყოფით ცხოვრებაშიც კი, არ ტოვებთ ის ფიქრი, რომელიც შემოქმედებას უკავშირდება.

თვითონ: შეიძლება ფიქრი ქვეცნობიერში გადადის, მაგრამ სულ რომ განუწყვეტელი იყოს, მოგატყუებთ. ვაჟა-ფშაველა გუთნისდედას მიაგდებდა და შინ მირბოდა, რომ პწკარედი გაევლო მთავარი გუთნისდედით – კალმისტრით. ასეთი რამეები მე არ მჭირს (ვაჟას კი არ ვედრები). როგორ? - სასწრაფოდ მივატოვო მეგობრები, ქეიფი ან სხვა საქმე, გამოვვარდე სახლში და "შედევრი ვშვა"? - მეცინება ასეთ რამეებზე. ანდა, გაკეთებულით რომ ტკბებიან მედიდურები და ნარცისები, კისერი რომ უგრძელდებათ - ეგ ავადმყოფური კრეტინიზმია.

გამღიზიანებელი: ამ ბოლო დროს ლუარსაბ თათქარიძით ხართ "დაავადებული", არა მხოლოდ სცენაზე. გავხართ ერთმანეთს?

თვითონ: მე და ლუარსაბი? ერთი ერთზე ვართ რა *(იცინის)*. მეტსაც გეტყვი, ლუარსაბი ბევრად კეთილშობილია, ვიდრე მე. რაღაც ნიშან-თვისებებით ზოგადსაკაცობრიო მოვლენაა, თან საოცრად სევდიანია. ვგიჟდები ლუარსაბზე - როგორი თბილია, ტკბილი, ზღაპრული, ბუტია, ჯერ ჩხუბის როგორი ფორმები აქვს?

მასხარა: ლუარსაბ თათქარიძის ძეგლი უნდა დაიდგას საქართველოში, ძალიან მაღალ კვარცხლბეკზე. "კუშეტკაზე" გაშოტილი ლუარსაბი იყურება ცაში, შეიძლება ხელში შერჩენილი ჰქონდეს კოვზი ან სხვა ატრიბუტიკა. ლუარსაბი გინესის წიგნში შესატანი არ არის, არაფერი საოცარი რაოდენობის მას არ მიურთმევია და სხვა ქვეყნის შვილებივით არც მანქანები შეუჭამია. გარგანტუა და პანტაგრუელზე დიდი მოვლენაა, თუ რა? ლუარსაბი არის ნორმალური ადამიანი, უყვარს ჭამა იმიტომ, რომ პირის გემო აქვს ზღაპრული. ერთი ცუდი ისაა, რომ ძმა დაასმინა ღმერთთან, ჟარგონის ენაზე თუ ვიტყვით, ძმას "წაუბოზა". შურის გრძნობა ჰქონდა იმიტომ, რომ წმინდა ქართული ფენომენია. არ ვიცი, როგორ რედაქციას გაუკეთებთ იმ აზრს, რომ მოყვარეს პირში უნდა უძრახო, მაგრამ, აბა ნახეთ, ილია როგორ სჯიდა თავის გლეხებს, დასავლეთ საქართველოდან ლიმონის ჩამოტანას თუ დააგვიანებდნენ. ილიასაც ჰქონდა კარგი პირის გემო...

გამღიზიანებელი: კიდევ ერთი საბუთი ანათემისთვის... სასწრაფოდ გადავერთოთ სხვა თემაზე...

გინდა, არ გინდა, ხშირად, ერთი ადამიანი მეორის ბედისწერა ხდება, მოსჯილივითა გაქვს, ვერსად გაურბიხარ, რადგან მოქმედებს "დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი", არის თუ არა რეჟისორი მსახიობის ბედისწერა?

მასხარა: ბედისწერაა ყველაფერი, მარტო რეჟისორი კი არა...

გამღიზიანებელი: ვხვდები, რატომაც გაურბიხართ ამ თემას. კონკრეტულად ვთქვათ: არის თუ არა რობერტ სტურუა თქვენი ბედისწერა?

წამყვანი: ბედისწერაა, კი ბატონო, მაგრამ გამართლებაცაა. ეგრე ხო არ არის? ანტაგონიზმიც ბუნებრივად ჩნდება - რეჟისორის სურვილია, დაგაპროგრამოს, წარგმართოს, გაგხადოს ზომბი, და თუ მისი ზრახვების კარგი შემსრულებელი გახდები, როლებიც გექნება...

გამღიზიანებელი: ე.ი. თქვენ სტურუას ზომბი ხართ?

თვითონ: არავის ზომბი არა ვარ. მე ვარ ჩემი ფსიქიკის ზომბი. არავითარი ცენზურა ჩემზე არ მოქმედებდა, მაგრამ საკუთარ თავში რომ ცენზურაა, ისაა ყველაზე დამღუპველი. თვითონვე ვაყალიბებთ თავს მშიშრებად და გმირებად. ისე, ჩემთვის დღემდე გაუგებარია, რას ნიშნავს გმირი და სწორუპოვარ-გაბედულებული ადამიანი. მიზანდასახული არასოდეს ვყოფილვარ, რადგან თავად სიტუაციაა ჩემს გარშემო ექსტრემალური და ფსიქიკა სულ ჩართულია. რაც შენში ბუნებრივია, თავად გაგარკვევს, როდის რა გააკეთო და როგორი გადაწყვეტილება მიიღო, თორემ ორმოცფეხას რომ უთხრა, რომელი ფეხით იწყებ სიარულსო, დაფიქრდება და დაეცემა, ველარ გაივლის...

გამღიზიანებელი: გინდათ, რომ ჭკვიანი გამოჩნდეთ?

მასხარა: ჭკვიანი ანგრევს ყველაფერს, თუმცა, აშენებს კიდეც. რევოლუციებსაც ჭკვიანები იწყებდნენ, ათი მცნებაც ჭკვიანი ადამიანის მოგონილია. ჭკვიანი რომ სჯობს გიჟსა და გადარეულს, ნათელია. რადგანაც გაჩნდი, აზრი და ჭკუა უნდა გამოიყენო, ოღონდ კეთილი ზრახვებით.

გამღიზიანებელი: ინტელექტუალური არტისტი ერთგვარი ბარიერია რეჟისორისთვის, რადგან ის ერევა შემოქმედებით პროცესში, შემოაქვს თავისი ფანტაზიები, სახეები და ინტელექტი. თქვენ გიჭირდათ ამ მხრივ?

გაგრძელება C2 გვერდზე



ოდესღაც...

მასხარა

თვითონ



მხატვარი

C1 გვერდიდან

თვითონ: არსებობს აზრი, რომ არტისტი კარგი მასალაა. რეჟისორი იტყვის - კარგი თიხაა და რასაც მინდა, იმას გამოვძერწავო. მეცინებოდა ამაზე. ინტელექტუალური არტისტი ისე ვერ მოიზილება და მოგყვება ხელში, რადგან ანალიზის, აზროვნების თავი აქვს. მე სტიქიურად არაფერზე მივდივარ.

გამღიზიანებელი: ხშირად დავდიოდი ხოლმე "კაცია-ადამიანის" რეპეტიციებზე და ასევე ხშირად მინახავს თქვენი "ჯახი" სტრუქტასთან.

ლუარსაბი: როგორ არ იქნებოდა "ჯახი", უჰ! საშინელებები იყო...

გამღიზიანებელი: და შედეგი როგორია, ორივე მხარის ნერვებზე გადის?

თვითონ: მოდი, გავხსნათ ფრჩხილები - ჩემთვის თავიდანვე ჩნდება კითხვა: რა უნდა რეჟისორს, რატომ მაინცადამაინც ჩემში დაინახა ეს როლი. ერთხელ რობიკომ დამიძახა, არათეატრალურ, გეოგრაფიულად სხვა გარემოში ამომაყოფინა თავი. უკვე რაღაც ინტრიგა გაჩნდა. ხომ ვართ ძმებიო – მითხრა. რატომ ვიტყვი უარს ძმობაზე, კი-მეთქი, ვუპასუხე. ლუარსაბი უნდა ითამაშოო. პირველი სიტყვა, რაც ვთქვი, იყო: რატომ? ეტყობა, ფიზიონომიამაც მიკარნახა, მაშინ ძალიან მსუქანი ვიყავი. ვიფიქრე, ეს თუ ფასადისთვის მეძახის, მერე ჩადებს შიგნით თავის ზრახვებს და მარიონეტივით მამოძრავებს... როგორც აღმოჩნდა, ექსპლიკაცია მოხდა ჩემს ფსიქიკაში, ქვეცნობიერად ვფიქრობდი ლუარსაბზე, შეხებაც მქონდა მასთან - აღნაგობა, მოუქნელი მოძრაობები, სიმძიმე, უსაქმურობის გამო ჩავიძირე ჭამა-სმის გენიალურობაში. სხვათა შორის, იმ პერიოდში სანჩო პანსას როლი შემომთავაზეს, მაგრამ უარი ვთქვი. ძალიანაც არ მომწონს ეს მდაბიო, კრეტინი გმირი. ლუარსაბზე ვგიჟდები...

გამღიზიანებელი: საქმე არ მქონდაო, რომ თქვით, ხატვა საქმე არაა?

მასხარა: როგორ არა, მაგრამ ხატვით მსუქანმაც შეიძლება დახატო და გამხდარმაც, თეატრში კი სხვანაირად ხარ აწყობილი. იმ დროს ვგულისხმობ, მე რომ მაღალი, ქერათმიანი და ლურჯთვალა ვიყავი. არადა, არასდროს ვყოფილვარ ასეთი. ღმერთმა მომისაჯა პიპინ-მოკლეობა და უთმოობა, მაგრამ ადამიანური ღირსებები მეც ხომ მაქვს... რა კარგი გადასვლა გავაკეთე, არა?

გამღიზიანებელი: მეც გავაკეთებ გადასვლას - ლუარსაბის შემდეგ თქვენ ისევ ითამაშეთ 28 წლის წინათ ნათამაშები "კავკასიური"...

წამყვანი: "კავკასიური" რომ ვითამაშე, კეთილ ვინებე და დავიგდე 35 კილო, მაგრამ ეს არაა მთავარი...

ადამიანს აქვს თავისი მახსოვრობა - დროისა და სივრცის მახსოვრობას ვგულისხმობ და არა ლექსის თუ ამბის ჩამორაკრაკებას. ვეცდები, ავხსნა ის განცდა, როცა სულის მდგომარეობაა ნაცნობი. არგენტინაში დამემართა ასეთი რამ: მეგონა, დიდი ხნის წინათ ვიყავი იქ ნამყოფი, რადგან მოხდა ვიზუალური სამყაროსა და სულიერი მდგომარეობის თანხვედრა. განცდა ისეთი ძლიერი იყო, რომ კასტანედას ფილოსოფიაში გადავვარდი, თუმცა, ეს სრულიად სხვა სამყაროა...

ხომ გახსოვთ, როგორი იყო "კავკასიურის" წამყვანის პლასტიკა, მოვლენებთან ურთიერთობა, ეპიზოდების დაკავშირება, ინტონაციური მახვილი, ხასიათი და რეაქციები. დროის ნიშანს დიდი მნიშვნელობა აქვს, დღეს ისე ვეღარ ითამაშებ, როგორც 28 წლის წინათ, რადგან სიბერის ელემენტები შემოდის, სხვა ნიშნებიც ჩნდება - ისეთი მოხტუნავე, ნოვატორი აღარა ვარ, დავდინჯდი, ზონგის შესრულებაც სხვანაირი ხდება. თუ მაშინ მაღალი ხმა მქონდა და ფალცეტით შემეძლო სიმღერაც და ლაპარაკიც, ახლა ოთხმაგი მუტაციის პერიოდი გავიარე - ხმა დაბარიტონდა, ხრინწიანი გახდა, სხვანაირი რედაქცია გაჩნდა თავში... შეიძლება რეჟისორმა ბოლომდე არ მიგიშვას, რადგან ამ როლის დიდი ფერისცვალება შეუძლებელია, ანდა, პირიქით, გითხრას - დაივიწყე ის და ვაკეთოთ სხვანაირი, დღევანდელ ნიშნებთან მისადაგებული. ახალ მაყურებელს სხვანაირი გმირი სჭირდება. ვისაც ახსოვს, იმასაც სიახლე უნდა. აბა, როგორ შეიძლება "კალკის" გადმოტანა, ზუსტი ასლი ხომ არ არსებობს არც სპექტაკლის, არც ნახატის, არც განცდის... თუმცა, რატომ არ შეიძლება "კავკასიურის" წამყვანი იყოს მსუქანი, ბებერი...

გამღიზიანებელი: იმიტომ, რომ მაყურებელსაც აქვს თავისი მახსოვრობა, რომელშიც ეს სპექტაკლი პირვანდელი სახით ინახება, როგორც გენიალური. გამახსენდა ერთი მწერლის არაჩვეულებრივი შეფასება - "კავკასიური ცარცის წრე" არავის დაუდგამს, ის თავისით გაჩნდა სცენაზეო...

წამყვანი: მართალია, ოღონდ გენიალურს წინ დავამატოთ კონ, რადგან აქ არის საოცარი თანხვედრა რეჟისურის, მხატვრობის, მუსიკის, შესრულების და ამ გენიალურობაში შენი კოსტიუმი, რომელიც ახსოვს მაყურებელს, არ უნდა მიამახინჯო და მოისროლო ნახმარი ნივთივით. არის ამაში რაღაც ნოსტალგიური, რომლის შენარჩუნებით საკუთარ თავსაც ეხმარები და მაყურებელსაც.

გამღიზიანებელი: ზუსტი ციტირება არ მახსოვს, მაგრამ აზრი ასეთია - მსახიობი მუდმივად ჰამლეტად უნდა გრძნობდეს თავს, სადაც ჭკუა და სიგიჟე ემეზობლებიან ერთმანეთსო.

მასხარა: გენიალური სიტყვა ჰქონდა გარსია ლორკას, რომელიც თვითონ გამოიფიქრა (გადაფიქრება თუ შეიძლება, გამოფიქრება რატომ არ შეიძლება?) დუენდე - ესაა თავდავიწყება, რომელიც ყველანაირ ჭკვიან სიგიჟეს მოიცავს თავის თავში. სიგიჟე და გონება იმდენად ახლოსაა ერთმანეთთან, რომ წამი სჭირდება მათ გაერთიანებას. გიჟი ნამდვილად ვარ, არანორმალურიც, გამძაფრებულიც, უტრირებულიც...

გამღიზიანებელი: და კოკეტი...

თვითონ: არტისტები კოკეტები ვართ, აბა რა ვართ? საერთოდ, ადამიანი "იღვწის" იმისთვის, რომ ვინმეს თავი მოაწონოს...

ლუარსაბი: ყველას უნდა, თავისი ადგილი მონიშნოს და იქ გაბატონდეს. მხეცებს აქვთ ერთი გენიალური თვისება - შარდით მონიშნავენ თავიანთ ტერიტორიას. მძაფრი სუნით მეორე მხეცი ხვდება, რომ იქ არ უნდა შევიდეს, ის სხვისი ადგილია... საგონებელში ვარ ჩავარდნილი, რამდენი უნდა მოვშარდო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, რომ რუსებს გავაგებინო, სად იწყება და მთავრდება ჩვენი ტერიტორია. მხეციც კი ადამიანზე გონიერია. არა ვარ მართალი? ერს პატივს ვცემ, კი ბატონო, მაგრამ შეიძლება საქართველოსთან ასეთი კრეტინული დამოკიდებულება?

გამღიზიანებელი: პოლიტიკასაც გადასწვდით...

თვითონ: ასეთია ლუარსაბიც - ასოციაციური აზროვნება აქვს. ბოზბაშზე რომ ლაპარაკობს, სამშობლო ახსენდება, უკანალი რომ მოეფხანება, სამშობლო ავიწყდება. ბევრი ფიქრის, არასწორი ცხოვრებისა და სისხლის მიმოქცევის გამო, თავისუფლად შეიძლება, ლუარსაბს ძირმაგარა ჰქონოდა. სამშობლოზე გადამეტებულმა ფიქრმა შეიძლება უკანალზე ძირმაგარა გაგიჩინოს ან ტანზე დაგაყაროს. დღეს არ ჩანს, თორემ ისინი, ვინც სამშობლოზე "განუწყვეტლივ ფიქრობენ", ძირმაგარებად არიან ქცეულნი...

ლუარსაბი: *(გაბუტულია)* ძალიან კარგადაც ჩანან...

გამღიზიანებელი: ერთხელ, თქვენს ნახატებზე საუბრისას *(შიშველი ნიუ-ები მყავს მხედველობაში)*, თქვით, შიშველი ქალი სამშობლოს მირჩევნიაო...

მხატვარი: ბუნებით ბოძებული საოცარი სილამაზეა შიშველი ქალი. კაციც სხვანაირი ხდება მაგ დროს. საინტერესო სიშიშვლე იმდენად მძაფრად მოქმედებს კაცია-ადამიანზე, რომ ყველა ცნება - ქვეყანა, სამშობლო, მამული, იმწამიერად ავიწყდება, თუ არა, ორი საათის შემდეგ ის შეიძლება სამშობლოზე უარესი გახდეს...

გამღიზიანებელი: მთელი საქართველო რომ შიშველია...

თვითონ: ლაგდებიან კიდეც სურვილის მიხედვით - ბოზები, ჰომოსექსუალისტები, "ლესბიანკები", პოლიტიკოსები, იმაჟენისტ-დადაისტები და ნუდისტები ცალ-ცალკე, სექსკლანურ გაერთიანებებად და, რომ არ გავგიჟდე, ველოდები მსოფლიო ჩემპიონატებს ფროიდისა და იუნგის მონაწილეობით...

გამღიზიანებელი: ბურჟუა ხართ ხომ ბუნებით, კომფორტი, რამე...

თვითონ: კი, მიყვარს, კონფორმისტი ვარ. როგორღაც ვახერხებ - ხშირად ნამუშევრებს ვყიდი, თუმცა, არ მიყვარს ამაზე ლაპარაკი და არც ის ადამიანები, გაუთავებლად რომ წუწუნებენ ასეთ კრეტინობებზე...

გამღიზიანებელი: *ჟანრი - განმარტება I.* ხელოვნების ნაწარმოების სახეობა, რომელიც გამოირჩევა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სიუჟეტური, სტილისტიკური ნიშნებით. *ჟანრი - განმარტება II.* ხელოვნების მსახური *(მხატვარი, არტისტი)*, რომელიც გამოირჩევა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სტილით, თვისებებით და ღირსებებით.

თვითონ: ჩემი სახელი გურული ფენომენია. გურულებს უყვართ სიურპრიზები მომავალი თაობებისთვის...

ერთხელ, ემირ ბურჯანაძეა მოსული და ქუჩიდან იძახის - ჟანრი, ჟანრი! გადაიხედა დედაჩემმა მეექვსე სართულიდან.

- გამარჯობა, დეიდა დუშა, სად არის ჟანრი? - ეკითხება ემირი (ჯერ ემირი რა სახელია).

- გამარჯობა, ემირ! - ესალმება დედაჩემი, - ჟანრი და ენრი ჯანოსთან წავიდნენ.

ამ დროს მთვრალმა გაიარა და, თქვენი ნათლიის დედაცო - შეიგინა. გაბრაზდა ემირი, ჩაავლო ქეჩოში, შენ რაღა გქვიაო, - ჰკითხა. მე, კოკოო, - უპასუხა მთვრალმა. შენი კოკო დედაცო, - მიაგინა ემირმა.

გამღიზიანებელი: ხვალ რაღა იქნება?

თვითონ: წინ არის გაურკვევლობა, იმედები, რომელიც ყველა ადამიანშია. რას ჩავავლე, იცით? სენტიმენტალური ვიყავი, მაგრამ ახლა უფრო გამიმძაფრდა. სევდიანი არ ვიყავი და ჩამოვყალიბდი სევდიანად.

გამღიზიანებელი: სცენა რომ აღარ იქნება?

თვითონ: დავჯდები სარკმელთან და დაველოდები...

მასხარა: როდის შეამჩნევს კიდევ ერთ საინტერესო ხეს...

თვითონ: *(უღიმის მასხარას და ყველა პერსონაჟს საკუთარ თავში ამწყვდევს.*

ემზადება მონოლოგისთვის.)

ერთი ცხოვრება აბსოლუტურად საკმარისია ადამიანისთვის. რაც მოსასწრებია, ასწრებ. ვინც წუხს, რომ ერთი ცხოვრება არ ჰყოფნის - სასაცილო ტყუილია. ერთ ადამიანთან ურთიერთობაც კი საკმარისია იმისთვის, რომ იცხოვრო. თუნდაც, ერთი შეხვედრა, ერთი შეხება შეიძლება გეყოს. გააჩნია შინაგან მოთხოვნილებებსა და აზროვნებას, კრედოს, რომლითაც ცხოვრობ. ბევრი ადამიანი წამომყვა სცენიდან ცხოვრებაში, თუმცა, თეატრი, თავისთავად, ჯურღმულია, საშინელება, ინტრიგა. ხანდახან იქ მისვლა გეზიზღება, გახედვაც არ გინდა მისკენ... ადამიანური ურთიერთობა ყველაფრის წამალი ყოფილა. და კიდევ გულუხვობა - როცა შეგიძლია თავისუფლად გასცე ის, რაც შენთვის ძვირფასია...

წამყვანი

შენიშვნები და კომენტარები: ზემოხსენებული პერსონაჟები ერთი პიროვნებაა, ანუ აზრები, იდეები, ფიქრები, ფანტაზიები, გაფრენები და უხილავი მოქმედებები ეკუთვნის მხოლოდ ჟანრი ლოლაშვილს, გამღიზიანებელმა კითხვები და "პიესის" ფორმა შემოგთავაზათ, სხვათა შორის, ფარდის დაშვებაც მოინდომა, მაგრამ ფარდა იქ აღარ აღმოჩნდა...

იგივე თვითონ

ედუარდ მესამედ(?)

უილიამ ბუდკოკი

**მრავალმოქმედებიანი პიესა შექსპირულ მოტივებზე,
მაგრამ საქართველოს ცხოვრებიდან**

მოქმედი პირნი:
ედუარდ მესამედ(?) აუფეთქებელი - ორგზის რეგენტი საქართველოსი.
სერ გეორგ - მთავარი ანუ თენი ზემო ქართლისა.
სერ რიჩარდ-ლევონი - თენი ქვემო ქართლისა.
სერ ბონდო(ჯეიმს) - თენი მენგრელიისა.
სერ ქიტეს - თენი კახეთისა.
სერ არმაზ - თენი ჩრდილო ქართლისა.
თემურ-შაშიში - თენი დასავლეთ ქართლისა. რომელიც "სერობას" ვერ ეგუება.
პრინცი არსლანი - მთავარი აჭარისა, რომელიც არასგზით არ თანხმდება თენობას.
(სერ არა ისა) სლავიკ აკურკლბა - აფხაზური წარმოშობის მავრი, კრემლში გაზრდილი, გაველურებული მთიელი (თენობას არც ის თანხმდება) - დამჩემებელი აფხაზეთის მთავრობისა.
სერ იო-ვანო - თენი თბილისისა.
ლედი მედიკო - თენი და მეზვერე აღმოსავლეთისა.
ლედი ჰელენ - თენი პროსტიტუციისა, რელიგიურ და სექსუალურ უმცირესობათა.
სერ დევიდ - თენი ენერგეტიკისა.
სერ დევიდ-მდუ - თენი თავდაცვისა.
სერ ი - ეგორი - თენი სხვადასხვა ქვეყნის შპიონთა.
თენი ძალოვანთა.
თენი საიდუმლო ძალოვანთა.
სერ ჰალეკო - თენი განათლებისა.
სერ ბადრი - თენი ყველაფრის მსყიდველთა.
სერ ჯუმბერ - თენი არჩევნებისა.
სერ ჰაეს თალეს - უცხოელი ბოგანო, ამჟამად თენი განათე-ბისა.
თენი პანკისის მთიანეთისა.
სერ იდუმალი - პანკისის თენის კლასელი და ოფიციალური თენი ნარკობარონთა.
სერ მალხაზი - ამერიკელ რეინჯერთა თენი.
ჰამლეტ - დანიის პრინცი, სიმწრის გამო სხვა პიესას გადმოხვეწილი.
ხელმწიფე ლირი - ინგლისის მეფის აჩრდილი. ისიც სხვა პიესიდან.
სერ და ლედი მაკბეტ - რეგენტის მრჩეველნი.
გასაიდუმლოებული მასხარა - თენი ოპოზიციისა.
ლორდები, სხვა თენები და კარისკაცნი, მწერლები, ქალბატონნი, კაცისმკვლელები, მამათმავალნი, ნარკომანნი, შოუ-ბიზნესის მესვეურები, სხვადასხვა ჩინოვნიკნი და და ა. შ.

მოქმედება პირველი.
თბილისი. მთავრობის სასახლის წინამდებარე ქუჩა. შორს მოსჩანს ჩამსხვრეული ფანჯრები, ჩამონგრეულ შენობათა ფასადები. შემოდის ედუარდ მესამედ(?)

ედუარდ მესამედ(?):
აგერ შესცვალა ამ მიწისძვრამ მბრწყინავ ზაფხულად
ზამთარი ჩვენი ქიშპობის და უთანხმოების,
და რაც პარლამენტს აწვა გულზედ შავი ღრუბელი,
აწ ამ ნანგრევთა წყვდიადს უფსკრულს ჩამარხულია.
ბეწვზედ მომისწრო ამ მიწისძვრამ, მადლობელი ვარ,
თორემ ზოგთ უშვერთ შეიძლება ფეხქვეშთ გავეგდე,
ამჟამად მათი ყურადღება გაფანტულია, რადგან
დანგრეულს მისტირიან, ვითომ ზრუნავენ...
რას შერება ნეტავ იო-ვანო - თენი ქალაქის?
მაგასაც ბედმა გაულიმა მიწისძვრის გამო,
კვლავ აშენდება დანგრეული - ეჭვი არ არის,
ცენტრში ადგილებს დავიბევებთ ლამაზს და ამოს.
თან არჩევნებიც მოახლოვდა... მიმიხედავენ.
მე ხომ ამგვარი თამაშისთვის არ ვარ შექმნილი,
წავალ, სარკესთან ვიარშიყებ ჩემივ სახესთან,
მე, უშნოდ გათლილს არ მაქვს სატრფო შეხედულება,
რომ მოვაწონო თავი ცუნდრუკ პარლამენტართა...
არა რა მაქვს მე ერთმანეთთან შეხამებული,
მუხთალ ბუნებას ავუვსივარ უსახურობით
და უჟამური, შეთითხნილი გავურევივარ
ცოცხალთა შორის ნაადრევად მუცლით ნასხლეტი.
ნახევრადაც არ დამთავრებულს, უმზგავსს და საპყარს
ძაღლნიც კი მყეფენ, როცა იმათ გვერდით ვუდგავარ...
რახან ასეა, არშიყობა რაკი არ ძალმიძს,
და ვერ ავყვები ამ ტკბილ ჟამთა დროს გატარებას,
მაშ სიბოროტით მაინც უნდა ვიჩინო თავი
და ჩავუმწარო სხვებს ამაო სიამოვნება.
ამას ვიქმ მე და ხომ ისედაც გავაბი ქსელი,
ცილისწამებით, მასმედიით ნაირ-ნაირით,
რომ სასიკვდილედ გადავკიდე ერთმანეთს თენნი
და სხვანნი ძმანი ჩემი ძველი პარტიისანი.
თუ იდგებიან მტკიცედ თავის სიტყვას და აზრზედ,
ვით მე ვადგავარ ცბიერებას, სიცრუეს, ღალატს,
ერთი მათგანი უნდა ჩასვან ციხეში დღესვე...
აგერა მოჰყავთ... ფუჰ, კვლავ შევცდი... რა დამემართა?
ეს ხომ ჰამლეტის აჩრდილია! საკვირველია,
აქ როგორ მოხვდა? სხვა პიესით გადმოხვეწილი
დაბორიალობს, არ მასვენებს გიჟურ კითხვებით,
რა გინდა, ბიჭო? რა წამჭამე თავი მუქარით?



ჰამლეტის აჩრდილი:
მამაჩემს ხომ არ გადაჰყრიხარ, მძლავრო ახვარო?
მითხრეს - თუ სადმე იტანჯება სული დევნილი,
იქ იპოვნიო ჯოჯოხეთი სად სამოთხედ სჩანს,
ნუთუ შენა გყავს შეპყრობილი? ოჰ, მამავ! მამავ!
ედუარდ მესამედ(?)
ლანდი არ იყო, გადაგცემდი ძალოვანთა თენს,
მამას კი არა, პაპის პაპას გაპოვნინებდა...
რას გავხარ, ერთი შეგახედა, შე ნარკომანო,
ჰალსტუხი მაინც გკეთებოდა... აკი გაჩუქე?
ჰამლეტის ლანდი
მეც ხომ მოგეცი ჩემი ჟაბო, რად არ იკეთებ?
ვინც ეგ გალსტუკი გაიკეთა, ყველა შეიპყარ...
ზოგი აღმოჩნდა ტერორისტი, ზოგიც შპიონი
იმ შორეული და მცხუნვარე არგენტინისა.
ედუარდ მესამედ(?)
არგენტინელებს ჩვენს მიწებზედ უჭირავთ თვალი,
ამიტომ ხშირად და პირადად მეც მაფეთქებენ...
სიფხიზლე გვმართებს...
ჰამლეტის ლანდი
შეხე, მოჰყავთ "ბაბოჩკიანი"!
ეგ ის არ არის, შენს გვარდიას რომ მიუძღოდა?
პატივი დაგდო...
ედუარდ მესამედ(?)
ამაფეთქა მაგანაც ორჯერ,
რეგენტობამდე რომ მთავრობდა, იმის კაცია.
სად მიგყავთ, სადა, თქვე ოხრებო?
(ძალოსნებს თვალთმაქცურად მიმართავს) ვინ მოგცათ ნება,
კაცი ეგრევე გაუყენოთ ორთაჭალისკენ?
სად არის მოწმე? ანუ რა სთქვა გამოძიებამ?
ანუ საბუთი ღალატისა მაინც მიჩვენეთ!
ძალოსანთა თენი
მეტი საბუთი? პრეზიდენტის ფოტო ვუპოვნეთ
იმ საზიზღარი და ზემძლავრი გრენლანდიისა...
ედუარდ მესამედ(?) *(ჩაუსისინებს)*
არგენტინისა, იდიოტო, არგენტინისა!

ძალოსანთა თენი
რა მნიშვნელი აქვს, ღვთაებრივო რეგენტო, მაგას?
ჩახვეულიყო მავნებელთან ძმურად ყანწითა...
თან თითქოს მასხრად გვიგდებდა და ნიშნსაც გვიგებდა,
შემოგვცინოდა გაბადრულის მზერით ანცითა.
ედუარდ მესამედ(?)
აეს რა მესმის, მეგობარო მწარე დროების?
ნუთუ ეს ყველა მართალია? ნუთუ მოღორდი?
ვერ დაიცადე ჩემს მესამე არჩევნებამდე,
ასე გულცივად არგენტინას მიჰყიდე თავი...
პატიმარი გვარდიის თენი *(კბილების ხრჭიალით)*
აუფეთქებელს გაუმარჯოს! ნეტავ ბორკილი
სულის წამწყმედი ხელთ არ მედოს,
ემაგ ცელქობას არქიმძლავრად შეგანებდი...
ედუარდ მესამედ(?)
გზას არსაითკენ, მეგობარო, მშვიდად დაადექ!
გულუბრყვილო, მე შენ ისე ძლიერ მიყვარხარ,
რომ მალე შენს სულს ზეცად გავგზავნი!
გასწით, წაიყვათ... ოჰ, ეს ვინ მოდის?
ჰამლეტის აჩრდილი
იმის ქვრივია, რეგენტობამდე რომ მთავრობდა
და ხალხიც ახლავს. სურათიც მოაქვთ
აიმ მთავრის და მთავრობისა...
ოჰ, ბიძაჩემო, იქნებ სადმე დამალულიყავ...
ედუარდ მესამედ(?)
ბიძაც მიწოდა... რისი ბიძა, შე კუდუსუნო?!
ვისი ბიძაც ვარ, მოვწონავარ და კმაყოფილია.
შენ კი სულ მლანძღავ...
ჰამლეტის აჩრდილი
ქვრივმა შეგნიშნა!
დაიმალე, თორემ ქვას გესვრის...
ედუარდ მესამედ(?)
ვერ შემომბედავს - ხალხის მიერ არჩეული ვარ.
ჰამლეტის ლანდი
ისემც რა გითხრა... მგონი უკვე გიმიზნებს ქვასა...
ედუარდ მესამედ(?)
როდესაც ღმერთმა მიიბარა წინა მთავარი
და სანავარდოდ ეს ქვეყანა მე დამიტოვა,
ცილი დამწამეს მოვუკალი თითქოსდა ქმარი.
სამაგიეროს ქვრივებს განა ასე მივუზღავ?
მამობასაც და პატრონობას თავად გავუწევ,
სიყვარული კი არ მაქეზებს, განზრახვა მაქვს მე
საიდუმლო და მოთმინებით უეჭველად ამისრულდება.
*(მომიტინგეებს შემოაქვთ ძველი მთავრის სურათი.
ძველი მთავრობის გადარჩენილი წევრები სურათს მოჰყვებიან)*



ქვრივი ძველი მთავრისა
რა შავ თვალთმაქცმა გამოიხმო ეს ტარტაროზი,
რომ ამ ჩვენს მიტინგს და ქველ საქმეს წინ აღდგომოდა?
ედუარდ მესამედ(?)
ძირს დაასვენეთ, თქვე ბრიყვებო, სურათი, თორემ,
წმინდა გიორგის მადლს ვფიცავარ, შევიპყრობ ურჩსა!
ქვრივის თანმხლები
ბატონო ჩემო, მიტინგი გვაქვს სანქცირებული,
გთხოვთ, დაგვეხსნათ და გზა გვიბოძოთ...
ედუარდ მესამედ(?)
უზრდელო ძაღლო, რომ გიბრძანებ, უნდა გაჩერდე.
კონსტიტუციის შებღალვისთვის მწარედ განანებ!
იმავე წმინდანს გეფიცები, რომ ჩემივ ფეხით
დაგამხობ, გაგსრეს... ძალოვნებიც არ დამჭირდება...
ქვრივი *(თავის მხლებლებს)*
რამ შეგაშინათ? მოკვდავნი ხართ და მოკვდავთ თვალი
ეშმაკის ნახვას ვით აიტანს! იქით გამშორდი!
შენ, საზიზღარო, ჯოჯოხეთის ხელისუფალო!
ედუარდ მესამედ(?)
ტკბილო წმინდანო, ღვთის გულისთვის, ნუ იგინები!
ქვრივი
წუწკო სატანა, გაგვეცალე, ნუღარ გვაშფოთებ!
ლამის ქვეყანა ბედნიერი ჯოჯოხეთად ქმნა,
აავსო იგი წყევლა-ქოქვით, მწარე გოდებით!
თუკი გაამებს შენთა საზიზღ საქმეთა ნახვა,
უყურე აი, ამ სურათებს, შენს ნაჯალათევს!
ეგ მანდ ვინ გახლავს, ძლივს რომ მოსჩანს?
აგენტი ვინმე?
ედუარდ მესამედ(?)
ეს ჰამლეტია, დანიელი მეგობრის ვაჟი,
მარკეტინგს სწავლობს ჩვენებურად, თანაც მკურნალობს
იმ დასაწვავი თეთრი ჭირის - ჰეროინისგან.
ჰამლეტის ლანდი
ოჰ, ცრუობს, ლედი, მამას ვეძებ! რის ჰეროინი...
ეგ დანიაშიც ოხრად მქონდა, ვერ ვეწყობოდი.
ხომ არ გინახავთ - მეფე იყო, მხნე და სვიანი,
მთელს ევროპაში პატივს სცემდნენ ქველმოქმედ გვამსა,
ყურში სამსალა ჩააწვეთა ამის ძმაკაცმა...
ქვრივი
კორუფციას ხომ არ ებრძოდა?
ჰამლეტი
მუსრი გაავლო.
და ამიტომაც უკუღმართთა ბოლო მოუღეს,
ლანდად ქცეული გამოიქცა საქართველოში...
ქვრივის თანმხლები
აჰ! ის ჭაღარა დანიელი, მაღალ-მაღალი?
საეჭვო პროექტს კურირებდა მსოფლიო ბანკში...
ედუარდ მესამედ(?)
რის დანიელი?! ის ჭაღარა ბრიტანელია
და ლირი ჰქვია. მეფედ იყო, დეგენერატი...
მერე ინგლისი ისე კოხტად დააუცმაცა,
სულ შურით ვსკდები ეს მეათე წელიწადია...
სპეციალურად მოვიწვიეთ. გამოცდილებას,
მოგეხსენებათ, პატივსა ვცემთ ამგვარ საქმეში.
ხოლო იმ პროექტს, საეჭვოს რომ უწოდებ, მატლო,
ფედერაცია დავარქვით... ეე... კავკასიისა,
მე და მაგ ლირმა. რით გვჯობია ჩვენ ბრიტანია?
მეფე ერთი ჰყავთ... სულ ედვარდი ერქვა მანდ მეფეს.
ქვრივი
აი, ეგ პირი დაგიმიწდეს, პირშაო ხვლიკო!
ედუარდ მესამედ(?)
კაცთმოყვარების კანონს რატომ არ მისდევ, ლედი,
რაიც კეთილით უხდის ბოროტს და ლოცვით წყევლას?
ჰამლეტი
არ მომინდომა?! მურაბაც ხომ არ გინდა კომშის?
ოჰ, მამავ, მამავ! მომკვდარიყავ ნეტარძი ომში!
მაგრამ არ იყო ომი არსად - ევროპა სდუმდა...
ედუარდ მესამედ(?)
ჩამოსულიყო. ომის მეტი რა მოვახერხეთ?
ბოლოს და ბოლოს, იქნებოდა დამკვირვებელი.
მოიტაცებდნენ კოხტად, კარგად, პურსაც აჭმევდნენ...
გაიქცეოდი ბანკში მშვიდად, ფულს მოიტანდი,
ავდგებოდით და იმ შენს მამას ჭაღარას, ხნიერს,
დაგიბრუნებდით. რად გვინდოდა სხვისი ლტოლვილი?
ქვრივის მხლებელი *(ფიქრობს)*
მაღალ-მაღალი... "წითელ ჯვარში" შევყრივარ, ვგონებ...
ქვრივი
ბილწო, შენ არ სდევ არც ღვთის კანონს, არცა კაცისას,
თვით მხეცმაც იცის სიბრალული უმძვინვარესმა.
ედუარდ მესამედ(?)
მაშ, თუ არ ვიცი სიბრალული, მხეციც არ მეთქმის.
ქვრივი
საოცარია, როცა მართალს ამბობს ეშმაკი!

ედუარდ მესამედ(?)
ის კიდევ უფრო საოცარი არის, როდესაც
აგრე ჯავრობენ ანგელოზნი. მომეცი ნება,
ღვთიურად სრულქმნილ ქმნილებაო, როს გვექნება დრო,
ეგე ბრალდება მოვიშორო შენსა წინაშე.
ქვრივი
მომეცი ნება, კაცთ გამჯდარო ჭირო და სნებავ,
როს გვექნება დრო ამ შენს ურიცხვ ბოროტებისთვის
გწყევლო და გქოლო, დაწყეველილო უამისოდაც.
ვერ საფიქრელო საზიზღებავ, არ გელირსება
არა შენდობა, თუ წყეულ თავს არ ჩამოიღრჩობ...
ედუარდ მესამედ(?)
ენით უთქმელო შვენებაო, მომაპყარ ყური
მოთმინებითა, რომ შემინდო შენაცოდები...
თავს ჩამოვიღრჩობ? როგორ არა, თან გადაგყვები...
მაშინ ხომ ჩემს ბრალს აღნიშნავს ეგ განწირულება?
ქვრივი
განწირულება ამდაგვარი შეგინდობს მხოლოდ,
რაკი თვით შენვე ღირსეულად შურს აგებ შენს თავს,
სხვების უღირსად, უსამართლოდ შეპყრობისათვის...
ედუარდ მესამედ(?)
მე ხომ არავინ შემიპყრია? ეგ ჯამლეთმა ჰქმნა,
პროკურორთ თენმა, ღირსეულმა მონამ თემიდის.
იმისმა საქმემ მათი ბრალი მე დამაკისრა
და გამახელა უსამართლო ცილისწამებით.
ქვრივი
შენ გაგახელა შენმა ჭკუამ ჩასისხლებულმა,
რასაც მუდამ ჟამს ხოცვა-ჟლეტვა აქვს საზრუნავად.
კარგი, გაგვეცა... პარლამენტთან კარვები მიდგას,
ტოტალურ მიტინგს მეგაფონით ეუხელმძღვანელებ...
ედუარდ მესამედ(?)
კეთილი სიტყვა ყურთ არ იდევ? კარგი, დამაცა...
(ამოიღებს და სასტვენს ჩაჰბერავს. საიდანღაც გაჩნდებიან შავ ფორმებში გამოწყობილი ჯენელები)
ეს ქალბატონი მიავლინეთ თავის ამალით
სოფელ უდაბნოს შორიახლო ხრიოკ სტეპებში
დასცეს კარავი, მეგაფონით უხელმძღვანელოს
ტურას და მელებს შეუსმენელთ...



ფორმიანების უფროსი
იქნებ შეგვეპყრო?
ედუარდ მესამედ(?)
არა, პატიმრებს დამიგიჟებს ქალთა ზონაში.
თან სილამაზის კონკურსი აქვთ... ინერვიულებს.
მაგას რომ რამე მოუვიდეს, არ შეიძლება -
ჯერ საჭიროა. აბა, სწრაფად უდაბნოსაკენ!
პარლამენტი არ მომინდომა?! იქ დღეს სხდომაა.
სხვადასხვა თენნი შეიტყუეს პარლამენტართა
აიმ დარბაზში და ავ რამეთ ჩასჩიჩინებენ.
ქვრივის მხლებელი
(სანამ ფორმიანები წაიყვანდნენ, დროს იხელთებს, მიმართავს ჰამლეტს)
მამათქვენის ლანდს ბნელს, ღამეულს, ღირსო ჭაბუკო,
"აეს-თელასის" ლაბირინთში გადაეყრები,
აიმ ვამპირის დავალებით შავ ძალებს ესავს,
სახელებს იცვლის... ახლა ჰქვია ირიბარენი.
(ხელს ამოუტრიალებენ და მიათრევენ. გაჰყავთ სხვა მომიტინგეებიც)
ჰამლეტი
ოჰ, მამავ, მამავ! ვიღაც ირი... ვიღაც
ბარენად ახვრის ბრძანებით გარდაქმნილო ტანჯულო სულო...
ედუარდ მესამედ(?)
თავს ნუ გახვედი! ხელს ნუ მიშლი, თორემ ავდგები
კვლავ შენს პიესად გაგიკეთებ დეპორტაციას.
იცი, ხელფასი რამდენი აქვს ირიბარენსა?
ორმოც ელსინორს ააშენებს ირმის გორაზე.
მეტი რა გინდა?
ჰამლეტი
დამბლა შენთვის და სტომატიტი. სხვა არა მწადს რა.
(ედუარდ მესამედ(?) ფეხს დაჰკრავს ასფალსტს. ნაპრალიდან შავსათვალიანი, იეზუიტის შესახედაობის აგენტი ამოსავსავდება)
მორიგე გისმენთ!
ედუარდ მესამედ(?)
სალამი, გვიდო! გამარჯობა, ჩემო მეშვიდევ!
ასმეთექვსმეტე როგორა მყავს, უფროსი შენი?
აგენტი იეზუიტი N7
ვერ არის კარგად. მკალავიშვილს გაულახნია
იეღოველთა შეკრებაზე... ღრანჭი აწუხებს.
ედუარდ მესამედ(?)
ამ აჩრდილს ხედავ? მომაშოროთ უნდა სასწრაფოდ.
ვინმე ჩვენიანს იმმსოფლიურს დაუკავშირდით,
ვერც ერთი ქვეყნის ვერ შელახოს რათა საზღვარი,
მხოლოდ გაეროს დერეფანში ხეტილობდეს
და თავზარს სცემდეს პირისკანი კოფი ანანის.



აგენტი N7
ეს, სამწუხაროდ, შორს სცილდება კომპეტენციას
ჩვენზე მონდობილს მორიდებულს, ძალიან მცირედს.
ეგ რომ შემეძლოს, დედის აჩრდილს მოვიშორებდი,
დგას და მამადლის - არ მეყოო ფული აბორტზე...
ედუარდ მესამედ(?)
უნდა გავუგოთ, ხდება ხოლმე... დრო იყო მძიმე.
ამდენ პარტიებს, გინდ ფრაქციებს და გინდაც თენებს,
დედის არ იყოს, მეც ვუმადლი უაბორტობას.
ცოლი რასა იქმს, ხომ გნებდება?
აგენტი N7
წიხლი ჩავარტყი... ძლივს მივასწარი,
ხმას აძლევდა ლეიბორისტებს.
ედუარდ მესამედ(?)
ხმას არა უშავს. მთავარია... ბავშვი ხომ შენ გგავს?
აგენტი N7
საგულდაგულოდ გამოვრიცხავ სხვაგვარ მიცემას.
ბავშვი კი არა, სიდედრიც მგავს და ჩემი მძღოლიც.
თანაც "ჟუჩოკი" უყენია "სველ წერტილებში."
თუ მიღალატა - მეც გავიგებ, დენიც დაარტყამს...
რაც შეეხება მაგ თქვენს აჩრდილს, მე ვერ გიშველით,
შეველკინები, რომ მიბრძანოთ, ხელით შიშველით,
მაგრამ შედეგი, კარგად ვიცი, ნული იქნება.
ვერც ასთექვსმეტი, ვერც ორასრვა, თქვენი ერთგული,
ვერას გააწყობს. მოიძიეთ სამასზე ზევით!
იქ ისეთები გმსახურებენ, ელოიმები,
აჩრდილს კი არა, აჩრდილთ აჩრდილს გააფასებენ.
ედუარდ მესამედ(?) *(ფიქრიანად)*
სამასზე ზევით მაკბეტი მყავს, ლავრენტის შველის...
ასეთ მატლისთვის ვერ დავსაქმებ პროფესიონალს.
ჯანდაბას, ეგდოს! ღამის ბარში მივიწვევ სადმე,
ან საღამოზე ჩვენებური შოუ-ბიზნესის.
მოჩვენებები დაეწყება, სმენას დაკარგავს...
ჰამლეტი
ვიყავი უკვე. შენ მე მაგით ვერ შემაშინებ!
ედუარდ მესამედ(?)
ჯერ პოდიუმზე არ ყოფილხარ, შე საცოდაო!
რომ აგერევა კაცი, ქალი... ტეკილას დალევ...
აფოფინდები, ღრმად გაკოცებს ქალი, შენც მშვიდად
ხელს რომ შეუყოფ ნაზ ლაჯებშუა... იქ ის დაგხვდება,
რაც ელსინორშიც ოხრად დაგრჩა. აკივლებული
სახელს ჰკითხავ აიმ გოგონას, ხოლო გოგონა
აღმოჩნდება ვინმე ვამეხი, ბოზი, აშარი -
ევროპულად ტრანსექსუალი...
აგენტი N7 *(გახარებული, ხელების ფშვნეტით)*
მერე ცირკთანაც გავატაროთ,
სულ გაგიჟდება. რისი გაერო, შემოგევლე, რისი ანანი!
იქნებ ფერმერებს მიეკედლოს...
ედუარდ მესამედ(?)
ფერმერთ მოეშვი.
მაგათ ისედაც არ აკლიათ მოჩვენებები.
აგენტი N7
აჰ, გვალვა - სეტყვა?
ედუარდ მესამედ(?)
სეტყვა არა, მინერალები,
ამერიკიდან ჰაი-ჰარად გამოგზავნილი,
კიდევ ჩინური ტრაქტორები, კიდევ ხორბალი...
ვიშ, რა ყოჩაღად აითვისა ფერმერთა თენმა!
"წითელ ჯვარს" მივეცთ მოზამბიკში დასარიგებლად...
აჰ, რარიგ უჭირთ მოზამბიკელთ... ბურკინა ფასოს...
მაგრამ გაისად უეჭველად დავეხმარებით.
აგენტი N7
ბურკინათ ფასო? ეგ ვინღაა, უმწყაზარესო?
ფასოს კი არა, გიორგაანთ ეგორის უჭირს,
ცოდოა ბიჭი, მომბეზრდაო აფეთქებები,
იქნება სუფთა სამუშაო გამოჩნდეს რამე,
აღერგიაა აქვს ამონალზე, ტროტილზეც თურმე...
აგერ მოგართვათ ექიმების დასკვნაც, ცნობებიც...
ედუარდ მესამედ(?)
იქნებ კულტურა ჩავაბარო... კარგი ვიფიქრებ.
(მოულოდნელად ოციოდ მეტრში მანქანა აფეთქდება, შემდეგ მეორე. აფეთქების ხმა მოისმის მთავრობის სახლიდანაც. რომელიღაც ფანჯრიდან გამოიჭრება კვამლი, ცეცხლის ალი და განწირული კაცის ღრიალი. ედუარდ მესამედ(?) ცნობისმოყვარედ დააცქერდება მის ფეხებთან დაგდებულ ყურს, ამოიოხრებს)
ალერგია აქვს კულტურაზეც, ეტყობა, ოხერს,
ძლიერ ეწყინა... ნახე, გვიდო, რა ნომერია!
აგენტი N7 *(ფრთხილად აიღებს ყურს და ათვალიერებს)*
სამოცდაექვსი... აჰ, ერთგული, ქიტესა ერქვა,
სათუთ ქალაღდად გარდაქმნილი მორიგეობდა
თქვენს უნიტაზთან, სადაც ლოცვებს ჩურჩულებთ ხოლმე.
აჰ, ეგორ, ეგორ, შენ მოჰკალი შენი გაზრდილი!
ედუარდ მესამედ(?)
კარგად აფეთქებს, ვირიშვილი... უნდა დავსაქმო,
ის ყუმბარები გამზრდელამდე სანამ მოსულა!
კარგი, მეშვიდევ, დაუბრუნდი ისევ ქვესკნელებს...
ჰო, მართლა, მინდა ორი კარგი სპეციალისტი,
ორთაჭალისკენ გაემგზავრონ... დღეს პატიმარი...
აგენტი N7
ეგ, ვიცი, მამავ... ვინ გჭირდებათ? კაცისმკვლელები?
ედუარდ მესამედ(?)
თავი ანებეთ, ამ შექსპირულ, ხეპრულ გამოთქმებს!
მკვლელი კი არა, ჩვენი საქმის ოსტატი ორი,
ერთი რომ კარგად ერკვეოდეს ელექტროდებში,
ერთიც დანტისტი... მმ... ფრჩხილებსაც რომ მიუხედავდეს.
აგენტი N7
რამდენიც გნებავთ. ემსაათში აქ გაჩნდებიან.
(აგენტი N7 გაქრება. მის ადგილზე თითქოს ჰაერიდან შენივთდება ორი ზორბა ვინმე. ერთს თეთრი ხალათი აცვია, მეორეს მონტიორის უნიფორმა)
ედუარდ მესამედ(?)
ჩქარა მოხვედით, ჩემო მარჯვე, მხნე ამხანაგნო.
აბა, მზადა ხართ დავალების შესასრულებლად?
დანტისტი
ჩვენ მზად გახლავართ. აქ იმისათვის გეახელით, რომ
საშვი რამ მოგვცეთ იზოლატორს რომ მივაკითხოთ.
ედუარდ მესამედ(?)
კარგია ეგ რომ გიფიქრიათ. ინებეთ საშვი.
როს შეასრულებთ სამუშაოს, პარლამენტს მოდით.
მაგრამ მტკიცედ კი მოიქეცით, გაესაუბრეთ,
მაგრამ ისე, რომ არ დაგაბათ. მაგის ლაპარაკს
მეც ვერ ვუძლებდი სიცილის და ცრემლის გარეშე.
მონტიორი
ლაპარაკისთვის სად გვცალია, ბატონო ჩემო.
ყბედი მოსაქმე როდი არის. მაგაზედ გვენდეთ,
ჩვენ ხელებს უფრო ვამუშავებთ, ვიდრე ენასა.
როგორ ინებებთ, არგენტინულ ფოტოს მივაწვეთ?
ედუარდ მესამედ(?)
არგენტინულსაც, მოსკოვურსაც, რომელსაც გნებავთ,
ვინც კი გვაფეთქებს, მინას გვართმევს, დროშას გვიგინებს
და ვინც არ იცის სახელმწიფო ჰიმნის სიტყვები...
(ფსევდოდანტისტი და მონტიორი მარჯვენა ხელებს გულზე მიიდებენ)
დიდებაა...

ედუარდ მესამედ(?)
ხმა გაიწყვიტეთ, თქვე რეგვნებო! გასწით, ისაქმეთ
და აღსარება მომიტანეთ პარლამენტშივე...
რარიგ არ მიყვარს იმ ბრიყვებთან ანგარიშგება,
მაგრამ რა გზაა...
დანტისტი
მივდივართ, მეფევ... ე... რეგენტო, მივდივართ-მეთქი. *(გადიან)*
ედუარდ მესამედ(?) *(თავისთვის)*
შენს პირს შაქარი, კბილს მახრავ... იქნებ აგიხდეს...
გერბის ესკიზი შევუკვეთე თენს მხატვრებისას.
თქვენს ღერბზე მითხარ რა ეხატა, დანიის პრინცო?
ჰამლეტი
ორი ლომი და ორიც ბასრი, მჭრელი მახვილი.
ედუარდ მესამედ(?)
ლომი არ გვინდა, არც მახვილი, ახლა სხვა დროა...
შვლის ნუკრი თუნდაც, ფურისულა... რამე ისეთი,
მანიაკსაც რომ სისხლის წყურვილს დაავიწყებდეს...
ჰამლეტი *(დაცინვით)*
მაშ "ოლვეიზი" მიახატე ხანჯალგაყრილი,
კრიტიკულ დღეებს გაგონებდეს შენი ქვეყნისას.
ედუარდ მესამედ(?)
ფუჰ, შე გარყვნილო ნაბიჭვარო! ლანდი არ იყო,
აიმ "ოლვეიზს" ჩაგტენიდი ბინძურ ხახაში.
აჰა, ეს რა ვთქვი? რად ავყევი ამ გაფუჭებულს
ეს დახვეწილი ევროპელი - ესთეტი კაცი?!
მაგრამ ლანდია, რას დააკლებ... კარგი, შევრიგდეთ.
დღეს შენეული ხუშტურისთვის არა მცალია.
შენით გაერთე. გნებავს - ნახე ირიბარენი,
გნებავს - მეტროში ინანწალე, მიტინგს დაესწრე...
აივნებს ქვეშ კი არ იარო - ბიძგი იქნება
საათის ოთხზე. ცოტა ტანში გაგაყრიალებს...
სხდომას მოვრჩები, გაგატარებ ხვალე ქალაქში,
ცირკში წაგიყვან...
ჰამლეტი
პარლამენტში თან წამოგყვები.
მაინტერესებს სენატორებს როგორ აბოლებ.
ედუარდ მესამედ(?)
მე? სულაც არა. ეგ ცუნდრუკნი თვით ბოლდებიან.
ილაქლაქებენ - მე მოვუსმენ. აყვირდებიან.
მე კვლავ მოვუსმენ, ხოლო როცა გაცოფდებიან,
ღიმილით ვეტყვი - კორუფციის მტერი ვარ-მეთქი...
ეგ არის აგრე რომ გაგიჟებთ მოყვასნო ჩემნო.
ეს მაგიური სიტყვებია. ისუსებიან
და სხედან ასე სუსნაყლაპნი, დაახლოვებით,
ხუთი წლის გარდა, ოცდაათი წელიწადია.
კარგი, წამოდი... ილივლივე კოხტად დარბაზში,
აჩრდილი დადის, შენზე ვიტყვი, კორუფციისა!
პრინცობას ვიღა დაგიჯერებს? "უმრავლესობას"
შენი შექსპირი სიზმრადაც არ მოლანდებია. *(გადიან სცენიდან)*
(სცენა რეგენტის სახელობის იზოლატორში. ნარზე მშვიდად წევს შეპყრობილი გვარდიის თენი. ხელები დენზე აქვს შეერთებული, ოდნავშესამჩნევად თრთის. გარს დანარჩენი პატიმრები უსხედან. ყურადღებით უსმენენ).
გვარდიის თენი
მოჰკალ! - რაღაცა ხმა ჩამძახოდა.

გაგრძელება იქნება





... მათ, ვინც ჩვენი დამოუკიდებლობა მოიპოვა, სჯეროდათ, რომ სახელმწიფოს უმთავრესი მიზანი კაცთა განთავისუფლება იყო, იმისათვის, რომ მათ საკუთარი ნიჭიერება განევითარებინათ; დამფუძნებლებს ასევე სწამდათ, რომ ამ ქვეყნის მთავრობაში კეთილგონიერ ძალებს უნდა ეჯობნათ თვითნებურებისათვის. ისინი აფასებდნენ თავისუფლებას, როგორც საბოლოო მიზანს და ამავე მიზნის მისაღწევ საშუალებას. მათ მიაჩნდათ, რომ სიხარულის საიდუმლო თავისუფლებაში, ხოლო, თავისუფლების ფორმულა გამბედაობაშია. მათ სწამდათ, რომ თავისუფლება იმგვარად ფიქრისა, როგორც ეს გვსურს, და ლაპარაკი, ისე როგორც ჩვენ ვფიქრობთ, იყო პოლიტიკური ჭეშმარიტების აღმოჩენისა და გავრცელების შეუცვლელი საშუალება; და რომ თავისუფალი საუბრისა და თავშეყრის გარეშე ყველა მსჯელობა უნაყოფი იქნებოდა; რომ მათი დახმარებით სახალხო დისკუსია სახიფათო იდეათაგან თავდაცვის ადეკვატურ საშუალებას გვთავაზობს; რომ თავისუფლების უდიდესი მტერი ინერტული ხალხია; რომ საზოგადო კამთი პოლიტიკური ვალდებულებაა; და რომ ეს ყველაფერი ამერიკული ხელისუფლების ფუნდამენტური პრინციპი უნდა ყოფილიყო.

ისინი ხედავდნენ ყველა იმ საშიშროებასაც, რომელიც ადამიანთა მიერ შექმნილ ინსტიტუტებს ემუქრება. მაგრამ მათ ესმოდათ, რომ წესრიგის უზრუნველყოფა მხოლოდ სასჯელის შიშით შეუძლებელი იყო; და რომ სახიფათოა აზრის, იმედისა და წარმოსახვის ჩახშობა; რომ შიში რეპრესიას შობს, რეპრესია კი - სიძულვილს; რომ სიძულვილი სტაბილურ მმართველობას ემუქრება და უსაფრთხოებისკენ მიმავალი გზა უკმაყოფილების თავისუფლად გამოხატვასა და გამოსავლის ძიებაზე გადის; რომ შესაფერისი გამოსავალი ცუდი მთავრობის უკეთესით შეცვლაა. გონის ძლიერებაში დარწმუნებულ დამფუძნებელ მამებს სძულდათ კანონის შიშით დაბადებული დუმილი - ეს ძალისმიერი არგუმენტი, მის ყველაზე უარეს ფორმაში. ხედავდნენ რა მმართველ უმრავლესობათა პერიოდულ ტირანიას, მათ შეიტანეს კონსტიტუციაში შესწორებანი იმისათვის, რომ თავისუფალი სიტყვა და თავშეყრა ჩვენი გარანტირებული უფლება ყოფილიყო...

ისინი, ვინც რევოლუციის საშუალებით ჩვენი დამოუკიდებლობა მოიგო, არ იყვნენ მხდალნი. მათ არ ეშინოდათ პოლიტიკური ცვლილებების და არ სწამდათ თავისუფლების ხარჯზე დამყარებული წესრიგისა. სერიოზული ზიანის შიში არ არის საკმარისი თავისუფალი სიტყვისა და თავშეყრის შეზღუდვისათვის. კაცებს ეშინოდათ კუდიანების და ამიტომ ქალებს კოცონზე წვავდნენ. უმთავრესი ფუნქცია თავისუფალი სიტყვისა ადამიანების ირაციონალური შიშისგან გათავისუფლებაა.

ლუის ბრენდაისი
უიტნი კალიფორნიის წინააღმდეგ.
აშშ-ს უზენაესი სასამართლო
1927 წ.

პოლიტიკური მეცნიერება

პოლიტიკურ და სოციალურ რეალობაში მომხდარმა ცვლილებებმა შექმნეს იმის აუცილებლობა, რომ ჩვენი საზოგადოების წევრებმა ლოკალურ მოქმედებას გლობალური კატეგორიებით აზროვნება შეუფარდონ. საერთაშორისო თუ ადგილობრივ მოვლენათა სრულყოფილი ანალიზისათვის კი აუცილებლად მიგვაჩნია იმ უნიფორმალური ტერმინოლოგიის შესისხლხორცება, რომლის გამოყენებითაც დღევანდელ დღეს მთელი ინტერნაციონალური საზოგადოება ურთიერთობს. მკითხველს პერიოდულად შევთავაზებთ პოლიტიკური მეცნიერებისა და საერთაშორისო სამართლის ყველაზე გავრცელებულ ტერმინებს, რომელთა გამოყენება მისკომუნიკაციისა (გაუგებრობებისა) და მრავალსიტყვაობისაგან თავდაცვის კარგ საშუალებად მიგვაჩნია.

კონსტიტუციონალიზმი - ეს ტერმინი იხმარება იმ პოზიციის დასახასიათებლად, რომელიც გამოხატავს კონსტიტუციების, კონსტიტუციური პროცედურების, კონსტიტუციური კონვენციებისა და სამართებლივი პრინციპისა, და არა პიროვნების მმართველობის (კანონის უზენაესობის) მიმართ მორჩილებას. ნათელია, რომ სტაბილური დემოკრატიის საარსებოდ, ამ კონცეფციის აღიარება და შესისხლხორცება ხალხის ძირითადი ნაწილისა და პოლიტიკოსების მიერ, უმთავრესი პირობაა. თუ ძალაუფლებაში მყოფმა მთავრობის ლიდერმა უარი თქვა დაპირების შესრულებაზე, რომ იგი, არჩევნების წაგების შემთხვევაში, დატოვებდა თანამდებობას, ის არღვევს ხელისუფლებისადმი ნდობის ის უმთავრესი მატერიას, რომელზეც მთელი სისტემა არის დაფუძნებული.

აბსოლუტიზმი - ეს ტერმინი გამოიყენება ისეთი მონარქიული ხელისუფლების დასახასიათებლად, რომელსაც ლიმიტები არა აქვს. იგი შეიძლება ავტორიტარიანიზმის ადრეულ ფორმად ჩაითვალოს. ამდენად, ევროპაში ის მე-18 საუკუნემდელი ფენომენი იყო. თუმცა, რუსეთში ის მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარშიც არსებობდა. აბსოლუტიზმის უმთავრესი ფილოსოფოსები არიან მაკიაველი (1469-1527), ბოდინი (1530-96) და ჰობსი (1588-1679). ყოველი მათგანი იმყოფებოდა საკუთარი გამოცდილებით გაპირობებული გავლენების ქვეშ, რომ გაურკვევლობა და სამოქალაქო არეულობანი საჭიროებდნენ ძლიერ მონარქს, ვინც შეძლებდა საკუთარ ქვეშევრდომთათვის საკუთარი ნების თავს მოხვევას. სხვა სათავე აბსოლუტისტური შეხედულებებისა იყო ე.წ. "ლეგიტიმურობის" დოქტრინა, რომელიც ამტკიცებდა, რომ მეფის უფლება მართვისა იყო ღვთიური კანონის გამოვლინება. ასე რომ, ზოგიერთი აბსოლუტისტი მონარქი ამტკიცებდა რომ გააჩნდა რელიგიური სანქცია, რაც მათ რეჟიმს თეოკრატიის ელფერს სძენდა, ზოგიერთი მმართველი კი, უბრალოდ, თვითნებურად იქცეოდა. ტიპური აბსოლუტისტი მონარქები არიან ივანე მრისხანე (1530-84), ფერდინანდ ნეაპოლელი (1810-59) და თურქი სულთნები. ისინი ყველანაირ ცვლილებას ეწინააღმდეგებოდნენ. როცა ევროპელი მონარქები განიმსჭვალნენ განმანათლებელთა იდეებით, ისინი გარდაიქმნენ "განათლებულ დესპოტიებად", ანუ ისეთ სისტემად, რომელმაც შეინარჩუნა მონარქიული მმართველობა, მაგრამ ავტორიტარიზმს კანონის მიმართ პატივისცემა გაურია, და არა მარტო წაახალისა ეკონომიკური განვითარება, არამედ საკუთარ ქვეშევრდომთა უფლებების გაუმჯობესებაზეც იზრუნა. ასეთი იყო ავსტრო-უნგრეთის იმპერატორი იოზეფ II (1780-90) და ეკატერინე II, ვინც შეეთამაშა განმანათლებელთა იდეებს, მაგრამ საქციელით ისევ აბსოლუტისტი დარჩა.

ეგალიტარიზმი - ადამიანთა თანასწორობის პრინციპში რწმენა. ეს ტერმინი შეიძლება მიესადაგოს სიმდიდრეს, სტატუსს და ძალაუფლებას, და მოიცავს უთანასწორობათა დემონსტრირების მცდელობებს, რასაც მათი გამოსწორების ცდა უნდა მოჰყვეს. როცა საქმე ქონებრივ უთანასწორობას ეხება, ამ იდეის რეზულტატია სახელმწიფო, რომელიც დისტრიბუციული სამართლის საშუალებით (მაგ. პროგრესირებადი ტაქსაცია, სადაც მეტი შემოსავლის პატრონი მეტ გადასახადს იხდის) ცდილობს მოქალაქეთა შორის არსებული უთანასწორობების შემცირებას. ეს საბოლოო რეზულტატისათვის სახელმწიფოს მხრიდან ერთგვარ ძალდატანებით ქმედებასაც გულისხმობს. უთანასწორობას სტატუსში შეიძლება საფუძვლად ჰქონდეს კულტურული ფაქტორი და გამოაშკარავდეს ისეთი პრივილეგიების მინიჭებაში, როგორიც ეს აქვთ არისტოკრატიას, მამრობით სქესს ან ხანშიშესულებს. ასეთ უთანასწორობათა გამოსწორება შესაძლებელია განათლებისა და ინფორმირების საშუალებით, თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი სავარაუდოა პოლიტიკური ჩარევის აუცილებლობა. ძალაუფლებრივი უთანასწორობის მთლიანი აღმოფხვრა, ალბათ, შეუძლებელია სამთავრობო კონტროლის მთლიანი აკრძალვის გარეშე. თუმცა, დემოკრატია ყველას ანიჭებს ძალაუფლების გამოწვევის უფლებას, რასაც ხალხის მხოლოდ მცირე ნაწილი თუ აკეთებს. მაგრამ, დემოკრატია აგრეთვე იმის გარანტიასაც იძლევა, რომ ძალაუფლების მფლობელნი იყვნენ ძალაუფლებიდან გაძევებულნი უძალაუფლებოთა უმრავლესობის მიერ გამოხატული ნებით.

მიუხედავად იმისა, რომ, შესაძლოა, მთლიანი თანასწორობის მიღწევა შეუძლებელიც იყოს, და, ზოგიერთის აზრით, არასასურველიც კი, უკანასკნელი ორი საუკუნის მოვლენებმა ცხადყვეს, რომ უთანასწორობა ნაკლებად ახდენს კუმულატიურ ეფექტს მსოფლიოზე. პრიმიტიულ საზოგადოებებში ყველაზე მაღალი სტატუსით შემკული ხალხი, როგორც წესი, არის ის, ვისაც, ყველასთან შედარებით, უმეტესი ქონება და ძალაუფლება აქვს. აქ, რა თქმა უნდა, პოლიტიკური ძალაუფლების მოხვეჭა სიმდიდრის მოპოვების შესაძლებლობადაა მიჩნეული. თანამედროვე ტენდენცია გვიჩვენებს სიტუაციებს, როცა მაღალი სტატუსის მქონე პიროვნებანი განძარცულნი არიან პოლიტიკური ძალაუფლებისაგან დაბალი სტატუსის მფლობელთა სასარგებლოდ. ქონების პატრონებს ერთი დიდი სისუსტე ახასიათებს: მათ მცირერიცხოვანი ამომრჩეველი ჰყავთ.

დომინოს თეორია - ეს ტერმინი პირველად პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა იხმარა ვიეტნამის სტრატეგიული განსაკუთრებულობის აღმნიშვნელ მეტაფორად. თუ ჩვენ რიგში თანმიმდევრულად ჩავაწყობთ დომინოს ქვებს და შემდეგ პირველს წავაქცევთ, მაშინ ყოველი მომდევნო თანმიმდევრობით წაიქცევა. ამავე ლოგიკით, მიაჩნდათ, რომ თუ ვიეტნამი კომუნიზმს დანებდებოდა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ყველა ქვეყანა მის ბედს გაიზიარებდა, რაც, თავის მხრივ, საფრთხეს შეუქმნიდა ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას. დომინოს თეორია ამერიკული საგარეო პოლიტიკის მოტივატორად მუშაობდა დანარჩენ მსოფლიოშიც. მაგალითად, პრეზიდენტ რეიგანს სჯეროდა, რომ თუ სანდინისტები ნიკარაგუაში გაიმარჯვებდნენ, მთელი ცენტრალური ამერიკა კომუნისტური გახდებოდა და ამით ტეხასი ხიფათში ჩავარდებოდა. ეს თეორია სათავეს იღებს 1930-იან წლებში, როდესაც ფაშისტურ აგრესიას მცირე ერები ერთიმეორის მიყოლებით დანებდნენ. ამის რეზულტატად ჩამოყალიბდა შეხედულება, რომ "თავისუფლება განუყოფელია", და რომ ამერიკა აგრესიის პირველივე გამოვლინებას წინ უნდა აღდგომოდა; თუ არა და, მთელ დემოკრატიულ სამყაროს საფრთხე დაემუქრებოდა. გაკვეთილი ამ ყველაფრიდან შეიძლება იყოს ის, რომ ანალოგიები ხშირად სახიფათონი არიან.

ექსტერნალობა - სოციალური ან მატერიალური რეზულტატი თუ თანმდევი ეფექტი ეკონომიური აქტიორის ქმედებისა, რომელიც მესამე მხარეს ანიჭებს სარგებლობას ანაზღაურების გარეშე, ანდა, აყენებს ზიანს კომპენსაციის გარეშე.

არსებობს ორგვარი ექსტერნალობა - ნეგატიური და პოზიტიური. ნეგატიურია ექსტერნალობა, რომელსაც სხვათათვის ზიანი მოაქვს; მაგალითად, სასმელი წყლის დაბინძურება მეზობლად მდგომი ფაბრიკის მიერ. პოზიტიურ ექსტერნალობას კი, პირიქით, სარგებლობა მოაქვს სხვისათვის; მაგალითად, როდესაც სახლის პატრონი მის კარ-მიდამოს მიმზიდველად მოაწყობს, ამით მთელი უბანი უფრო მიმზიდველი ხდება.

უბილეთო მგზავრის თეორია (Free Rider) - სიტუაცია, რომელშიც პიროვნება სარგებლობს სხვათა იმ ქმედებებისგან, რომელშიც მას მონაწილეობა არ მიუღია. ამის მაგალითი იქნებოდა ის მუშა, რომელიც მუშაობს პროფკავშირების მქონე ინდუსტრიაში, ვინც არ წევრიანდება მასში და, შესაბამისად, არ იხდის საწევროებს; მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი იღებს ისეთ სარგებლობას პროფკავშირისაგან, როგორიცაა ამ უკანასკნელის მიერ მოლაპარაკებული გაზრდილი ხელფასი. როდესაც მიზნად დასახული საყოველთაო სარგებლობა ხორციელდება ამა თუ იმ მოვლენის სახით, მაშინ ყველა სარგებლობს, მიუხედავად იმისა, ამგვარ რეზულტატში შეიტანეს წვლილი თუ არა. ამ სიტუაციაში არსებობს აშკარა მოტივაცია რაციონალური, მაქსიმალურ მოგებაზე ორიენტირებული პიროვნებისათვის, რომ ამ უკანასკნელმა აიცილოს გადასახდელი ფასი, დრო და მცდელობა, და, შესაძლოა, ხარჯიც, რომელიც გადაიხადა პროფკავშირმა ამ კოლექტიური სარგებლის მიღწევის პროცესში. "უბილეთო მგზავრისათვის" ასეთი სარგებელი მაინც მიღწევადია. ძალიან დიდი ორგანიზაციები დაუცველნი არიან ამგვარი თავის არიდებებისგან, და თუკი მის წევრთა უმეტესობა ამ ფენომენს მიეკედლება, მაშინ, შესაძლოა, ამ ორგანიზაციამ კომულატიური ეფექტისგან უდიდესი ზარალი განიცადოს. ამდენად, ორგანიზაციები ცდილობენ, რომ შეიმუშაონ წესები და შექმნან მოტივაციები რომ "უბილეთო მგზავრობა" თავიდან აიცილონ.

კორუფცია - ოფიციალური პირის ქმედება ან უმოქმედობა, როდესაც ეს პიროვნება უკანონოდ იყენებს მის პოზიციას ან თანამდებობას საკუთარი თავისა თუ სხვათათვის მომხვეჭელობის მიზნით, რაც ეწინააღმდეგება მის ვალდებულებებსა და სხვათა უფლებებს, და გამოხატულია ასეთი ოფიციალური პირის მიერ: 1) კანონიერი აქტის უკანონო მანერაში შესრულებით; 2) უკანონო ქმედების ჩადენით; 3) უმოქმედობით, როდესაც მოქმედება კანონიერი ვალდებულებით იყო ნაკარნახევი.

პრეზიდენტი

მარბერი მედისონის წინააღმდეგ

ნიკოლოზ რურუა

მარბერი მედისონის წინააღმდეგ, შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანი სასამართლო პრეცედენტია ამერიკის ისტორიაში, იმდენად, რამდენადაც მან ე.წ. "იურიდიული გადახედვის" პრინციპი დააფუძნა. თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ პრინციპს ამერიკული სამართლებრივი თუ პოლიტიკური ტრადიციისა და პრაქტიკისათვის, ამ პროცესის ფაქტებისა და მის მოქმედ პირთა მოტივაციების ანალიზით შევეცდებით.

მიუხედავად იმისა, რომ ეს დღეს უკვე დაკანონებული პრაქტიკაა, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის ტექსტი არაფერს ამბობს უზენაესი სასამართლოს უფლებაზე, საპრეზიდენტო საქციელის, თუ კონგრესის აქტის (კანონის) არაკონსტიტუციურად გამოცხადების შესახებ. კანონი ან პრეზიდენტის საქციელი, რომელსაც უზენაესი სასამართლო არაკონსტიტუციურად სცნობს, ავტომატურად უკანონო და უძლური ხდება.

ვნახოთ, როგორ მოიპოვა სასამართლომ კონსტიტუციისაგან მიუნიჭებელი ასეთი ძლიერი უფლება იმ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლება მკაცრად განსაზღვრული, კონსტიტუციის მიერ დაწესებულ ჩარჩოებში მოქმედებს.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ჯონ მარშალი (კონგრესის ბიბლიოთეკა)

ფედერალისტმა ჯონ ადამსმა რესპუბლიკელ ტომას ჯეფერსონთან საპრეზიდენტო არჩევნების წაგებისთანავე საკუთარი ვადის დარჩენილი დროის განმავლობაში სასწრაფოდ დაიწყო ფედერალისტი მოსამართლეების კოლუმბიის დისტრიქტში დანიშვნა. მათ რიცხვი ერია ვინმე უილიამ მარბერი, ვისი დანიშვნის ბრძანებამ ნაჩქარევობით გამოწვეული არეულობის გამო სასამართლოს შენობამდე ვერ მიაღწია. ეს უბრალო ფორმალობა გახლდათ, მაგრამ ამ ტექნიკური დეტალის გარეშე მოსამართლეს საკუთარი მოვალეობის შესრულების უფლება არ ჰქონდა, ე.ი. მისი დანიშვნა ფიქტიური იყო.

ამგვარად დანიშნული მოსამართლეები ახალი პრეზიდენტის, ტომას ჯეფერსონის პოლიტიკურ სამიზნეებად იქცნენ. მისი აზრით, არჩევნებში დამარცხების შემდეგ ფედერალისტებს ახალი პრეზიდენტის ინიციატივების დაბრკოლება სურდათ, რასაც ისინი სასამართლოების საშუალებით შეეცდებოდნენ.

პრეზიდენტის ოფისის დაკავებისთანავე ჯეფერსონმა ადამსის მიერ ხელმოწერილ დანიშვნის ბრძანებებს მიაგნო. მან სახელმწიფო მდივანს, ჯეიმს მედისონს უბრძანა, ეს საბუთები დანიშნულებისამებრ არ გაეგზავნათ.

თანამდებობის მოლოდინში მყოფმა მარბერიმ ამ არასასიამოვნო სიახლის შეტყობისთანავე დახმარებისთვის პირდაპირ უზენაეს სასამართლოს მიაშურა.

ამ დროისათვის სასამართლოს სათავეში ფედერალისტი და ადამსის პოლიტიკური მოკავშირე ჯონ მარშალი ედგა. პროცესმა პირველივე დღიდან საზოგადოების არნახული ყურადღება მიიპყრო. ამის მიზეზი ის იყო, რომ მოქიშპე მხარეები იმავდროულად პოლიტიკური ოპონენტებიც იყვნენ: რესპუბლიკელები მედისონი და ჯეფერსონი, და ფედერალისტები მარბერი და ჯონ მარშალი (ვისზედაც დისპუტის გადამწყვეტი, საბოლოო სიტყვა იყო დამოკიდებული).

სპექტატორთა პროგნოზი ასეთი იყო: იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო (ანუ ჯონ მარშალი) მედისონს გაამტყუნებდა და მარბერის თხოვნის თანახმად შეეცდებოდა პრეზიდენტის იძულებას, მისი დანიშვნის ბრძანება დანიშნულებისამებრ გაეგზავნა, პრეზიდენტი სასამართლოს განაჩენს არ დაემორჩილებოდა. ეს კი, თავის მხრივ, უპრეცენდენტო "კონსტიტუციურ კრიზისს" გამოიწვევდა.

კონსტიტუციური კრიზისის შემთხვევაში, ხელისუფლება, როგორც ფუნქციონირებადი ორგანო, კარგავდა მთავარი ფუნქციის - მართვის - უნარს: როდესაც სახელმისუფლებო განშტოებანი წყვეტენ ერთმანეთთან ურთიერთობას, ქვეყანაში ხელისუფლების კოლაპსი ისადგურებს. ასეთი რამ კი ახალგაზრდა რესპუბლიკას დიდ საფრთხეს შეუქმნიდა.

საბედნიეროდ, ამ რეზულტატს სასამართლოს თავმჯდომარის, ბრწყინვალე ადვოკატის ჯონ მარშალის სიბრძნისა და პოლიტიკური გამჭრიახობის გამო ახდენა არ ეწერა.

განაჩენის გამოსატანად სასამართლომ საჭიროდ სცნო პასუხის გაცემა შემდეგ კითხვებზე: 1) გააჩნია თუ არა მარბერის საკუთარი დანიშვნის მოთხოვნის კანონიერი უფლება; 1) თუ აქვს ეს უფლება, სთავაზობს თუ არა კანონი ამ უფლების დაცვის გარანტიას; 3) და, ბოლოს, თუ კანონი აძლევს მას ასეთ გარანტიას, არის თუ არა უზენაესი სასამართლო შესაფერისი იურისდიქციის მქონე ინსტანცია მარბერის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

პირველ კითხვაზე მარშალმა პასუხს იოლად მიაგნო: ვინაიდან მარბერი კანონიერი პრეზიდენტის ბრძანებით დაინიშნა (იგულისხმება ჯონ ადამსი, ვისაც არჩევნების წაგების მიუხედავად საპრეზიდენტო ვადის გასვლამდე ორიოდე კვირა ჰქონდა დარჩენილი), სასამართლომ ასეთი აპოინტმენტი კანონიერად სცნო.

შემდეგ საკითხზე, სთავაზობს თუ არა კანონი მარბერის მისი უფლების დაცვის გარანტიას, პასუხი ასეთი იყო: "სამოქალაქო თავისუფლების მთელი არსი მდგომარეობს ყოველი ინდივიდის უნარში, რომ კანონმა მისი უფლებების დაცვა უზრუნველყოს, თუ ინდივიდის ეს უფლებები ირღვევა". კონკრეტულ კითხვაზე, შეეძლო თუ არა სასამართლოს აღმასრულებელი ხელისუფლების წევრის, სახელმწიფო მდივნის ჯეიმს მედისონის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრა, სასამართლომ უარყო ეს შესაძლებლობა. მან განაცხადა, რომ სასამართლოს ეს უფლებამოსილება არ გააჩნია, ვინაიდან ეს საკითხი ეხება აღმასრულებელი ხელისუფლების ორ წევრს შორის არსებულ დავას, ხოლო სასამართლოს ეს უფლებამოსილება არ გააჩნია.



სახელმწიფო მდივანი ჯეიმს მედისონი (კონგრესის ბიბლიოთეკა)

ხელმოწერილი დოკუმენტი, სასამართლომ თავს უფლება მისცა აღმასრულებელი დეპარტამენტისგან მოეთხოვა უბრალო ფორმალობა - ხელმოწერილი საბუთის დანიშნულებისამებრ გაგზავნა. ამგვარად, პასუხი მეორე კითხვაზეც დადებითი იყო.

მესამე და საბოლოო საკითხზე, ჰქონდა თუ არა უზენაეს სასამართლოს შესაფერისი უფლებამოსილება, მენდეიმუსის (ანუ ბრძანების) გამოსაშვებად, სასამართლომ დაასკვნა: ვინაიდან მარბერი ეყრდნობოდა კონგრესის 1789 წლის კანონს, რომელიც უზენაეს სასამართლოს კონსტიტუციის გათვალისწინებულ იურისდიქციის საზღვრებს უფართოვებდა, სასამართლომ საჭიროდ სცნო ამ აქტის ხასიათის, ანუ მისი კონსტიტუციურობის განხილვა.

1789 წლის კონგრესის აქტი (კანონი) უზენაეს სასამართლოს ამგვარ შემთხვევაში პირველადი იურისდიქციის უფლებას ანიჭებდა, მაშინ, როცა კონსტიტუცია მას მხოლოდ ასეთი საქმის სააპელაციო საფეხურზე მოსმენას ავალდებულებდა; ანუ უზენაეს სასამართლოს საქმის განხილვა მხოლოდ მას შემდეგ შეეძლო, როდესაც საქმე ერთხელ უკვე მოსმენილი იყო შედარებით დაბალ ინსტანციაში - საოლქო სასამართლოში. ასე რომ, გამოიკვეთა შეუსაბამობა კონგრესის მიერ მიღებულ კანონსა და კონსტიტუციის ტექსტს შორის.

საქმის ასეთმა შემობრუნებამ სასამართლო საბოლოო დილემის წინაშე დააყენა - მას უნდა გადაეწყვიტა, ჰქონდა თუ არა სასამართლოს კონსტიტუციის ტექსტთან შეუსაბამო კანონის უკანონოდ, ანუ არაკონსტიტუციურად გამოცხადების უფლება. ეს რთული საკითხი გახლდათ, ვინაიდან შტატების ისტორიაში ასეთი პრეცენდენტი არ არსებობდა და ამის თაობაზე კონსტიტუციაც დუმდა.

ჯონ მარშალმა პასუხი თვით კონსტიტუციის სტრუქტურაში იპოვა. მან დაასკვნა, რომ იმ შემთხვევაში, როცა კონსტიტუციით ხელისუფლება მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებში იყო მოქცეული, ამგვარი ლიმიტირება ყველანაირ აზრსა და ფუნქციას კარგავდა, თუ ხელისუფლების რომელიმე განშტოებას მისი დაცვის უფლებამოსილება ჩამოერთმეოდა. ასეთ განშტოებად მან სასამართლო სცნო: "...გამორჩეულად და განსაკუთრეულად იურიდიული დეპარტამენტის მოვალეობაა, რომ ითქვას რა არის კანონი, ანუ კონსტიტუცია". შესაბამისად, მარშალმა დაასკვნა, რომ უნდა გაუქმებულიყო ყველა კანონი, რომელიც არ ეთანხმებოდა კონსტიტუციას, ქვეყნის უზენაეს კანონს. სასამართლომ 1789 წლის აქტი ასეთად გამოაცხადა და უილიამ მარბერის, სააპელაციო სასამართლოსკენ მიუთითა - კონსტიტუცია რომ არ დარღვეულიყო, უზენაესი სასამართლო ამ საქმეს მხოლოდ მეორად საფეხურზე ანუ ქვემდგომი სასამართლოს განხილვის შემდეგ მოისმენდა.

მართალია, ჯონ მარშალმა განაჩენი საკუთარ პოლიტიკურ ოპონენტთა სასარგებლოდ გამოიტანა, მაგრამ ამ შემთხვევაში ნამდვილად შეიძლებოდა თქმა, რომ "უმცირესი ძალაუფლება უდრიდა უმეტესს". ვირტუოზული ალღოს წყალობით, მარშალმა სასამართლოს რეპუტაცია მისი ისტორიის საწყისშივე იხსნა დაკნინებისგან, რაც ამ ახალგაზრდა ინსტიტუტს რეალურად ემუქრებოდა.

ასე რომ, მარბერის "წაგება" მარშალის, ფედარლისტების და მთელი შეერთებული შტატების დიდ გამარჯვებას ნიშნავდა - პატივმოყვარეობაშელახული პრეზიდენტი მისივე მომხრეთა მითითებით დაშოშმინდა. მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგე უილიამ მარბერი ხომ უზენაესმა სასამართლომ დახმარების ნაცვლად დაბალ ინსტანციაში გაგზავნა! რეალურად კი იმ დღიდან უზენაესმა სასამართლომ კონგრესისა და პრეზიდენტის ქმედებათა მსაჯულის როლი, ანუ ე.წ. "იურიდიული გადახედვის" უფლება დაიკანონა, რაც სასამართლოს მანამდე არასოდეს გააჩნდა. ამისათვის მარშალმა იდეალური შემთხვევა იპოვა. ამ უფლებამ სასამართლო კონსტიტუციისა და დემოკრატიული ინსტიტუტის მცველად აქცია. ამ ფუნქციას იგი დღემდე ასრულებს.

თუმცა ჯონ მარშალის, როგორც მოაზროვნისა და პატრიოტის დამსახურება ამით არ მთავრდება - აღნიშნული გადაწყვეტილებით მან ამერიკის ხელისუფლება კონსტიტუციურ კრიზისს აარიდა, რაც ახლად შექმნილი კავშირისათვის სერიოზულ საფრთხეს, მოსახლეობისათვის კი ხელისუფლების უნარიანობაში ღრმა პროსტრაციის საბაბად შეიძლება ქცეულიყო.

ჩვენს საუბარს ამერიკული იურიდისპრუდენციის ფილოსოფიისა და უზენაესი სასამართლოს ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, ლუის ბრენდაისის სიტყვებით ვამთავრებთ:

"...მათ, ვინც ჩვენი დამოუკიდებლობა მოიპოვა, თავისუფლება ერთადერთ მიზნად და ამავე დროს, ამ მიზნის მისაღწევ ერთადერთ საშუალებად მიაჩნდათ. სწამდათ, რომ ბედნიერების საიდუმლო მხოლოდ თავისუფლებაშია. თავისუფლების ფორმულა კი - მხოლოდ გამბედაობაში. იცოდნენ, რომ სიტყვისა და თავშეყრის უფლების გარეშე ყველანაირი დისკუსია უნაყოფოა და მხოლოდ ეს ინგრიდიენტები ქმნის მავნე აზრთაგან თავდაცვის გარანტიას. მიაჩნდათ, რომ საზოგადოებრივი გულგრილობა თავისუფლების უდიდესი მტერია და რომ დისკუსიებში მონაწილეობა ყოველი ჩვენგანის პოლიტიკური ვალდებულებაა. მათ იზრუნეს, რომ ამერიკული მთავრობის ფუნდამენტური პრინციპი სწორედ ასეთი ყოფილიყო.

...დამფუძნებელ მამებს ისიც ესმოდათ, რომ ნამდვილ სიმშვიდეს მხოლოდ სასჯელისადმი შიში არ ქმნის; უწყოდნენ, რაოდენ მავნეა ადამიანის არსებაში იმედის, აზრისა და რწმენის ჩახშობა. და, რომ რეპრესია მარტოდენ სიძულვილის მშობელია, რაც, თავის მხრივ, ხელისფლების სტაბილურობას ემუქრება. სწამდათ, რომ უსაფრთხოებისკენ მიმავალი გზა სატკივარის თავისუფლად განსჯასა და გამოსავლის ძიებაში გადის, რა საშველი უვარგის მმართველთა უმჯობესით შეცვლაშია...

...ისინი, ვინც ჩვენს დამოუკიდებლობას ბრძოლით მიაღწიეს, არ იყვნენ მხდალნი. მათ არ ეშინოდათ პოლიტიკური ცვლილებების და არ სწამდათ თავისუფლების ხარჯზე დამყარებული წესრიგისა".

კრიტიკული აზროვნება

წერილი პრეზიდენტ ვაცლავ ჰაველს

იოზეფ ბროდსკი

იოზეფ ბროდსკი

ბატონო პრეზიდენტო,

გადავწყვიტე თქვენთვის მომეწერა ეს წერილი, რადგან არსებობს რაღაც, რაც მე და თქვენ გვაერთიანებს: ორივენი მწერლები ვართ. დარწმუნებული ვარ, რომ ის, ვინც ამ საქმიანობითაა დაკავებული, ქაღალდზე გადატანამდე უფრო გულდაგულ აწონის სიტყვებს, ვიდრე ნებისმიერი სხვა. მაშინაც კი, როცა საზოგადოებრივ საქმიანობაში აღმოჩნდები ჩართული, უნდა ეცადო, თავი შეიკავო შაბლონური თუ ლათინიზებული გამოთქმებისა და ნებისმიერი ჟარგონისაგან. რა თქმა უნდა, დიალოგის დროს, ორი ან მეტი მოსაუბრის გარემოცვაში ეს საკმაოდ ძნელია და თავისი პრეტენზიულობით გამაოგნებელიც კი; მაგრამ მიღწევა ამისა, ვფიქრობ, შესაძლებელია მონოლოგში; თუმცა, ადამიანი ყოველთვის ცდილობს, რომ საუბრის სტილი მსმენელს მოარგოს.

კიდევ ერთი რამ, რაც გვაერთიანებს, ბატონო პრეზიდენტო, არის ჩვენი წარსული პოლიციურ სახელმწიფოებში. მოვეშვათ პათეტიკურ სიტყვებს: ეს არის ჩვენი ციხეები და თავისუფლების სიმცირე, რომელიც დროის სიუხვითაა კომპენსირებული. ამას ადრე თუ გვიან, ადამიანი, მისი ტემპერამენტის მიუხედავად, პასიური განჭვრეტის მდგომარეობაში გადაჰყავს. რა თქმა უნდა, თქვენ თქვენს საპყრობილეში მეტი დრო დაჰყავით, ვიდრე მე ჩემსაში; თუმცა იქ პირველად მე პრაღის გაზაფხულზე ბევრად ადრე მოვხვდი. და მაინც, მიუხედავად ჩემი, თითქმის პატრიოტული რწმენისა რომ გამოუვალი ყოფა რუსეთის ცემენტის ნაწლავებში, და შარდის სუნით გაჟღენთილ ორმოებში უფრო მალე აღუძრავს ადამიანს არსებობის პირობითობის შეგრძნებას, ვიდრე ის, რაც მე ერთხელ უკვე აღვწერე როგორც სუფთად მობათქაშებული განდეგილობა ცივილიზებულ პრაღაში, მაინც ვთვლი, რომ ჩვენ, როგორც მოაზროვნე არსებები, სავსებით თანასწორ მდგომარეობაში ვიმყოფებით.

მოკლედ ვიტყვი: დიდი ხნის წინათ, სანამ მე ამ წერილის დაწერას ჩავიფიქრებდი, ჩვენ თანამოკალმენი ვიყავით. მაგრამ თქვენდამი მომართვა ჩემმა განსწავლულობამ როდი გადამაწყვეტინა, ან იმან, რომ თქვენი დღევანდელი მდგომარეობა საკმაოდ განსხვავდება ჩვენივე წარსულისაგან (ამაზე ბუნებრივი რა უნდა იყოს - არავინაა ვალდებული, რომ სამუდამოდ მწერლად დარჩეს, ისევე როგორც პატიმრად). ცოტა ხნის წინ თქვენი უკანასკნელი გამოსვლა წავიკითხე, რომელშიც თქვენი დასკვნები წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე იმედნად განსხვავდებოდა ჩემისაგან, რომ ვიფიქრე - რომელიმე ჩვენგანი აუცილებლად ცდებოდა; სწორედ იმიტომ, რომ თქვენს არა მარტო საკუთარ (ან თქვენი ქვეყნის) აწმყოსა და მომავაზე მსჯელობდით, არამედ მთელ მსოფლიოს ეხებოდით, გადავწყვიტე, ღია წერილთი მომემართა. საკითხი რომ მხოლოდ წარსულით შემოფარგლულიყო, ამ წერილს არ მოგწერდით, ან, თუ მოგწერდით, აღვნიშნავდი მას როგორც "პირადს".

თქვენი სიტყვა, რომელიც მე წავიკითხე, The New York Times Book Review-ში გამოქვეყნდა სათაურით "პოსტკომუნისტური კოშმარი". თქვენ იმ პერიოდის გახსენებით იწყებთ, როცა საკუთარი მეგობრები და ნაცნობები ქუჩაში შეხვედრისას თვალს გარიდებდნენ, რადგან მაშინ თქვენ სახელმწიფოს მხრიდან საფრთხე გემუქრებოდათ და პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდით. შემდეგ კი განმარტავთ მათი საქციელის მიზეზს და თქვენთვის ჩვეული, კეთილგანწყობილი ტონით ვარაუდობთ (რომლითაც სავსებით სამართლიანად გაითქვით სახელი), რომ ამ მეგობრებისა და ნაცნობებისათვის თქვენ უბრალო უხერხულობას წარმოადგენდით. ხოლო "უხერხულობებს" - აქ ცნობილ სიბრძნეს იშველიებთ -"უმჯობესია, თავი ავარიდოთ". შემდეგ, თქვენი სიტყვის უმეტეს ნაწილს პოსტკომუნისტური რეალობის აღწერას უთმობთ (აღმოსავლეთ ევროპისა და, მეტ-ნაკლებად, ბალკანეთში) და დემოკრატიული სამყაროსათვის დამახასიათებელ ქცევის ტიპს "უხერხულობისაგან" თავის ამრიდებელ რეალობას უპირისპირებთ.

ეს მშვენიერი სიტყვაა, აღსავსე შორსმჭვრეტელი და დამაჯერებელი დასკვნებით; მაგრამ ნება მომეცით, თქვენს ამოსავალ საკითხს დავუბრუნდე. მეჩვენება, ბატონო პრეზიდენტო, რომ ამ შემთხვევაში თქვენი სახელგანთქმული თავაზიანობა წარსულის თქვენეულ შეფასებას ნაკლებად უხდება. დარწმუნებული ხართ, რომ კონკრეტულ მომენტსა და ადგილას კონკრეტული ხალხი თვალს სწორედ "პოტენციური დევნის" რიდითა და შიშით გარიდებდათ და არა იმიტომ, რომ თქვენ, რომელმაც მოჩვენებითი სტაბილურობა შესძინეთ სისტემას, მათ მიერ, უბრალოდ, ჩამოწერილი იყავით? დარწმუნებული ხართ, რომ თუნდაც ზოგიერთი მათგანი არ მიგიჩნევდათ თქვენ ერთ დაღდასმულ, განწირულ ადამიანად, რომელზედაც დროის ხარჯვა სისულელე იქნებოდა? განა არ ფიქრობთ, რომ იმის ნაცვლად, ან იმასთან ერთად, რომ უხერხულობას ქმნიდით (როგორც თქვენ ამტკიცებთ), თქვენ არასწორი ქცევის ტიპის თვალსაჩინო მაგალითი იყავით და ამდენად მნიშვნელოვანი მორალური კმაყოფილების წყაროს წარმოადგენდით, ზუსტად ისე, როგორც ავადმყოფები არიან ჯანმრთელთა უმრავლესობისათვის? განა არ წარმოგედგინათ, როგორ ეუბნებოდნენ ისინი საღამოს ცოლებს: "დღეს ქუჩაში ჰაველი ვნახე. მისი საქმე წასულია". თუ არასწორად მესმის ჩეხური ხასიათი?

ვაცლავ ჰაველი

ფაქტი, რომ ისინი ცდებოდნენ და თქვენ არა, ძალიან ცოტას ნიშნავს. თქვენ პირველ რიგში ჩამოგწერეს იმიტომ, რომ თუნდაც ჩვენი ნახევარსაუკუნოვანი სტანდარტების მიხედვით თქვენ არ ყოფილხართ წამებული. გარდა ამისა, განა ყველა ჩვენგანი არ ვატარებთ ფარულად ბრალეულობის გარკვეულ შეგრძნებას, რომელიც, მართალია, არანაირად არ უკავშირდება სახელმწიფოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ხელშესახები და საგრძნობია? ასე რომ, როცა კი სახელმწიფოს ხელი მოგვწვდება, ჩვენ ამას ოდესღაც დამსახურებულ სასჯელად, ბედისწერის მძიმე, მაგრამ მაინც მოსალოდნელ იარაღად მივიჩნევთ. გულახდილად რომ ვთქვა, სწორედ ეს raison d`etre უდევს საფუძვლად პოლიციის ინსტიტუტის არსებობას, იქნება ის ფორმიანი თუ უფორმო, ან, თუნდაც ჩვენს ზოგად უუნარობას, რომ დაპატიმრებას შევეწინააღმდეგოთ. ნებისმიერი ადამიანის დარწმუნება შეიძლება იმაში, რომ სახელმწიფო ცდება, მაგრამ იშვიათია შემთხვევა, როცა ვინმე საკუთარ ღირსებებშია დარწმუნებული. სწორედ ამიტომ არავის უკვირს, თუ მას გათავისუფლების შემდეგ თვალს არიდებენ.

არავის სიამოვნებს იმის შეხსენება, რამდენად მჭიდროდაა გადაჯაჭვული ბრალეულობა და სასჯელი, ხოლო პოლიციურ სახელმწიფოში ასეთი შეხსენება სხვა არაფერია, თუ არა გმირობა. სწორედ ეს იწვევს ადამიანების გაუცხოებას, ისევე, როგორც ნებისმიერი ღირსების გამოვლენა; აღარაფერს ვიტყვი იმაზეც, რომ გმირი ყველაზე კარგად შორიდან ჩანს. უმეტესწილად, ბატონო პრეზიდენტო, ეს ადამიანები თვალს სწორედ იმიტომ გარიდებენ, რომ მათთვის თქვენ იყავით ბოროტებისა და სიკეთის დაპირისპირების სინჯარა იმ ექსპერიმენტში, რომლის ჩატარებაშიც თავად მონაწილეობა არ მიუღიათ, იმდენად რამდენადაც მათ საკუთარი ეჭვები გააჩნდათ ორთავეს შესახებ. არსებითად, თქვენ და თქვენი სევდა ისევ უხერხულობას წარმოადგენდით, რადგანაც პოლიციურ სახელმწიფოში ორი შეუზღუდავი ძალა ურთიერთწარმომშობი და ურთიერთგამაბათილებელი ხდება. განა არ წარმოგიდგენიათ, როგორ ეუბნებიან ეს კეთილგონიერი ადამიანები საღამოს თავიანთ ცოლებს: "დღეს ქუჩაში ჰაველი ვნახე. იგი ზედმეტად დადებითია იმისათვის, რომ გულწრფელი იყოს". თუ მე ისევ არასწორად განვსჯი ჩეხურ ხასიათს?

ვიმეორებ, ფაქტი, რომ ისინი სცოდავდნენ და თქვენ არა, ბევრს არაფერს ნიშნავს. იმ მომენტში მათ თქვენ ჩამოგწერეს, რადგანაც ხელმძღვანელობდნენ იმავე დამოკიდებულებებითა და ინტერესებით, რაც, ჩემი ვარაუდით, მათ დღეს წარმატების მიღწევაში უწყობს ხელს ამჟამინდელი მთავრობის ხელში. და როგორც ჯანსაღმა უმრავლესობამ, მათ, ეჭვგარეშეა, უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშეს თქვენს ხავერდის რევოლუციაში, რაც, ყველაფრის მიუხედავად, განსაკუთრებით საკუთარ ინტერესების დაცვას ემსახურება, იმ მეთოდებით, რომლებითაც ამას დემოკრატია აკეთებს. თუ საქმე ამაშია, და ვშიშობ, ეს სწორედ ასეა, მათ სამაგიერო გადაგიხადეს საკუთარი გადამეტებული კეთილგონიერებისათვის და ახლა თქვენ იმ საზოგადოებას უდგეხართ სათავეში, რომელიც მათი უფროა, ვიდრე თქვენი.

ამაში ცუდი არაფერია. მეტიც, თავისუფლად შეიძლება, ყველაფერი სხვაგვარად წარმართულიყო: მე ვგულისხმობ თქვენთვის; და არა მათთვის (რევოლუცია ხავერდოვანი იყო იმიტომ, რომ ტირანიას იმხანად რბილი უფრო ეთქმოდა, ვიდრე მტკიცე) - წინააღმდეგ შემთხვევაში არ მექნებოდა პატივი ჩემი აზრი გამომეთქვა თქვენს სიტყვაზე. ამდენად, ერთადერთი, რასაც ვვარაუდობ, არის ის, რომ "უხერხულობის" კონცეფციის დამკვიდრების დროს თქვენ ალბათ შეცდომა დაუშვით, რადგან საკუთარი ინტერესების განხორციელება ყოველთვის სხვების ხარჯზე ხდება, სულ ერთია, ამას ერთი პირი აკეთებს თუ მთელი ერი. უფრო ზუსტი ფორმულირება მათი ქმედებისა იქნებოდა ადამიანის გულის სიმდაბლე, ბატონო პრეზიდენტო, მაგრამ ასეთ შემთხვევაში თქვენ ვერ შეძლებდით თქვენს სიტყვაში ხმამაღალი დასკვნების გამოტანას. ტრიბუნა სრულიად განსაზღვრულ წესებს მოითხოვს და მწერალი თუ არამწერალი ერთნაირად უნდა ერიდოს მათ. რამდენადაც ჩემს წინაშე იგივე ამოცანა არ დგას, თავს ნებას მივცემდი, გამომეყენებინა თქვენივე არგუმენტი ისე, როგორც ეს ჩემი აზრით გამართლებული იქნებოდა. საინტერესოა, მიუღებელი ხომ არ იქნება ჩემი ცდის რეზულტატი თქვენთვის.

თქვენი სიტყვის შემდეგი აბზაცი ასე იწყება: "ათწლეულების განმავლობაში მთავარ საფრთხეს დემოკრატიული სამყაროსათვის კომუნიზმი წარმოადგენდა. დღეს - სამი წლის შემდეგ, რაც იგი ზვავივით ჩამოიშალა - როგორც ჩანს, იგი ახალმა საფრთხემ - პოსტკომუნიზმმა - შეცვალა". შემდეგ თქვენ საკმაოდ დეტალურად აღწერთ დემოკრატიული სამყაროს მიერ რეაგირების არსებულ მეთოდებს ეკოლგიურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ კატასტროფებზე, რომლებიც ვლინდება იქ, სადაც ადრე მოჩვენებითი სიმშვიდე სუფევდა. მათ რეაგირებას თქვენეულ "უხერხულობას" ადარებთ და ვარადუობთ, რომ ასეთ მდგომარეობას მივყავართ "რეალობის უარყოფამდე და, საბოლოო ჯამში, მისდამი მორჩილებამდე. მას სიმშვიდე, მეტიც, თანაგრძნობა მოაქვს. ასეთი პოზიციის შედეგი შეიძლება თვითმკვლელობაც კი იყოს".

ჩემი აზრით, ბატონო პრეზიდენტო, სწორედ აქ გიმტყუნათ თქვენმა მეტაფორამ, რადგან ვერც კომუნისტური და ვერც პოსტკომუნისტური საფრთხე ვერ შეედრება "უხერხულობას", რამდენადაც ამ საფრთხემ ხელი შეუწყო, და გარკვეული დროის განმავლობაში კვლავ შეუწყობს დემოკრატიულ სამყაროში არსებული ბოროტების მიჩქმალვას. საკმაოდ ბევრი ჩვენგანისათვის, ვინც ამ კოშმარში ვიცხოვრეთ და განსაკუთრებით მათთვის, ვინც მას ებრძოდა, ამ ბოროტების არსებობა მნიშვნელოვანი მორალური კომფორტის წყაროს წარმოადგენდა, რადგან ის, ვინც ებრძვის ან წინ აღუდგება ბოროტებას, თითქმის ავტომატურად აიგივებს საკუთარ თავს სიკეთესთან და ამით თვითანალიზს გაურბის. ასე რომ, იქნებ დადგა დრო - ჩვენთვისაც და მთელი დემოკრატიული თუ არადემოკრატიული სამყაროსათვის - ამოვიღოთ ტერმინი "კომუნიზმი" აღმოსავლეთ ევროპის ადამიანური რეალობიდან ისე, რომ შესაძლებელი გახდეს რეალობის შეცნობა თავისი ნამდვილი სახით; ისევე როგორც ეს შესაძლებელია სარკის გამოყენებით.

სწორედ ეს არის ის, რაც ყოველთვის წარმოადგენდა ადამიანური ბოროტების არსს. გეოგრაფიული დასახელებები თუ პოლიტიკური ტერმინოლოგია ტელესკოპით, ან ფანჯრიდან განჭვრეტის საშუალებას კი არ გვაძლევს, არამედ ჩვენივე, ადამიანთა უარყოფითი პოტენციალის ანარეკლს წარმოადგენს. მნიშვნელობა იმისა, რაც მოხდა სამყაროს იმ ნაწილებში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ საუკუნის ორი მესამედის განმავლობაში, არ შეიძლება "კომუნიზმამდე" დავიყვანოთ. შაბლონურ გამოთქმებში, მთლიანობაში, უფრო მეტი იკარგება, ვიდრე გამოიხატება და ათეულობით მილიონი ადამიანის მკვლელობისა და მთელი ერების განადგურების ფონზე ეს შაბლონები უბრალოდ არ გამოდგება. მიუხედავად იმისა, რომ პროპორციული მიმართება ჯალათებსა და მათ მსხვერპლთ შორის ამ უკანასკნელთა უპირატესობით აღინიშნება, მასშტაბი იმისა, რაც ჩვენს სახელმწიფოებში მოხდა, გვავარაუდებინებს, აღნიშნული ეპოქის ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის გათვალისწინებით, რომ პირველთა რაოდენობაც ასევე მილიონებს აღწევდა.

ბატონო პრეზიდენტო, ქადაგება ჩემი საქმე არ არის; გარდა ამისა, თქვენ ახალი მოქცეული ხართ. ჩემგან არ გესწავლებათ, რომ ის, რასაც თქვენ "კომუნიზმს" უწოდებთ, ჰუმანურობის დაცემა უფრო იყო, ვიდრე პოლიტიკური პრობლემა. ეს ადამიანების, ჩვენი ბიოლოგიური სახეობის, ძველისძველი პრობლემა იყო. არც როგორც მწერალს და მით უმეტეს, არც როგორც ერის ლიდერს არ უნდა გამოგეყენებინათ ტერმინოლოგია, რომელიც ადამიანური ბოროტების რეალურ სურათს გააბუნდოვანებდა - ტერმინოლოგია, დავამატებდი, რომელიც თავად ბოროტების მიერაა შექმნილი საკუთარი რეალობის გასაბუნდოვანებლად. ამისათვის არც ღამის კოშმარის დარქმევა შეიძლება, რადგან ადამიანურობის დაცემა არ იყო ღამეული ქმედება, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ჰემისფეროში.

და თუკი საკუთარი თავის გამოცდა არარეალური ჩანს (რატომ უნდა ვაკეთოთ ჩვენივე ნებით ის, რის გაკეთებასაც იძულების დროსაც ვერიდებით?), მაშინ მცდარობის შესახებ მითი მაინც უნდა გავფანტოთ, რადგან ერთ რამეში ტანკების ბრიგადები და მეხუთე კოლონები ბიოლოგიურად განურჩეველნი არიან. რატომ არ დავიწყოთ უბრალოდ იმის აღიარებით, რომ ამ საუკუნეში ჩვენს სამყაროში განსაკუთრებული ანთროპოლოგიური უკუსვლა მოხდა და არა აქვს მნიშვნელობა, რამ გამოიწვია იგი? რომ ამ პროცესმა ჩაითრია მასები, რომლებიც საკუთარ ინტერესებში მოქმედებენ, რითაც მათი საერთო მნიშვნელობა დაყვანილი? და რომ მასების ინტერესი - ცხოვრებისა და მისი ნორმების სტაბილურობა - სხვა, თუმცა რაოდენობრივი თვალსაზრისით ნაკლები მასების ხარჯზე იქნა მიღწეული? ამის შესაბამისია მოკლულთა რაოდენობაც.

ძალიან მოსახერხებელია ამ მოვლენების შეცდომად, შიშის მომგვრელ პოლიტიკურ აბერაციად მიჩნევა, რომელიც, შესაძლოა, თავსაც კი მოახვიეს ადამიანებს. კიდევ უფრო მოსახერხებელია, ამ ადგილს შესაბამისი გეოგრაფიული ან უცხო ჟღერადობის სახელი მივანიჭოთ, რომლის გამოთქმა მის აშკარად ადამიანურ ბუნებას ბუნდოვანებას შესძენს. მოსახერხებელი იყო ამ აბერაციის წინააღმდეგ საზღვაო და თავდაცვის სისტემის აგება - ისევე, როგორც ახლა მოსახერხებელია ამ თავდაცვებისა და საზღვაო სისტემების მოშლა. დავამატებდი ასევე, ბატონო პრეზიდენტო, რომ დღევანდელი ტრიბუნიდან მოსახერხებელია ამ მოვლენებზე თავაზიანად საუბარი, თუმცა მე არც ერთი წუთით არ ვაყენებ ეჭვის ქვეშ თქვენი თავაზიანობის გულწრფელობას, რომელიც, მჯერა, თქვენი ბუნების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მოსახერხებელი იყო გარშემო ცოცხალი მაგალითის ყოლა იმისათვის, როგორ არ უნდა წაგეყვანა საქმეები ამ სამყაროში და ამ მაგალითის განმტკიცება -იზმით, ზუსტად ისე, როგორც დღეს მოსახერხებელია მისი განმტკიცება "ნოუ-ჰაუ"-თი და "პოსტ"-ით (ძალიან ადვილი წარმოსადგენია ჩვენი -იზმი, რომელიც მომავალში თავისი პოსტ-ით დამშვენებული იოლად მოწყდება ბრიყვებს ენის წვერიდან).

"ჩვენ უნდა დავამყაროთ ახალი ურთიერთობა ჩვენს მეზობლებთან და მთელს მსოფლიოსთან" - ამბობთ თქვენ სიტყვის დასასრულს - "და ამ ურთიერთობის მეტაფიზიკური წყობა, რაც მორალური წესრიგის წყაროდ იქცევა". მეტაფიზიკური წყობა, ბატონო პრეზიდენტო, თუნდაც მართლა რომ არსებობდეს, საკმაოდ დაბურულია და მისი სტრუქტურული იდიომები მისი ნაწილების ურთიერთგანუსაზღვრელობაში მდგომარეობს. ამდენად, ცნება, რომ ადამიანი სახიფათოა, ადამიანური მორალის თვალსაზრისით, ყველაზე ახლოს დგას ამ წყობის არსთან. ყოველი მწერალი არის მკითხველიც და თუ თქვენი ბიბლიოთეკის თაროებს შეავლებთ თვალს, მიხვდებით, რომ თქვენი წიგნების დიდი ნაწილი ან ღალატს ეხება, ამ მკვლელობას. ნებისმიერ შემთხვევაში უფრო კეთილგონივრული იქნება საზოგადოების შენება იმ პრეზუმპციაზე, რომ ადამიანი უფრო ბოროტია, ვიდრე კეთილი. ამ შემთხვევაში იმის შესაძლებლობა მაინც არსებობს, რომ ამ საზოგადოების წევრთა უმრავლესობა თუ ფიზიკურად არა (თუმცა ესეც დასაშვებია), ფსიქოლოგიურად მაინც იყოს დაცული, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ გარდაუვალი მოულოდნელობები უფრო სასიამოვნო შეიძლება გახდეს.

ბატონო პრეზიდენტო, იქნებ ნამდვილი თავაზიანობა ილუზიების შექმნაში არ მდგომარეობს. "ახალი აღქმა", "გლობალური პასუხისმგებლობა", "პლურალისტური მეტაკულტურა", თავისი არსით, არაფრით აღემატება ახალი ნაციონალისტების რეტროსპექტიულ უტოპიებს ან მეწარმე ნუვორიშების ანტრეპრენიორულ ფანტაზიებს. მსგავსი სისულელე ჯერ კიდევ კვებავს პრეზუმპციას ადამიანის სიქველის შესახებ, როგორც მის მიერ საკუთარი თავის დაცემულ ანგელოზად აღქმასა, ან ასეთი აღქმის შესაძლებლობას. ასეთი სტილი უფრო უვიცებს ან დემაგოგებს შეეფერება, რომლებიც ინდუსტრიულ დემოკრატიას უდგანან სათავეში, მაგრამ არა თქვენ, ვინც ვალდებულია იცოდეს სიმართლე ადამიანთა გულების შესახებ.

ვინმემ ისიც კი შეიძლება იფიქროს, რომ თქვენ მომგებიანი მდგომარეობა გიკავიათ არა მარტო იმისათვის, რომ თქვენი ცოდნა ხალხს გადასცეთ, არამედ იმისათვისაც, რომ გარკვეულწილად იზრუნოთ მათზე: დაეხმაროთ მათ, რომ მოგბაძონ თქვენ. რადგანაც ის, რამაც თქვენ ასეთად გაქციათ, იყო არა დასჯის შედეგად მიღებული გამოცდილება, არამედ წიგნები, რომლებსაც კითხულობდით. დამწყებებისათვის კარგი იქნებოდა, ამ წიგნთაგან რჩეული ნაწყვეტები გამოქვეყნებულიყო პერიოდულად ქვეყნის ძირითად ყოველდღიურ გამოცემებში. ჩეხეთის მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე, ამის გაკეთება შეიძლება, თუნდაც დადგენილების სახით, თუმცა არა მგონია, თქვენი პარლამენტი წინააღმდეგი წავიდეს. თქვენი ხალხისათვის პრუსტის, კაფკას, ფოლკნერის, პლატონოვის, კამიუს თუ ჯოისის გაცნობით იქნებ თუნდაც ერთი ერი მაინც აზიაროთ ცივილიზაციას შუაგულ ევროპაში.

ეს მომავალში მსოფლიოს მეტ სიკეთეს მოუტანს, ვიდრე ერთმანეთთან მოქიშპე კოვბოები. გარდა ამისა, ეს იქნება ჭეშმარიტი პოსტ-კომუნიზმი და არა უბრალოდ დოქტრინის გადამუშავება, რასაც თან ახლავს "სიძულვილით მსოფლიოს მიმართ, ნებისმიერი გზით თვითდამკვიდრების სურვილითა და ეგოიზმის უმაგალითო აღზევებით", რაც თქვენ დღეს ასე გთრგუნავთ. რადგან არ არსებბს ადამიანის გულის მდაბლობის წინააღმდეგ სხვა წამალი განსჯისა და კარგი გემოვნების გარდა, რომლითაც გაჟღენთილია დიდი ლიტერატურა, ისევე, როგორც თქვენი საკუთარი ნამუშევრები. თუ ადამიანის უარყოფითი პოტენციალის საუკეთესო გამოვლინება მკვლელობაა, მისი დადებითი პოტენციალის საუკეთესო გაცხადება ხელოვნება იქნება.

შეიძლება გაგიჩნდეთ კითხვა, რატომ არ ვთავაზობ მსგავს აბსურდულ რჩევებს იმ ქვეყნის პრეზიდენტს, რომლის მოქალაქეც თავად გახლავართ? იმიტომ, რომ ის მწერალი არ არის; ხოლო როგორც მკითხველი, ხშირად უვარგის ლიტერატურას კითხულობს; რადგანაც კოვოებს კანონისა სწამთ და დემოკრატია მხოლოდ მის წინაშე თანასწორობამდე დაჰყავთ, რაც მკაცრი პოლიციური რეჟიმის პრერიებს ნიშნავს. ხოლო ის, რასაც თქვენ გთავაზობთ, არის თანასწორობა კულტურის წინაშე. თქვენი გადასაწყვეტია, რომელი გარიგება იქნება უკეთესი თქვენი ხალხისათვის, რომელი წიგნის მიწოდება აჯობებს მათთვის. თუმცა, თქვენს ადგილას რომ ვიყო, საკუთარი ბიბლიოთეკით დავიწყებდი, რადგანაც იმას, რაც თქვენ მორალური იმპერატივების შესახებ ისწავლეთ, აშკარად ვერ ისწავლიდით იურიდიულ ფაკულტეტზე.

გულწრფელად თქვენი,
იოზეფ ბროცკი

კონსტიტუციონალიზმი

ნიკოლოზ რურუა

ქვემოთ მოყვანილი თითოეული სამართლებრივი კონცეფცია საფუძვლიანი და ჯეროვანი გაგებისათვის საკუთარი წარმოშობის მიზეზებსა და განვითარების ისტორიაზე ბევრად მეტის თქმას საჭიროებს. მიუხედავად ამისა, სასარგებლოდ მიგვაჩნია მკითხველს გავუზიაროთ ამ პრინციპთა საბაზისო დეფინიცია. ეს პრინციპები დასავლური დემოკრატიისა და კონსტიტუციონალიზმის უმთავრეს ინგრედიენტებს წარმოადგენენ, რომელიც ცივილიზებულმა საზოგადოებამ საკუთარი არსებობის ხარისხობრივი გაუმჯობესებისათვის შეიმუშავა. ამ კონცეფციათაგან ნებისმიერი, საკუთარი არსით, დემოკრატიული წყობილების უმთავრესი ფასეულობის - ინდივიდუალური თავისუფლების დაცვასა და შენარჩუნებას ემსახურება.

კანონის მმართველობა
(Rule of Law)

კანონით მართული მთავრობა: კანონის შესაფერისი პროცედურისადმი მორჩილება. რეჟიმი, რომელშიც ხელისუფლების იერარქიის ნებისმიერი წარმომადგენელი საკუთარი სამსახურებრივი საქმიანობისას მოქმედებს მხოლოდ კანონის მიერ განსაზღვრულ ჩარჩოში და არა მისი საკუთარი თუ სხვისი სურვილების შესაბამისად.

ძალთა დანაწევრება
(Separation of Powers)

კანონიერი დოქტრინა, რომლის მიხედვითაც ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო განშტოებანი არ უნდა ჩაერიონ ერთმანეთის კონსტიტუციურ უფლებამოსილებაში.

შემოწმება და გალანსირება
(Checks and Balances)

პრინციპი, რომლის მიხედვითაც ხელისუფლების სამივე განშტოებას მინიჭებული აქვს ისეთი ძალაუფლებები, როგორიცაა იურიდიული გადახედვის უფლება (სასამართლო ხელისუფლებას), საპრეზიდენტო ვეტოს უფლება (აღმასრულებელ ხელისუფლებას) და საპარლამენტო გაბათილება-გადაწონის უფლება (საკანონმდებლო ხელისუფლებას). ამ უფლებების მიზანი და ფუნქცია არის ის, რომ არც ერთ განშტოებას არ მიეცეს საკუთარ ხელში ძალზე დიდი ძალაუფლების კონცენტრირების საშუალება.

სახელისუფლებო პასუხისმგებლობა
(Accountability)

კონსტიტუციური პრინციპი, რომელიც შემუშავდა იმისათვის, რომ ხელისუფლების წარმომადგენელს არ შეეძლოს საკუთარი საქციელისა თუ ქმედების გამო პასუხისმგებლობის აცილება ამომრჩევლისა თუ იერარქიულად ზემდგომის წინაშე. ეს პრინციპი არ ეხება (ან ე.წ. "სარკის ეფექტით" ეხება) უზენაეს სასამართლოს წევრებს, რომლებიც უვადოდ არიან დანიშნულნი და მათი გადარჩევა არავის ძალუძს. მიზეზი ამისა არის ის, რომ მოსამართლე არ უნდა იყოს ანგარიშვალდებული არავის წინაშე, გარდა კონსტიტუციისა, რადგანაც სხვა შემთხვევაში მას ექნებოდა დიდი ცდუნება დამორჩილებოდა საზოგადოებრივ სენტიმენტს ან აღმასრულებლის ნებასურვილს. ეს კი მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ხალხს ექნებოდა მოსამართლის გადარჩევის, ან პრეზიდენტს - მოხსნის შესაძლებლობა.

კანონის წინაშე თანასწორობა
(Equall Protection of the Law)

კონსტიტუციური პრინციპი, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოს, მოექცეს ინდივიდსა თუ ინდივიდების ჯგუფს ისევე, როგორც ექცევა ანალოგიურ სიტუაციასა თუ გარემოებებში მყოფ სხვა ინდივიდსა თუ ინდივიდთა ჯგუფს.

სიტყვის თავისუფლება
(Freedom of Speech)

უფლება, რომ მოქალაქემ გამოთქვას ინფორმაცია, იდეა ან შეხედულება ხელისუფლების მხრიდან ამ სიტყვის, იდეის თუ შეხედულების შინაარსით განპირობებული შეზღუდვების გარეშე. ხელისუფლებას უფლება აქვს სიტყვის თავისუფლება კეთილგონიერი და აუცილებლობით გამოწვეული შემთხვევისას შეზღუდოს (მაგალითად, თუ ხელისუფლებამ ხალხს ან საკუთარ თავს გარდაუვალი თუ ნამდვილად არსებული საფრთხე უნდა ააცილოს).

რწმენის თავისუფლება
(Freedom of Religion)

ადამიანის უფლება, რომ მან საკუთარი რელიგიის პრაქტიკირება შეძლოს მთავრობის მხრიდან ჩარევისა და ხელისშეშლის გარეშე. აგრეთვე, მოქალაქეთა უფლება, რომ იყვნენ თავისუფალნი ნებისმიერი ეკლესიის ინდოქტრინიზაციისაგან, რომელსაც ხელისუფლება უწყობს ხელს.

ადამიანის უფლებები

ბუდიზმი, აზიური ღირებულებები და დემოკრატია

მისი უწმინდესობა
დალაი ლამა



დალაი ლამა — REUTERS

დალაი ლამა, ტიბეტელი ხალხის სულიერი და ეროვნული ლიდერი, 1959 წელს იძულებული იყო, ჩინეთის მიერ ოკუპირებული ტიბეტი დაეტოვებინა და 80 000 ტიბეტელთან ერთად ინდოეთში გაქცეულიყო. როდესაც ნათელი გახდა, რომ ახლო მომავალში სამშობლოში დაბრუნებას ვერ შეძლებდნენ, მან ინდოეთში, დარამშალას მთლიან ქალაქში ჩამოაყალიბა განდევნილი ხელისუფლება დემოკრატიული წესით არჩეული პარლამენტით. როგორც არაძალადობის ერთ-ერთ უდიდეს მქადაგებელს მსოფლიოში, 1989 წელს მის უწმინდესობას ნობელის პრემია მიენიჭა.

დემოკრატიული მისწრაფებების გამოხატვა სხვადასხვა გზით შეიძლება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არსებობს რამდენიმე საყოველთაო პრინციპი, რომელიც ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოების საფუძველს წარმოადგენს - წარმომადგენლობითი პარლამენტი (ჩამოყალიბებული თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების შედეგად), კანონის უზენაესობა, ანგარიშვალდებულება (რომელსაც დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება განახორციელებს) და სიტყვის თავისუფლება (რომლის მაგალითია პრესა ცენზურის გარეშე). და მაინც, დემოკრატია მეტია, ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილი ფორმალური ინსტიტუტები; იგი ჭეშმარიტ თავისუფლებასა და ცალკეული ინდივიდების გაძლიერებას გულისხმობს. მე არც პოლიტიკურ მეცნიერებათა ექსპერტი ვარ და არც ავტორიტეტი დემოკრატიის ან კანონის უზენაესობის საკითხებში. მე უბრალო ბუდისტი ბერი ვარ, განათლებული და განსწავლული ჩვენი უძველესი ტრადიციების მიხედვით. მიუხედავად ამისა, ბუდიზმის ხანგრძლივი შესწავლისა და ტიბეტელი ხალხის თავისუფლებისთვის არაძალადობრივ ბრძოლაში მონაწილეობის შედეგად რამდენიმე მოსაზრება გამიჩნდა, რომელთა განხილვაც მსურს.

როგორც ბუდისტი ბერისთვის, ჩემთვის უცხო არ არის დემოკრატიის თეორიული და პრაქტიკული გაგება. ბუდიზმის არსში ძევს იდეა, რომ გამოღვიძებისა და სრულყოფის პოტენციალი ნებისმიერ ადამიანს ახასიათებს და რომ ამ პოტენციალის განხორციელება პირადი ძალისხმევის საქმეა. ბუდა ქადაგებს, რომ ყოველი ადამიანი თავად განაგებს საკუთარ ბედს და უნარი აქვს, წარმოაჩინოს შინაგანი სრულყოფილება. ამ თვალსაზრისით, ბუდისტური მსოფლხედვა ყველა ადამიანის ფუნდამენტურ იგივეობას აღიარებს. ბუდიზმის მსგავსად, თანამედროვე დემოკრატია ემყარება პრინციპს, რომ ყველა ადამიანი არსებითად თანასწორია და რომ ყოველ ჩვენგანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერების თანაბარი უფლება. სულ ერთია, მდიდრები ვართ თუ ღარიბები, განათლებულნი თუ გაუნათლებელნი, სულ ერთია, რომელი სარწმუნოების მიმდევრები ვართ, ყოველი ჩვენგანი, პირველ რიგში, ადამიანია. ჩვენ ვიღვწით ბედნიერებისთვის, ვცდილობთ თავი დავიცვათ ჩაგვრისგან. მეტიც: ყოველ ჩვენგანს თანაბარი უფლება აქვს, იღვაწოს ამ მიზნების მისაღწევად. აქედან გამომდინარე, ბუდიზმი და დემოკრატია არა მარტო ურთიერთშეთავსებადნი არიან, ისინი თითოეული ინდივიდის თანასწორობისა და პოტენციალის საერთო გაგებას მოიცავს.

რაც შეეხება დემოკრატიას, როგორც გადაწყვეტილებების მიღების პროცედურას, ამ შემთხვევაშიც ბუდისტურ ტრადიციაში კონსენსუსის საჭიროების გარკვეული აღიარების აღმოჩენა შეიძლება. მაგალითად, ბუდისტურ სამონასტრო ორდენში დიდი ხანია არსებობს ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ძირითადი გადაწყვეტილებები, რომლებიც ცალკეული ბერების ცხოვრებას შეეხება, საერთო გადაწყვეტილებების საფუძველზე მიიღება. ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი რიტუალი, რომელიც სამონასტრო პრაქტიკაში ხორციელდება, სულ ცოტა, ოთხი ბერის კონგრეგაციის მიერ უნდა აღსრულდეს. ამდენად, ვიტყოდი, რომ ქცევის "ვინაია" წესები, რომლებიც ბუდისტურ სამონასტრო ცხოვრებას წარმართავს, დემოკრატიულ ტრადიციებს შეესაბამება. სხვა თუ არაფერი, თეორიაში მაინც, თავად ბუდას სწავლების შეცვლაც კი დასაშვებია გარკვეული გარემოებების დროს და გარკვეული რაოდენობის სასულიერო წოდების მქონე ბერების კონგრეგაციის მიერ.

როგორც ადამიანები, ჩვენ ყველა მივისწრაფით ისეთ საზოგადოებაში ცხოვრებისკენ, სადაც თავისუფალ თვითგამოხატვას და პიროვნული სრულყოფილების მიღწევას შევძლებთ. ამავე დროს, ერთი ადამიანის სწრაფვა თვითრეალიზაციისკენ სხვების ხარჯზე ქაოსამდე და ანარქიამდე მიგვიყვანს. ისეთი სისტემის შექმნაა საჭირო, სადაც გაწონასწორებული იქნება, ერთი მხრივ ცალკეულ ინდივიდთა ინტერესები და, მეორე მხრივ მთელი საზოგადოების კეთილდღეობა. სწორედ ამიტომ აუცილებლად მიმაჩნია ყოველ ადამიანში საყოველთაო პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივება რომელიც ყოველი ჩვენგანის საერთო საფიქრალია, სარწმუნოების, კანის ფერის, სქესისა თუ ეროვნების მიუხედავად. თუ ცხოვრების მიმართ ეგოცენტრულ დამოკიდებულებას გამოვიმუშავებთ და გამუდმებით ვეცდებით სხვების გამოყენებას საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ, ჩვენ შეიძლება დროებითი სარგებელი მივიღოთ, მაგრამ შორეულ პერსპექტივაში ბედნიერება ხელიდან დაგვისხლტება. ამის ნაცვლად უნდა ვისწავლოთ მოღვაწეობა არა მარტო საკუთარი თავისათვის, არამედ მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

რამდენადაც მართალია, რომ მმართველობის არც ერთი ფორმა არ არის სრულყოფილი, იმდენად დემოკრატია ყველაზე ახლოს დგას ჩვენს ადამიანურ ბუნებასთან და ფართო გზას გვიხსნის საყოველთაო პასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავებისთვის. როგორც ბუდისტს, მტკიცედ მწამს დემოკრატიისადმი ადამიანური მიდგომისა, რომელიც აღიარებს ცალკეული ინდივიდის და ასევე მთელი კაცობრიობის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის მნიშვნელობას. ბუდისტები განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას ინდივიდის პოტენციალზე, თუმცა, ჩვენ ასევე გვჯერა, რომ სრულფასოვანი სიცოცხლის მიზანი სხვების მსახურებაა.

მრავალი ერი მიიჩნევს, რომ ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების აღიარება დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი ასპექტია. სხვა ქვეყნები, განსაკუთრებით განვითარებად სამყაროში, საზოგადოების უფლებებს - განსაკუთრებით ეკონომიკური განვითარების უფლებას - ინდივიდის უფლებებზე წინ აყენებენ. მჯერა, რომ ეკონომიკური წინსვლა და ადამიანის უფლებების პატივისცემა მჭიდროდაა გადაჯაჭვული. შეუძლებელია საზოგადოების ეკონომიკური განვითარება ხალხისათვის ინდივიდუალური სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების მინიჭების გარეშე. ამავე დროს ეს თავისუფლებები შეზღუდული იქნება, თუ არ არის დაკმაყოფილებული ელემენტარული სასიცოცხლო მოთხოვნილებები.

ზოგიერთი აზიელი ლიდერი აღნიშნავს, რომ დემოკრატია და მის მიერ მინიჭებული თავისუფლება დასავლური ცივილიზაციის ექსკლუზიური პროდუქტია. აზიური ღირებულებები, მათი აზრით, მნიშვნელოვნად განსხვავდება დემოკრატიისგან, თუ დიამეტრულად არ უპირისპირდება მას. ისინი ამტკიცებენ, რომ აზიურ კულტურაში მნიშვნელობა ენიჭება წესრიგს, მოვალეობასა და სტაბილურობას, მაშინ, როცა დასავლური დემოკრატიის აქცენტი ინდივიდის უფლებებსა და თავისუფლებებზე ძირს უთხრის ამ ღირებულებებს. ისინი ვარაუდობენ, რომ აზიელებს სრულიად განსხვავებული მოთხოვნილებები აქვთ პიროვნული და სოციალური თვითრეალიზაციის თვალსაზრისით. მე ვერ გავიზიარებ ამ შეხედულებას.

ჩემი რწმენის საფუძველია ის, რომ ყველა ადამიანს ერთი და იგივე ძირითადი მისწრაფება ამოძრავებს: ჩვენ, ყველას, გვსურს ბედნიერება და ერთნაირად განვიცდით ჩაგვრას. ამერიკელების, ევროპელებისა და მთელი დანარჩენი მსოფლიოს მსგავსად, აზიელებსაც სურთ იცხოვრონ სავსე ცხოვრებით, შეიქმნან ცხოვრების საუკეთესო პირობები თავისთვის და თავიანთი საყვარელი ადამიანებისთვის. ინდოეთი, მაჰატმა განდისა და *ახიმშა*-ს, ანუ არაძალადობის ცნების სამშობლო, საუკეთესო ნიმუშია აზიური ქვეყნისა, რომელიც მმართველობის დემოკრატიულ ფორმას ირჩევს. ინდოეთის მაგალითი ნათელყოფს, რომ დემოკრატიას შეუძლია, მყარი ფესვები გაიდგას დასავლური სამყაროს გარეთაც. ზუსტად ასევე, ჩვენი ძმები და დები ბირმაში, ინდონეზიასა და ჩინეთში, უშიშრად იმაღლებენ ხმას თანასწორობის, თავისუფლებისა და დემოკრატიის მოსაპოვებლად.

ის ფაქტი, რომ დემოკრატიული რეფორმები მთელ მსოფლიოში ხორციელდება, ჩეხეთის რესპუბლიკიდან მონგოლეთამდე და სამხრეთ აფრიკიდან ტაივანამდე, დასტურია იმ იდეალების სიმტკიცისა, რომლებსაც დემოკრატია მოიცავს. რაც მეტი და მეტი ადამიანი შეძლებს ინდივიდუალური პოტენციალის რეალიზებას, მით უფრო გაიზრდება იმ ადამიანთა რიცხვიც, რომლებიც თვითგამოხატვისთვის დემოკრატიული სისტემის მეშვეობით. როგორც მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციები ნათელყოფს, ადამიანები უპირატესობას ანიჭებენ ისეთ ხელისუფლებას, რომელიც პატივს სცემს ადამიანის უფლებებსა და კანონის უზენაესობას.

ტიბეტის მაგალითი

მე თავი მივუძღვენი ჩემი მშობლიური ტიბეტის პოლიტიკურ მოდერნიზაციას და დემოკრატიზაციას და ძალისხმევა არ დამიშურებია, განმევითარებინა დემოკრატიული სისტემა ტიბეტელებისთვის, რომლებიც სამშობლოდან განდევნილნი არიან. 1963 წელს სახალხოდ გამოვაცხადე ტიბეტის დემოკრატიული კონსტიტუცია და ჩვენმა დევნილმა საზოგადოებამ, რომელსაც მძიმე პირობებში უწევს არსებობა, ღირსეულად მიიღო დემოკრატიის გამოწვევა. 1969 წელს ტიბეტელებს მივმართე, რომ დალაი ლამას ინსტიტუტის შემდგომი არსებობის საკითხი მათ სურვილზე იყო დამოკიდებული. ხოლო 1991 წელს ჩვენმა საკანონმდებლო ხელისუფლებამ, ტიბეტელი ხალხის დეპუტატთა ასამბლეამ, მიიღო დევნილ ტიბეტელთა ქარტია, რომლის შესაბამისად ასამბლეა უფრო წარმომადგენლობითი გახდა და ჩემს ნაცვლად კაბინეტის არჩევის უფლება მიენიჭა. გარდა იმისა, რომ ეს ქარტია შედგენილია განვითარებული დემოკრატიის ქვეყნების კონსტიტუციათა მაგალითით, იგი ტიბეტური კულტურისა და ღირებულებათა სისტემის უნიკალურ ბუნებასაც ასახავს: იგი იცავს რწმენის თავისუფლებას, განამტკიცებს არაძალადობის პრინციპებს და ხელს უწყობს ტიბეტელი ხალხის მორალური და მატერიალური კეთილდღეობის ზრდას.

1992 წელს, იმისთვის, რომ ჩვენი ძალისხმევის შედეგად გარკვეული გავლენა მოგვეპოვებინა ტიბეტში მცხოვრებ ტიბეტელებზე, მე შევიმუშავე ტიბეტის მომავალი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. ეს დოკუმენტი ეფუძნება ჩემს იმედს, რომ ოდესმე, თუნდაც დიდი ხნის შემდეგ, ჩვენ მივაღწევთ შეთანხმებას ჩინეთის მთავრობასთან და ტიბეტელ ხალხს სრული ავტონომია მინიჭება. ვფიქრობ, როგორც კი ასეთი შეთანხმება დაიდება, ტიბეტის მომავალი მმართველობის განსაზღვრისთვის ძირითადი პასუხისმგებლობის აღება მოუწევთ სწორედ ქვეყანაში მცხოვრებ ტიბეტელებს და იმ ოფიციალურ პირებს, რომლებსაც დღეს იქ ხელმძღვანელი თანამდებობები უკავიათ, მომავალში კი უფრო მეტი მოვალეობაც დაეკისრებათ.

ადამიანის ძირითადი უფლებების, სიტყვის თავისუფლების, ყველა ადამიანის თანასწორობისა და კანონის უზენაესობის პატივისცემა არა მარტო მიზნად, არამედ ცივილიზებული საზოგადოების არსებობის აუცილებელ პირობად უნდა ჩაითვალოს.

სამწუხაროდ, ტიბეტელები, რომლებიც ტიბეტში ცხოვრობენ, ვერ სარგებლობენ იმ დემოკრატიული თავისუფლებებით, რომელთა განხორციელებაც ჩვენ გადასახლებაში შევძელით. ფაქტობრივად, ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ჩვენი ძმები და დები ტიბეტში განუზომლად იჩაგრებიან. ხდება პირდაპირი შეტევები ყველაფერზე, რაც კი თვისებრივად ტიბეტურს წარმოადგენს, და შედეგად თავად ტიბეტის კულტურა საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. მჯერა, რომ ტიბეტელ ხალხს აქვს უფლება, შეინარჩუნოს თავისი უნიკალური და გამორჩეული კულტურული მემკვიდრეობა. მე ასევე მჯერა, რომ მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება, თავად აირჩიონ მომავალი მმართველობის ფორმა თუ სოციალური სისტემა. არც ერთი ტიბეტელი არ არის დაინტერესებული მოძველებული პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების აღდგენაში, მაგრამ ჩვენ ვართ ექვსმილიონიანი ერი, რომელსაც ადამიანური ცხოვრების უფლება აქვს.

მას შემდეგ, რაც ჩვენ, ტიბეტელებმა, დემოკრატიისკენ სვლა დავიწყეთ, მივხვდით, რომ ძალაუფლების მოსაპოვებლად ჩვენმა ხალხმა, როგორც დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქეებმა, სრულად უნდა გაიაზროს თავისი უფლებები და ვალდებულებები. ამ თვალსაზრისით ძირითად ყურადღებას განათლებას ვუთმობ. რაც უფრო მეტს სწავლობს ტიბეტელი ხალხი თავისი ინდივიდუალური პოტენციალისა და უნარის შესახებ მონაწილეობა მიიღოს საკუთარ მმართველობაში, მით უფრო ძლიერი იქნება ჩვენი საზოგადოება.

გარკვეული თვალსაზრისით, მე ყველაზე უიღბლო დალაი ლამა ვარ, რადგანაც ჩემი სიცოცხლის უმეტეს ნაწილს სამშობლოდან მოშორებით ვატარებ. მეორე მხრივ, ჩემთვის ბევრის მომცემი აღმოჩნდა დემოკრატიულ გარემოში ცხოვრება და მსოფლიოს გაცნობა იმ სახით, რისი საშუალებაც ტიბეტელებს ადრე არასოდეს ჰქონიათ. მე რომ ტიბეტში ცხოვრება და მმართველობა გამეგრძელებინა, უეჭველია, ძალისხმევას არ დავიშურებდი, გარკვეული ცვლილებები დამენერგა ჩვენს პოლიტიკურ სისტემაში, მაგრამ სავსებით სავარაუდოა ისიც, რომ ჯერ კიდევ იმ კონსერვატორული პოლიტიკური გარემოცვის გავლენის ქვეშ ვიქნებოდი, რომელიც ჩემს ქვეყანაშია დამკვიდრებული. ტიბეტს გარეთ ცხოვრებამ ფასდაუდებელი პერსპექტივა გამიხსნა. ვიცი, რომ ჩვენი ადრინდელი პოლიტიკური სისტემა მოძველებული და მოუმზადებელი იყო იმისათვის, რომ პირისპირ შეხვედროდა თანამედროვე სამყაროს გამოწვევას.

დღეს მსოფლიო სულ უფრო და უფრო ურთიერთდამოკიდებული ხდება. ქვეყანათშორისი თანამშრომლობისა და ურთიერთგაცვლის ეპოქაში შეერთებული შტატებისა თუ სხვა დემოკრატიული ქვეყნებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია დემოკრატიული ტენდენციების შენარჩუნება და მხარდაჭერა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მაგალითად, საბჭოთა კავშირის დაშლა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მნიშვნელოვან გამარჯვებად ჩაითვალა. ფაქტობრივად, დასავლეთის მრავალი ქვეყნის, მათ შორის, შეერთებული შტატების, ლიდერებისთვის საბჭოთა კავშირის ნგრევა ხელსაყრელი იყო. თუმცა, დღეს რუსეთი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ბევრს პოლიტიკური და ეკონომიკური საფრთხე ემუქრება. რუსეთის მარცხს დემოკრატიის მშენებლობაში შეიძლება სრულიად საწინააღმდეგო გამოძახილი მოჰყვეს მთელ მსოფლიოში, რაც გააძლიერებს დემოკრატიის მოწინააღმდეგეთა პოზიციას. ამდენად მჯერა, მთელი დემოკრატიული, თავისუფალი სამყაროს მოვალეობაა, დაეხმაროს იმ ქვეყნებს, რომლებმაც უშიშარი ნაბიჯი გადადგეს დემოკრატიის გზაზე და ახლა შედეგის მისაღებად იბრძვიან.

კარგად მესმის, რომ ყველა ადამიანის უფლებაა, იზრუნოს საკუთარი ერის უსაფრთხოებაზე. მაგრამ უეჭველად უფრო მნიშვნელოვანია სტაბილურობის დამყარება ისეთ რეგიონებში, როგორიცაა ყოფილი საბჭოთა კავშირი, ეკონომიკური თუ მხარდაჭერის სხვა მეთოდებით, ვიდრე ფულის ჩადება რთული, დახვეწილი ტექნოლოგიის იარაღის შეძენაში და ეროვნული თავდაცვის ბიუჯეტის გაზრდა. მეტიც, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ყოველ ერს საკუთარი უსაფრთხოების მოთხოვნილებების განსაზღვრის უფლება აქვს, მჯერა, რომ არაძალადობრივი მიდგომა ყველაზე კონსტრუქციულ გზას წარმოადგენს მშვიდობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ხანგრძლივი დროით.

დაბოლოს, მსურს კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი, რამდენად მნიშვნელოვანია ყველა ჩვენგანის მხრიდან ძირითადი ეთიკური და პოლიტიკური ღირებულებების საყოველთაო მნიშვნელობის აღიარება. ადამიანის ძირითადი უფლებების, სიტყვის თავისუფლების, ყველა ადამიანის თანასწორობისა და კანონის უზენაესობის აღიარება და პატივისცემა არა მარტო მიზნად, არამედ ცივილიზებული საზოგადოების არსებობის აუცილებელ პირობად უნდა ჩაითვალოს.

ინგლისურიდან თარგმნა
ნინო დოლიძემ.

ქართული ადვოკატურის ისტორიიდან

ჩვენი გლეხკაცობა და ახალი სამართალი

ნიკო ხიზანაშვილი

ნიკო ხიზანაშვილი, (ურბნელი) ცნობილი იურისტი, ისტორიკოსი, სოციოლოგი და პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძის უახლოესი მეგობარი და თანამოაზრე იყო, ვისი ნაშრომებიც ოცი წლის განმავლობაში ამკობდა "ივერიის" ფურცლებს. თუმცა, ალბათ, მისი უმთავრესი წვლილი ქართული სამართლის ისტორიის სკოლის ჩამოყალიბებაში შეტანილი წვლილია. მოცემულ სტატიას გააჩნია უნარი კონკრეტული თემის საზღვრებს მიღმა განზოგადებისა. მიუხედავად მისი შექმნის თარიღისა, იგი აწმყოშიც განსაცვიფრებელი აქტუალურობით გამოირჩევა. ამ განცხადების სიმართლეში მკითხველი იოლად დარწმუნდება, თუ ავტორის მიერ ნახმარ სიტყვა "გლეხკაცობას", იგი სიტყვა "ხალხით" ჩაანაცვლებს, რის შედეგადაც მივიღებთ დღევანდელ საზოგადოებაში არსებულ პრობლემათა საკმაოდ სრულყოფილ ჩამონათვალს, და მათ ფრიად საინტერესო ანალიზს.

როდესაც ჩვენი შინაური ლიბერალები ჩამოსთვლიან უკანასკნელ რეფორმებს და დაიწყებენ სჯას იმ ცვლილებებზე, რომელნიც მოხდნენ ჩვენს ცხოვრებაში, იმათ აღტაცებას ზომა აღარა აქვს. იმათ სიხარულმა დასასრული არ იცის. "განათლება წინ წავიდა, ზნეობა გაუმჯობესდა, ცხოვრება გადაიქცა სამოთხედ" და სხვ. და სხვ., ღაღადებენ ჩვენი ახალი წესების მადიდებელნი და თაყვანისმცემელნი. ხშირად ისმის აღტაცებით ბაასი და საქვეყნოდ "თაყვანისმცემლობა" უკანასკნელი რეფორმებისა, იშვიათად კი თვალყურს ადევნებენ და აფიქრდებიან იმ შედეგებს და ცვლილებებს, რომელნიც ნამდვილად უკანასკნელი რეფორმებისაგან წარმოსდგნენ. ამ თვალყურის დევნა და დაფიქრება დაშორებით უფრო საჭიროა, ვიდრემდისინ უკანასკნელი რეფორმების გაზეპირება და მათი თაყვანის ცემა, საჭიროა, მაგრამ ბევრს საჭიროდ კი არ მიაჩნია.

ჩვენ ლიბერალებს პირზე სულ "რეფორმა" აკერიათ. რა არის რეფორმა, როდის არის ის სასარგებლო ხალხის ცხოვრებისათვის, ყოველთვის არის რეფორმა კარგი თუ არა, ამაზე არ ფიქრობენ, არ უნდათ დაკვირდნენ და შეიტყონ, რომ ბევრჯერ რეფორმა, რაც უნდა კარგი შინაარსისა იყოს, ხალხს ზარალის მეტის არას მოუტანს. *უბრალო რამ ავიწყდებათ: რეფორმა, ახალი წესდებულება ცხოვრებისა, მხოლოდ მაშინ არის ნაყოფიერი და სასარგებლო, როდესაც გონივრულად არსდება ცხოვრებაში.* როდესაც მისი "ნიადაგი" ხალხის საჭიროებას ასრულებს, გონებით, ზნეობით ხალხის ცხოვრებას ამშვენიერებს, ხალხს გულში უნერგავს კეთილშობილურ იდეალებს, ლტოლვას.

თუ რეფორმა ასეთი უნდა იყოს და ამნაირი შედეგები უნდა მოიტანოს იმან, მაშ ძლიერ კარგი იქნება, თუ უკანასკნელი რეფორმების "თაყვანისცემას" თავს დავანებებთ. მე აქ ყველა რეფორმას არ შევეხები. მე მიზნად მაქვს ვაჩვენო მკითხველს, რომ ახალმა "მშვიდობით მოსარიგებელ" სამართალმა, რომელსაც რეფორმათა დასში უმთავრესი ალაგი უჭირავს, არ დაიმსახურა ის "თაყვანისცემა", როგორიც ჩვენ შინაურ ლიბერალებს შორის, არ მისცა ხალხს ის ნაყოფი, რომელსაც იმისგან მოელოდნენ.

ყველამ კარგად იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამართალს, მართლმსაჯულებას ხალხის ცხოვრებაში. ისტორია მოგვითხრობს, რომ როდესაც ხალხს ხმა ამოუღია და მოუწადინია თავისი ცხოვრების გაუმჯობესება, "სამართლის და კანონის" განკეთილებისათვის დიდი ყურადღება მიუქცევია. უმეტესი ნაწილი გონებით მუშაობისა, "დედა ძარღვი ტვინისა" რომაელებმა სამართალს მოანდომეს და ისეთი გულმოდგინებით და აღტაცებით შეიმუშავეს სამართლის ცოდნა, "იურისპრუდენცია", რომ ეს ახლაც საკვირველად მიაჩნიათ მოწინავე ხალხთა. ჩვენ ვიცით, რომ ძველი ბერძნებიც ჯეროვან ყურადღებას აქცევდნენ სამართალსა და კანონს. *რომელ ხალხშიც კი გონებითი მოძრაობა ყოფილა, იქ სამართლის შესწავლას, იმის გაუმჯობესებას ყურადღება არ მოჰკლებია.*

რა არის ამის მიზეზი? მიზეზი ის არის, რომ სამართალი დიდი ზნეობითი ძალაა და დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ძალას, ხალხის უბედურება და ბედნიერება, მისი აწმყო და მომავალი ამ ძალაზე არის დამკვიდრებული. მართალია, ბევრს დასცინიან სამართალს, მართალია, ხშირად ისმის სიტყვები, რომელნიც ერთმა მჭერმეტყველმა ნასწავლმა წარმოსთქვა: "რაც ქვეყანა დაარსდა, სამართალს კაცობრიობისთვის ერთი ჭეშმარიტება არ მოუმატებია", ბევრჯერ საზიზღრად მიაჩნიათ "ზოგიერთებს" სამართალზედ ბაასი და სჯა, მაგრამ ამითი სამართალს არა აკლდება რა. ის არა მცირდება. უმეტეს ნაწილად, უმეცრებს იურიდიული ფორმალიზმი და სამართალი ერთი ჰგონიათ და, როდესაც შეიტყობენ, რომ რომაელების სამართალმა ევროპას დაუტოვა "იურიდიკული კლიაუზები", მაშინვე მოჰყვებიან ერთხმით სამართლის განკიცხვას.

არა! სამართალი ხალხის ცხოვრების საჭიროებიდან წარმოსდგა და რაც ხალხის ცხოვრებისთვისაა საჭირო, ის ყოველთვის ღირსია ხალხის ყურადღებისა, უმანკო და გაურყვნელ ხალხის გონებას და გულს ყოველთვის ყვარებია სამართალი და ყოველთვის საზიზღრად ჩაუთვლია "იურიდიკული კლიაუზნიკები". ამისათვის, როდესაც ხალხს სურვებია თავის დაცვა, მაშინ დიდი ასოებით დაუწერია: "ჩემი ადათი და სამართალი!" *თუ გსურთ ხალხის ზნეობითი აღზრდა, თუ გნებავთ, რომ ხალხმა სისხლად და ხორცად გარდაიქციოს სიყვარული თანასწორებისა, მიეცით იმას ისეთი სამართალი, რომელიც ხალხის გემოვნებას ეთანხმება, იმის საჭიროებას აკმაყოფილებს, ისეთი სამართალი, რომელიც ნამდვილად ხალხს სურს და არა თქვენა.*

სამართალი დიდი ზნეობითი ძალაა და დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ძალას, ხალხის უბედურება და ბედნიერება. მისი აწმყო და მომავალი ამ ძალაზე არის დამკვიდრებული.

სამწუხაროდ, სამართლის თავგადასავალი ხშირად ბნელი და შავი ყოფილა. ხშირად დაუმახინჯებიათ სამართალი, გამოუცვლიათ იმისი მიზანი და დანიშნულება. ახლაც ვპოვებთ ამგვარ მოვლინებას. *ახლაც სამართალს პოლიტიკურ ხასიათს აძლევენ. ახლაც ფიქრობენ და სურთ, რომ სამართალი ხალხის ზნეობითს და სხვაგვარ საჭიროებას კი არა, რაღაც "პოლიტიკურ სისტემას" უნდა ემსახურებოდეს.* ამგვარმა დამახინჯებამ სამართალს მოკვეთა ფრთები, როგორც ჩვენში, ისე სხვაგან და ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ ხალხი შინაურ ლიბერალებს არ ეთანხმება. სამწუხაროდ, არათუ მარტო ჩვენში, სხვა თავისუფალ სახელმწიფოებშიც კი სცდილობენ სამართალს "პოლიტიკურ-პარტიული" მიმართულება მისცენ.

აიღეთ საფრანგეთის რესპუბლიკა.

სწორედ, რომ სამართალის თავგადასავალი შავი და ბნელი ყოფილა. როდესაც რომელსამე ხალხის ხელმძღვანელს და პატრონს პირადი სარგებლობა სდომნია და იმისთვის შეუწირავს თავის ცხოვრება და სიცოცხლე, როდესაც ამგვარ პატრონს თავის ნება ხალხის კანონად გაუხდია, მაშინ ან მამაცი ხალხის სამართლისათვის მიუშურებია, ეს სამართალი სავაჭრო ნივთად გადაუკეთებია და ამგვარად გაურყვნია "საზოგადოებრივი სინდისი". მაგალითები ბევრია. აქ მარტო ერთ მაგალითს მოვიყვანთ. ყველამ იცის განსვენებული ნაპოლეონ მესამის ყოფა-ცხოვრება, ყველამ იცის თუ რანაირი პატრონი იყო ის თავის ხალხისა, მაგრამ იქნება ყველამ არ იცოდეს ის ფაქტი, რომ განსვენებულმა ხალხის სამართალი ვაჭრობად გახადა, მსაჯულნი - კამისიონრებად და ამით რა ბოლო და შედეგი მოუმზადა ხალხს დავინახეთ. *ნაპოლეონ მესამის დროს მოსამართლენი სამართლის მაგიერად თავიანთ ბატონის სურვილის, მისი "პოლიტიკური პლანის" ასრულებას ემსახურებოდნენ; მათ რასაც უბრძანებდნენ პარიზიდან, ის უმალვე პროვინციაში სრულდებოდა, მოსამართლენი იყვნენ ისეთივე აგენტები ნაპოლეონისა, როგორიც, მაგ., პარიზის რომელიმე ბანკირის აგენტები პარიზის გარეთ - მარსელში, ლიონში. ნაპოლეონი ელტვოდა თავისი "პოლიტიკური პლანის" და სისტემის შესრულებას; რაც გამოადგებოდა ამ მიზნისათვის, ის ყველაფერს უხვად და დაურიდებლად ხმარობდა: იცოდა სამართალი გამოადგებოდა და სამართალი გარყვნა. ხალხის სინდისი სავაჭრო ნივთად გადააქცია, მსაჯულნი ვაჭრებად და კომისიონერებად, დაბრმავებული და ზნეობით დაცემული ხალხის ხელმძღვანელობა და დროებით დამონავება ადვილი იყო და ადვილადაც შეასრულა ნაპოლეონმა ეს საქმე. შეასრულა, მაგრამ ბოლო კი ცუდი ჰქონდა.* აიღეთ თუ გინდათ, სამართალი ნაპოლეონ მესამის წინათ, ფილიპე-ეგალიტეს დროს. მაშინაც ყველგან ვაჭრობა სინიდისის და სამართლისა, მაშინაც "პოლიტიკური პლანის" წინ დამონავება სამართლისა - აი, რა სურათს ვხედავ. *ამნაირ სამართლის დამახინჯებას უკან მოჰყვა თებერთვლის რევოლუცია.*

იქნება მკითხველმა იფიქროს, რომ ნაპოლეონს და ფილიპე-ეგალიტეს სისტემის დამარცხებას ჩვენ მარტო სიმართლის დამახინჯებას ვაბრალებთ. არა, ჩვენ ვიცით, რომ სხვა მიზეზებიც იყვნენ. ჩვენ მხოლოდ ის უნდა დაგვემტკიცებინა, რომ ხალხის სამართალი "პოლიტიკურ პლანს" და სისტემას არ უნდა ემსახურებოდეს, სამართალი უნდა იყოს ხალხისთვის და არავითარმე კავშირი არ უნდა ჰქონდეს რომელიმე "პოლიტიკურ პლანთან", ამ პლანის შესრულების სახსრად და საშუალებად არ უნდა გახდეს. შეიძლება დროებით სამართალი დაუძმობილდეს პოლიტიკას, მეგობრად გაუხდეს იმას: შეიძლება მეგობრობით პოლიტიკამ ისარგებლოს, მაგრამ სამართალი უნდა იყოს ხალხისთვის და ისეთ გარეგან ელემენტს, როგორიც "პოლიტიკური პლანია", იმაში ნაწილი არ უნდა ჰქონდეს.

თუ მკითხველი დაკვირვებია ჩვენს ცხოვრებას, თვალყური უდევნებია გლეხკაცობის ავლა-დიდებისთვის, ადვილად დაინახავდა, რომ ახალმა სამართალმა ის ნაყოფი არ მოიტანა, რომელსაც არათუ ჩვენ, არამედ "მცირე ძმანიც" ჩვენნი მოელოდნენ. ყველასათვის ჭეშმარიტება არის, რომ სამართალი ზნეობით აუმჯობესებს საზოგადოებას და ხალხს. აგერ რამოდენა ხანია, რაც ჩვენ ახალი სამართალი გვაქვს, მაგრამ ამ სამართლის წყალობით ხალხი არც თავის ღირსების ცოდნას მიხვდა, ვერცა რა "კანონის წინაშე თანასწორობისა" გაიგო; ზნეობით ბევრი ვერა შეიმატა და, საქმის მოწამენი თვითონ ისინი იყვნენ.

თუ რომელიმე მოსამართლე, ანუ მსაჯული მიდგომას და უსინდისობას გამოიჩენდა, თუ რომელიმე საქმე სიყალბით გადაწყდებოდა, მაშინ თითონ ხალხის განკიცხვა და იმის რისხვა იყო "აპელაციაც" და "კასაციაც". რასაკვირველია, მოსამართლე, მოშორებული "იურიდიკულ ფორმალიზმს", დამყარებული თავის სინდისზედ, ცდილობდა ხალხის რისხვა და განკიცხვა არ დაემსახურებინა და საქმე გადაეჭრა ისე, როგორც საზოგადოების სინდისი და ხალხის ჩვეულება მოითხოვდა.

მართალია, იმ დროსაც უსამართლობა ბევრჯერ ხდებოდა. მაშინც ხშირად "ბატონს პირველი მოჩივარი მართალი ეგონა", მაგრამ ხალხი მაინც კმაყოფილი იყო სამართლისა, რადგანაც ეს სამართალი ხალხის ჩვეულებაზედ, იმის სინდისზე იყო დამყარებული, სამართალს საღმთო, წმინდა ხასიათი ჰქონდა. შედარებით ამისა, მოწმეებსაც საქმეში საღმთო მნიშვნელობა მიუძღოდა წინ. მოწმის ფიცი, სინდისი და პატიოსანი სიტყვა - აი, რა იყო მაშინ საჭირო და რით კმაყოფილდებოდა გლეხკაცი! "იურიდიული ფორმალიზმი", რომელიც ეხლა გლეხკაცობას ტვინს უბნევს, "კანცელიარული ბიუროკრატიზმი" სასამართლოებში, რომელიც გლეხკაცობას ასე ძვირფად უჯდება, იმ დროს ხალხმა არ იცოდა; ამ ორგვარი "საუნჯის" გემო გაგეული არ ჰქონდა.

ფულის სესხება, აღებ-მიცემობა, მამულის ყიდვაც კი სხვა იურიდიული მოქმედებანი "დოკუმენტს" არ საჭიროებდნენ, საჭირო იყო პატიოსანი სიტყვა, ამგვარ იურიდიულ შეხედულობას ჩვენ გლეხკაცობაში ეხლაც ხშირად ვპოვებთ, ეხლაც ხშირად გლეხკაცები აღებ-მიცემობას, სხვადასხვა პირობას პატიოსანი სიტყვით ახერხებენ და საჭიროდარ მიაჩნიათ დაწერილი საბუთი. ბევრნი უსინდისოდ სარგებლობენ ამგვარი გლეხკაცის შეხედულებით, ბევრნი "კანონიერად" და "სამართლის" ძალით ავიწროებენ მას, მაგრამ მაინც გლეხკაცობას ღრმად უყვარს თავისი სამართალი, სამართალი ღვთიურ საქმედ მიაჩნდა.

რა ცვლილება მოიტანა ახალმა სამართალმა?დააკმაყოფილა იმან ჩვენი გლეხკაცობა თუ არა? ვისაც კი თვალი გადაუვლია ახალი ჩვენი სამართლისათვის, ადვილად გაიგებს, რომ დედაბოძს, რომელზედაც ეს სამართალი დამყარებულია, შეადგენს სისტემა ფორმალური დამტკიცებისა, იურიდიული ფორმალიზმი. სამართალი გიბრძანებს, გინდა დაამტკიცო "საქმე" - დაამტკიცე ფორმალურად: ამას ითხოვს სჯული და კანონი. ვალი გადაგიხდია - წარმოადგინე ბარათი, მამული შენია - მოიტანე დოკუმენტი, ფული მასესხე - მაჩვენე ვექსილი და სხვ. არ წარმოადგენ ბარათს, არ მაჩვენებ ვექსილს - "საქმესაც" ვერ დაამტკიცებ. ჩვეულება, სინდისი, პატიოსანი სიტყვა, თითქმის საჭირონი აღარ არიან. ყველგან და ყოველთვის პირველ ადგილზედ დგას ფორმალური დამტკიცება. დაუმატეთ ამ ფორმალიზმს ძლიერ გაგრძელებული და ათასგვარად დახლართული სამართალი და მაშინ ცხადად დაინახავთ, რომ ამგვარი სამართალი ჩვენი გლეხკაცობის თანაგრძნობას ვერ შეიძენდა. გლეხკაცობა აღზრდილი იყო სინდისის და ჩვეულების სამართალში, იმის პირველი და უკანასკნელი საბუთი პატიოსანი სიტყვა იყო: ამის მაგივრად ახალმა სამართალმა "დაწერილი ქაღალდი" მოსთხოვა ხალხს. ხალხს გზა აერია, ახლისა ვერა გაიგო რა, საწყალი დარჩა ორწყალშუა და თავგზაარეული დაიარება სასამართლოში და დაეძებს სამართალს.

მოსამართლენი სამართლის მაგიერად თავიანთ ბატონის სურვილის, მისი "პოლიტიკური პლანის" ასრულებას ემსახურებოდნენ; მათ რასაც უბრძანებდნენ პარიზიდან, ის უმალვე პროვინციაში სრულდებოდა.

თუ თეორეტიკულად აღიებთ ახალ სამართალს და ან ამ სამართალს მისცემთ სხვა განათლებულ ხალხს, მაშინ საყვედურსაც თავი უნდა დაანებოთ. ჩვენი სამართალი ლიბერალური სამართალია და, ამის მხრივ, ღვიძლი, თუმცა კი უმცროსი, ძმაა ფრანციცული პროცესისა; ეს პროცესი ხომ, როგორც გაგიგონიათ, ევროპაში სამაგალითოდ მიაჩნიათ. მაგრამ, საქმე იმაშია, რომ რაც კარგია ევროპაში, შეიძლება კარგი არ იყოს სხვაგან, მაგ., ჩვენში, და ეს სამართალზედ უფრო უნდა ითქვას. ფორმალურ სამართალს ევროპაში დიდი ვნება არ მოაქვს; იქ დიდი ხნიდან ხალხი აღზრდილია ამ სამართალში, იქ დიდი ხანია ხალხმა განვლო ის დრო და ჟამი, როდესაც სამართალი სინდისის საქმე იყო, როდესაც სამართალს ღვთიური ხასიათი ჰქონდა.

ჩვენში კი სხვა არის. ჩვენი გლეხკაცობა ვინ იცის, როდის დავარჯიშდება საკმაოდ, რომ ეხლანდელი სამართლისა გაიგოს რამე და გზა გაიკვლიოს სასამართლოს კანცელარიულ წესებში. ხმა ისმის გაზეთებში, რომ მთავრობას სწადია ზოგიერთი იურიდიული მოქმედებისთვის, როგორც მაგ., ხელშეკრულება, ვალდებულება, შეამციროს ფორმალიზმი და ამითი გააადვილოს საქმის წარმოება. თუ ეს ხმა მართალია, სჩანს თითონ მთავრობასაც გაუგია ის სენი და ვნება, რომელიც ჩვენი სამართლის წრესგადასულ ფორმალიზმს მოაქვს ხალხისათვის.

დასავლეთ ევროპის დაბალ ხალხს ისე ზარალი არ ეძლევა იურიდიული ფორმალიზმიდან, როგორც ჩვენ გლეხკაცობას. ევროპაში ხალხი დიდი ხანია შეეჩვია თავის სამართალს და კანონს, შეეჩვია ნელ-ნელა და ცოტ-ცოტად. მაგალითებ, გერმანიაში, სადაც ხალხმა უფრო არ იცოდა რა რომაელების სამართლისა, ვიდრემდისინ საფრანგეთში, ხალხს ერთბაშად ძალა არ დაატანეს - ამა და ამ სამართალს გაძლევთ და ის უნდა იწამოო, არა, - ხალხს პირველად თავის ჩვეულება დარჩა და რომაელების სამართალს წყნარად და მშვიდად შეაჩვიეს.

ჩვენი გლეხკაცობა ახალი სამართლისათვის სრულებით მომზადებული არ იყო. *რთული და ფორმალური სამართალი საჭირო და გამოსადეგია ისეთი საზოგადოებისა და ხალხისათვის, რომლის ცხოვრება გახსნილია და შინაარსით მდიდარი. ყველამ კარგად იცის, თუ რა უბრალო და ღარიბი შინაარსით ცხოვრება აქვს ჩვენ გლეხკაცობას.* ჩვენი ეხლანდელი სამართალი მეათედი ნაწილი რომ დაშთეს და დანარჩენი მოისპოს, თუკი ეს მეათედი ნაწილი გონივრულად იქნება შედგენილი, ისიც საკმაოა ჩვენი გლეხკაცის ცხოვრებისავის - ისე ღარიბი და უბრალოა იქ ცხოვრება! ჩვენ კი შემუშავეული ევროპიული სამართალი მოგვცეს. როდესაც ცხოვრება ევროპის მიბაძვას თუმცა ითხოვდა, მაგრამ სულ სხვანაირად, ისე არა, როგორც ჩვენ მოგვივიდა.

ევროპაში დაბალი ხალხი იმდენად არის გონებაგახსნილი, თუ სწავლით, თუ ცხოვრებით, რომ ძლიერ ადვილად ითვისებს რთულს და ფორმალურ სამართალს; ცხოვრებაც ისე მდიდარია შინაარსით, რომ საჭიროებად მოითხოვს ამგვარ სამართალს.

ჩვენში სულ სხვაა, თუმცა აქაც და იქცა სამართალი ერთი გვარისა. თუ მკითხველი იმასაც არ დაივიწყებს, რომ სამართალი ჩვენში სხვა ენაზედ არის და ჩვენი ხალხი არათუ გონებით გახსნილია, წერა-კითხვაც არ იცის, მაშინ ცხადად წარმოადგენს გლეხკაცობის გაჭირვებას.

დასამტკიცებლად ჩვენი აზრისა მე აქ მოკლედ განვიხილავ "კანონის წინაშე თანასწორობის" პრინციპს. როგორც მკითხველმა იცის, ახალმა სამართალმა აღიარა თანასწორობა კანონის წინაშე, ყველა თანასწორად დააყენა სამართლის წინ - დიდი და პატარა, თავადი და გლეხი, მდიდარი და ღარიბი, ნასწავლი და უმეცარი. ეს თანასწორობა, რასაკვირველია, საჭირო იყო ბატონყმობის მოსპობის შემდეგ და უიმისოდ სამართალი თავის მიმზიდველობის ძალას დაკარგავდა.

მაგრამ რა ნაყოფი მოუტანა გლეხკაცობას კანონის წინაშე თანასწორობამ? განა ხალხს შეასმინა და აჩვენა თავისი კაცური ღირსება, ზნეობით აამაღლა ხალხი? განა ნაყოფიერი იქნებოდა ეს თანასწორობა, როდესაც ხალხი ახალ სამართალს თავის სამართლად არ სცნობდა? და ან კიდევ უკანასკნელად - ეს თანასწორობა საკმაო იყო, როდესაც ხალხს ეკონომიური დამოკიდებულება ("დროებით ვალდებულნი გლეხნი") ჰქონდა თავადაზნაურობასთან და იმათივე ხალხი იყო?

ყველა სამეფოში, სადაც კი ესმით სამართლის სარგებლობა, ცდილობენ სჯული და კანონი ხალხს იაფად დაუჯდეს.

თანასწორობისათვის საჭიროა თავისუფლება ეკონომიური თუ სხვაგვარი. იქ, სადაც გლეხი "დროებით ვალდებულია" თავის ბატონისა, კანონის წინაშე თანასწორობას უფრო თეორეტიკული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პრაქტიკული, იქ თანასწორობა კარგი და მშვენიერი სიტყვა არის და არა განხორციელებული პრინციპი. ჩვენშიც ასე მოხდა. ძნელად და ძვირად გაბედავს გლეხკაცი თავის "ბატონის" წინააღმდეგ საქმის წარმოებას სასამართლოში და თუკი იკისრებს ამ მძიმე ტვირთს, მაშინ რწმუნდება, რომ სასამართლოში ერთი არა ყოფილან ის და მათი ბრწყინვალება, რწმუნდება და ეს დარწმუნება გულს უკლავს და გონებას უფუჭებს.

თანასწორობა კარგი რამ არის, მაგრამ იმაზედ დიდად სხვა რამ უფრო საჭირო იყო. საჭირო იყო უფრო სამართალი ხალხის ენაზედ, მოსამართლენი, რომელთაც სცოდნოდათ ხალხის ცხოვრება, მისი ჩვეულებანი, მისი წარსული და აწმყო; თანასწორობა სარგებლობას მოუტანს ხალხს მხოლოდ მაშინ, როდესაც ხალხი სამართალს და კანონს კანონად და სამართლად იცნობს.

ყველამ კარგად იცის თუ რა შეხედულებისა არის ჩვენი გლეხკაცობა თავადაზნაურობაზედ. გლეხკაცს აქამდისინ სიმვოლო სარწმუნოებად მიაჩნდა ის აზრი, რომ "თავადების და აზნაურების სისხლი სულ სხვა არის". ჩვენი გლეხკაცი აღზრდილი და თავადაზნაურობის მამამთავრულ მზრუნველობაში და ამ მზრუნველბისდაღი ახლაც აზის შუბლზე. "თანასწორობის" პრინციპისა იმან ჯერ არ იცის რა: იმას ახსოვს, რომ თავადი და აზნაური "ბატონია" გლეხისა და გლეხი ბატონის მონა. გლეხკაცს კარგად ესმის - ბატონსა და მონასორის თანასწორობა არ შეიძლება, - ბატონს ძალა აქვს მონაზედ და სადაც ძალა არის, იქ რაღა თანასწორობა იქნება. ნამდვილად ასე უცქერის გლეხკაცობა თავადაზნაურობას და ამისათვისაც თანასწორობის პრინციპი დარჩა მშვენიერ სიტყვად და ნაყოფი არა მოიტანა რა, არც შეეძლო მოეტანა, თუ არ დაივიწყებთ, რომ თანასწორობის გაგებად ჩვენი გლეხკაცობა სრულებით არ მოამზედეს და ამ თანასწორობას წინ გზა არ გაუკვლიეს.

ბევრნი არ დათანხმდებიან და ღიმილით დამცინებენ: "როგორ ჰბედავ? თანასწორობის პრინციპი დედაბოძია ახალი იურისპრუდენციისა, რამოდენად ხალხის ღირსებას ამშვენებს, იმის ზნეობას ზრდის და სხვ. თქვენი კი..." დიახ, ბატონებო! ეს ჩვენც ვიცით, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ხალხის ჩვეულება უფრო დიდი დედაბოძია, ვიდრემდი მაღალნი პრინციპები, რომლებსაც საზღვარგარეთ ვესენუხლობთ.

თანასწორობა კარგია, მაგრამ ეს თანასწორობა გონივრულად მიანიჭეს გლეხკაცობას? - აი, რა არის ჯერ გასაგები. ხალხის თვითმმართველობაც კარგი და სასარგებლო საქმეა, მაგრამ ჩვენ სოფლებში ხალხის ყრილობა ყროყინად გარდაიქცა და "თვითმმართველობის" ძალით მამასახლისებმა სასოფლო მაღაზიების ჭირნახული დუქნებში შეჭამეს. აქ თვითმმართველობა არის დამნაშავე? - არა! თვითმმართველობა კარგია, მაგრამ ის ზარალის მეტს არას მოუტანს ხალხს, როდესაც თვითმმართველობა ხეირიანად არ არის გამართული ჩვენ გლეხკაცობაში. "კანონის წინაშე თანასწორობას" ფესვი არა ჰქონდა გამდგარი, ხალხის ერთობა და აზრი არ აღზარდეს იმის მისაღებლად. ჯეროვანი ნაყოფი არც ხალხმა მიიღო თანსწორობისგან.

შეცდომა იქნება ისიც არა ვთქვათ, რომ მომავლისთვის თანასწორობას, რომელიც ახალმა სამართალმა მოგვცა, შეუძლია ხალხის გულში აანთოს კეთილშობილური ლტოლვა, იმის გონებაში აღზარდოს მაღალი აზრები. ამისთვის საჭიროა - *თუ რანაირი მოთავენი ეყოლება ჩვენ სამართალს და ეს მოთავენი ეცდებიან ჩვენი გლეხკაცობის განთავისუფლებას თავადაზნაურობის ზნეობითის და მამამთავრული მზრუნველობისაგან, იმ მზრუნველობიდან, რომელიც ბატონყმობამ შეგვძინა.*

რანაირი გავლენა იქონია ახალმა სამართალმა ჩვენ გლეხკაცობაზე ეკონომიურის მხრით? ყველა სამეფოში, სადაც კი ესმით სამართლის სარგებლობა, ცდილობენ სჯული და კანონი ხალხს იაფად დაუჯდეს. მდიდარს და ღარიბს ადვილად შეეძლოს სასამართლში მიმართვა და საქმის წარმოება. გონივრულად გამართული სამართალი ხალხის მატერიალურ კეთილდღეობას, იმის ეკონომიურად წარმატებას ხელს უნდა უწყობდეს და ეხმარებოდეს. რა არის უმთავრესი მიზეზი ინგლისის სამართლის უვარგისობისა? ურიცხვნი "ფორმალურნი მოთხოვნილებანი", რომელთა შესრულება საჭიროა საქმის წარმოებისათვის და ეს შესრულება მეტისმეტ ძვირად ჯდება და ღირს. მკითხველს ვთხოვთ, მოიგონოს ტიჩბორნის საქმე. როდესაც სამართალი წრეგადასულ კანცელარიულ ბიუროკრატიზმზე არის აშენეული, როდესაც ის, ამ ჩვენ პრაქტიკულ საუკუნეში, უფრო ფორმალიზმს მისდევს, მაშინ სამართალი ძვირად ულირს ღარიბ გლეხკაცობას. თეორეტიკულად ახალმა სამართალმა აღიარა და იწამა ეკონომიკური ინტერესი გლეხკაცობისა, მაგრამ საქმით კი სხვასა ვხედავთ.

თუ მკითხველი წარმოიდგენს უწინდელი "სიტყვით" საქმის წარმოებას, მოიგონებს - თუ რა მალე, "ერთ წუთს" ასამართლებდნენ გლეხკაცობას ბატონი და მედიატორენი და შეადარებს უწინდელ მსწრაფლს სამართალს ახლანდელი კანცელარული საქმის წარმოებასთან, მაშინ ადვილად დაინახავს, რა ეკონომიური შედეგი წარმოსდგა ახალი სამართლისგან. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ერთ ძროხაზე საქმის დაწყება და გათავება ათ ძროხად და მეტად უჯდება გლეხკაცსა! რამდენჯერ უნდა გადაიდოს საქმე, რამდენჯერ უნდა მოსცდნენ მოჩივარი და მოწმეები და რამდენად ძვირად უჯდება გლეხკაცობას ეს კანცელარული "ხვალ და ზეგ", ეს დაუსრულებელი ხეტიალი სასამართლოში?!

აიღეთ საქმის დაწყება. თუ რომელიმე მუხლი თხოვნისა თუ საჩივრისა არ არის შესრულებული, საქმის წარმოება არ შეიძლება. დაიწყება წარმოება, ამ წარმოებას დიდი თავის მტვრევა და ვაივაგლახი უნდა; თუ ერთი რომელიმე მუხლი დავიწყდა, მაშინ მთელი საქმე ჩაიფუშება. გათავდა საქმე ერთ სასამართლოში, მეორე "ისტანციაში" გადააქვთ, მეორედან მესამეში. საქმეს კი დევნა უნდა. ჰომეროსის გმირსაც არ გამოუვლია ის წინწალი და ხეტიალი, რასაც ჩვენი გლეხკაცობა სასამართლოებში დახეტიალობს! განა ჩვენმა გლეხკაცობამ იცოდა რამე სამთავიანი, "სამინისტანციანი" სამართლისა?!

თუ მკითხველი არ დაივიწყებს, რომ რაც ინსტანცია ზევით დგას, საქმის წარმოება იქ უფრო გასაჭირია გლეხკაცობისთვის, ცხადად დაინახავს - რა ძვირად უჯდება გლეხკაცობას ახალი სამართალი, გაჭირვება თუ გააბედვინებს გლეხს საქმის დაწყებას სასამართლოში. ის ყოველთვის არჩევს, ხშირად ამჯობინებს საქმე შინაურულად გაუთავოს მოწინააღმდეგეს, ის თავად "ადათს" და სინდისს მაღლა აყენებს, ის თავის მამაპაპურ ჩვეულებას უფრო მისდევს.

1887 წელი.



მან მთელი მსოფლიო მოიარა, მაგრამ სინამდვილეში იგი არც ერთ ქალაქზე არაა მიჯაჭვული. იგი რუსია, მაგრამ ამასაც, ბოლოს და ბოლოს, არა აქვს მნიშვნელობა. ებრაელია და იოსიფი ამასაც არ ანიჭებს აზრს, ქრისტიანობის იდეითაა ატანილი, თუმცა ებრძვის კიდეც მას. მან პოეზიაში ტრადიციონალისტის ხვედრი აირჩია და მუდმივ გადაადგილებაში აცნობიერებს თავს, არსად არ იდგამს ფესვებს; ამგვარ სიტუაციაში მოხვედრილი ნებისმიერი ადამიანის ხასიათი, სადილისას მარტო დარჩენილი კაცის ხასიათს ჰგავს. განმარტოებულ ადამიანს არ შეუძლია მხოლოდ პურითა და ჩაით დაკმაყოფილდეს და იგი საკუთარ აზრებსაც ღეჭავს, იგემოვნებს.

დერეკ უოლკოტი

თორნიკე მოდებაძე	2	თამრი ფხაკაძე	5	ჩესლავ მილოში	9	მარტინ არმსტრონგი	13
აკა მორჩილაძე	3	ლაშა ბუღაძე	6	სალმან რუშდი	10	დერეკ უოლკოტი	14
ანდრო ბუაჩიძე	4	ნაიალ გრიფიტსი	8	შოთა იათაშვილი	12	შეიმას ჰინი	15

თეთრი და სისხლიანი ჰერანგი

ჯემალ თოფურიძე დედასთან ერთად

თორნიკე მოდებაძე

მართალია, არსებობს ზოგადი სიტყვა-ცნება "მწერალი", მაგრამ რეალობაში ეს აბსტრაქტული არაფრისმთქმელობა ქრება და გვევლინება კონკრეტიკა თავისი უაღრესად მიმზიდველი პიროვნებისეული და ყოფით-ცხოვრებისეული შტრიხებით.

ჩემი აზრით, საუკეთესო შემთხვევაში, ასე უნდა მოხდეს, მითუმეტეს თუ პროზაიკოსთან გვაქვს საქმე. და თუ საზოგადოება მაინც რჩება და მწერალი თავისი შემოქმედების მეშვეობითაც ვერ იძენს კონკრეტულ ნიშნებს, ეს იმაზე მეტყველებს, რომ არსებობს ხარვეზები - ინდივიდუალობის ნაკლებობა, მწიგნობრობა, შთაგონების უკმარისობა და ა.შ.

ჯემალ თოფურიძე დაზღვეულია ყოველივე ამისგან, მისი კონკრეტიკა ასეთია:

ის თბილისელი მწერალია. აქ არსებითია ტიპოლოგია, სოციუმი, მწერლის ხედვის პრიზმა. ეს მწერალი, თუ შეიძლება ითქვას, თბილისელი კაცის პრიზმიდან ხედავს ადამიანს, სამყაროს, ყველაფერს, რამაც შინაარსი უნდა შესძინოს მის პროზას. უფრო ძნელი სათქმელია, თუ რაში ვლინდება ყოველივე. ჩემი აზრით, გამოვლინების ნიშნები სხვადასხვაგვარია. არსებობს მოთხრობები, სადაც მიმართება უშუალოა ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, გამჭვირვალედ ჩანს თბილისური გარემო. ყოველივე ამას ავლენს ლექსიკა, ტიპები, ხასიათები, ატმოსფერო. მაგრამ აქაც მნიშვნელოვანია უფრო სიღრმისეული პლასტი - თვითონ მწერლის დამოკიდებულება საკუთარი პერსონაჟებისადმი, ფაქიზი თანაგრძნობით და ტკივილით აღბეჭდილი. არ შეიძლია არ გავიხსენო შესანიშნავი მოთხრობა "მარტო". ამ მოთხრობის მთავარი გმირი ლოთია, მაგრამ ეს არ არის ჩვეულებრივი ლოთი. ეს არის კაცი, რომელმაც ცხოვრების აზრი დაკარგა. მისი ცხოვრება უშველებელი სიცარიელით აივსო და წარმოუდგენელიც კი გახდა იმ უმაღლესი ფასეულობის გარეშე, შეყვარებული კაცის სიახლოვე რომ ჰქვია. ლოთს მართლაც შეუმჩნეველი ჩრდილივით დასდევს მწერლის სიმპათია.

იმ მოთხრობებში, რომლებშიც მოქმედება სოფელში თამაშდება, მწერალი ერთგვარ დისტანცირებას ამჟღავნებს მთავარი პერსონაჟისადმი. ეს დისტანცია მწერლისეულ ირონიაში გამოსჭვივის. სწორედაც რომ გამოსჭვივის, ვინაიდან ირონია იმდენად ნატიფია, რომ მისი აღქმა-გაგებაც არ არის მთლად იოლი. ჩემთვის დაუვიწყარია მოთხრობა "ლექსოს" მეტად შთამბეჭდავი ფინალი. ლექსოს გაუგონარი უბედურება დაატყდა თავს - საყვარელი ცოლი გარდაეცვალა. მოულოდნელმა ტრავმამ თითქოს ადგილზე გააქვავა და უგრძნობელობა შეჰყარა. ამ უგრძნობელობას ალალი, მიამიტი კაცი ვერ პატიობს თავის თავს. მოთხრობის ბოლოს რაკურსი იცვლება: ლექსოს მეზობლებს, მიტოს და მის ცოლს შუაღამისას მგლის ყმუილის მსგავსი ხმა შემოესმებათ. მოგვიანებით ხვდებიან, რომ ეს ლექსოს ხმაა, ლექსო ბღავის. ცოლი ეუბნება მიტოს, გადადი და როგორმე უთანაგრძნეო. შესანიშნავია მოთხრობის დამაგვირგვინებელი, სწორედ ნატიფი ირონიით აღბეჭდილი ფრაზა, მიტო პასუხობს ცოლს: "რო გადავიდე, რა ვუთხრა, რით ვანუგეშო, მოვა და ისევ გვერდით დაგიწვება-მეთქი?"

ჯემალ თოფურიძის უკანასკნელი და უმთავრესი მოთხრობა "დიოსკურია ზღვაში ჩაძირული ქალაქია", თითქოს თავს უყრის და ერთად წარმოაჩენს მისი შემოქმედების ყველაზე ნიშანდობლივ მხარეებს. შეგნებულად არ მინდა ვიხმარო სიტყვა "ესთეტიკა", "მხატვრული აქსესუარი" და ა.შ. არ მინდა, რადგან ჯემალ თოფურიძე უმტკივნეულოდ, ძალდაუტანებლად აგნებს თავის თხრობით ინტონაციას. ეს ინტონაცია იმდენად მისეულია და მკვიდრია, რომ "ფრაზის დონეზეც" კი დაჰყავს. ჯემალ თოფურიძის ყოველი ფრაზა თავისებურად ჟღერს. სხვის ფრაზაში არ აგერევა. თითქოს ეს ფრაზის ჟღერადობაა მისი მთელი სამყაროს გასაღები, იმ სამყაროსი, რომელსაც ის სპონტანურად ქმნის.

"დიოსკურიას" მთავარი პერსონაჟი თვითონ ჯემალ თოფურიძეა. ნებსით თუ უნებლიეთ ყოველი მწერალი თავის თავზე წერს ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაღაც ნახნაგივით საკუთარ თავს განასაგნებს ნაწარმოებში. მაგრამ დგება დრო, როცა ავტორის კონტურები ემთხვევა მთავარი პერსონაჟის კონტურებს. და მწერალი თუმცა ლაპარაკობს ერთდროულად ყველაფერზე, ეს "ყველაფერი" მისივე ცხოვრებისეული გამოცდილების კონკრეტული რეალიებიდან არის განჭვრეტილი. შეიძლება ვინმემ გამოთქვას აზრი, რომ "დიოსკურიას" გმირი ღრმა დეპრესიით ან ნევროზით შეპყრობილი პიროვნებაა. ეს იქნებ ასეცაა, მაგრამ არსებითი სხვა რამაა: რატომ გაჩნდა შინაგანი დისკომფორტი? რამ აღძრა გაუწონასწორებლობა? რა ავლენს პერსონაჟის სულიერ რღვევას?

ჯემალ თოფურიძე XX საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ანტიტოტალიტარული მწერალია. ის უხეშად, არაორაზროვნად, დაუფარავად ანგრევს სტერეოტიპებს. ეს სტერეოტიპი კი, გვინდა თუ არ გვინდა, ჩვენს მწერლობაში (და არა მარტო მწერლობაში) მაინც არსებობდა და არსებობს. ტოტალიტარული რეჟიმი ქმნიდა ისეთ სოციალურ და ფსიქოლოგიურ კლიმატს, რომელშიც ნორმალურ, თავისუფალი ნების, პატიოსან კაცს მორალური თვალსაზრისით უჭირდა გაძლება. ამ გაჭირვებას გაუხშოებული ჰაერი იწვევდა. პიროვნების ნიველირება, ბიუროკრატიზმი, ათასგვარი ჩარჩოები, ყადაღა და ცენზურა, ფართო ასპარეზის უქონლობა შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანებისთვის (ყველა სფეროში) ტრაგიკული ხვედრის ტოლფასი იყო. ასეთ ადამიანებს არსებული ვითარებისადმი ცინიკური დამოკიდებულებაც უჩნდებოდათ, ვინაიდან შინაგანად ვერ ეგუებოდნენ იმ ფორმალობებს, თამაშის იმ წესებს, იმ "იდეოლოგიურ შირმებს", რომელთაც მათ ტოტალიტარული რეჟიმი სთავაზობდა. სწორედ ეს ადამიანები უპირისპირდებოდნენ არსებულ სტერეოტიპებს. სწორედ ისინი არიან ჯემალ თოფურიძის მოთხრობების პერსონაჟები. ასეთი იყო თვითონ ავტორიც. ტოტალიტარული რეჟიმი მას თითქოს კარნახობდა: "დაწერე, რომ ჩვენ კარგად ვცხოვრობთ", ის კი თავის შემოქმედებით პასუხობდა: "ტყუილს არ დავწერ, დავწერ იმას, რასაც ვხედავ და განვიცდი". ამასთანავე, არ შეიძლება არ ითქვას ისიც, რომ არსებობდნენ ჯემალ თოფურიძის წინამორბედი, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ტიპის მწერლები (ვგულისხმობ, უპირველეს ყოვლისა, ე.წ. სამოციანელებს), რომლებიც სხვადასხვაგვარად აგვარებდნენ ამ პრობლემას. ერთნი "ეზოპეს ენით" წერდნენ, მეორენი საერთოდ იგნორირებას უკეთებდნენ დამთრგუნველ სინამდვილეს (მათ ნაწარმოებებში სად ხდება მოქმედება, უიღბლო საქართველოში თუ სვებედნიერ საფრანგეთში, ვერ გაიგებ), მესამენი კი "უბედურების" და "ბედნიერე-

კოტე გაბაშვილი, ჯემალ თოფურიძე, მამუკა ასათიანი, მანანა ხელაია, ბადრი ჭოხონელიძე. ახალგაზრდა შემოქმედთა სიმპოზიუმზე სოხუმში. 1977 წელი

ბის" ისეთ დოზირებას, ისეთ ალქიმიას სთავაზობდნენ "ტოტალიტარულ მანქანას", რომ ის თავაზიან თანხმობას გამოთქვამდა.

ორმოცდაათიან-სამოციან წლებში გურამ რჩეულიშვილის გამოჩენა იმით იყო საინტერესო, რომ მან სიცოცხლის "ცხელი სუნთქვა" მოიტანა ქართულ ლიტერატურაში. ეს მხოლოდ სითამამის და გაბედულების წყალობით არ მომხდარა, ამ მწერალს ჰქონდა ნიჭის უაღრესად მნიშვნელოვანი წყობა, რომლის მეშვეობითაც განზოგადებულ, აბსტრაქტულ ლიტერატურულ ოპუსებს კი არ ქმნიდა, არამედ კონკრეტულ გარემოს აცოცხლებდა. გურამ რჩეულიშვილმა დროში და სივრცეში თავისი თანამედროვე გმირის კონკრეტული ადგილსამყოფელი დააფიქსირა, მისი დრამატული ყოფნა აღწერა და სწორედ ეს კონკრეტიკა იყო ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი. კონკრეტიკაზე ვსაუბრობდი წერილის დასაწყისში და ამ ნიშნით, ჩემი აზრით, ჯემალ თოფურიძე გურამ რჩეულიშვილის პირდაპირი მემკვიდრეა...

მოთხრობაში "დიოსკურია ზღვაში ჩაძირული ქალაქია" ჯემალ თოფურიძე დაუნდობლად ამსხვრევს ყოველგვარ ილუზიებს. და ეს ილუზიაა სწორედ ტოტალიტარულ სოციუმში არსებული სტერეოტიპი. ჯემალ თოფურიძე ამსხვრევს მითს ბავშვობაზე, მითს სიყვარულზე, მითს ბედნიერებაზე... ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არ არსებობს ბავშვობა, არ არსებობს სიყვარული ან ბედნიერება, პირიქით, არსებობს, მაგრამ სხვაგვარად და არა ისე, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია. ჯემალ თოფურიძისთვის ყველაფერი ტანჯვასთან ერთად არსებობს. "ვიტანჯები, მაშასადამე, ვარსებობ" - შეუძლია თქვას მის პერსონაჟს; "ვიტანჯები, მაშასადამე, მიყვარს", "ვიტანჯები, მაშასადამე, მესმის რა არის ბავშვობა და ბედნიერება" და ა.შ.

ტანჯვის ფილოსოფია ჯემალ თოფურიძის მსოფლმხედველობის განუყრელი ნაწილია. მაგრამ რა იწვევს ამ ტანჯვას, თუ არა სასიცოცხლოდ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფასეულობის უკმარისობა. რა არის ეს? ფასეულობა? სიყვარული? თანაგრძნობა? უანგარო დამოკიდებულება? გავიხსენოთ "ნუციკო ემხვარი". ეს არის სიყვარულის ისტორია, ეს არის ამბავი იმ ქალისა, რომელმაც ვერ შეძლო ერთხელ აღძრული გრძნობის დავიწყება. ნუციკო ემხვარი ფაქტობრივად მსხვერპლია იმ დიდი სიყვარულისა, რომელიც ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში დაეუფლა. სიყვარულის "მსხვერპლია" დაღუპული ტაქსისტი გოგიას ცოლი მარინაც. ის სასოწარკვეთილი ეცემა იატაკზე, შემოეხვევა მაგიდის ფეხს და ამბობს: "მცემე, გოგია, შენი ჭირიმე, ბიჭო, მცემე". რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, სწორედ ეს მრავალჯერ შესრულებული ცემის "რიტუალი" ახსენებს მარინას ქმარს და ეს მარტო გახსენება კი არ არის, არამედ მძაფრი გრძნობის გამოხატულებაცაა.

ჯემალ თოფურიძე უაღრესად ადამიანური მწერალია. მან შესანიშნავად იცის, რომ მხოლოდ თანაგრძნობამ შეიძლება გადაარჩინოს პიროვნება. თვითონ მწერლის დამოკიდებულებაც უაღრესად თავისებურია პერსონაჟების მიმართ. მას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქვს თანაგრძნობაც, ტკივილიც, ნატიფი ირონიაც, მაგრამ აქვს, აგრეთვე, რაღაც ისეთი, რასაც ძნელია სახელი დაარქვა და რაც საკმაოდ შეუმჩნეველიცაა. ჩემი აზრით, ეს არის სურვილი არსებობის აზრის ძიებისა. ეს სურვილი გაუცნობიერებლად ვლინდება მის პერსონაჟებში და ზღვრულ სიტუაციებში იჩენს თავს, როგორც მოყვასისადმი სრული თვითგაღება.

და მაინც, მინდა გავიხსენო ისევ "დიოსკურიას" მთავარი გმირი - თემური. მისი ცხოვრება დანაკარგებისგან შედგება, მას სტოვებენ ადრეული ასაკის ილუზიები და უახლოესი ადამიანები, ცოლი ზურგს აქცევს, სხვები კი სამუდამოდ მიდიან ამ ქვეყნიდან. თემური უმკაცრესი სიკვდილის წინაშე რჩება. იცვლება მისი წარმოდგენებიც ადამიანებზე, ცხოვრებაზე. ავტორის ჩანართი თვითონ თემურის ფიქრთა მდინარებაცაა: "ბედნიერი დღეები უფრო ადვილად ავიწყდება კაცს, უბედურება სულ ახსოვს, ტვინსა და გულს ულრღნის, სულ თანა სდევს, იმიტომ, რომ უფრო ნაღდია, ყველაფერზე ნაღდია, რაც კი რამ გაჩენილა ამ ქვეყანაზე".

თემური ავტოკატასტროფაში იღუპება. ესეც თითქოს ნაადრევად დაღუპული მწერლის წინათგრძნობა იყო. საკვირველია მოთხრობის ბოლო ფრაზა, რომელშიც ჯემალ თოფურიძის შემოქმედების მთელი მრწამსია ჩატეული, სიცოცხლის უაზრო სილამაზეც ჩანს და ტანჯვის გართულებაც. ეს ფრაზა ასე ჟღერს: "დედამიწას თეთრი და სისხლიანი პერანგი ეცვა".

ჯადოსნური ნივთები

აკა მორჩილაძე

რა თქმა უნდა, ისინი შენს გარშემო და ხელის გაწვდენაზე არაა. ჯადოსნური ნივთების პოვნა ძნელია და მრავალ თავგადასავალსა და ფათერაკს მოითხოვს.

ასეა ზღაპრებში და მეზღაპრეები არ ტყუიან.

ჯადოსნური ნივთების შესანახი ადგილები ამ ქვეყანაზე ჯერ არ უპოვიათ. ისინი პარალელურ სამყაროებშია დამალული, ოღონდ იმ პარალელურ სამყაროთა მმართველები, ან ბინადარნი ზოგჯერ გადაწყვეტენ ხოლმე, რომ ეს ნივთები აქეთა, ჩვეულებრივ ქვეყანაში გადმოისროლონ. რატომ გადაწყვეტენ ხოლმე ამას, ძნელი სათქმელია. როგორც ვარაუდობენ, *იქაურები* ასე იმიტომ იქცევიან, რომ რომელიმე აქაური თავიანთ მხარეში შეითრიონ.

შეთრევა უცბად არ ხდება, შეიძლება ათწლეულებიც დასჭირდეს. იქაურები ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელ-ნელა, ფიქრისა და განსჯის შემდეგ ითრევენ ხალხს ამ სამყაროდან.

ქვეყნად არსებობს ჯადოსნური სიტყვებიც, რომლებიც უცნაურ და ურყევ კავშირშია იქედან გადმოსროლილ ჯადოსნურ ნივთებთან. ამ ჯადოსნური სიტყვების გარეშე წარმოუდგენელია პარალელური სამყაროდან გადმოსროლილი ჯადოსნური ნივთების პოვნა. იმ უხილავი სამყაროს მმართველები არანაირად მიგანიშნებენ, აქა და აქ ჯადოსნური ნივთი დევს და ეს ნივთი, მიდი და აიღეო. ერთადერთი მინიშნება ჯადოსნური სიტყვაა, რომელიც მხოლოდ იმ კაცისთვის არის ჯადოსნური სიტყვა, ვისთვისაც ჯადოსნური ნივთის გადაცემა გადაუწყვეტიათ.

გადაცემა პირობითი სიტყვაა, რადგან სინამდვილეში *ისინი* არაფერს გადმოგცემენ და უნდა იპოვო. თუმცა, ისიც არ იცი, რომ ეძებ. მხოლოდ ის იცი, რომ კარგი იქნებოდა, ამ ჯადოსნურ სიტყვას, რომლის ჯადოსნურობასაც ძალიან დიდი ხანია გრძნობ, რაიმე შემატებოდა.

რა დასამალია, და რამდენიმე ასეთი ჯადოსნური სიტყვა მეც ვიცი.

არ იფიქროთ, რომ ეს ისეთი განთქმული სიტყვებია, ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ გვხვდება. ვთქვათ, სიყვარული, სიძულვილი, სიცოცხლე და სხვა ასეთი რამეები. საქმე ისაა, რომ ასეთ სიტყვებს კარგა ხანია ჯადოსნურობა გამოეცალათ და რაც მთავარია, იმ, იქითა ქვეყანაში მათ ნივთიერი გაგრძელება არა ჰქონიათ. ანუ, როგორც იტყოდა შერლოკ ჰოლმსი, თავს უფლებას როგორ მივცემ, ვინმე შემიყვარდეს, ან შემძულდეს. სამწუხაროდ, ასეთი რამ ჯადოსნურ სიტყვებში გამორიცხულია.

ჯადოსნური სიტყვები უფრო შეუმჩნეველ, ძალიან ჩვეულებრივ საგნებს აღნიშნავს, ოღონდ ისე წარმოითქმის, რომ შეიძლება მთელი მოვლენაც გამოიწვიოს. ჯადოსნური ნივთი კი ზუსტად ისაა, რასაც ჯადოსნური სიტყვა აღნიშნავს.

რახან ამის დროც მოსულა, გავამხელ ერთ ჩემთვის ჯადოსნურ სიტყვას. მით უმეტეს, რომ შესაბამისი ჯადოსნური ნივთიც უკვე ხელთა მაქვს.

ამ სიტყვამ არანაკლებად იმოქმედა ჩემზე, ვიდრე იმ ადამიანზე, რომელსაც სიბერემდე ჩაესმოდა ძილში და გამოაღვიძებდა ხოლმე. იმ კაცს, ვისაც ეს სიტყვა ჩაესმოდა, ჯიმ ჰოკინსი ერქვა.

პიასტრი.

აი, ეს სიტყვა.

სხვანაირად, რვიანის ნატეხი (piece of eight), სხვანაირად, უბრალოდ, რვიანი, კიდევ სხვანაირად ესპანური ვერცხლის დოლარიანი.

ახლა მოგახსენებთ, რომ პიასტრი ესპანური ვერცხლის ფულია, კარგა გვარიანი ზომისა. ზედ რა ამოუტვიფრავთ, ამის მოთხრობას არ მოვყვები, მოგახსენებთ, რომ იმ სამასი წლის წინათ ფულის სინაღდე უფრო წონით და ლითონის სიწმინდით განისაზღვრებოდა. რახან წონა მთავარი იყო, ეს გვარიანი პიასტრი ერთდროულად ერთი მონეტაც იყო და ნახევარიც, მეოთხედიც და მერვედიც. ანუ, პიასტრს კუნძზე დადებდნენ და ნაჯახს დაჰკრავდნენ. ასე გაჭრიდნენ ორად და ხურდასაც დაგიბრუნებდნენ. მოკლედ, რვა ნაწილადაც იჭრებოდა და რვა ნატეხით ერთ პიასტრს შეადგენდა.

ამიტომაც ერქვა ასე ინგლისურად მოლაპარაკე ხალხის ადგილებში.

ინგლისელი მეკობრეები, ესპანელ ვაჭართა გემები და პიასტრები. ალბათ, ყველაფერი გასაგებია.

პიასტრი კი იმიტომ არის ჯადოსნური სიტყვა ჩემთვის, რომ ამ სიტყვამ ძალიან ბევრი რამ შემიცვალა და გადამაწყვეტინა კიდეც. ბევრს ეხსომება, როგორ მთავრდება სტივენსონის განძის კუნძული.

გამდიდრებულ ჯიმ ჰოკინსს მძინარეს ჩაესმის ხოლმე ცალფეხა მეზღვაურის თუთიყუშის, კაპიტან ფლინტის მჭახე ხმა:

- piece of eight, piece of eight!

ყოველთვის, როცა ეს ხმა ჩამესმისო, ამბობს ჩვენთან გამოთხოვების წინ ჰოკინსი, შეშლილივით წამოვჯდები ხოლმე ლოგინშიო.

თქმა არ უნდა, ეს ჯადოსნური სიტყვაა. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის. რადგან ოდესღაც, ამ შეძახილმა წერის სურვილი გამიჩინა. პირდაპირ არ ვიცი, რა უნდა მეკეთებინა, იმ თუთიყუშს რომ არ დაეჩხავლა, პიასტრები, პიასტრებიო. ალბათ, ფეხბურთის ყურების მეტს ვერაფერს გავაკეთებდი. თუ ეს რაიმეს კეთებად ჩაითვლება, რა თქმა უნდა.

ასე რომ, მართლაც ჯადოსნური სიტყვაა. ამ აზრს ის უფრო განმიმტკიცებს, რომ უკვე პიასტრიც მაქვს და რაც მთავარია, სწორედ ისე, რვად გაკვეთილი, იქ და იმ დროს რომ ჰქონდათ. ასეთი რამეები კი ტყუილად არ ხდება. სად უნდა მიხვიდე, რომ პიასტრს გადააწყდე? მსოფლიოს რომელ ქალაქში? შენით რომ ეძებო, რა თქმა უნდა, კოლექციონერებს მიადგები და თუ ფული გაქვს, იყიდი კიდეც, მაგრამ ჯადოსნური ნივთების და სიტყვების ურთიერთკავშირის მთავარი პირობა ხომ ის არის, რომ ჯადოსნური ნივთი არ უნდა ეძებო, ნივთს თავად წაეყრები, როცა *ისინი* ამის საჭიროებას დაინახავენ.

აბა, წარმოიდგინეთ: გადაფრინდი ოკეანეზე, ჩაფრინდი ერთ ქალაქში, იქედან კვლავ იფრინე და ჩაფრინდი მეორე ქალაქში. ამ მეორე ქალაქში ჩაჯექი ავტობუსში და წახვედი მესამე ქალაქში. იმ ქალაქში მანქანაში გადაჯექი და წახვედი ერთ სოფელში, უფრო კი მამულში. იმ სოფელში შეხვედი პატარა მაღაზიაში, ყოვლად უმიზნოდ, სუვენირის, ან რაიმე ასეთის საყიდლად და ამ მაღაზიის ყველაზე ბნელ, შეუხედავ და მოფარებულ კუთხეში გადააწყდი პატარა ქისას, რომელშიაც რვად დაჩეხილი პიასტრი დევს.

თქვენთვის ეგებ სუვენირიც იყოს, თანაც, შეუხედავი და უაზრო , ჩემთვის კი ჯადოსნური ნივთია, რადგან ვნახე ის, რაც ძალიან ბევრ რამეში მეხმარება. საერთოდ კი, წერაც ამ ჯადოსნური სიტყვების ნივთებთან დაკავშირებას ჰგავს. *იმათ* ყველაფერი მშვენივრად იციან. იციან, რომ ეს შეძახილი ჩემში არასოდეს გაცვდება და ამიტომაც პიასტრი გამომიგზავნეს. ალბათ, თქვენც წააწყდებით თქვენს ჯადოსნურ ნივთებს, თუკი ჯადოსნურ სიტყვებს ინახავთ და არ გავიწყდებათ, სად შეინახეთ:

- piece of eight! piece of eight!

ეს არის ყაზარმა

ანდრო ბუაჩიძე

მახსენდება ჩემი რკინის საწოლი, ორსართულიანი,
მახსენდება ჩემი თავი ამ საწოლის მეორე სართულზე,
პირველ სართულზე იწვა დუდუ ჩერქეზიშვილი,
რომელიც დიდი ხანია მოკლეს თბილისში,
სასტუმრო "აფხაზეთის" რესტორანში.
მას შემდეგ თითქმის ოცდასამი წელი გავიდა.
მახსენდება წითლად შეღებილი გათენება
ყაზარმის ფანჯრებში, საკმაოდ უცნაური.
მე ჯერ თავი შავიზღვისპირა პანსიონატის
ან ტურბაზის მიმდებარე ოთახში მეგონა,
მერე კი უკვე გამოღვიძებული ვხედავდი
დაბალ ტუმბოებს, ორსართულიან რკინის საწოლებს
და საწოლებთან მიწყობილ ჩექმებს.
ყაზარმის უშველებელ, უსახურ, განიერ ოთახში
ისევე მკაცრად დაქროდა დილის ნიავი,
როგორც საერთოდ დაქრის ხოლმე, მით უმეტეს
"უცხო მხარეში".

და მე ვიწყებდი ჩემს მოსჯილ დღეს
ფეხსახვევებთან და ჩექმებთან ურთიერთობით.
ორსართულიანი რკინის საწოლები!
ასეთ საწოლებზე თავს იხრჩობდნენ ჯარისკაცები
ქამრის ყულფში თავგაყოფილები.

მე თავს არ ვიხრჩობდი.

მე გამოვდიოდი ყაზარმიდან დილაადრიან
უკვე ავტომატაკიდებული.
იქვე შენობის წინ ფერდობზე ვჯდებოდი
და გემრიელად ვეწეოდი "პრიმას".

რა გვინდოდა ჩვენ იქ, ახალციხის მთებში,
ვის დავკარგვოდით, ვინ გვეძებდა, ან ვინ გვიპოვნიდა,
ვინ შემოწერა დაწყევლილი ცარცის ნატეხით
ის უშველებელი წრე,
რომლის შიგნითაც უნდა გვეცოდვილა.
მაგრამ, ასე იყო თუ ისე,
უკვე რაღაცნაირად იწყებოდა ცხოვრება
და უნდა გვეგრძნო პირველი მუჯლუგუნი.
უნდა გვეყნოსა სისხლის სუნი და ამასთანავე
იარაღის აუცილებლობა,
უნდა გვენახა ცხოვრების სიმუხთლე, ვიღაცის უიღბლობა
თუ სისუსტე და ჩვენი სიძლიერე
ან პირიქით...

რა გვინდოდა ჩვენ იქ, ახალციხის მთებში,
დღესაც ძნელი სათქმელია, ჩვენ უნდა გვცოდნოდა,
რომ არსებობს ადამიანისთვის დამიზნებული ტყვია,
არსებობს კლდეები, კლდეში გაჭრილი ბილიკები,
რომლითაც უნდა დაზვერო "მტერი",
არსებობს შური, არსებობს მუხანათობა, არსებობს გინება,
არსებობს წყევლა, არსებობს კაცი, არსებობს ქალი,
არსებობს ბავშვი, არსებობენ ბომბდამშენები და
თავშესაფრები, არსებობს შიში, არსებობს ზიზღი,
არსებობს მკვლელობა, არსებობს გმირობა, არსებობს
გვირაბი, არსებობს რუკა, არსებობს შავი პური,
კონსერვი, არაყი, და უფრო მოკლედ:
არსებობს სიცოცხლე და სიკვდილი.

აი, ამას ვსწავლობდით სამხედრო ბანაკში,
ახალციხის მთებში, უდაბნოსავით ხრიოკ ადგილას
და როგორც დილით, ისე დღის ბოლოსაც
უკვე გასავათებული ვჯდებოდი ფერდობზე
და ხარბად ვეწეოდი "პრიმას",
და ვხედავდი ვარსკვლავებს,
რომლებიც ბანაკის თავზე უფრო კაშკაშანი ჩანდნენ.

მახსენდება, როგორ ჩამოიტანა არაყი გურაბანიძემ
და ათლიტრიანი ბოცა ჩაფლო ბანაკის სიახლოვეს.
იქვე მწვანე მოლზე პატარა სუფრა გავშალეთ
და უმოწყალოდ დავთვერით, -
გურაბანიძე, ყანდაუროვი, ბუკია, გურგენიძე და მე;
დღის განაწესი დავარღვიეთ და იმ საღამოსვე
ყარაულიდან დაგვითხოვეს...

მახსენდება, როგორ "ვიდექი პოსტზე", როგორ წვიმდა,
და მე დავიწყე სიარული მავთულხლართებს შორის,
უკან უპატრონო ძაღლი მედევნებოდა,
და მიკვირდა, რომ არავინ მაფრთხილებდა:
"უკვე დაიწყო შენი ცხოვრება,
ეს ძაღლი უკვე შენი ძაღლია,
ეს წვიმა უკვე შენი წვიმაა,
მავთულხლართებიც შენ გარტყია,
უნდა იარო წინ და უკან და არ უნდა იცოდე,
რას დარაჯობ -
იარაღის საწყობს, საველე ტომრებს
თუ საკუთარ სინდისს,
რომელსაც შენს გარდა, ძალიანაც რომ უნდოდეს
ვერასდროს ვერავინ ვერ მოიპარავს,
არ უნდა იცოდე, ვინ არის ქურდი
და იარო წინ და უკან, წინ და უკან, წინ და უკან".

მამუკა ტყეშელაშვილის ნახატი

რა მინდოდა მე იქ, ახალციხის მთებში,
მიწის იმ ნაჭერზე, რომელიც მაგონებდა უდაბნოს
და ოაზისს ერთდროულად,
რომლის წიაღიდანაც ჩქეფდა
ჩანჩქერივით თეთრი წყაროები,
რომლის ქვით ნაშენ ტუალეტებს და ყაზარმებს
ვარსკვლავებით სავსე წყვდიადი ებჯინებოდა,
ამ წყვდიადს ხომ ვარსკვლავებთან ერთად
მანათობელი ტყვიებიც ფანტავდა და
აღლუმის თვალგაუმტარ ღამეებში
ამოტყორცნილი მაშხალებიც...
ვის დასჭირდა ეს ყოველივე -
ეს სასაცილო, ეს უბრალო, ეს უცნაური,
ეს სასტიკი და სავალალო...
და იმის ნაცვლად, ვინმეს ეთქვა,
რომ ეს კლდეები, ეს თავანკარა მდინარეები,
ეს ფერდობები არის შენი, შენი სამშობლო -
რუსი ოფიცრები დაჟინებით გვიკიჟინებდნენ:
ეს არის დაბლობი, ეს არის მაღლობი,
ეს არის ტყვიის ტრაექტორია მჭიდრო სივრცეში,
ეს არის მთების ანაგრამა, ეს არის ხევი,
რომლის იქითაც, ვთქვათ და, მტერი თუ დაბანაკდა,
უნდა ფორთხვით გადაჭრა ველი და ა.შ.

ბევრი ისეთი რამ მახსენდება,
რაც უსაშველოდ მაფორიაქებს,
მაგრამ არსებობს იმნაირი აერწინაღი
ამ ხსოვნისაგან რომ დამიცავდა?
მახსენდება ცემისგან მისიკვდილებული ყანდაუროვი,
მაიორი ჩაიკინი, მანველიანი,
წვნიანში მოტივტივე მატლები,
დაკარგული "კალაშნიკოვის" ავტომატი,
ტყვია, რომელიც გამივარდა
და მტკაველზე ასცდა ირაკლის საფეთქელს,
ფეხსახვევებით სავსე ოთახი,
კეთილშობილი მორფინისტი
და მისი გულისამრევი ჰალუცინაციები...

არსებობს კი ის აირწინაღი,
რომელიც დამიცავს ვარსკვლავებისგან -
მე რომ ასე უსინდისოდ მომჩერებიან?
არსებობს კი ის აირწინაღი,
რომელიც დამიცავს თქვენივე სიბრიყვეებისგან?
არსებობს კი ის აირწინაღი,
რომელიც დამიცავს არა მარტო ჩემი,
არამედ სხვების სიკვდილებისგან?
არსებობს კი ის აირწინაღი,
რომელიც არა მარტო დამიცავს, არამედ
დამიამებს კიდეც?

როგორ წავიდა, როგორ გაქრა, როგორ დამშორდა
ეს ყოველივე!
ჩემი ორსართულიანი რკინის საწოლი!
დუდუ ჩერქეზიშვილი, რომელიც მოკლეს თბილისში,
სასტუმრო "აფხაზეთის" რესტორანში...
წვიმიან დღეებში ვიწექი ყაზარმაში
ამ საწოლის მეორე სართულზე,
გემრიელად ვეწეოდი "პრიმას",
ზემოდან დავყურებდი ყველაფერს
და ჩემთვის ვამბობდი:
ესენი არიან ჯარისკაცები,
ეს არის სისხლი,
ეს არის შიში,
ეს არის პური, კონსერვი, არაყი,
და უფრო მოკლედ:
ეს არის ცხოვრება, ჩემო კარგო.

ზიზი

თამრი ფხაკაძე

მოკლედ, ზიზი ესეთია: საშუალო სიმაღლის. ოდნავ...

არა. მოდით, ასე გავაკეთოთ: ვითომდა, ზიზიმ განცხადება გამოაქვეყნა გაზეთში. აი, ერთმანეთს რომ ეცნობიან, თუ საბედოებს რომ ეძებენ, იმნაირში. ზიზის განცხადება ასეთი იქნებოდა: "ვარ 50 წლის, საშუალო სიმაღლის, ოდნავ პუტკუნა, შავთმიანი, მწვანეთვალება მომხიბვლელი მანდილოსანი. წესიერი. პატიოსანი. გაუთხოვარი. დამთავრებული მაქვს კონსერვატორია. მიყვარს კლასიკური მუსიკა, ლიტერატურა... ვარ შესანიშნავი მეოჯახე, მიყვარს ბავშვები. გამომეხმაუროს მამაკაცი, რომელსაც ექნება ბეთჰოვენის სიძლიერე, მოცარტის სინატიფე..." და ა.შ.

და, დიახ, სწორედ ასეთმა ზიზიმ თებერვლის ბოლოს გაყიდა ძველისძველი როიალი "ბეკერ", გააქირავა ნოტებით, გრამფირფიტებით (სულ ვერდი, სულ შტრაუსი...) და კიდევ მრავლად ნატიფ-ნატიფი ნივთით სავსე ბინა თურქ ბიზნესმენებზე და სოფლისკენ გასწია. გასწია, მაშ, სოფლისკენ - მაღალქუსლიანი ტუფლით, პაწია ხელჩანთითა და ყელზე - მარგალიტის ასხმითა.

იქ, სადღაც მუხრანთან მამა-პაპისეული სახლი ელოდა. მიტოვებული ეზოთი, მორღვეული ღობით, უცეცხლური და გამოთოშილი.

მოკლედ, მიდიოდა ზიზი და მიუხაროდათქო, ვერ ვიტყვი, მაგრამ არც უკან რჩებოდა ფეხები... მაღალქუსლიანტუფლიანი...

ახლა, რატომ არ რჩებოდა უკან ფეხები, არა ვთქვათ? იმიტომ არ რჩებოდა, ჩემო ძვირფასო იმანო, რომ მრავლად საფიქრალ-სატანჯველს გამოექცა იმ ფეხებით. რა დასამალია და, შიმშილსაც...

გავაგრძელო? ნწ. არ გვინდა. გამგები უკვე გაიგებდა.

ჰოოდა, ახლა წინ რატომ არ მიუხაროდა ზიზის, - იმისაცა ვთქვათ ცოტა. არაფერი იცოდა და იმიტომ. რაც იცოდა, უკან დარჩა. პრიალა პარკეტზე პაკუნი, ტელეფონზე ჭუკჭუკი, ჰაიდნი, შოპენი, ყავა... და კონცერტები - ღია. დახურული...

წინ?

აგე, მიჯიყჯიყებს ზიზიანი ავტობუსი გაზაფხულისპირული თოვა-წვიმებით გაფუებულ მინდვრებზე. ჯერაც ცივა. ჯერაც სუსხია. ჯერაც მოშაოდ პრიალებენ შიშველ-ტიტველი, სველი ხეები...

აგე, პატარა ფარა... სიცივისგან მობუზულ მწყემსს ცელოფანი წამოუხურავს თავზე, ფეხიდან ფეხზე ინაცვლებს, ხელებს იფშვნეტს... "ჰეეე-ო!" - ხანაც შეუძახებს სამწყსოს, დუნედ, მორჩილად, მყუდროდ შექუჩებულს... წვიმს. ცხვარსაც მატყლზე თანაბრად დასდებია თქორი და ავტობუსის მინაზეც, მოგროვდა, მოგროვდა და წამოგორდა წვეთები...

ზიზიმ ცივ მინას შუბლის კუთხე მიადო და წვიმას აჰყვა. აცრემლდა, მოკლედ. ატირდა და ფიქრობდა იმაზე, რომ... თუმცა ზიზი მუსიკით ფიქრობდა. შოპენის რომელიღაც "ფანტაზია-ექსპორტით" და იგი უჩუყებდა გულს და საიდან სადაო... სად შოპენი, სად კიდევ მუხრანის გადასახვევიდან ავტობუსით ჩიქ-ჩიქი თოვლჭყაპიან გზაზე, მაგრამ მაინც, რაღაცნაირად, ესადაგებოდა ერთმანეთს და ზიზის ლოყებზეც, როგორც მინაზე წვიმის წვეთები, წამოგორდა კურცხალი...

ეჰ! ეს ისე... რა სისულელეა! ასწია ზიზიმ თავი და გაიხედა შორს. წვიმით დანისლული თავისი ახალი ცხოვრებისკენ...

მოკლედ, ჩამოვიდა ავტობუსიდან და წვიმით გაჭყეპილ, დამბალ მიწას რომ დააბიჯა, იმწამსვე მიხვდა, - "ფრანცუზკების" ჟამს ჩაევლო... კალოშის ჟამი დამდგარიყო.

გია გელაშვილისა და ირაკლი ბილაშვილის კოლაჟი

შეაღო სველი, დამჩიჩული ხის ჭიშკარი. შევიდა თავის ეზოში. სულ ჭყაპა-ჭყუპით გაიარა დატბორილ მიწაზე და ჩამოლუმპული კიბით აივანზე ავიდა. აჰა! გასაღებიც ამოიღო პაწია, ვარდისფერი ლაქის ხელჩანთიდან და შევიდა შინ. ეგაა, მორჩა, ახალი ცხოვრებაც დაიწყო.

იმავდღეს, ან რად უნდოდათ მოხმობა, მაგრამ, მოუხმო ზიზიმ მეზობელ-გულშემატკივარს. ცოტა "ბეკერ"-ის ფულიც დაატრიალა და უკვე, საღამოს ცხრაათი საათისათვის, მისი სახლის საკვამურიდან კვამლი ადიოდა... ოთახში იმედიანად გუგუნებდა ღუმელი, აივანზე ბლომად დაჩეხილ-დაპობილი შეშა ელაგა, ღუმელზე ჩაიდანი თუხთუხებდა და ვის რა აღარ მოეტანა, კიდევ... ცხელ-ცხელი თონის პურიო და ერბოსავით ყველიო, ფელამუში და ჩურჩხელაო, მჭადის ფქვილი, კვერცხი, შინაური ლორი და მუხრანული მწვანილიო... და ზიზი, ღუმელს მიფიცხებული, სახეწამოწითლებული, ბედნიერსაც ჰგავდა.

- ახლა, მითომ, გაძლებ აქა? - მერამდენედ ეკითხება ნაზო, ეზოსყურის მეზობელი.

- გავძლებ, ალბათ, ნაზო... გავძლებ, - პასუხობს ზიზი.

- ემ ტალახში, ქალო? ემ ძროხებში და ღორებში? ქალაქელი ქალი. ბინებში ნაცხოვრები?!

- დააყენე ენა შენცა! რას უტეხ ქალს გულსა, - შეუტევს შავტუხა ანიკო.

- ან შენ რა ნახე აქა სიკეთეი და ან ამან რა უნდა ნახოს! ქალაქში ბინები მომცა და აქეთ თუ გამოვიხედო, ისიცა ნახე! - არ თმობს ნაზო...

- უიმეე, უიმეე... ქალო, შენ არ იყავი, აღდგომის წინა, ექიმთან რო გყვანდა ფიდოი, სამი დღითა, იგრეთი ჩამოხვედი, ლამის იყო, ძროხა და ღორი დაგეკოცნა მონატრებითა! შენ არ იყავი, ქალო? ჰაი, ჰაერი არა მყოფნიდა და, ჰაი, მიწაზე რო ვერა ვდგამდი ფეხსა და... ეხლა გამიხდი ქალაქელი ტურფაი?

- იიჰ... ამის ყბაში ჩავარდნასა... - მოტყდა ნაზო და იმავწუთს შეუტია, - ქალო, მე განა ვიძახი რო არ მიყვარსთქო! სულიცა მცვივა, ისე მიყვარს, მაგრამა, ძნელია, ამის ოხრობა აღარ იქნა, ძნელი...

- ადვილი ფელამუშის ჭამაა...

- ესა, შეუჭვეველი როა, იმას ვიძახი, თორე...

- შეუჭვეველია და შეეჩვევა... მა!

გაღიმებული ზიზი ცეცხლის სითბოს გაებრუებინა, მოეთენთა... ვითომ მასზე კი არა, ვიღაც სულ სხვაზე იყო საუბარი, ისე ისმენდა ქალების კამათს და თან... ეეჰ, რა არის მაინც ეს სულიერი წყობა... თუ რა ჰქვია?.. ისევ იმ შოპენის "ფანტაზია-ექსპრომტის" ფონზე ისმენდა და ხედავდა ყოველივეს და იმით გაჯერებული, რაღაცნაირად, შემწყნარებლურად იღიმებოდა...

მარტის ბოლოს "ბეკერ"-ის ფულით ზიზიმ შნოიანი წაბლა ძროხა იყიდა ნაზოსთან საზიაროდ.

ნაწვიმარზე მზეგამოხედული ამინდი იდგა. მიწას თბილი ოხშივარი ასდიოდა. ვითომ, - ყველაფერი ისევ ისე იყო... ვითომ! ჯერ ისევ შავ-თეთრი იყო არემარე. მიწა, ხეები... ჩამუქებული, ჩაშავებული, ალაგ-ალაგ სისველისგან მბზინავი ცივად... თვალის-მომჭრელად... ცა - თეთრ-მორუხო, არეული, მზიან-ქარიანი... სიმწვანე არსად ჭაჭანებდა... მოკლედ, ვითომ ყველაფერი ისევ ისე იყო. არადა, მოდიოდა რაღაც! ყოველი მხრიდან... ციდან, მიწიდან, ყოველი მხრიდან რაღაც დიდი, ძლევამოსილი, ლამაზი მოდიოდა... ჯერ არ ჩანდა, მაგრამ მოდიოდა და ყველა ელოდა...

ზიზიმ, ნაზომ და ნაზოს ქმარმა ფიდომ წაბლა ძროხას ზიზის ეზოში უკრეს თავი, ეხლა თითქოს უფრო დაიმისეს, უფრო მშვიდად ახედ-დახედეს.

- კაი ძროხაა, - თქვა ფიდომ. - ინდე, რა ჯიქანი ააქ!

- მაა! - თქვა ნაზომ.

- წავედი აბა მე, - თქვა ფიდომ, - საქმე მააქ... გუდრონსა ვხარშავთ ზეითა...

- გუდრონა ხაარ, მართლა, გუდრონაი! - წააყოლა ნაზომ.

ჩამოსხდნენ აივანზე და ნაზომ საქმიანად იკითხა:

- რას დაარქმევ ეხლა ემ საქონელსა...

ზიზიმ, აბა, რა იცოდა.

- რა დავარქვა?

- რა ვი! წაბლაი, ლამაზაი... ნოთიაი... დაარქვი, რომელიც გაგეხარდება!

- კარმენი... ტოსკა... ნორმა...

დაიწყო ჩამოთვლა ზიზიმ.

- აიდა... მიმი... ვიოლეტა... ლუჩია...

- დაიცა, დაიცა... რა უცხოებია, ქალო, არც ერთი რო არ გამიგონია!

აი, ის კარგი იყო... კარგა მოხვდა ყურსა...

- ტოსკა?

- ნწ. არა, არა...

- ჩიო-ჩიო-სანი?

- უიმეე... ქალო, მაგდენი დრო სადაა, ძროხას ემსიგრძე სახელი უძახო!

- აიდა?

- ოოო! ჰაიდაი! ჰაიდა! კარგია ეგა. ჰაიდა იყოს! უფრო კარგია. ეხლა, განა ისინი ცუდები იყო, მაგრამა... ეს უფრო ძროხულია... ჰაიდა...

- ჰ არ უნდა. აიდა, - შეუსწორა ზიზიმ.

ერთი-ორი კვირის შემდეგ ზიზი უკვე მარჯვედ წველიდა ძროხას. პატარა სკამით მიუცუცქდებოდა აიდას ჯიქანთან... იდგა თივის, ნაკელის და რძის სუნი და ზიზი... - ჩხრ-ჩხრ! ჩხრ-ჩხრ! - კოხტად ასრიალებდა თითებს... იმ თითებს, როიალ "ბეკერ"-ზე მსუბუქად რომ დააქროლებდა ვალსებს და სონატებს...

ერთხელ, ალუბლობაზე, თბილისიდან დილის ავტობუსი რომ ჩამორიხინდა, თან ზიზის მეგობარი, მეგი ჩამოიყვანა. მეგის რომ, აი, იმ გაცნობის გაზეთში განცხადება გამოექვეყნებინა, შიგ ასეთები ეწერებოდა: "ვარ 50 წლის, მაღალი, წარმოსადეგი მანდილოსანი, ქერად შეღებილი თმით, მუდამ მოვლილი, პროფესიით - ხელოვნებათმცოდნე. მატერიალურად უზრუნველყოფილი. ვარ ქვრივი. შვილები დაბინავებულნი არიან საზღვარგარეთ. მამაკაცი, რომელსაც ყურადღებას მივაპყრობდი, უნდა იყოს ნამდვილი თბილისელი, სიმპათიური, შეძლებული" და ა.შ.

ჰო. აი ეს და ასეთი მეგი ორმა სამმა მისით აღფრთოვანებულმა ბავშვმა მიაცილა ზიზის სახლამდე და ზიზიც გამოვიდა... ცომიანი ხელებით, იმიტომ რომ პურს ზელდა, და შუბლთან, თმაზე ფქვილშეფრქვეული...

- ბოჟე მოოი, ზიიიზი! - ხელი ხელს შემოჰკრა მეგიმ და ამით, ფაქტიურად ყველაფერი თქვა. და რაც მერე კიდევ თქვა და ჟესტ-მიმიკა (ე.წ.) დახარჯა, - ისიც სულ ეს "ბოჟე მოოი, ზიზი" იყო.

ხოლო, როდესაც მეგიმ ზიზის ძროხის აიდობა გაიგო, ფსიქოლოგიური განსჯები წამოიწყო და ძირითადად იმეორებდა: "ზიზი, ეს ხომ დეფიციტია... ბოჟე მოი, ეს ხომ დეფიციტია, რაც..."

აჰ, თავისი დეფიციტების ამბავი ზიზიმ უკეთ არ იცოდა? მშვიდად იღიმებოდა და მალ-მალე ხან რას სთავაზობდა სტუმარს, ხან რას... ეს ჩემი მანონიო... ეს ჩემი პურიო... ეს ჩემი ნადუღიო... ვაჰ, ბედნიერსაც რომ ჰგავდა?! მეგი მაინც ეჭვით აკვირდებოდა...

მერე ზიზიმ ალუბალი დაუკრიფა და საღამოს ავტობუსით თბილისისკენაც გამოისტუმრა... და იმან, მეგიმ ავტობუსში ასვლისას რომ გადაჰკოცნა, უჩურჩულა: "რა ვიცი, ზიზი... რა ვიცი..." და თან ჩამოტანილ ქალაქურ-ბუდუარულ სურნელთან ერთად ცოტა თივა-რძის, მიწა-ბალახ-ბულახის სურნელიც წაიყოლია და წავიდა...

დაბრუნდა ზიზი თავის ეზოყურეში. ბებერი კაკლის ძირას, ძელსკამზე ჩამოჯდა და დაიწყო ფიქრი იმ სიდიდის რაობაზე, რომლითაც მეგის დასცილებოდა. ეს არც დრო იყო... არც მანძილი... არც... მოკლედ, რაღაც შეუცნობელი, აქამდე უცნობი სიდიდე იყო...

ახლა სხვა რამეებზე დაიწყო ფიქრი ზიზიმ. გზის და დენის ქვითრებზე. ნასესხებ-გასტუმრებულ ლარებზე და ორლარიანებზე... გადამწვარ ტელევიზორზე... ჭურჭლის კარადად ქცეულ მაცივარზე...

იჰ, ერთი!..

შორს მდინარეს გადახრილი მზე დაადგა და აალაპლაპა ოქროსფრად. შინდზე ჩიტი შემოჯდა. ქანაობდა მსუბუქად და გალობდა... ქანაობდა და გალობდა...

ორღობეში ბავშვებმა ჩაირბინეს.

- სალომეეე... საააა-ლოოო... - იძახის ერთი თავდაუზოგავად.

ზიზი ჭიშკართან მივიდა და გასძახა:

- რომელი იძახდა ეხლა სალომეო?

- ჟუჟიაი, - უპასუხა რამდენიმემ.

- აბა, რომელი...

- მე, - წინ წამოდგა ჟუჟიაც. ალუბლის ჭამისგან ტუჩები დასწითლებოდა. ხელშიც ალუბლის კუნწულა ეჭირა. კაბაზე ბირკები დაჰკვროდა.

- აბა, მოდი ჩემთან, მოდი, საქმე მაქვს...

ჟუჟია ეზოში შემოვიდა.

- მოდი, მოდი, ჟუჟი... აქ ჩამომიჯექი...

გოგონა ძელსკამზე ჩამოჯდა. წითელქოშებიანი, დაკაწრული ფეხები ჰაერში გამოეკიდა.

- ბებოს სახელი გქვია? - ჰკითხა ზიზიმ.

- ჰო. ჟუჟუნა ჰქვია ჩემ ბაბოსაცა და...

გაგრძელება

ზიზი

- ჟუჟი, იცი, რომ ძალიან-ძალიან კარგი ხმა გაქვს?

გოგონამ თავი ჩაღუნა და მხრები აიჩეჩა. ფეხები გააქანავა ჰაერში.

- არ გინდა, მომღერალი გახდე?..

- რა ვი... - თქვა ჟუჟიამ. ალუბლის კუნწულას აწვალებდა თითებში.

- აბა, მოდი და რასაც მე დაგიმღერებ, ის გაიმეორე. კარგი? აბა... მი-ი-ი-ი-ი-ოოოოო-ოოო - დაარაკრაკა ზიზიმ.

ჟუჟია ფეხებს იქნევდა და თავჩაღუნული იჯდა. ყურები გაუწითლდა.

- მი-ი-ი-ი-ი-ო-ო-ო-ო. - ისევ დაუმღერა ზიზიმ.

- მიიიიიიოოოოოო... - თავაუღებლად ჩაიდუდუნა ჟუჟიამ.

- კარგია. აბა, ეხლა ასე... ლა-ლაააა.

- ლა-ლაააა...

- ლა-ლა-ლაააა.

- ლა-ლა-ლაააა.

- ა-აააა...

- ა-აააა...

- ჟუჟი, საოცარი ხმა გაქვს, - აღტაცებას ვერ მალავდა ზიზი, - ესეთი არაფერი მსმენია. სიმღერებისთვის ხარ გაჩენილი... გინდა... გინდა მუსიკაში გამეცადინო?

წათამამებულმა ჟუჟიამ დიდრონი თვალები შეანათა და თავი დაუქნია.

ზიზი კი... ზიზი თავზე ხელს უსვამდა, შორს, მოლაპლაპე მდინარისკენ იცქირებოდა და ხმადაბლა ამბობდა:

- მე შენთან მეორე მარია კალასი უნდა დავაყენო, ჟუჟი... იცი მარია კალასი? არ იცი?.. გაიგებ. ყველაფერს გაიგებ. ყველაფერს მოგიყვები. შენ მხოლოდ მე დამიჯერე... ჟუჟი... შენ მხოლოდ მომყევი, ჩემო გოგო... მერე... ნორმას იმღერებ... გაგიგია ნორმა?.. არ გაგიგია... ყველაფერს გაიგებ... ყველაფერს გაიგებ... მერე, ჟუჟი... შენ იმღერებ მილანში.. ლასკალას სცენაზე... მე კი, კულისებში ვიდგები და ვიტირებ... ხო? ხო, ჟუჟი?..

ჩამავალი მზე ლამაზ ოცნებასავით აბრჭყვიალებდა მდინარეს...

2001 წ.

გია გელაშვილისა და ირაკლი ბილაშვილის კოლაჟი

ბრჭყალებში

ლაშა ბუღაძე

ღვაწლმოსილი ოსტატი - ხუთივე კონტინენტის თერთმეტი სამედიცინო ინსტიტუტის საპატიო დოქტორი, სახელმწიფო ორდენებისა და ცხრა დიპლომის მფლობელი, პროფესიათა კოლექციონერი (კოლექციონერი, რასაკვირველია, ბრჭყალებში - ""): ფიზიკოსი, ქიმიკოსი, ზოოლოგი, ბიოლოგი, ნევროპათოლოგი, ეთნოლოგი, გეოგრაფი და ისტორიკოსი; უბადლო ლექსთა ავტორი, - სრულიად უთარგმნელი! - ხელოვნებაში "ხელოვნების ასკლეპიოსად" წოდებული, ხოლო მეცნიერებაში "მეცნიერების მიქელანჯელოდ"; "შავი ზღვის არისტოტელე"; ფილოლოგთა საერთაშორისო საზოგადოების "მთავარი მოწვეული მეგობარი", ენის სიწმინდის დამცველი, კავკასიელ მეცნიერთა "უკაბინეტო გენერალური მდივანი"; "ჩოხოსანთა პატრიოტული კავშირის" უცვლელი თავმჯდომარე; ეროვნულ ფასეულობათა "შემნახველი სალარო"; ენციკლოპედიურ ლექსიკონთა "მთავარი პერსონაჟი"; სამამულო ომის ვეტერანი, - ადამიანი, რომლითაც ასე ამაყობდა მთელი კავკასია, მეფის სასახლეში გარდაიცვალა -სამოცდათოთხმეტი წლის, ხუთი თვის და რვა დღისა.

ომარ-უფლისწულის პირადი ექიმი, პრემიერ-მინისტრისა და მისი მეუღლის ბრძენთა ბრძენი "გულის მესაიდუმლე", ეკლესიის მამამთავრის რჩეული "სულიერი შვილი" და ერთგული მეგობარი; შეუდარებელი მოჭადრაკე - დაუვიწყარ პარტიათა გამთამაშებელი; დიდთან დიდი, პატარასთან პატარა; პოლიტიკოსთა რისხვა და პენსიონერთა იმედი, დედაქალაქის საპატიო მოქალაქე, ხალხურ მედიცინათა მკვლევარი და მემკვიდრე ყველაფრისა, რისი მემკვიდრეობაც შესაძლებელია სამეცნიერო დარგში; რაინდული სულის, ხნიერ მანდილოსანთა გულთა მპყრობელი, ახალგაზრდობაშივე დაქვრივებული, ორი შვილის მამა - თავად შთამომავალი მკურნალთა სახელგანთქმული ოჯახისა, - ადამიანი, რომლითაც ასე ამაყობდა მთელი კავკასია, მეფის სასახლეში გარდაიცვალა - სამოცდათოთხმეტი წლის, ხუთი თვის და რვა დღისა.

გარეგნობით მშვენიერი - ლამაზად დაბერებული; უცნაურად თეთრი, ღრუბელივით ქათქათა, მხრებზე დაფენილი ჭაღარა თმით; თითქოს კალმით ამოხატული ნაოჭებით სახედაღარული, მარად მოელვარე და ჯანსაღ კბილთა პატრონი; ახირებით - ვეგეტარიანელი, თუმცა მოქეიფე და ინტელიგენტურად მომლხენი, გამოზომილად მსმელი, წითელი ღვინის მოყვარული; მოწოდებით - ათეისტი, გულით - მორწმუნე, ეკლესიური, სევდიან აღსარებათა ავტორი, შიგადაშიგ მომარხულე; თავმდაბალი, ზომიერი, თავშეკავებული, მშობლიური ქალაქის ესთეტიკურ ფასეულობათა ეჭვიანი დამცველი, ბოტანიკური ბაღის ხშირი სტუმარი, ეროვნული თეატრის ერთგული მაყურებელი და განმკარგველი საფესტივალო თანხათა; ოთხოთახიან ბინაში მცხოვრები; სიკვდილამდე ერთგული გარდაცვლილი ცოლისა, ღამეულ პოლუციათა მტერი, - აქედან გამომდინარე, თითქმის წმინდანი; ქალაქური ჰუმორის მოყვარული, - სიდედრის ფენომენის შესახებ შექმნილ საოჯახო ანეკდოტთა მომყოლ-აღმნუსხველი; შესანიშნავი კულინარი, ხინკლის მოხვევის დიდოსტატი, უცხოელ მეცნიერთა გაოგნების მუდმივი საგანი; ომარ-უფლისწულის პირადი ექიმი და არითმეტიკის პირველი მასწავლებელი, პროფესიონალი პროფესიონალთა შორის, ნობელის პრემიის კანდიდატი 197... წლიდან, - ერთი სიტყვით, ადამიანი, რომლითაც ასე ამაყობდა მთელი კავკასია, მეფის სასახლეში გარდაიცვალა - სამოცდათოთხმეტი წლის, ხუთი თვის და რვა დღისა.

როდესაც ქალაქის თავმა სატახტო ქალაქის ძველთაძველ უბანში მშვენიერი შენობები მიწასთან გაასწორა და მათ ადგილას მახინჯი სუპერმარკეტი წამოჭიმა, ოსტატი არც დაფიქრებულა, ისე ეახლა მეფეს და ქალაქის თავის საჯარო კასტრირება მოსთხოვა: "დავაჭრათ ყვერები ქალაქის თავს!" თუმცა, მიზანს მაინც ვერ მიაღწია - ქალაქის თავის კვერცხებს ხელი არავინ ახლო, ასი წლის სახლები კი მუშებმა მიწასთან გაასწორეს. მაგრამ ოსტატს ფარ-ხმალი არ დაუყრია - ახლად აგებული სუპერმარკეტის გამჭვირვალე კედლები მან კლასიკოს პოეტთა უკვდავი სტრიქონებით მორთო - ვიტრინებს ლექსები წააწერა და ამით, როგორც მაშინ ამბობდნენ, ტრადიცია შეუხამა მოდერნს - მაღაზიის გიგანტურ მკვდარ სხეულს წარსულით გაჟღენთილი სულიერების ეროვნული ფერუმარილი წააცხო: "თუკი ვერ დავანგრევ, ჩემი ერის წიაღში დაბადებული რითმებით მაინც დავიპყრობ მის ვიტრინებს!" - თქვა მან. ნაციონალურ კერძთა მოყვარული - მთელი თავისი არსებით ებრძოდა დასავლური გასტრონომიის დიქტატს, - მაკდონალ-

ლევან კიკალიშვილის კოლაჟი

დსთა დაუძინებელი მტერი, შვედურ მაგიდათა დამაქცეველი - ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით - ერთხელ, საზოგადო მოღვაწეებისათვის დამახასიათებელი თავგანწირული შეუპოვრობით შევარდა მაკდონალდსის გულისამრევ რესტორანში და მომსახურე პერსონალი - ოცი წლის გოგო-ბიჭები - ქუჩაში გამოჰყარა, ისე ვით მაცხოვარმა გამოჰყარა ვაჭრები მამამისის სახლიდან. ავტორიტეტული, ღრმად პატივცემული, საზოგადოების სინდის-ნამუსი, წესიერების ციხესიმაგრე, მექრთამეთა რისხვა; ხავერდოვანი ბარიტონით მოსაუბრე, ლხინში - მოღიღინე, ჭირში - დარდიანი; სამსახურში - ზეციურ არსებასავით ენამახვილი, ენამეტყველთან ენამეტყველი; ომარ-უფლისწულის პირადი ექიმი და არითმეტიკის პირველი მასწავლებელი, - ადამიანი, რომლითაც ასე ამაყობდა მთელი კავკასია, მეფის სასახლეში გარდაიცვალა - სამოცდათოთხმეტი წლის, ხუთი თვის და რვა დღისა.

კრავივით უცოდველი, ცხვარივით მშვიდი, გველივით ბრძენი, ლომივით ძლიერი, არწივივით ამაყი, ოქროს საწმისივით მნიშვნელოვანი - აგერ უკვე ექვსი ათეული წელიწადი სამეფო გვარის განავალს ყნოსავდა და მისი ხელობაც სწორედ ეს იყო.

მეფის განავალს ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნეში ყნოსავდნენ ოსტატის დიდი წინაპრები და მონარქის ექსკრემენტის ფერის, სუნისა და მოცულობის მიხედვით იკვლევდნენ ღვთისაგან ხელდასხმულის სხეულში ჩაბუდებული, ამა თუ იმ სენის გაჩენის მიზეზს. ასევე ოდითგანვე შესაძლებელი იყო მეფის ექსკრემენტზე მარჩიელობა და ისტორიული მოვლენების წინასწარმეტყველება. ოსტატის პაპამ, მაგალითად (მეცხრამეტე საუკუნის უდიდესმა ექსკრემენტოლოგმა), ჯერ კიდევ 1903 წელს ამოიცნო მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულის ვინაობა - მონარქის ღამის ქოთანში უშფოთველად მთვლემარე განავალს ლათინური წარწერა ამშვენებდა: Iosefus Stalinus.

ოსტატის წინაპრების - "შავი ზღვის ბრწყინვალე ექსკრემენტოლოგების" ცოდნა თაობიდან თაობაში გადადიოდა. ოსტატს პირველად სწორედ მამამისმა დააყნოსინა განავალი და "ექსკრემენტოლოგთა ლეგენდარული ოთხი მუხლიც" გააცნო: "არ შეჭამო, მხოლოდ დაყნოსე"; "თითი არ ტუცო"; "ქუსლი არ დაჰკრა"; "არ შეინახო".

ექსკრემენტოლოგები ოდითგანვე მეფის კარზე მსახურობდნენ და მათ მკაცრად ეკრძალებოდათ უბრალო მოკვდავთა განავალის დაყნოსვა-შესწავლა, მაგრამ ოსტატმა არაფრად ჩაადო ეს "აკრძალვა" და მეფეს თამამად განუცხადა: ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, გული - გარდაცვლილ მეუღლეს, ხოლო ნესტოები - ჩემს ერსო. მეფეს იმდენად მოეწონა ოსტატის პასუხი, რომ მას ორი წლის ომარ-უფლისწულის განავლის დაყნოსვის ნება დართო. ოსტატმაც ბავშვის ექსკრემენტზე ხანგრძლივი სიცოცხლის უტყუარი ნიშნები და იღბლიანობის დამადასტურებელი ტეხილი ხაზები აღმოაჩინა, მერე კი დედოფლის უკანასკნელი ფაღარათი მოიხილა და პარლამენტს მიაშურა, რათა პარლამენტის სპიკერის ხელიდან საპატიო კავალერის ორდენი მიეღო.

ოსტატმა 1943 წლის თეირანის "ოთხთა შეხვედრაზე" გაითქვა სახელი, როდესაც მან საბჭოეთის ბელადის მყრალ ქონქოროზზე ოპტიმისტური, ჭეშმარიტად წინასწარმეტყველური სიტყვები აღმოაჩინა: Hittler caput!

ნაცისტებმა კი თეირანის "ოთხთა შეხვედრას" ასეთი შინაარსის პოლიტიკური კარიკატურით უპასუხეს:

თეოდორ რუზველტი, უინსტონ ჩერჩილი, იოსებ სტალინი და "მეფეთ მეფეი ჩვენი" ოქროს უნიტაზებზე სხედან, ხოლო ერთი ბეწო - მეფის მარცხენა ფეხის ცერზე მჯდომ ოსტატს, თავის მაგვარად, ვეებერთელა ოყნა ადგას მხრებზე.

1961 წლის 11 აპრილს ოსტატმა ადამიანის კოსმოსში გაფრენა იწინასწარმეტყველა - პრემიერ-მინისტრის ექსკრემენტი ჯადოსნურმა სიტყვებმა უკვდავყვეს: ხვალ ადამიანი კოსმოსში გაფრინდებაო.

ოსტატის დღის განრიგი ასეთი იყო:

ოსტატი დილის შვიდ საათზე იღვიძებდა, ხოლო მისი უდიდებულესობა - შუადღისას. ოსტატი სამსახურში მის მძღოლსა და მოწაფეს - ცალთვალა რობინზონს მიჰყავდა. მეფე ცამეტ საათსა და ხუთ წუთზე ტახტის მემკვიდრის, დედოფლის, თოთხმეტი მინისტრისა და ოსტატის თანდასწრებით გადიოდა კუჭში, მერე კი ომარ-უფლისწულის ჯერი დგებოდა, რომელიც პირველ ხანებში ვერაფრით გადააჩვიეს შარვალში ჩასვრას: "ნუ მბოჭავთ! ნუ მაკომპლექსებთ!" - გაჰკიოდა ტახტის მემკვიდრე, როდესაც მას უნიტაზზე ჯდომას აიძულებდნენ. თოთხმეტი საათიდან თვრამეტ საათამდე ოსტატი სამეფო ექსკრემენტის შესწავლით იყო დაკავებული, მერე კი მის უდიდებულესობას სპეციალურ დასკვნას უგზავნიდა, რომელიც ასე იწყებოდა: "მოვიხილე რა თქვენი განავალი, დავასკვენი, რომ..." და ა.შ.

ახლა რაც შეეხება ოსტატის საპირფარეშოს.

წიგნებით სავსე ფეხსალაგში ყველაზე პატარა ადგილს უნიტაზი და ონკანი იკავებდა. აქ სარკეც კი არ იყო, რომ არაფერი ვთქვათ ტუალეტის ქაღალდზე, რადგან მას ღირსეულად ცვლიდა ახალბედა ავტორთა წიგნებიდან ამოხეული არაერთი უინტერესო "თავი". "ბიბლიოთეკაში მივდივარ", - იტყოდა ხოლმე ოსტატი და ფეხსალაგში შედიოდა, კედელი, ჭერიც კი - წიგნებით იყო სავსე. ჭერზე მიწებებულ წიგნებს (კერძოდ: პლუტარქეს ორტომეულს, ფლობერის "მადამ ბოვარის", ნემიროვიჩ-დანჩენკოს "თეატრის დაბადებას", უცხო სიტყვათა ლექსიკონსა და თეოფილ გოტიეს ლექსების კრებულს) სპეციალური წებო ამაგრებდა, რომელიც მათ მფლობელს ჯერ კიდევ თეირანში ყოფნის დროს ეყიდა.

ოსტატს უამრავი მშვენიერი ლექსი შეუქმნია უნიტაზზე ნებივრობის დროს, - ჭინთვის შედეგად დაბადებული რითმა ხომ საუკუნეებს უძლებს! მაგრამ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ოსტატის გულსა და "პოეტურ ფეხსალაგს" სევდა შეეპარა - უდარდელი რითმა "თეთრმა ლექსმა" შეცვალა; მოკისკისე მაჟორს დაბღვერილი მინორი მოჰყვა! ოსტატი მელანქოლიამ შეიპყრო, მერე კი ბუასილმა წაუხდინა ანუსი. "ჩემი ერი გადაშენების პირასაა მისული! - ფიქრობდა ოსტატი, - პატრიოტები კოკა-კოლასთან ბრძოლაში დავმარცხდით (კოკა-კოლა, რასაკვირველია, ბრჭყალებში - "")! მალე მეც ფეხზე დამიკიდებს ჩემი სახელმწიფო".

პატრიოტული აპათიის სურნელი ასდის მის უკანასკნელ სამ ლექსსაც: "არ მივეყიდოთ, ხალხო, არ მივეყიდოთ!"; "ჩაიხადეთ, მეფეო!" და "ღმერთო, რად გამყიდე 30 ვერცხლად?"

სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, ოსტატმა უფროსი ვაჟი მათრახით სცემა. და აი, რატომ: ეს გათავხედებული მამრი უარს ამბობდა მრავალსაუკუნოვანი ოჯახური ტრადიციის გაგრძელებაზე და ჯიუტად აცხადებდა, რომ საკუთარ განავალსაც კი არ დაყნოსავდა არასდროს, არათუ სხვისას. სხვათა შორის, პირველის აუცილებლობა არც იყო, რადგან ექსკრემენტოლოგები, როგორც წესი, საკუთარ განავალში არ იქექებოდნენ. "წარმოდგენა არა მაქვს - რატომ, მაგრამ ჩვენ, ექსკრემენტოლოგები, საკუთარი განავალის სუნსაც კი ვერა ვგრძნობთ", - წერდა ოსტატი თავის "სამეფო ძღვენში", რომელიც შავი ზღვისპირეთის მეცნიერებმა ერთხმად აღიარეს საუკუნის ერთ-ერთ საუკეთესო სამეცნიერო-პოპულარულ წიგნად. ოსტატის უფროსმა შვილმა კი მამა-პაპათა ნაღვაწი მასხრად აიგდო - საუკუნეების მანძილზე ხელიდან ხელში გადასული საიდუმლოება, ოდინდელი მეთოდი მკურნალობა-წინასწარმეტყველებისა, "პრეისტორიულ სიბნელედ" გამოაცხადა და მეზობელთან ჩავიდა დასაძინებლად, რადგან შეურაცხყოფილმა, ბუასილით წახდენილმა ოსტატმა მას მათრახი გადაჰკრა სახეზე. ღვთის მადლით, ოსტატს მეორე შვილიც ჰყავდა, რომელიც ცხოველ ინტერესს იჩენდა განავალთა მიმართ.

ღვაწლმოსილი ოსტატი - დიდებულ წინაპართა ღირსეული მემკვიდრე, ჭეშმარიტი ქალაქელი, ნაცნობ-მეგობართა სული და გული, - აღშფოთებული ახალგაზრდების გაუნათლებლობით; ესტრადის მახინჯ მომღერალთა დაუოკებელი მაგინებელ-მლანძღველი; წარსულში მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აწ აკადემიკოსი; ხელგაშლილი მასპინძლობით განთქმული; შეუდარებელი ქვრივი; ომარ-უფლისწულის პირადი ექიმი და არითმეტიკის პირველი მასწავლებელი; უფროს ვაჟთან ნაჩხუბარი - ადამიანი, რომლითაც ასე ამაყობდა მთელი კავკასია, მეფის სასახლეში გარდაიცვალა - სამოცდათოთხმეტი წლის, ხუთი თვის და რვა დღისა. ოსტატს გული გაუსკდა, როდესაც მას იაპონელ მეცნიერთა ახალ "შედევრზე" მოახსენეს: თურმე, ამომავალი მზის ქვეყანაში ჯერჯერობით უსახელო, მაგრამ სრულიად უნიკალური წამალი დაბადებულა, რომლის მიღების შემდეგაც ადამიანს აღარ დასჭირდება კუჭში გასვლა, განავალი ნაწლავებშივე აორთქლდება და ამით ბოლო მოეღება საჭმლის გადამუშავების მრავალსაუკუნოვან ტრადიციას.

სამოცდათოთხმეტი წლის ოსტატის გულმა ვეღარ გაუძლო ახალი ათასწლეულის შემზარავ ირონიას და ორად გაიგლიჯა. სიკვდილის წინ, ოსტატს მისი მშობლიური ქალაქი წარმოუდგა თვალწინ, რომელსაც მომავალში ბეტონის ჭრელ-ჭრელი შენობები გადაასხლავდნენ; მომავლის საცოდავი, უჯიშო ადამიანები; და შავი ზღვა, რომელსაც, ბოლოს და ბოლოს, შთანთქავს რომელიმე დიდი ოკეანე. "წინ მხოლოდ სიკვდილია", - გაიფიქრა სასოწარკვეთილმა ოსტატმა და თვალის ერთი გადავლებით გადახედა თავის ცხოვრებას - წარსულს. გადახედა და დამშვიდდა. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ბედნიერი და ამაყი წავიდა იმ ქვეყნად, - განავალით სავსე წარსულით ამაყი.

2002. მაისი.



ლევან კიკალიშვილის კოლაჟი

თუ სიკვდილია, სიკვდილი იყოს

ნაიალ გრიფიტსი - თანამედროვე ბრიტანელი მწერალი. დაიბადა ლივერპულში, ამჟამად ცხოვრობს უელსში. მისი პირველი რომანი "Grits" "ჯონათან ქეიფმა" დაბეჭდა ამ რამდენიმე წლის წინ. მოთხრობა, რომელსაც დღეს გთავაზობთ, 2001 წელს გამოქვეყნდა.

ნაიალ გრიფიტსი

ასე, ექვსი-შვიდი წლის ლაწირაკები ვიყავით და ომობანას თამაშს არაფერი გვერჩია, ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, ვინ უფრო მაგრა მოკვდებოდა. ბევრი არ გვიფიქრია, მამუჩის საკუთრება, წვიმისაგან გამაგრებულ-გაუბედურებული ცემენტის ძველი ტომრები დავითრიეთ და იქვე, სახლს უკან, ჩვენს ეზოში ბარიკადები ავაგეთ. კარგი რამეა ბარიკადა, ტირიც ეგ არის და სამალავიც. ოთხნი ვიყავით და სამი თოფი გვქონდა, მაგრამ მე, როგორც ყველაზე ჭკვიანმა, ბიჭები დავამშვიდე, ჩვენ ოთხში ერთი ხო უნდა მოკვდეს და ვისაც გასაღება უწერია, თოფს და ტყვიამფრქვევს რა თავში იხლის, თვითონ ხო არ ისვრის, იმას ესვრიან, მორჩა და გათავდა-მეთქი.

მე კი, რო იცოდეთ, რა თოფი მქონდა! პაპუჩის ნაჩუქარი, სუხისა და ფოლადის, ნამდვილი სასხლეტით. აუ, რას ჩხაკუნობდა, შენ მხოლოდ ხელი უნდა გამოგეკრა. ლი ენფილდის მოდელისააო, პაპუჩიმ. აბა, იმას რა ესწავლებოდა, ომგამოვლილი იყო. ახლა ტყვიებს აღარ იკითხავთ? სათამაშო კი იყო, მაგრამ როგორი! კონუსის ფორმის, ბრინჯაოსი, ნაღდში ვერ გამოარჩევდი. ეჰ, ყველა დავკარგე და მათ მაგივრად სიგარეტებს ვიყენებდი, უნამუსოდ ვპარავდი დედუჩ-მამუჩის. მართალია, სიგარეტი არც ისეთ ხმას გამოსცემდა და ქვაფენილზეც რაღაც მაზალოდ ენარცხებოდა, მაგრამ თითქმის იმ ტყვიების ზომისა და ფორმის იყო და მეც მეტი რაღა მინდოდა.

მაშ ასე, ომობანას ვთამაშობდით.

- აბა, დავიწყეთ. ვინ პირველი?

მეო, დაიყვირა მიკიმ, წავიდა და ნახშირის ბუნკერს უკან ჩაცუცქდა. სტივმა და გევინმა თავიანთი ფარჩაკული თოფები დაუმიზნეს, მეც დავტენე იარაღი.

- მზადა ხარ? წამოდიიი...

სიფათმოქცეული და მტვერში ამოგანგლული მიკი ჩვენკენ გამოქანდა, თან დათვივით ღრიალებდა. სტივმა და გევინმა ცეცხლი გაუხსნეს, მე დინჯად დავუმიზნე გულში. სირბილიდან ძუნძულზე გადავიდა, ბატარეადამჯდარ დასაქოქ სათამაშოსავით შეასტოპა და რაღაც აფერისტულად დაეშვა ქვაფენილზე.

- ფუი, რა საზიზღრობაა! ლამაზად უნდა მომკვდარიყავი, შენ კი მხართეძოზე წამოწექი. ეგრე სად არი!

- აბა, ეგ რაღა დაღუპვაა, ბიჭო!

- მაშ ქვებს დავნარცხებოდი, არა? რა ჭკვიანი ხარ! ბალახი რო ყოფილიყო, კიდე ხო... - აღშფოთდა მიკი.

- დედიკოს ბიჭს ვერ უყურებ, ბალახი მოინდომა. აბა, როგორ იტკენდი რამეს? მკვდარს სტკივა რამე? ნუ გამაგიჟე!

მინდოდა შემდეგი ვყოფილიყავი, მაგრამ სტივმა დამასწრო და ბუნკერის უკან მიიმალა. წითელი ქოჩორი ანათებდა იქიდან სტაფილოს ფოჩივით... თუმცა რას ვამბობ? სტაფილოს ფოჩი ხო მწვანეა, შემეშალა. ახალი სიგარეტით დავტენე თოფი, პირველი ორად გადამიტყდა, რაღას ივარგებდა, კაპუტ!

- დაუმიზნეთ... წამოდიიი...

სტივიც ღრიალით გამოქანდა. გევინმა და მიკიმ დასცხეს და რა დასცხეს! მე სულაც არ მინდოდა მაგის სიკვდილი, მაგრამ როგორ უნდა დამენდო გერმანელი ოკუპანტი მე, ჩემი მიწა-წყლის დამცველ ბრიტანელს. ჰოდა, ავდექი და თავში დავუმიზნე (ეგეთ დროს ტვინს გაასხამ, ვერც ტკივილს იგრძნობ და ვერც ვერაფერს, აზრზეც ვერ მოხვალ, ისე წაიღებ წერილს) და ვესროლე. მაგრა გამომივიდა, მართლა თოფნაკრავივით გადავარდა უკან, ზურგზე დაებეთქა, მერე ერთი დაიწკმუტუნა, ფილტვებიდან ჰაერი ამოუშვა და კინაღამ თავით ჩაიტანა ბეტონის ფილა. ჩაეთვალა, ნაღდად ჩაეთვალა. იმითაც გაასწორა, ღრეჭით რო წამოდგა. თან უდარდელად ისრესდა კეფას, აქაოდა, დიდი არაფერიო.

- ე, ვერ უყურებ, - გაუკვირდა მიკის.

მე და გევინი, ცოტა არ იყოს, დაგვშოკა სტივის ეგრე დაბრედამ და ვიდექით ენაჩაყლაპულები. მერე ჩემი თოფი სტივს გადავუღოცე და ნახშირის ბუნკერს მივაშურე. ფუი, რას ყარდა იქაურობა! ჭუჭყს ხო ნუ იტყვით. ნეტა, დროზე ქნან-მეთქი, ვინატრე, როცა ჰაერში საზიზღარი, გრძელფეხება ობობები მოვწვი. საშინლად ცუდი იყო გერმანელობა. თუ იქამდე ჩაგახრჩო სიმყრალემ, ვიდრე გესვრიან, რა მუღამია.

- აბა, წამოდიიი...

ბღავილით გავქანდი ბარიკადასკენ. სამი ლულა მოჩანდა ცემენტის ტომრებიდან, სამი პატარა შავი წერტილი, საიდანაც ჩემი აღსასრული უნდა გადმოღვრილიყო.

- ბაახ!

- ბაახ... ბარაახ!

- ბახ-ბუხ!

ეს ბახ-ბუხი ჩემი თოფისა იყო, იმან მომიღო ბოლო, ხამხამებს შორის, შიგ შუბლში მინია ტყვიამ. მეც თავი უკან გადავაგდე, ქუსლებზე შემოვბზრიალდი, ხელები ჰაერში ავასავსავე, სიფათი მივბრიც-მოვბრიცე. წარმოვიდგინე, როგორ გადამეხსნა მკერდი, როგორ გამოჩნდა იქიდან ჯერ კიდევ მფეთქავი გული. მაგარი გრძნობა იყო, ვაჟკაცური. დიდებულად დავიწყე ვარდნა, აი, ნაღდი ტირანოზავრივით. ბოლოს ისე დავეზღერტე, მგონი, მიწისძვრა გამოვიწვიე, იდაყვი ბეტონის ფილას ვხიე და მართლა ვიტკინე. როცა გავცოცხლდი, ბარიკადას მივაშურე და სტივს ჩემი თოფი გამოვართვი.

- არა უშავდა, - შემაქო სტივმა, - მართლა მკვდარს გავდი. მე მხარში მოგარტყი, ამიტომ დაბზრიალდი ეგრე ლამაზად. კარგი იყო, ძმაო, კარგი.

- კარგი კი არა, - აღშფოთდა გევინი, - რაღაც მელოდრამატული ეჭირა მაგას.

ალბათ დედიკოსაგან გაიგო ეს სიტყვა, ის ხო სუ ტელევიზორში უყურებს ეგეთ რამეებს.

- იდაყვი ვიტკინე, - შევაცოდე ბიჭებს თავი და ქვაფენილზე სასროლ სიგარეტს დავუწყე ძებნა.

- აბა, მიყურეთ, - დაიყვირა მიკიმ ამასობაში, - ერთი შუაზე გადატეხილი სიგარეტის ნახევარს მოუკიდა, სწრაფად მოქაჩა და კვამლი რგოლებად აუშვა ცაში. მერე ლულაში ჩააბოლა და იქიდანაც ლამაზი ჭავლი ამოიკლაკნა.

- ჩემი ჯერია, - დასჭექა გევინმა, - და ეს იქნება საუკეთესო სიკვდილი საუკეთესოთა შორის, ასე ჯერ არავინ დაღუპულა. თუ სიკვდილია, სიკვდილი იყოს!

თავდაჯერებით გაემართა ბუნკერისაკენ და განა ჩაცუცქდა, გიჟი არ იყო... ზედ სახურავს არ შეაბობღდა!

- ეი, რას აკეთებ მანდა, დაგარტყეს? მასე არ უნდა.

- აბა, მიყურეთ. ასე ჯერ არავინ დაღუპულა.

იქვე, ბუნკერს ზემოთ, ღობეში ჩაჭედებულ ჟანგიან ლურსმანზე ნეილონის თოკი დაეკიდათ, ერთი რაღაც უბედურება, გაცრეცილი, ლურჯი სარეცხის თოკი. ამ ცოტა ხნის წინ საქმისთვის დამჭირდა და ჩამოვგლიჯე, მაგრადაც მომხვდა. გევინმა კი, იმ დარეხვილმა, ეს თოკი ყელზე შემოიხვია, მერე ჩაცუცქდა და ერთი ბოლო ღობეს მიაბა.

- აბა, მზადა ხართ?

- რას შვრები, კაცო?

- მზადა ხართ-მეთქი?

რა ჩარა იყო, მხრებიღა ავიჩეჩეთ და მტერი მიზანში ამოვიღეთ.

- ჩქარა, ისროლეთ!

ცეცხლი გავხსენით და ისიც ჩამოხტა ბუნკერის სახურავიდან. ფეხებს ჰაერში ასხმარტალებდა, ალბათ, უნდოდა ქვაფენილისთვის მიეწვდინა. მისი წითელი წინდის წვერებს ვხედავდი გახვრეტილი ლანჩებიდან. ეგეთი მოძრავი სამიზნე ნაღდად ტეხავდა, მეც მთელი ჩემი საბრძოლო წარსული გავიხსენე და პირდაპირ მუხლებში დავუმიზნე.

- ერთი შეხედეთ, ეს მართლა კვდება.

- ბუზივით ტოკავს. გავიდა გაღმა.

ბოლო რომ მომელო მისი ტანჯვისთვის, ახლა გოგრაში დავუმიზნე. მთელი ცხვირ-პირი ჭარხალივით გასწითლებოდა, გადმოვარდნაზე ჰქონდა თვალები, გაშავებული ენა ნიკაპზე დაეფინა, მოკლედ შეკრეჭილი ქერა თმიდანაც წითლად უკიაფებდა თავის კანი.

- ბრახ! - ვისროლეთ.

და უცებ ბახ! სახლის კარი კედელს მიენარცხა, ჩემი დედუჩი ეზოში გამოვარდა, წივილ-კივილით და ფლოსტების თხლაშათხლუშით მოჯლიგინობდა.

- თავს იხრჩობს ბავშვი, რას გაშტერებულხართ? ვაიმე, კვდება!

ხელი დაავლო გევინს და წამში ბუნკერის სახურავზე აიტაცა, მერე ის ოხერი თოკიც შემოხსნა. გევინი თევზივით აბჩენდა პირს და საცოდავად ხროტინებდა. ჩვენ უსიტყვოდ გადავხედეთ ერთმანეთს, იარაღს მაყუჩები წამოვაცვით და ჩემს დედუჩას დუნდულები დავუცხრილეთ, მაგრამ ის ჩვენსავით არ მომკვდარა, თავის ამბავში იყო, საწყალი.

- რას შვრები, შე ღვთის პირიდან გადავარდნილო? თავს იკლავ, არა? რა უბედურებას თამაშობთ, რა გჭირთ?

როგორც იქნა აუშვა გევინი და ისიც ტირილითა და სლუკუნ-სლუკუნით დაითესა. მერე დედუჩიმ მიკი და სტივიც გარეთ გაყარა, მე სახლში შემათრია საყელოთი, მიწივლა, მიკივლა და მაგრად მომცხო. ვიდრე მირტყამდა, არ მიტირია, მერე კი, თოფი რომ ჩამომართვა და სადღაც ჯანდაბაში გადამალა, მართლა ავბღავლდი. საცაა მამუჩიც დაბრუნდებოდა სამუშაოდან და... მეყოლე კარგად...

გევინი რამდენიმე დღე სკოლაში არ გამოჩენილა. როცა დაბრუნდა, ყელზე შარფი ჰქონდა შემოხვეული. დიდ დასვენებაზე შემოიხსნა და გვაჩვენა, რასაც უფარავდა. რას და საშინელ, წითელ იარას. კანი სულ მთლად აქლეშოდა და პატარა თეთრ ძაფებად ჩამოძენძოდა. ძაღლის საყელური გამახსენდა, რო შევხედე. იმასაც კი იფიქრებდი, ყელს ირგვლივ პატარა მოტოციკლმა დაუქროლა და ეს დაკბილული ბორბლების საქმეა, ანდა სულაც რობოტი ახრჩობდა ცხელი ხელებითო. პატივი ვეცით მის სატკივარს და "საუკეთესოდ დაღუპულის" ტიტული მივანიჭეთ. მაგრამ ვხედებოდი, რომ ზედმეტი მოგვივიდა. ამ ტიტულს, ძმაო, დამსახურება უნდა. მე და სტივი დავიღუპეთ საუკეთესოდ, გევინმა სულელურად წააგო თავი. რა დანელებული უნდა იყო, რო ყელზე თოკი შემოიხვიო და ბუნკერიდან გადმოეშვა! რაო, ვითომ, მაგარი ვარო? მაშინ დავიფიცე, შემდეგი თამაშისას მაგისი რეკორდი გამეხუნებინა. მე მაგათ ვუჩვენებდი, რა არის სიკვდილი. შურით გასკდებოდნენ, ისე ლამაზად მივიცვლებოდი. მაგრამ რად გინდა? ის იყო და ის. მერე ეგეთი რამე აღარ გვითამაშია.



გია გელაშვილის ნახატი

ინგლისურიდან თარგმნა
ასმათ ლეკიაშვილმა

ევროპის პირმშო



ჩესლავ მილოში

1
ჩვენ, ვისი ფილტვებიც ისრუტავენ დილის სინედლეს,
ვისი თვალებიც მოხიბლულან გაფოთლილი ტოტით მაისში,
ჩვენ ვჯობდით იმათ, ვინც (ოხვრა) მოკლეს.

ჩვენ, ვინც პირველნი ვაგემოვნებთ აღმოსავლური სამზარეულოს ახალ
მიღწევებს,
ვინც ალერსის წვრილმანებში ზედმიწევნით კარგად ვერკვევით,
ჩვენ ვჯობდით იმათ, ვინც წევს მიწაში.

ხანძარში ხოხვისგან, მავთულხლართებისგან,
რომელთა მიღმა ზუზუნებდნენ მარადიული შემოდგომის ცივი ტყვიები,
ჩვენ გვიხსნა მოხერხებულობამ და ცხოვრების სწორად გაგებამ.

სხვებს წილად ერგო დაცხრილული სამალავები
და ჩვენი მკაცრი მოწოდებები - არ დაეთმოთ არც ერთი გოჯი,
ჩვენ გვერგო ფიქრი, რომ არაფერს არა აქვს აზრი.

თუ არჩევანი მერყეობდა ორ სიკვდილს შორის
და მათგან ერთი - ჩვენი იყო, მეორე კი - ჩვენი მეგობრის,
ჩვენ ვირჩევდით უკანასკნელს, და ვფიქრობდით: ოღონდაც სწრაფად.

ეს ჩვენ ვიყავით, ვინც ვრაზავდით გაზის კამერებს,
პურს ვიპარავდით და ძალიან კარგად გვესმოდა,
რომ *ხვალ* იქნება კიდევ უფრო საშინელი, ვიდრე *დღეს* არის.

და როგორც მუდამ უხდებოდათ ადამიანებს,
ჩვენ შევიცანით სიკეთეც და ბოროტებაც; არაფერია
ქვეყნად ბადალი ჩვენი ბილწი გამჭრიახობის.

და ვცნობთ დადასტურებულად, რომ მართლაც ვჯობდით
აღტკინებულებს, უსუსურებს, გულუბრყვილოებს,
რადგან, როგორც ჩანს, ვერ გაიგეს სიცოცხლის ფასი.
2
ევროპის პირმშოვ, დააფასე ეს მწარე ცოდნა,
მემკვიდრეობით მიღებული გოთიკური ნაგებობები,
ეკლესიები ბაროკოს სტილში, ენისჩლექით მოლუღლუღე მწუხარება
სინაგოგების, დეკარტეს შრომები,
სპინოზა და ხმამაღალი სიტყვა ღირსება.
გამოცდილება დააფასე, შეძენილი შიშის ხანაში.
სხარტად იჭერდეს პრაქტიკული გონება შენი
წუნს და სარგებელს ყოველი საგნის.
დახვეწილობა და სკეპსისი, აი, რაა გარანტია სიამოვნების,
რაც პრიმიტიულ სულებს არ ესმით.

შენ, აღწერილი გონებრივი წყობის პატრონი,
მთელი სიღრმით შეაფასებ ქვემოთქმული რჩევის სიზუსტეს:
დილის სინედლით ამოივსე ორივე ფილტვი.

ზოგ მკაცრ, მაგრამ ბრძნულ პირობას აქვე დავურთავთ:

3
არავითარი საუბრები ძალის ტრიუმფზე.
დღეს ზეიმობს, ეს შეიგნე, სამართლიანობა.

ძალა საერთოდ არ ახსენო, რომ არ დაგბრალდეს
საიდუმლო მომხრეობა მცდარი მოძღვრების.

ძალაუფლებას ვინც ფლობს ახლა, ფლობს მას მხოლოდ ისტორიული
ლოგიკის ძალით. სხვას არაფერს არ სცე პატივი.

ხელმა აყალბოს შედეგები, იქადაგოს მოძღვრება ბაგემ,
მთავარია, ერთმანეთის არა ესმოდეთ.

ისწავლე ხანძრის წინათგრძნობა წამის სიზუსტით,
მერე კი დაწვი შენი სახლი, რომ გამართლდეს, რასაც ამბობდი.

4
გამოზარდე სიცრუის ხე, ოღონდ მხოლოდ სიმართლის თესლით.
პატივი არ სცე მატყუარას, სინამდვილე თუ ეზიზღება.

სიცრუე უფრო ლოგიკური უნდა იყოს, ვიდრე არის სინამდვილე. გადაქანცული
მგზავრი ჩამოჯდეს, დაე, მის ჩრდილში.

დღე სიცრუეს მიუძღვენი, საღამოს კი ვიწრო წრეში იმხიარულე,
გაიხსენე, როგორ იყო სინამდვილეში.

ჩვენ ვართ უკანასკნელები, ვის სიცრუესაც ჯერაც შერჩა ნიშანწყალი
სასოწარკვეთის, და ვისი ცინიზმი სიცილის წყაროა.

არადა, უკვე წამოზრდილა სხვა თაობა, გაცილებით სერიოზული
და ჩვენი სიტყვების პირდაპირ გამგები.

5
სიტყვა ნიშნავდეს არა იმას, რასაც ნიშნავს, არამედ საზომს -
რამდენად არის შენი სისხლი გაფუჭებული.

ორაზროვნება იყოს შენი იარაღი. ყოველი სიტყვა
ენციკლოპედიის წიაღში ჩაუშვი.

არ ენდო სიტყვას, ვიდრე ცნობა არ მოგივა კართოტეკიდან
მისი წარსულის დეტალური აღწერილობით.

მსხვერპლად გაიღე გონების ხმა ველური ჟინის სასარგებლოდ,
რადგან პირველი ისტორიის მსვლელობაზე ვერ ზემოქმედებს.

6
ნუ შეიყვარებ ქვეყანას: შეიძლება რუკიდან გაქრეს.
მით უფრო ქალაქს: აღენიშნება ჩუმი ლტოლვა ნანგრევებისკენ.

ნუ დაიჭერ საქმეს ხალხთან: ადვილად კვდებიან.
ან, განსაცდელში ჩავარდნილნი, შველას ითხოვენ.

არ შეინახო სუვენირები. შეიძლება შენი უჯრიდან
ისეთი კვამლი ამოიჭრას, კიდეც დაგახრჩოს.

არანაკლებ მავნებელია ბავშვობის ტბაში დიდხანს ყურება:
ლემნების აპკი შენს ანარეკლს დაამახინჯებს.

7
ვინც ისტორიულ მაგალითებს იშველიებს, იშვიათად აწყვეტინებენ.
მკვდრები აღარ აღსდგებიან, რათა უარყონ.

შეგიძლია ყველაფერი დააბრალო, რასაც ისურვებ.
დუმილი - მხოლოდ ეს იქნება მათი პასუხი.

ღამის წყვდიადში მოცურავენ ცარიელი სახეები გარდაცვლილების.
შეგიძლია შეურჩიო ის იერი, რომელიც გაწყობს.

გულმოცემულმა, მკვდართა ზედა მოხვეჭილი ძალაუფლებით,
დახვეწე წარსული - სახედ და ხატად შენად.

8
სიცილი, ერთ დროს სიმართლის ექო,
დღეს ხალხის მტრების იარაღია.

დასრულებულად გამოცხადდეს სატირის ერა.
კმარა მოხუცებულ ტირანზე ქირქილი.

როგორც მართალი საქმისათვის მებრძოლები, ჩვენ ვართ პირქუშნი.
დღეიდან მხოლოდ საქმიანი იუმორის ნება გვეძლევა.

მიზანსწრაფულნი, მოკუმული ბაგეებით, დიდი სიფრთხილით
შევაბიჯებთ მოცეკვავე ცეცხლის ხანაში.

თარგმნა ***ზვიად რატიანმა***

როდესაც ცხოვრება უიღბლო რომანად იქცევა

ინტერვიუ სალმან რუშდისთან, რომელსაც დღეს გთავაზობთ, რამდენიმე წლის წინაა ჩაწერილი. მართალია მას შემდეგ მწერალმა ორი რომანი გამოსცა, თუმცა წარმოდგენილი ინტერვიუ მაინც ინარჩუნებს აქტუალობას მასში დასმული პრობლემების გამო.

რედაქცია

სალმან რუშდის ადგილსამყოფელი, ფატვადან შვიდი წლის შემდგომ, გასაიდუმლოებული აღარაა, მაგრამ მწერალი მაინც ფრთხილობს. "მავრის ბოლო ოხვრა" რუშდის პირველი წიგნია მას შემდეგ, რაც ირანის აწ გარდაცვლილმა ლიდერმა აიათოლა ჰომეინიმ "სატანური ლექსების" ავტორს სიკვდილი მიუსაჯა ისლამის შეურაცხყოფის გამო. ამ წიგნით მწერალი გამოჩნდა "ფილ დონაჰიუს შოუში" და გადაცემაში "ამღამინდელი შოუ ჯეი ლინოსთან ერთად". რუშდიმ ნახევრად ოფიციალური ლექციებით იმოგზაურა აშშ-ში და დაესწრო მის პატივსაცემად გამართულ წვეულებებს. ამასთან, მას ჯერ კიდევ ახლავან მცველები და წინასწარ არავინ (თვით იმ ჟურნალისტებმაც, რომლებსაც რუშდი ინტერვიუს მიცემაზე თანხმდება) იცის მისი ბინადრობის ადგილი.

სან-ფრანცისკოში რუშდის ყოფნის დროს პოეტმა-ლაურეატმა რობერტ ჰესმა მოაწყო ლიტერატურული საღამო, რომელსაც ქალაქში მცხოვრები ცნობილი მწერლები დაესწრნენ, მათ შორის - ალისა ადამსი, ჩესლავ მილოში, რიჩარდ ნორთ პატერსონი და ბჰარატი მუკერჯი, აგრეთვე კალიფორნიის ყოფილი გუბერნატორი ჯერი ბრაუნი, მომღერალი ლინდა როდსტადტი და მსახიობი რობინ უილიამსი. იმის შესახებ, თუ სად ჩატარდებოდა ლიტერატურული საღამო, სტუმრებს მხოლოდ დანიშნულ დღეს შეატყობინეს. უფრო მეტიც, "სალონის" ინტერვიუერსა და ფოტოგრაფს აუწყეს, რომ ისინი უნდა შეხვედროდნენ რუშდის ლიტერატურულ აგენტს კაფეში, ორი კვარტლის დაშორებით იმ სასტუმროდან, სადაც რუშდი დაბინავდა. ისინი შეამოწმეს მცველებმა და მხოლოდ ამის შემდეგ დართეს მწერალთან მისვლის ნება.

48 წლის რუშდი თავაზიანად პასუხობს ჟურნალისტთა მიერ დასმულ შეკითხვებზე, ის შესანიშნავი თანამოსაუბრეა, მაგრამ მწერალს მობეზრდა მსჯელობა ფატვას შესახებ. რუშდის ასევე აღიზიანებს მინიშნებები იმის თაობაზე, რომ მისი ახალი რომანის გმირი - მთხრობელი, ვასკო და გამას შთამომავალი, რომელიც უჩვეულო ცხოვრებისეული პირობების ზეგავლენით ორჯერ უფრო სწრაფად მოიწიფა, ვიდრე ნებისმიერი ჩვენგანი, - ავტორის ცხოვრებისეული სიტუაციის მეტაფორად აღიქმება. "მავრის ბოლო ოხვრა" ჯერჯერობით რუშდის საუკეთესო რომანია, რომელიც გაჯერებულია ბრწყინვალე კალამბურებითა და შთამბეჭდავი იდეებით. ნაწარმოები სულმოუთქმელად

იკითხება. რუშდის ახარებს, რომ ის კვლავ ეწევა შემოქმედებით მუშაობას და მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თუმცა მისი მოღვაწეობა, გარკვეული მიზეზების გამო, შეზღუდული ხასიათისაა.

- როგორ მოხდა, რომ ასე ძლიერ გაგიტაცათ ენამ და ეგზომ ლაღად ფლობთ მეტყველების სტიქიას?

- ვფიქრობ, ეს უნდა განპირობებინა იმ ფაქტს, რომ ჩემი ბავშვობისას გარშემომყოფთ უყვარდათ სიტყვებით თამაში. ეს ჩვეული რამ გახლდათ ჩვენს ოჯახში, ისევე, როგორც, საერთოდ, ბომბეიში და, ალბათ, ინდოეთში. ინდოელების მეტყველებაში ყოველთვის შეიგრძნობა თამაშის ელემენტი. მათი უმრავლესობა რამდენიმე ენაზე ლაპარაკობს. თუ მიაყურადებთ ქალაქელთა მეტყველებას, შეამჩნევთ, რომ ისინი იწყებენ ფრაზას ერთ ენაზე, აგრძელებენ მეორეზე და, ბოლოს, ამთავრებენ მესამეზე. ესაა ენების ძალზე თავშესაქცევი, ძალზე ბუნებრივი ურთიერთჩანაცვლება. სათქმელის ამგვარად გამოხატვისას ყოველთვის შესაძლებელია ყველაზე ადექვატური ენობრივი ფორმის გამოძებნა.

"შუაღამის ბავშვებში" შევნიშნე, რომ მანერა, რომლითაც ინგლისური ენა ინდოეთში გამოიყენება, მნიშვნელოვნად განსხვავდება სტანდარტული ინგლისურისგან. ინდოეთში შეიქმნა ინგლისურის საგანგებო ვარიანტი, ისევე, როგორც - ამერიკაში, ირლანდიაში, კარიბის კუნძულებსა და ავსტრალიაში. თუმცა ეს ენა ინდოეთში საყოველთაოდ გამოიყენება, მაგრამ ჩემი სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისში ვერავინ გაკადნიერდა, ის ლიტერატურული ენის სახით გამოეყენებინა. ჩვეულებრივ, მიმართავდნენ კლასიკურ, ფორსტერისეულ ინგლისურს, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო ინდოელთა ზეპირი მეტყველების მანერასთან.

- ტიპურია თუ არა "მავრის უკანასკნელ ოხვრაში" თქვენ მიერ გამოყენებული გამოთქმები: "One dey you will killofy my heart" ან "I'll just bide-o my time" - ინგლისურის ინდური ვარიანტისთვის?

- ზუსტად ასეა. მახსოვს, ჩემი ერთ-ერთი და დროდადრო იყენებდა მსგავს კონსტრუქციებს. ამ ნაწარმოებში მიზნად არ ვისახავდი ინდოელთა მეტყველების ზედმიწევნით ზუსტად გადმოცემას. მინდოდა, მხოლოდ ამესახა ოჯახის ისტორია და მისი ენობრივი ჩვევები. ყოველ ოჯახში გამოიყენება საგანგებო სიტყვები, სპეციფიკური ფრაზები. მსურდა, წარმომედგინა ოჯახის ენობრივი იერსახე.

მაინტერესებს, როგორ მართავს ოჯახის ცხოვრებას ენობრივი ჩვევები; ამასთან, არსებობს არა მარტო ოჯახური ლექსიკონი, არამედ - თხრობის სპეციფიკური ხერხებიც. ყოველ ოჯახში არსებობს ისტორიები ამ ოჯახის შესახებ. მათი ერთობლიობა წარმოადგენს ამა თუ იმ ოჯახის ერთგვარ დეფინიციას. ოჯახის გაზრდისას - ბავშვების დაბადების ან ქორწინებათა მეშვეობით - მის ახალ წევრებს თანდათან აცნობენ ყველა საიდუმლო ოჯახურ ისტორიას და როდესაც ისინი საბოლოოდ გაეცნობიან ამ ამბებს, ოჯახის ჭეშმარიტ წევრებად იქცევიან.

- ვიცი, რომ მოგბეზრდათ შეკითხვები ფატვას შესახებ, მაგრამ მაინტერესებს, თქვენ თვითონ როგორ გადმოსცემდით ამ ისტორიას.

- ვფიქრობ, ესაა სალმან რუშდის უიღბლო რომანი. დამიჯერეთ, ძალზე უსიამოვნოა, როდესაც ამგვარი რომანის პერსონაჟი ხართ. ის, რაც გადამხდა, ჩემს დღიურში დავაფიქსირე მოკლე ჩანაწერებისა და ფაქტების ანალიზის სახით. ვაპირებ, უახლოეს ხანებში ამ დღიურიდან წიგნი შევქმნა, მაგრამ ეს არ იქნება ბელეტრისტიკის ნიმუში.

- რატომ?

- იმიტომ, რომ, ჩემი აზრით, მთელი ამ ამბის უმნიშვნელოვანესი ასპექტი მის რეალურობაში მდგომარეობს. ჩემი თავგადასავალი არავის დააინტერესებდა, შეთხზული რომ ყოფილიყო. სამწუხაროდ, იძულებული ვარ, საიდუმლოდ შევინახო უამრავი რამ, თუმცა, ჩემი ბუნებით, გულჩახვეული პიროვნება არ გახლავართ. უცნაურია, არ შეგეძლოს პასუხის გაცემა აშკარად დასმულ შეკითხვებზე. თქვენ მეკითხებით, სად ვიქნები ხვალ, მე კი არ შემიძლია, გიპასუხოთ. შვებას ვიგრძნობდი, ყველაფრის მოყოლა რომ შემეძლოს.

- თქვენი აზრით, როდის შეძლებთ ყველაფრის გამჟღავნებას?

- მთელი ამ დროის განმავლობაში ინტუიციურად ვმოქმედებდი. ყოველივეს ახსნა ძნელია. არავის უთქვამს ჩემთვის, რომ, მაგალითად, ამა და ამ მომენტში შემეძლო საჯარო ლექციის წაკითხვა ან წიგნის საყიდლად წასვლა. ირანიდან არ ვღებულობ გასაიდუმლოებულ ინსტრუქციებს იმის შესახებ, რომ უნდა წავიდე ნიუ-იორკის საჯა-



სტუმრად ფილ დონაჰიუს შოუში REUTERS

თანამედროვე ბრიტანული ლიტერატურის ნაღები: ვიქტორია გლენდინინგი, სალმან რუშდი, კაზუო იშიგურო, როდი დიოლი, ბერილ ბეინბრიჯი და ნიკოლას მოზლი REUTERS

რო ბიბლიოთეკაში ან გავემგზავრო სან-ფრანცისკოში. ჩემი გადაწყვეტილებები ემყარება გარკვეულ ვარაუდებს.

- ფიქრობთ თუ არა, რომ დაცული ხართ, რადგან შიშის უნარი აღარ შეგწევთ?

- შეიძლება ასეა. ალბათ, უნდა შევეგუო ვითარებას - და ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი. მაგრამ ზოგჯერ მაღელვებს თვით ქარის მიმართულების შეცვლა და ატმოსფერული მოვლენები. ხშირად მიფიქრია, ხომ არ სჯობს, მევე დავასრულო-მეთქი ყოველივე. ეს შეგრძნება მანამ მიჩნდება, ვიდრე ჩემი დამცველი ძალები ამოქმედდებიან.

- რა ზეგავლენას ახდენს შიში თქვენს შემოქმედებაზე?

- ეს შეგრძნება არ წააგავს შიშს, არამედ - დეზორიენტაციას, დაბნეულობას, გაცბუნებას, რაც შემოქმედებისთვის, რა თქმა უნდა, არასახარბიელო რამაა. დროებითი დაბნევის შემდეგ იძულებული ვარ ხოლმე, აღვიდგინო სულიერი წონასწორობა. როგორც იცით, ჩაფიქრებული მაქვს ნოველები, საბავშვო წიგნები, ესეები, რომლებზე მუშაობაც სასიამოვნო იქნება ჩემთვის. ამასთან, ესაა ერთგვარი "კამერული მუსიკის" ეკვივალენტი, და არა - "სრული ორკესტრისა".

- რა აზრისა ხართ თქვენს ახალ რომანზე?

- ის "სრული ორკესტრია". ვფიქრობ, ჩემი ახალი ნაწარმოები საუკეთესოა იმათ შორის, რაც აქამდე შემიქმნია. თუმცა, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ალბათ, ყველა შემოქმედს მოსწონს მისი ბოლო ნაწარმოები.

- რამდენ ხანს წერდით "მავრის ბოლო ოხვრას"?

- დაახლოებით ხუთი წლის განმავლობაში, გარკვეული შუალედებით (რადგან ბევრი დრო დამაკარგინა პოლიტიკურმა კამპანიამ). ამასთან, ხუთი წელი ჩემთვის ნაწარმოებზე მუშაობის ჩვეული ვადაა. "შუაღამის ბავშვებზეც" ხუთი წელი დავხარჯე, "სატანურ ლექსებზე" - ამდენივე.

- ამ ნაწარმოებზე მკაფიოდ ჩამოყალიბებული გეგმის მიხედვით მუშაობდით?

- ეს წიგნი უჩვეულოა, რადგან მოვახერხე მისი დასრულება ზუსტად იქ, სადაც, ჩემი აზრით, ის უნდა დასრულებულიყო. ამასთან, აბსოლუტურად ზუსტად მქონდა წარმოდგენილი საბოლოო, ძალზე ტევადი ნოტი, რომელიც საშუალებას მომცემდა, სურვილისამებრ, განმევრცო წიგნი და შემეთხზა მოზრდილი რომანი. მასში აღვწერე სანელებლებით ვაჭრობის ისტორია და კოჩინი (ინდოეთში), რომელიც 1980-იანი წლების დასაწყისში მოვინახულე. კოჩინმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე.

- როგორი შთაბეჭდილება?

- ესაა ძალზე ლამაზი ადგილი და, ამასთან, პირველი კონტაქტის პუნქტი. მეცნიერულ ფანტასტიკაში ხშირად საუბრობენ კაცობრიობასა და სხვა რასებს შორის კონტაქტების შესახებ, კოჩინში კი განხორციელდა პირველი კონტაქტი ინდოეთსა და დასავლეთს შორის. ეს ჩემს თემად იქცა. დავაპირე, ამესახა ეს ამბავი, ვასკო და გამას მოღვაწეობა, მისი სიკვდილი, დაკრძალვა და, ევა პერონის მსგავსად, პორტუგალიაში გადასვენება. წიგნი სწორედ ამ ჩანაფიქრიდან ამოიზარდა.

მომწონდა, რომ ევროპელები ინდოეთში პირველად მივიდნენ არა ქვეყნის დაპყრობის მიზნით (თუმცა შემდეგში სწორედ ასე მოიქცნენ), არამედ - პილპილის მოსაძიებლად. მთელი ეს უჩვეულო ამბავი პილპილის მარცვლიდან დაიწყო და რომანის ნახევარზე მეტი ამ თემას ეძღვნება.

- თქვენი ბრიტანელი თანამოაზრე, კაცუო იშიგურო თავის ბოლო რომანში ("The Unconsoled") მსჯელობს უნივერსალიზმის, ინტერნაციონალური ლიტერატურის შესახებ. ეს რომანი ძალზე განსხვავდება თქვენი ნაწარმოებებისგან.

- მწერლები ყოველთვის ეძებენ სათქმელის გამოხატვის საკუთარ ხერხებს. თუ რომელიმე მწერალი ირჩევს ამა თუ იმ მხატვრულ მანერას, ეს მისი საქმეა, მე კი ჩემი გზით მივდივარ.

- ხომ არ გაღელვებთ, რომ კულტურულად ესოდენ სპეციფიკური რეფერენციები ხელს უშლის მკითხველებს, ჩასწვდნენ თქვენს სათქმელს?

- სულაც არა. მათ "საკმაზის" სახით ვიყენებ. გარდა ამისა, ამერიკული ლიტერატურის კითხვისას მეც ყოველთვის როდი მესმის სლენგი. ამერიკელ მწერლებს ჰგონიათ, რომ მთელი მსოფლიო მათ ენაზე ლაპარაკობს, მაგრამ ეს ხომ ასე არაა! ებრაული წარმოშობის ამერიკელი მწერლები იყენებენ უამრავ გამოთქმას იდიშიდან და ზოგჯერ ვერ ვხვდები წაკითხულის მნიშვნელობას. ფილიპ როთის მსგავსი მწერლები მაოცებენ kishkes-ს მსგავსი გამოთქმებით.

თავშესაქცევია წიგნების კითხვა, როდესაც არ გესმის ყველა სიტყვა. ბავშვებს ეს ძალზე სიამოვნებთ. საბავშვო მწერლებმა იციან, რომ ბავშვებს მოსწონთ, თუ მათთვის განკუთვნილი ილუსტრირებული წიგნების ლექსიკა აღემატება ბავშვთა სიტყვების მარაგს. თუ პატარა გოგონა ამა თუ იმ მოთხრობაში ამოიკითხავს სიტყვას "ყბედი", ის აღარ უწოდებს თავის დას "ლაქლაქას", არამედ ეტყვის, "ნუ ყბედობო". ეს იქნება ახალი იარაღი მის არსენალში.

- ამჟამად რას კითხულობთ?

- ვკითხულობ ჩემი მეგობრის, რომანისტ გრემ სვიფტის წიგნს ("Waterland"). მისი ბოლო რომანი, სახელწოდებით "Last Orders", ახლა ინგლისში ქვეყნდება, ჩვენთან კი ორიოდ თვეში გამოჩნდება. ესაა მშვენიერი მომცრო წიგნი ადამიანზე, რომლის გარდაცვალების შემდეგ მისი ფერფლი ოთხ უახლოეს მეგობარს მიაქვს ოკეანეში ჩასაყრელად. რომანში აღწერილია ამ ნასვამი ადამიანების მგზავრობა ნათხოვნი თუ ნასესხები ავტომანქანით და მათ მიერ უკანასკნელი რიტუალის შესრულება. ეს ჩვეულებრივი ადამიანები ღირსეულად იქცევიან და აცნობიერებენ იმის მნიშვნელობას, რასაც აკეთებენ.

- თქვენი აზრით, სიკვდილზე ფიქრი სასიკეთოდ იმოქმედებს ჩვენზე?

- ჩვენზე სასიკეთოდ ნამდვილად ვერაფერი იმოქმედებს. ის, რაც სასიკეთოა ერთი პიროვნებისთვის, მეორისთვის საპირისპირო ეფექტის მომტანია. ზოგიერთ ჩვენგანს სასოწარკვეთილებაში აგდებს სიკვდილზე ფიქრი, სხვებისთვის კი ეს ცხოვრების წესს წარმოადგენს.

- როგორ ზეგავლენას ახდენს ეს თქვენზე?

- ფატვასთან დაკავშირებით ძალზე დიდხანს ვფიქრობდი სიკვდილის შესახებ. ვიცი, რომ მოვკვდები, მაგრამ ეს მომავალში მოხდება. ამასთან, ფატვას დროს და მის შემდეგ ბევრი ჩემი თანატოლი გარდაიცვალა. მათ სიკვდილი კი არ ჰქონდათ მისჯილი, არამედ, უბრალოდ, დაიხოცნენ ფილტვის კიბოთი, შიდსით და ა.შ. ასე რომ, გარდაცვალებისთვის საჭირო არაა ფატვა. ეს შეიძლება ნებისმიერ მომენტში მოხდეს. ამიტომ ვჩქარობდი ამ რომანის დაწერას. მისი გმირი ესწრაფვის, მოასწროს ყველაფერი, რადგან სიცოცხლე სწრაფწარმავალია.

- ესაა ძალზე უჩვეულო და ამაღლებული იდეა, მაგრამ თქვენ მოახერხეთ მისი ხორცშესხმა.

- აზარტით ვმუშაობდი, რადგან მაინტერესებდა არა მხატვრული ხერხი თავისთავად, არამედ - მისი საშუალებით გარკვეული ადამიანური ჭეშმარიტების გამოხატვა. თუ შეგიძლიათ ხერხის ამგვარად გამოყენება და ამ ამოცანაზე ყურადღების კონცენტრირება, ყოველთვის მიაღწევთ სასურველ შედეგს.

- ეს თქვენი ტექნიკის ძირითადი ხერხია?

- დიახ, დიახ. ძალზე ხშირად სიურრეალიზმი ან სხვა მსგავსი რამ გამოიყენება "აკრობატიკის" ფუნქციით, მკითხველი კი ნატრობს, გაეცნოს ამბავს. ჩემი მანერის საფუძველს არ წარმოადგენს მხოლოდ წარმოსახვის თამაში. ესაა მხოლოდ ჭეშმარიტების სწორად გამოხატვის საშუალება. სახელდობრ, ახლა ადამიანები ფიქრობენ, რომ ცხოვრების ტემპი და ცვლილებათა ხარისხი ძალზე დაჩქარებულია და თითქოს ყველაფერი, ეს-ესაა, აფეთქდება. ამ საყოველთაოდ გავრცელებული შეგრძნების კრისტალიზების ერთ-ერთ გზას მისი ზუსტად გამოხატვა წარმოადგენს.

- საინტერესოა, რომ, ბევრი რეცენზენტის აზრით, ესაა თქვენი პირადი სიტუაციის მეტაფორა.

- ასეთი რეაქცია უსაფუძვლო როდია. ხშირად მიფიქრია, რომ წიგნი გამოცემისთანავე კი არ ხდება გასაგები, არამედ, დაახლოებით, ხუთი წლის შემდეგ.

- ფიქრობთ თუ არა, რომ "სატანური ლექსები" ახლა უფრო გასაგებია, ვიდრე მისი გამოცემის დროს?

- დიახ, საჭიროა გარკვეული დრო, რომ ჩაწყნარდეს მყისიერი რეაქცია, დადებითი იქნება ის თუ უარყოფითი. უცნაური პარადოქსია: წიგნის გამოცემისას საჭიროა გარკვეული აჟიოტაჟი მკითხველთა მისაზიდად, შემდეგ კი ნაწარმოები თავის გზას პოულობს.

- ესე იგი, ბოლოს ადამიანები თვითონ ეცნობიან წიგნებს?

- ადამიანები არ კითხულობენ წიგნებს მათი ყიდვისთანავე, თუმცა მწერლებს ამის იმედი აქვთ. ჩვენ ხშირად გვგონია, რომ თუ ვინმემ იყიდა წიგნი, ის წაიკითხავს კიდეც მას. მაგრამ ბევრი მათგანი აპირებს, შვებულების დროს ჩაუღრმავდეს ამა თუ იმ წიგნს ან მოუცლელობის გამო, ვერ ასწრებს მის წაკითხვას. ეს დიდხანს გრძელდება ხოლმე.

- ჩვენს კულტურაში ბელეტრისტიკა არც ისე სერიოზულად აღიქმება, მაგრამ თქვენს შემთხვევაში ასე არ მოხდა. იმდენად, რამდენადაც რომანის შინაარსის გამო სიკვდილი მოგისაჯეს, როგორ ფიქრობთ, როგორია მხატვრული ლიტერატურის ფენომენის მნიშვნელობა?

- უაღრესად დიდია. ჩემი აზრით, ლიტერატურა სასიცოცხლო მნიშვნელობის მოვლენაა. გადახედეთ მის ისტორიას. გაიხსენეთ, რა მოხდა საბჭოთა კავშირში, ჩინეთში, აფრიკაში, მაჰმადიანურ სამყაროში. ეს მხოლოდ ჩემი შეხედულება არაა. ბელეტრისტიკა ყოველთვის ამგვარად განიმარტებოდა. ლიტერატურა მნიშვნელოვანი რამაა, რაც მწერალთა ბედზე ხშირად უარყოფითად აისახება. მაგრამ ეს სცილდება ჩვენი საუბრის თემას...



სალმან რუშდი მეგობარ ქალთან, პადმა ლაქშმისთან ერთად

REUTERS

ლიტერატურულ ყოველდღიურობას გადარჩენილი ჰატარა ისტორიები

შოთა იათაშვილი

დავითი თუ დათო?

აღმაშენებელსა და გურამიშვილს აქეთ არასდროს უჩიოდა ქართული ლიტერატურა დავითთა ნაკლებობას, მაგრამ იმდენი დავითი, რამდენიც ახლა ჰყავს, ნამდვილად არასოდეს ჰყოლია. ოღონდ ერთი კია, ამ ბოლო დროს მათი მხოლოდ ერთი ნაწილია ერთგული სახელის ამ ძველი, კლასიკური ფორმის, სხვანი კი უპირატესობას მის კნინობით ფორმას - დათოს ანიჭებენ. აგერ ნახეთ: აქეთ: დავით ჩიხლაძე, დავით ქართველიშვილი, დავით მჭედლური, დავით ტაკიძე... იქით: დათო ბარბაქაძე, დათო ტურაშვილი, დათო ზურაბიშვილი, დათო მაღრაძე... და პირად ურთიერთობას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, თითოეული მხარე იმდენად მტკიცედ დგას მის მიერ არჩეულ პოზიციაზე, რომ ყოველი უნებლიე დარღვევა ლიტერატურულ პრესაში თუ მასმედიაში, საზოგადოებასაც ხვდება თვალსა თუ ყურში და ავტორებიც ღიზიანდებიან ხოლმე ამის გამო...

90-იანი წლების დასაწყისია. ქართული თავისუფალი პრესის ფლაგმანია "7 დღე". გურამ წიბახაშვილიც რა თქმა უნდა იქაა და არა მხოლოდ ფოტოაპარატით ემსახურება თავის გაზეთს, არამედ ხანდახან კალმითაც კი - წერს იმ არტ-მოვლენების შესახებ, რომელთა მორევში ისედაც ტრიალებს. წიბახა არც მეგობარ ლიტერატორთა შეკრებებს ტოვებს და აი, ერთი ასეთი შეკრების შემდეგ პატარა წერილს ბეჭდავს გაზეთში. რამდენიმე დღის შემდეგ დავით ჩიხლაძე ხვდება და აქეთურ-იქითურის შემდეგ საყვედურობს, დავითის ნაცვლად დათოდ რომ იყო სტატიაში მოხსენიებული. "არ მიყვარს ფამილარობა პრესაში, - ამბობს იგი, - ავტორის სახელი კანონიკური ფორმით უნდა იწერებოდეს. მე დავითი ვარ და არა დათო".

გამოხდა ხანი. უნივერსიტეტში დათო ბარბაქაძის მორიგი ზეპირი ჟურნალი გაიმართა და წიბახამაც, ცხადია, არ გააცდინა იგი. დაწერა კიდეც მის შესახებ "7 დღისათვის" და რაკი სახელ დავითთან დაკავშირებული ძველი საყვედური სადღაც გონებაში ჩარჩენილი ჰქონდა, დათო ბარბაქაძე სტატიაში ყველგან დავით ბარბაქაძედ მოიხსენია, წერილს კი დაარქვა "დავით ბარბაქაძის ჟურნალი № 3". და აი, რამდენიმე დღის შემდეგ ბარბაქაძე ქუჩაში ხვდება და აქეთურ-იქითურის შემდეგ საყვედურობს, დათოს ნაცვლად დავითად რომ იყო მოხსენიებული სტატიაში. "არ იცი დათო ბარბაქაძე რომ ვარ? - ეუბნება იგი, - ბოლო-ბოლო რამდენი წიგნი გაქვს ჩემი, გინახავს, სადმე დავით ბარბაქაძე ეწეროს?"

- კაცო, შენ არ იყავი, ამას წინათ რომ მითხარი, დათოს ნუ წერ, დავითი დაწერეო? - უკვირს წიბახას.

- შეუძლებელია, - თავს აქნევს ბარბაქაძე.

- აააა... მგონი, ჩიხლაძე იყო - ნელ-ნელა ახსენდება წიბახას.

- ჩიხლაძე კი, ჩიხლაძე დავითით უნდა დაწერო, - კვერს უკრავს ბარბაქაძე, - ეგ სხვა შემთხვევაა...

- ოჰ, თქვენ რა გითხარით! - აღმოხდება წიბახას და ხელს ჩაიქნევს.

ვინ იცის, იქნებ სწორედ მას მერე დაანება თავი უმადურ და საშაროზე საშარო საქმეს - წერას - და გადაწყვიტა, ბოლომდე ეერთგულა თავისი მადლიანი ფოტოაპარატისთვის...

გამცილებელი და ახოვანი ტურაშვილი

2000 წლის ოქტომბერში ჩასხდნენ სპეცმატარებელში მწერლები, მუსიკოსები, მხატვრები და გაუყვნენ თბილისიდან გზას დასავლეთისაკენ - ბათუმისაკენ. ჩერდებოდნენ ერთი კვირის განმავლობაში სხვადასხვა ქალაქის ვაგზლებში და იქვე კითხულობდნენ ლექსებს, მღეროდნენ, ხატავდნენ... ფესტივალი "მატარებელი" ერქვა ამ აქციას.

იმ ვაგონში, სადაც მწერლები ბინადრობდნენ, გამცილებელი მხიარული და არტისტული ადამიანი აღმოჩნდა. ორ-სამ დღეში ყველას გაუშინაურდა, საჩუქრად წიგნებიც მიიღო და დილადრიან, ახალგამოღვიძებულ, პირდაუბანელ, ნაბახუსევ პოეტებს ხშირად მათივე სტრიქონებითაც კი ესალმებოდა ხოლმე.

ასე დარჩა უკან გორი, ქუთაისი, სამტრედია... ოზურგეთში კი ირაკლი კაკაბაძე, დათო ტურაშვილი და კიდევ რამდენიმე ტრანსპორტს ჩამორჩენილი წამოეწია არტ-შემადგენლობას. შემომატებულებს, ცხადია, ადგილები უნდა ეპოვათ გადაჭედილ მატარებელში (ქუთაისში ხომ საკმაოდ ბევრი შეუერთდა თბილისურ კონტინგენტს), ჰოდა, დაბორიალობს ტურაშვილი მწერალთა ვაგონში და თავისუფალ საწოლს ეძებს. შეამჩნია გამცილებელმა და ნაცნობ მწერლებს ეკითხება, ეგ ვინღა არისო.

- როგორ, ეგ ვერ იცანით? - უკვირთ მწერლებს, - ეგ ხომ დათო ტურაშვილია.

- ვინ? - ალბათ მომეყურაო, ისეთი სახით აჩერდება გამცილებელი ახალგაზრდა მოკალმეებს.

- დათო. ტურაშვილი. - ეუბნებიან ისინი.

გამცილებელი ახლა ტურაშვილისკენ იხედება, კარგად აკვირდება, მერე ისევ ნაცნობი მწერლებისკენ ტრიალდება და ნაწყენი ხმით მიმართავს:

- კარგით, რა, ბიჭებო, რატომ მატყუებთ?

ხარხარი. სხვა კუპეებიდანაც გამოდიან. კითხულობენ, თუ რაშია საქმე. მერე ყველა ცალ-ცალკე და ყველა ერთად გამცილებელს უმტკიცებს, რომ მის წინ მდგომი ადამიანი ნამდვილად დათო ტურაშვილია. გამცილებელი ჯიუტად ზის თავისაზე.

- რას ამბობთ, ხალხო, თქვენ მასწავლით მე დათო ტურაშვილს?! ეროვნული მოძრაობიდან მოყოლებული, ათ წელზე მეტია, რაც მიყვარს. მაღალი, ბრგე, ახოვანი ბიჭია. სულ ვუყურებ ტელევიზორში, ვუსმენ, მისი წიგნებიც მაქვს წაკითხული, თქვენ კი მეუბნებით, რომ დათო ტურაშვილი აი ესაა?

დათო დგას ოდნავ მოშორებით, ხელი ფანჯრის ჩამოწეულ რაფაზე ჩამოუდვია და სიგარეტს ეწევა. მხრებში ოდნავ მოხრილი, ცოტათი მობუზული, თითქოსდა მართლა დაპატარავდა ამ რამდენიმე წამში. უკვე მთელი ვაგონი ყირაზე გადადის. ყველა იცინის, ყველა ლაზღანდარობს, ზოგიერთები გამოსავალს ეძებენ შექმნილი მდგომარეობიდან. გამცილებელი კი სულ უფრო და უფრო ბრაზდება, სულ უფრო და უფრო არ სჯერა, რომ მის წინ ნამდვილი დათო ტურაშვილია. და დათო უცებ იღებს გადაწყვეტილებას, სიგარეტს ფანჯრიდან აგდებს, მიდის გამცილებელთან და ვაგონის ბოლოში, ტამბურისაკენ გაჰყავს. მთელი ვაგონი ხედავს, როგორ მოუხვევია დათოს მისთვის ზურგზე ხელი და რაღაცას ელაპარაკება. გამცილებელი ყურადღებით უსმენს, მხოლოდ ხანდახან ჩაურთავს ხოლმე ერთ-ორ სიტყვას, თავს უკანტურებს. ეს სცენა რამდენიმე წუთი გრძელდება, მერე ორივენი ერთად უკან ბრუნდებიან და გამცილებელი აცხადებს, რომ იგი ნამდვილი დათო ტურაშვილია.

- ვაშააა! - ბღავის გახარებული ვაგონი. და მერე თითქმის ყველა ცალ-ცალკე ეკითხება დათოს, თუ რა უთხრა ასეთი გამცილებელს, ასე მალე რომ დაარწმუნა საკუთარი პიროვნების უტყუარობაში. დათო კი იღიმის და დუმს. ეს მისი საიდუმლოა.

"მიმინოს" რიმეიკი

2001 წლის ნოემბერში "სოროსის" ფონდმა ხუთი ქართველი მწერალი წარგზავნა მოსკოვს ამერიკულ ტრენინგებზე. ზაზა აბზიანიძე, ნუგზარ შატაიძე, დათო ზურაბიშვილი, მაყვალა გონაშვილი და შოთა იათაშვილი ერთი კვირის განმავლობაში უნდა დაუფლებოდნენ სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის წიგნების წერის ხელოვნებას. ტრენინგები ორ ამერიკელ ქალბატონს მიჰყავდა: სქელ, სიტყვაძვირ და მუდამ შუბლშეჭმუხნულ ბარბარას და ემოციურ, ენაწყლიან და მეტყველი ჟესტიკულაციით აღჭურვილ ფრანს. ქართველებთან ერთად, ეს ტრენინგი სომხებს, აზერბაიჯანელებს, ყაზახებს, ყირგიზებს და მონღოლებსაც უნდა გაევლოთ. ეს ყველაფერი კი სასტუმრო "როსიაში" ხდებოდა, იქ, სადაც მთელი ეს კოჰორტა დააბანაკეს.

ქართველებს თავი არ შეურცხვენიათ, სწავლობდნენ, აქტიურობდნენ, არცთუ იშვიათად ცდილობდნენ იქითაც ესწავლებინათ რაღაც-რაღაცები თავიანთი კოლეგებისა და პედაგოგებისათვის, ზომიერად, "მცოცავი გრაფიკით" აცდენდნენ კიდეც მეცადინეობებს და მოსკოვს უვლიდნენ გარე-გარე, საბოლოოდ კი გაურკვეველი სარგებლობის მქონე სერტიფიკატები მიიღეს და საზეიმო წვეულებაზე შეიკრიბნენ სხვებთან ერთად სასტუმროს რესტორანში. შეიძლება ითქვას, რომ მთელი ეს ერთკვირიანი ყოფნა "მოძმე რესპუბლიკების" წარმომადგენლებთან ერთად, თითქმის გადაშენებული საბჭოური ინტერნაციონალიზმის უცნაური სრულყოფილებით შემორჩენილ მაგალითს წარმოადგენდა. თუმცა ამ ინტერნაციონალიზმშიც არსებობს გარკვეული დიფერენციაცია და ისე მოხდა, რომ ქართველები იმ დღეებში ყველაზე უფრო სომხებს დაუმეგობრდნენ...

საზეიმო გამოსამშვიდობებელმა წვეულებამ თანდათან შეტოპა შესატოპში და აი, პირველი ჰანგებიც გაისმა: ყირგიზებმა თავიანთი ხალხური სიმღერა შეასრულეს. მათ ყაზახები მიყვნენ, მერე მონღოლები, მერე აზერბაიჯანელები... სიმღერას ცეკვა მიემატა... და ნუგზარმა შფოთვა დაიწყო. ხან ზაზასთან მივა, ხან დათოსთან, ხან შოთასთან და "შეგიძლია სიმღერა?.. სიმღერა შეგიძლია?.." - ეკითხება... "არა", - აქნევს ყველა თავს ერთნაირად. "სულ არა?" "არა..." "სულ არა?" "არა"... ბოლოს მაყვალას მიუბრუნდება:

- შენა, გო?

- არა, არა... - უარობს ისიც.

- ეჰ, გონაშვილი მაინც არ იყო! - არცხვენს ნუგზარი და მერე თავისთვის ფიქრობს: "რა ვქნათ აბა, ჰა, რა ვქნათ?"

ამასობაში კი თარჯიმან მარინასა და ანდრეის საპატივცემულოდ "Подмосковные вечера" იმღერა მთელმა "ინტერბრიგადამ", ლუი არმსტრონგის "What A Wonderfull World"-იც გაიხსენა ბარბარასა და ფრანის გულის გასახარად და უცებ, ერიჰაააა... "ახ, სირუმ, სირუმ"... - იწყებენ ერთხმად სომხები... სასიამოვნოდ მღერიან, თან როგორი ნაცნობი და პირზე ღიმილის გადამფენი სიმღერაა... ნუგზარი ცქმუტავს, ვერ ისვენებს, ხან ისევ ზაზას შეხედავს უიმედოდ, ხანაც დათოს და მაყვალას გამოხედავს... "აჰ, სირუმ, სირუმ" მთავრდება. და უცებ: საოცარი ხმა გაისმის - ხმა ნუგზარ შატაიძისა. ის მარტო დგას, თავი მაღლა შეუმართია და ფართო გულმკერდიდან გამოაგნებელ ბგერებს უშვებს გარეთ... ყველა გაისუსა. ყველა თვალებგაფართოებული შესცქერის ძველი საუკუნეებიდან სასწაულებრივად გადმოსულ ამ შთამბეჭდავ ქართველს - ქართველ მწერალს, რომელიც მღერის ამაყად, მართო... მღერის ყველას ნაცვლად, მღერის სამი ხმისას ერთად, მღერის სწორედ იმას, რასაც ჭეშმარიტი სიმღერა ჰქვია.

ხოლო ქართველები, და ვინ იცის, არა მხოლოდ ისინი, ხვდებიან, რომ ეს ყველაფერი შესანიშნავი რიმეიკია დანელიას "მიმინოსი". მართლაც: ფერფლიდან აღმდგარი საბჭოური ინტერნაციონალიზმის კეთილი თვისებები, სასტუმრო "როსიას" რესტორანი, ქართულ-სომხური მეგობრობა, "ახ, სირუმ, სირუმ" და ქართულ-სომხური მუსიკალური ორთაბრძოლა - ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ვულგარული "ლეზგინკის" ნაცვლად, რიმეიკში ნუგზარ შატაიძის მიერ გამაგნებლად შესრულებული საუკეთესო ქართული ხალხური სიმღერები ჟღერს...



გია გელაშვილის ნახატი

პოეტები და დიასახლისი

მარტინ არმსტრონგი

მამუკა ცაცანაშვილის ნახატი

იყო და არა იყო რა, დიდი ხნის წინ იყო ორი პოეტი. ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ამ ორმა პოეტმა გამოიკეტა სახელოსნოს კარი და დაადგა გზას ქვეყნიერებაზე სახეტიალოდ და ტექსტების საძიებლად, რადგან თვითონ შთაგონების წყარო დაეშრიტათ.

არც ის დავიწყნიათ, რომ დაუდევრად უნდა სცმოდათ: ერთმა შავი საყელო გაიკეთა და შავ-თეთრ, კუბოკრულ შარვალში გამოეწყო, მეორემ ბობოქარი ალისფერი ჰალსტუხი გამოისკვნა, რადგანო, - ფიქრობდნენ პოეტები "თუმცა, რასაკვირველია, ამას ხმამაღლა არ ამბობდნენ", - ჩაცმულობით უნდა გამოვირჩეოდეთო. ფართოფარფლებიანი, შლეგური ქუდები ეხურათ და ამ ქუდებიდან თმა თავხეებიან საბძელზე დამხობილი თივასავით ჰქონდათ გამოჩრილი.

მოგზაურობდნენ, სიარულისას ხან აქ ჩაარჭობდნენ ხელჯოხებს, ხან იქ და ცდილობდნენ, მიეკვლიათ იმისთვის, რასაც ეძებდნენ. ამასობაში მათ თავზე გადმომდგარი ცა საშინელი ქარიშხლისთვის ემზადებოდა.

თავის დროზე ქარიშხალიც ამოვარდა და კოკისპირული წვიმა წამოვიდა. პოეტებმაც თავი ანებეს ტექსტების ძებნას და სასწრაფოდ კუნელის ბუჩქს შეაფარეს თავი. დროდადრო ღმერთმა უწყის, საიდან ჩამოკვესებული შუქი წამით გაანათებდათ ხოლმე და გამოჩნდებოდა, როგორ იდგნენ - ორი ამაყი, უცხო ფრინველივით.

კუნელის ბუჩქის შორიახლოს ერთი პატარა სახლი იდგა. სახლის პატრონის ცოლმა გარეთ გამოიხედა და ის ორი რომ დაინახა, წამოიძახა: "ღმერთო, გადმოხედე ერთი, წვიმამ რა მოიყოლა!" ამის თქმა იყო და წვიმამ საშინლად იმატა.

ცოტა ხნის შემდეგ ქალმა ისევ გამოიხედა. პოეტებს ვეღარ იცნობდით, ელვარება გაჰხუნებოდათ, თმა წვიმისგან ჩამოსწუწოდათ, მეწამული ჰალსტუხი ნესტისგან ჟოლოსფერად ქცეულიყო, ყველა მხრიდან წვიმის წვეთები სცვიოდათ.

დიასახლისი დადარდიანდა მათი შემხედვარე და გასძახა: "ჭაბუკებო, შინ ხომ არ შემობრძანდებით? რას დამდგარხართ მგლოვიარე ყანჩებივით, თქვენთვის კარი ღია მაქვს, არ გირჩევნიათ, სახურავქვეშ, მხიარულად მოჭიკჭიკე ბეღურებს დაემსგავსოთ?"

მაგრამ მათ თავაზიანად დაუკრეს თავი და მიუგეს: "უღრმესი მადლობა, მადამ, მაგრამ ჩვენ პოეტები ვართ და მოგვწონს ასე დგომა."

გულმოსულმა დიასახლისმა დამცინავი ღიმილით განაცხადა: "ნამდვილად გადაამლაშეთ." მაგრამ პოეტებმა საყვედურით გაუღიმეს და უპასუხეს: "მადამ, თქვენ მოგწონთ, მშრალი რომ ბრძანდებით." "თქვენ კი, - განაცხადა ქალმა, - გირჩევნიათ, გალუმპულები იდგეთ." მერე ფანჯარა მიაჯახუნა, თვალები აღაპყრო და რიტორიკულად იკითხა: "გინახავთ?" და "ამის მერე რაღას...?"

თავსხმამ კიდევ უფრო დაუშვა, წყალმა ერთი ფუტის სიმაღლეზე აიწია და ყველაფერი დატბორა.

ცოტა ხნის შემდეგ ქალმა ისევ გამოიხედა გარეთ. ის ორნი კიდევ უფრო ახლოს მისჩოჩებოდნენ კუნელის ბუჩქს და ახლა ორ ბებერ ყვავს ჰგავდნენ, რადგან მხრები მაღლა აეწიათ, ნისკარტები - დაბლა, და უსაშველოდ გაბურძგნულები იდგნენ.

და ისევ გასძახა, რადგან გულმოწყალე ქალი იყო: "ო, საბრალო ჯენტლმენებო, გაფიცებთ ცივილიზაციასა და საღ აზრს, შემობრძანდით."

მაგრამ პოეტებმა ქალისკენ მიხედვაც ვერ გაბედეს, წყალი კისერში არ ჩაგვივიდესო, ასე რომ, მთელი ტანით მიტრიალდნენ და მიუგეს: "კიდევ ერთხელ მოგახსენებთ მადლობას, მადამ, მაგრამ ძალიან კარგად ვართ, რადგან ტექსტებზე ვფიქრობთ." და ამ წარღვნაში მიზნის სერიოზულობის სრული შეგნებით მოიკუნტნენ.

მაგრამ სახლის პატრონის ცოლმა ვერ გაიგო, რას ნიშნავდა სიტყვა *ტექსტი*, ასე რომ, უზომო განცვიფრებისგან ენა ჩაუვარდა.

ქარიშხალმა გული იჯერა და ჩადგა: არემარეს ღრმად მსუნთქავი ფოთლების ნაზი სურნელი მოეფინა და ჰაერში კუნელის თბილი, მოტკბო სურნელი დატრიალდა.

და როცა სახლის პატრონის ცოლმა მეოთხედ და უკანასკნელად გაიხედა ფანჯრიდან, პოეტები იქაურობას უკვე ტოვებდნენ და მათი გარეგნობის ტრაგიკულობას ვერაფერი შეედრებოდა. ერთს ჰალსტუხის მეწამული ფერი პერანგის წინა კალთაზე გადაუვიდა და ახლა კაცს ეგონებოდა, ზედ მაყვლის ლიქიორი გადაუსხიაო. ორივე თავიდან ფეხებამდე გალუმპული იყო.

როცა პოეტები შინ დაბრუნდნენ, აღმოჩნდა, რომ ერთის პერანგი გადასაგდები იყო, მეორე გაცივდებოდა. ასე რომ, პირველი გავიდა და ახალი პერანგი იყიდა შვიდნახევარ პენსად, მეორემ - შილინგიანი ქინაქინა და შედარებით იაფად გამოვიდა.

ერთმა დაწერა ოდა, სათაურით *ზაფხულის ქარიშხალი*, რომელშიც ხუთი გინეა გადაუხადეს, ასე რომ "საფოსტო მარკებში გადახდილ ოთხ პენსსა და პერანგის ფულს თუ გამოვაკლებთ", სუფთა მოგება ოთხი ფუნტი, ჩვიდმეტი შილინგი და რვა პენსი გამოუვიდა.

მაგრამ მეორემ სხვა ვერაფერი მოახერხა, გარდა ერთგინეიანი სონეტისა, რომელსაც დაარქვა "*წვიმა ფოთლებს შორის*", ასე რომ "მარკებში გადახდილ ოთხ პენსსა და ქინაქინის შილინგს თუ გამოვაკლებთ", სუფთა მოგება ცხრამეტი შილინგი და რვა პენსი გამოუვიდა.

ამდენად, საბოლოოდ შერჩათ ორი საჭირო ტექსტი "კაცმა რომ თქვას, ამასაც არ ელოდნენ" და მთლიანად თანხა - ხუთი ფუნტი, თექვსმეტი შილინგი და ათი პენსი.

მაგრამ სახლის პატრონის ცოლს ეს ამბავი არ გაუგია. ასე რომ, საქმეში ჩაუხედავი ბევრი სხვა ადამიანისა არ იყოს, მასაც დღემდე სჯერა, რომ პოეტები მხოლოდ არაპრაქტიკული მეოცნებეები არიან, და სხვა არაფერი შეუძლიათ.

ინგლისურიდან თარგმნა
ნინო ქავჯაიამ.

"იოსიფის კათედრა რესტორნის მაგიდაა"

ფრაგმენტები ინტერვიუდან



რუბრიკა 2X1-ის დღევანდელი "გამოშვება" შესანიშნავ რუს პოეტს, იოსიფ ბროდსკის (1940-1996) ეძღვნება და დღესაც, ისევე როგორც წინა ნომერში, მთავარი გმირის შესახებ მისი მეგობრები მოგვითხრობენ.

დერეკ უოლკოტი

რობერტ ლოუელის გარდაცვალებამ ყველას თავგზა აგვიბნია. იგი ძალიან გვიყვარდა, შესანიშნავი ადამიანი იყო. პირველად ტრინიდადში გავიცანი, შემდეგ კი მან და მისმა მეუღლემ, ელიზაბეტ ჰარდუიკმა ბევრი იზრუნეს ჩემთვის და ჩემი ცოლისთვის, როცა ნიუ-იორკში გადავედით საცხოვრებლად... ყველანი შეძრულები ვიყავით. დაკრძალვის დღეს ეკლესიაში ვიღაც კაცი შემოვიდა და ჩემს გვერდით დადგა. არ ვიცოდი, ვინ იყო, მაგრამ ძალიან საინტერესო სახე ჰქონდა, შესანიშნავი პროფილი, თავი მაღლა ეჭირა და მშვიდად იდგა. თუმცა აშკარად ჩანდა, რომ ისიც განიცდიდა ამ მწუხარებას. ვიფიქრე, რომ ეს ბროდსკი უნდა ყოფილიყო. აღარ მახსოვს, გაგვაცნეს თუ არა ერთმანეთს დაკრძალვის შემდეგ, ქუჩაში და არც ის მახსოვს, როდის გამოველაპარაკეთ ერთმანეთს პირველად. მაშინ მხოლოდ რობერტის სიკვდილზე ვფიქრობდი. ამის შემდეგ ელიზაბეტ ბიშოპთან წავედით, სადაც ბლომად ხალხი ირეოდა. ძნელია იმის გახსენება, თუ როდის დამყარდა პირველი კონტაქტი, მაგრამ ისე მოხდა, რომ ნიუ-იორკში დაბრუნების შემდეგ, ძალიან დავმეგობრდით და ხშირადაც ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს.

* * *

იმ პოლიტიკური პირობების გამო, რომელშიც იოსიფს უწევდა ცხოვრება, მე რეალურად გავიგე, თუ რას ნიშნავს იყო დევნილი, ჭეშმარიტი დევნილი, რადგანაც უმრავლეს შემთხვევაში ასე უწოდებენ მწერლებს, რომლებიც სამშობლოს გარეთ ცხოვრობენ, თუმცა ყოველთვის, როცა კი მოესურვებათ, შეუძლიათ შინ დაბრუნდნენ, საცხოვრებლად თუ არა, ახლობლების მოსანახულებლად მაინც. ჩემთვის წარმოუდგენელია სამუდამოდ დავშორდე მშობლებს (დედაჩემს), ან ჩემს სამშობლოს. და მე გავაცნობიერე მთელი სიღრმე ამ სიტყვაში ჩადებული ტკივილისა. მაგრამ იოსიფის ინდივიდუალური მაგალითი იყო მაგალითი სულის სიმტკიცისა, სიდიადისა, რომელიც საკუთარ თავსაც არ ინდობდა და შორს იდგა ქედმაღლობისგან, იგი არც თავის ებრაელობაზე წუწუნებდა და ა.შ. - არამედ გრანდიოზული სარკაზმით აკრიტიკებდა რეჟიმს. მე ვერ ვხედავ იოსიფში თვისებებს, რომლებიც ებრაელობით იქნებოდა განპირობებული. მხედველობაში მაქვს ის, რომ ებრაელ მწერალს შეუძლია შავკანიანი მწერალივით მოიქცეს: "ფესვები! პირობები! დევნა!" ან რაღაც ამდაგვარი. და როცა შემდეგ მივხვდი, რომ საბჭოთა რეჟიმის მიერ დევნილ მწერალთაგან უმრავლესობა ებრაელი იყო, ამან ჩემამდე რაღაც დაგვიანებული ჭეშმარიტებასავით მოაღწია. ვფიქრობ, ეს დევნა ძირითადად პოლიტიკური იყო და არა ანტისემიტიზმის გამოხატულება.

* * *

მე ორი უახლოესი მეგობარი მყავს, შეიმას ჰინი და იოსიფ ბროდსკი. ისინი იმიტომ მიყვარს, რომ, ჯერ ერთი, პოეტებად არიან შობილნი, მეორე კი იმიტომ, რომ მეგობრები არიან.

* * *

მე განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ იმას, თუ როგორი ხელგაშლილია იოსიფი სხვების მიმართ, ეს კი იმის გამოა, რომ მას ძალიან უყვარს პოეზია და ვერ იტანს, როცა კარგი პოეტი ახალტურებს. იგი მძიმე ხასიათის კაცია, ფიცხი, მაგრამ ამავე დროს აღგზნებადიცაა, ფიზიკურად აღგზნებადი, როგორც ფეხბურთელი მატჩის დროს, ჯარისკაცი ომში ან ჩოგბურთელი თამაშისას. ეს ფიზიკური აღგზნებაა. ეს ადამიანი პოეზიის შუაგულში ცხოვრობს. მას წინამორბედებიც ჰყავს: ახმატოვა, მანდელშტამი, ცვეტაევა... და მისი მეგობრები მილოში, ზაგაევსკი - ასეთივე სულიერი წყობის ადამიანები არიან.

* * *

იოსიფი ლამის ინგლისურს უფრო შესაფერისად მიიჩნევდა პოეზიისთვის, ვიდრე რუსულს. მე არ მინდა ვთქვა, რომ ეს სიტყვები ზუსტად მას ეკუთვნის, მაგრამ იოსიფი ძალიან რადიკალურია აზრის გამოთქმისას. ბარი რუბინმა ერთხელ მითხრა: "ვერ წარმოიდგენ, რა მდიდარი და რთულია იოსიფის რუსული". მე, რა თქმა უნდა, ეს ვიცი. ვფიქრობ, რომ სირთულეები იოსიფის თარგმნისას სიჯიუტის ბრალი უფროა, მაგრამ მას ხომ აქვს ამის უფლება?! როცა მასთან საუბრისას ლექსის გარკვეულ ასპექტებს ვეხები, რომლებიც ძნელია გადმოსაცემად, იოსიფს უჭირს უკან დახევა, რადგან იგი ყველაფერს ორი მხრიდან აფასებს. უპირველეს ყოვლისა, იგი შესანიშნავ პროზას წერს ინგლისურად და კარგი ინგლისური ლექსების წერაც შეუძლია - კიდევ ერთი გასაოცარი თვისება. მხედველობაში მაქვს ის, რომ ერთადერთი ადამიანი, ვინც ინგლისურად ლექსების წერას ახერხებდა, ნაბოკოვი იყო, მაგრამ იოსიფი გაცილებით უკეთესი პოეტია, ვიდრე ნაბოკოვი, ან, ვთქვათ, კონრადი. დავუბრუნდები იოსიფის ენის სიმდიდრესა და სირთულეს, - ეს ადვილი შესამჩნევია, რადგანაც რუსულში სტრიქონის ბოლოს მწყობრი რითმაა შესაძლებელი, ინგლისურში კი ეს შეუძლებელია. ინგლისურში მწყობრი რითმა ირონიულ ელფერს იძენს - როგორც ბაირონთან - ან სულაც კომიკურს.

დაბოლოს, ისევ, რაც შეეხება "მინის დინასტიის წერილებს": დიახ, რაღაც-რაღაცებით კმაყოფილი ვარ, იოსიფსაც მოეწონა ეს, მაგრამ საქმე იმაში გახლავთ, რომ თავის ყველა მთარგმნელს იოსიფი ძალიან უადვილებს შრომას, ზოგჯერ რიტმისა და რითმის მოძებნაშიც ეხმარება მათ. ხშირად იგი მთარგმნელებსაც უტოლდება, ანუ, როცა იგი თქვენთან ერთად მუშაობს და აწყდებით მეტაფორას, რომელიც ძნელი გადმოსაცემია, იოსიფი ცვლის მეტაფორას ინგლისური რითმისთვის; ეს ცოტა უცნაურია, რადგან მისთვის უფრო მნიშვნელოვანია სხვა მეტაფორა (რომელიც კარგად ირითმება ინგლისურ ტექსტში) მოძებნოს, ვიდრე დედნის ერთგული დარჩეს. დარწმუნებული ვარ, რომ იოსიფის პოეზიამ გაამდიდრა XX საუკუნის ინგლისური პოეზია, რადგან ჩვენი საუკუნის პოეტთა უმრავლესობა არ მიიჩნევს გონებას პოეზიის აუცილებელ თვისებად. ფიქრის უნარი ყველას როდი აქვს. არა მხოლოდ არგუმენტირების, არამედ ფიქრის უნარი, არ წარმოადგენს XX საუკუნის პოეზიის უდიდესი ნაწილის აუცილებელ ატრიბუტს. ანუ, მასში ბევრია ბრძოლა, ბუნდოვანება და რაღაც ამდაგვარი, მაგრამ ასე აზროვნება, ასეთი დახვეწილი..! ვფიქრობ, იოსიფისგან სწორედ ეს ვისწავლე - გავიგე, რომ აზროვნების პროცესი პოეზიის ნაწილია.

* * *

მან მთელი მსოფლიო მოიარა, მაგრამ სინამდვილეში იგი არც ერთ ქალაქზე არაა მიჯაჭვული. იგი რუსია, მაგრამ ამასაც, ბოლოს და ბოლოს, არა აქვს მნიშვნელობა. ებრაელია და იოსიფი ამასაც არ ანიჭებს აზრს, ქრისტიანობის იდეითაა ატანილი, თუმცა ებრძვის კიდეც მას. მან პოეზიაში ტრადიციონალისტის ხვედრი აირჩია და მუდმივ გადაადგილებაში აცნობიერებს თავს, არსად არ იდგამს ფესვებს; ამგვარ სიტუაციაში მოხვედრილი ნებისმიერი ადამიანის ხასიათი, სადილისას მარტო დარჩენილი კაცის ხასიათს ჰგავს. განმარტოებულ ადამიანს არ შეუძლია მხოლოდ პურითა და ჩაით დაკმაყოფილდეს და იგი საკუთარ აზრებსაც ღეჭავს, იგემოვნებს. ამგვარი სიტუაციისთვის ეს დამახასიათებელი ნიშანია. ეს გამოიხატება მქადაგებლობაში, თუკი სხვა გამოსავალი არ ჩანს, რადგანაც ადამიანი განსჯისთვის საუბრობს, ჭკუის დარიგებისთვის (ჩვეულებრივ პირობებში კათედრიდან "წარმოთქმულ" სიტყვებს არ ვგულისხმობ). იოსიფის კათედრა რესტორნის მაგიდაა და ამიტომაც იგი თავის თავს ესაუბრება. და ეს მედიტაციური თვითანალიზი, როგორც წესი, ფრაგმენტულია. ბროდსკის ფიგურა - ესაა ფიგურა ადამიანისა, ვინც არც თავი მოიკლა და არც მოეკვლევინა ვინმეს - არამედ გაიქცა და მხოლოდ ფიქრობს იმაზე, თუ რას განიცდიან ამ დროს მისი თანამემამულენი. სხვა არჩევანი არ არსებობს.

თარგმნა
მალხაზ ხარბედიამ

იოსიფ ბროდსკი

ბროდსკის ნობელის პრემია

რამ გამოიწვია ოვაცია

REUTERS

შეიმას ჰინი

მქუხარე ოვაციამ შეძრა სტოკჰოლმი, როდესაც ბროდსკის ნობელის პრემია მიენიჭა. ამაში თითქოს გასაკვირი არაფერია, ყველა გამარჯვებულს აჯილდოვებენ ტაშით, მაგრამ ეს ტაში ყოველთვის ასეთი მგზნებარე და მოუთოკავი როდია. მსგავს აღმაფრენას ვერ გამოიწვევდა რაიმე პოლიტიკური, საერთაშორისო, თუნდაც აღმოსავლეთ-დასავლეთის პრობლემის გადაჭრით მოგვრილი სიხარული. არა, ეს იყო უაღრესად პიროვნული, ფრთაშესხმული, პოეტის მიერ შთაგონებული ოვაცია: პოეტი ხომ სულ იმას ცდილობს, წაშალოს ზღვარი, რომელიც მკითხველსა და თანამგრძნობს შორის მოიაზრება.

დისიდენტი! მას აღაშფოთებდა ამ სიტყვის მოუქნელობა, მისი უნარი, დაამსხვრიოს ბედისწერა და პიროვნული ტკივილიანი არჩევანი ენის მჭახე ერთეულად გადააქციოს. "ორი რამა აქვს საერთო პოეზიასა და პოლიტიკას, **პ** და **ო**, ეს ორი ასო, სხვა არაფერი". აი, რა მითხრა ორი წლის წინ დუბლინში იოსიფ ბროდსკიმ, როცა ბედნიერ ინტერვიუერად მოვევლინე.

მიწიერება და ზრუნვა ამ მიწიერზე მოკვდავთათვის დასაშვებია, მაგრამ ისეთი განდეგილისგან, ხელმომჭირნე და მარტოსული ცხოვრება რომ აურჩევია, მხოლოდ ამას თუ უნდა ველოდოთ. მე კი, როდესაც ბროდსკის ნიუ-იორკის ბინა მოვინახულე, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს აღმოვჩნდი გონების სამზარეულოში, სადაც დროებით ყველა მოქმედება შეწყვეტილიყო: რუსული ენციკლოპედიები, წიგნების გროვა, საწერი ქაღალდის ზღვა... ეს ყველაფერი უწესრიგოდ მიმოყრილი, მოკლებული იმ პედანტიზმსა და სიფაქიზეს, ეჭვქვეშ რომ აყენებს სამუშაო ფართის დანიშნულებას. მოგვიანებით, ისევ დუბლინში, როდესაც ბროდსკიმ ჩემი სხვენი იხილა და თვალწინ მსგავსი არეულ-დარეულობა გადაეშალა, იმ მომხიბლავი სლავური მანერით ჩაიბურდღუნა, მესამე სიტყვის ოდნავ გაწელვით რომ გამოირჩევა: "აი, ეს მესმის". და მაშინ მივხვდი, რომ ეს გამოცდაც ჩავაბარე.

თუკი ამქვეყნად ვინმეს შეეფერება ჯეიმს ჯოისის შთამბეჭდავი და ძუნწი გამონათქვამი - "იგი თხემით ტერფამდე მწერალია", ვფიქრობ, რომ ისევ იოსიფ ბროდსკის. თუ წაიკითხავთ მის გასაოცარ "პრემიის მინიჭებას" და ფარულ აზრსაც ჩაუღრმავდებით, ნახავთ, რომ ამ მწერლის ესთეტიზმი საბოლოოდ ნაჯახის ფლობას ემსგავსება: კი არ წერს, ნაჯახითა ჩეხს სიტყვებს. იგი ერთგულია ხელოვნების სინატიფისა, მაგრამ შროშანის ქებათა ქებას ამ მწერლისაგან ნუ ელოდებით! რაღაც უაილდისეულიც მოიხელთება ბროდსკის უდავო ბრწყინვალებაში: უჩვეულოს, არარსებულის დახვეწითა და გაფაქიზებით - უეჭველის, არსებულის წარმოჩენა; იმ თვალთახედვით გაზიარება, რომ "ცხოვრება უნდა ამაღლდეს ხელოვნებამდე, და არა პირიქით".

ბროდსკიმ თითქოს მწერლის ფუნქციაც დაადგინა: მწერალი მხოლოდ იმიტომ წერს, რომ ენა გაამდიდროს და გააძლიეროს, და თვითონაც დაიმუხტოს ამ ენის მიერ, მკითხველიც ამიტომ კითხულობს მის ნაწარმოებს და ამ უნარის ფლობის ხარისხი განასხვავებს ერთ მწერალს მეორისაგან.

ასე ვიტყოდი: არც ისე ცოტა რამ აქვს საერთო ანგლო-ირლანდიელი დრამატურგისა და რუსი ებრაელი პოეტის შემოქმედებას: სტილისტური კეკლუცობა და ინტელექტუალური ჭირვეულობა, მოსაწყენისა და უფერულის უკუგდება, კლიშეთა მსხვრევა, ფრაზისათვის უჩვეულო ჟღერადობის მინიჭება.

ბიოგრაფიის ზოგიერთი დეტალიც რომ საერთო აქვთ! ორივე განდეგილი იყო საკუთარ სამშობლოში, ორივეს პატიმრობა ხვდა წილად და შემდგომ განდევნაც არგუნა ბედმა. მაგრამ ეს კია, მისტერ ბროდსკის ცხოვრებას ამერიკაში, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირიდან გააძევეს, არაფერი აქვს საერთო ოსკარ უაილდის პარიზული დღეების სიმწარესთან.

თუმც ახერხებდა მუდამ ჩრდილში დარჩენილიყო, აქ მას განდეგილად არავინ აღიქვამდა, წინასწარმეტყველად უფრო მიაჩნდათ. ყოველთვის ბანზე აგდებდა სიტყვას, როცა კი ვინმე მის ტკივილიან ყოფას შეეხებოდა ანდა შრომითი ბანაკის ვეტერანად მოიხსენიებდა და ჯიუტ დუმილს ამჯობინებდა, თუ "ატკაზნიკურ" წარსულზე ჰკითხავდნენ რამეს. წერისას მუდამ მხნე და შემართული, დიდი სიფრთხილით მიჯნავდა თავის პიროვნულ თავმდაბლობასა და სიამაყეს. პოეტი ხომ ნაწერებიდან ამოიზრდება და არა ბიოლოგიური თუ ოჯახური გარემოდან, ის უარს ამბობს ისტორიულ ვითარებაზე, თვითმყოფობისა და თავისუფლების შესაძლებლობა რომ გამოჩარხოს. ორიგინალურად ამზეურებს ამ რომანტიკულ რწმენას ბროდსკი. დაჟინებით ხაზს უსვამს პოეტური წარმოსახვის უჩვეულობას და თავს ნებას აძლევს დატკბეს მისი გოროზი უტიფრობით. თანაც ამბობს, რომ პოეტის ბიოგრაფია მის შემოქმედებაში უნდა ვეძიოთ: "მისი მონაცემები - მისი ჟღერადობაა". დიახ, მისი ხმოვნები და სიბილანტები, მეტრი, რითმა და მეტაფორა.

70-იანი წლების დასაწყისში სულ მთლად ახალი, უჩვეულო ჰანგები მომასმენინა იოსიფ ბროდსკის მეტრიკამ, ხმოვნებმა და სიბილანტებმა. მე მას პირველად 1972 წელს შევხვდი, როცა გზად მოსკოვიდან მიჩიგანისკენ ორიოდე დღით ლონდონში შემოუხვია პოეტთა შეკრებაზე დასასწრებად. ნათელი სახის, კარგად აღნაგი, წითელ ხალათში გამოწყობილი უჩვეულო ძალასა და ენერგიას ასხივებდა. ერთი წლით იყო ჩემზე უმცროსი და უკვე ისტორიის კუთვნილებას წარმოადგენდა. რამდენიმე თვის მოგვიანებით, ამჰერსთში, პოეტთა კიდევ ერთ შეხვედრაზე იგივე მოხდა: უჩვეულო იდუმალება და სიძლიერე შემოგვაგება. ერთი ხელი ჯიბეში ჩაიცურა, მთელი ტანით დააწვა ქუსლებს და უკან გადაიზნიქა, ოდნავ განზე გასწია პირისახე, თითქოს რაღაცას უმიზნებდა მზერას... და უცნაური ხმაც ჩაგვესმა: მომეჩვენა, რომ წახნაგებად გამოჩორკნილი, მსხვილსიმიანი, მაგრამ უსაზღვროდ მელოდიური ინსტრუმენტი იცლებოდა მუსიკისაგან. აქ იყო მოთქმა და შემართება, ჰარმონია და აულაგმავი დისჰარმონია. არასდროს მინახავს ისეთი დეკლამატორი... თხემით ტერფამდე პოეტი რომ ყოფილიყოს ლექსის კითხვისას და მაშინ მივხვდი, სიტყვის ამოთქმის იდუმალებას მისი ის ნიჭი აპირობებდა, რომლითაც იგი თავს უძღვნიდა პოეზიას, რომლითაც სიცოცხლის ყოველ წამს სწირავდა.

პოეზია ყველა მის შემქმნელს უდგენს წესს, ჩვეულებას, მაგრამ ამ წესთა დაცვის სხვადასხვა ხარისხის არსებობაც დასაშვებია. ბროდსკიზეც ითქმის ალბათ იგივე, რასაც თავის საყვარელ მასწავლებელზე, პოეტ-სიმბოლისტ გიპიუსზე ამბობდა მანდელშტამი: მან დაამყარა პიროვნული ურთიერთობა არა მხოლოდ რუსულ პოეზიასთან, არამედ მთელი მსოფლიოს კლასიკასა და ლიტერატურულ პანთეონთან. ეს ურთიერთობა დაღდასმულია "კაეშნიანი სიყვარულით და ღირსეული მოშურნეობით, ხუმრობანარევი უდიერებით და მოსაწყენი უსამართლობით". ერთი სიტყვით, "ოჯახის წევრთა ურთიერთობას მოგვაგონებს". იგი ამ სულიერ ნათესაობას თითქოსდა ღრუბლების სიმაღლიდან გადმოჰყურებს: მართალია, ტრადიციათა ერთგულია, მაგრამ ბრმად მათ თვალთახედვასა და სვეს არ იზიარებს, არც ახმატოვას, ნადეჟდა მანდელშტამისა და ოდენისათვის ჩვეულ სასოწარკვეთას შეუპყრია. ის არის შემოქმედი, გონებაში რომ იბეჭდავს ყოველივეს, რაც რამ ძვირფასი ეგულება საგანძურში და გვერდს არ უვლის იმ მწერლობის მოთხოვნილებებს. უკიდეგანო პოეტურობა შეიგრძნობა ამ ყოვლისწამლეკავ ჟღერადობაში, დაძაბულ გულმოდგინებასა და სიფხიზლეში, რომლითაც იგი კითხულობს წიგნებს ... და მთელ სამყაროს. ეს ყოველივე გამოვლინდა მის საქციელში, როდესაც უყოყმანოდ მიატოვა ამერიკის აკადემია და ხელოვნებისა და ლიტერატურის ინსტიტუტი, მას შემდეგ, რაც იქაურმა კოლეგიამ საპატიო წევრად აირჩია ევგენი ევტუშენკო, საბჭოთა პოეტი და არაოფიციალური ატაშე კულტურის დარგში. ბროდსკიმ დაგმო ეს გადაწყვეტილება და განაცხადა: "ამერიკის აკადემიის მიერ მის საპატიო წევრად დასახელება, თითქოსდა იგი მთელი რუსეთის პოეტებს წარმოადგენდეს, უზნეო და სამარცხვინო საქციელად მიმაჩნია".

იოსიფ ბროდსკის პიროვნების წარმოჩენისას იმ ზოგიერთი გამოთქმის პერიფრაზს ვიყენებდი, თავად რომ უსადაგებს ნადეჟდა მანდელშტამს; მის ოსტატურად გამოჩარხულ ესეებში, რომლებითაც ხოტბას ასხამს ადამიანებს, უამრავ ისეთ ფრაზას ამოიკითხავთ, თავად მის "აღსაწერად" რომ გამოდგება. ბროდსკის წილად ხვდა ბედნიერება პირისპირ შეხვედროდა დიადი რუსული თაობის წარმომადგენლებს, რომლებიც ბედად იმ მძიმე დროს გადაურჩნენ, და მისი ესეები თუ მონაყოლები დამუხტულია მაშინდელი შთაბეჭდილებით. ნეტავი იმას, ვისაც ამ კაცის სუნთქვისშემკვრელი, ჭორის ელფერით გაჯერებული საუბარი მოუსმენია! ეს საუბარი, - ზოგჯერ კეთილმოსურნედ დაუნდობელი, - მთის წყაროსავით მიედინება, მე მას რაფსოდიულსაც კი ვუწოდებდი. იოსიფს მომნუსხველად შეუძლია ააჟღეროს სხვისი ნათქვამი, ოდენის, ჰარდისა თუ ახმატოვას კატრენებს ჰაერში დააფარფატებს და სმენას გვიტკბობს. ვფიქრობ, ეს კარგი მაგალითია მისი სტუდენტებისათვის: ისინი ხედავენ და შეიგრძნობენ, თუ რა არამექანიკური სამუშაოა ზუთხვა და დაზეპირება: მისი მეგობარი პოეტებიც თითქოს თავიდან იყვარებენ ენის იმ მარცვლებს, რომლებზედაც კარგა ხანია, არც უფიქრიათ და კიდევ ერთხელ გაიხსენებენ, რომ "პოეზიად" წოდებულ სივრცეში დგანან, სადაც ხელოვნების შენარჩუნება და აღორძინება მიმდინარეობს.

მაგრამ თუ ასეთი ამაღლებული სტილით განვაგრძე საუბარი, ვშიშობ, მას, როგორც პოეტსა და ადამიანს, არაამქვეყნიურ არსებად წარმოგიდგენთ. სინამდვილეში, იოსიფ ბროდსკი "ამსოფლურობის" აშკარა მაგალითია, სიტყვისა, რომელიც რუსმა აკმეისტმა სიმბოლისტების ბურუსით მოსილ ლტოლვათა გასაფანტავად მოიმარჯვა. ტყვიის სიჩქარით მიისწრაფიან მისი მეტაფორები; აფორიზმები, რომლებიც გვხიბლავენ და გვაოგნებენ, თავადვე უსწრებენ თავიანთ თავს, მაგრამ მისი ნაწერების ძირეული ელემენტი ყოველთვის საგანთა რეალობის უსაშველოდ ლაკონიური აღქმით იმართება. ბევრ რამეს უნდა ველოლიავოთ, სიკვდილს მუდამდღე შეუძლია ჩვენი განძარცვა მათგან, ბევრი კი მართლაც დასაგმობია და უწყალოდ უნდა გავაცამტვეროთ. მთლიანობაში, პოეზია ის ინსტრუმენტია, იმთავითვე ხოტბისთვის რომ შეუქმნიათ, პროზა კი - თავდასხმის საშუალებაა, თუმც თავად იდეა მსგავსი გამიჯვნისა, ზედმიწევნით აბსურდულია, როცა ვსაუბრობთ ისეთ მგზნებარე და

→

იოსიფ ბროდსკი

ბროდსკის ნობელის პრემია

რამ გამოიწვია ოვაცია

იმპულსურ თვალთახედვაზე, მისტერ ბროდსკის რომ ახასიათებს. მის გარდა სხვას ვის წამოსცდებოდა, რომ პროზას საკუთარი "ესთეტიკური ინერცია" ემუქრება და ვინ შეაჯერებდა ყოვლისწამლეკავ ძალას ავტობიოგრაფიულ სასოწარკვეთასთან ისე ნატიფად, როგორც ეს ბროდსკიმ "ოთახნახევარში" მოახერხა, მშობლების ხსოვნისადმი მიძღვნილ პროზად დაწერილ რეკვიემში.

ინგლისურ ენაზე დაწერა ბროდსკიმ ეს დატირება. ორი საყვარელი ადამიანის სულებს მხოლოდ საცხოვრებელი ფართი როდი ზღუდავდა: "თუკი არსებობს ამქვეყნად სივრცის უსასრულობა, იგი მის განფენაში კი არა, შეკუმშვაში უნდა ვეძიოთ". ისინი რუსული ენითაც იყვნენ შეზღუდულნი, რომელიც, თავის მხრივ, ბიუროკრატიზმის ტყვეობაში იმყოფებოდა. ახლა კი, მათივე სისხლ-ხორცის მიერ ინგლისურ ენაზე უკვდავყოფილნი, გათავისუფლდნენ ბორკილებისგან და სხვა ლინგვისტურ სამყაროში გადაეშვნენ, სადაც თავად აღმოჩნდნენ "თარგმნილები". ამ შემთხვევაში პროცესი სრულყოფილია: ენა აღწევს ჩვენს არსებაში, ჩვენ კი ენაში შევიჭრებით, თითქოს ჰაერი ყოფილიყოს, ან ცოდნა, ანდა სულაც მოხელთებული, ხელშესახები ინტუიცია.

მაგრამ მის მიერ რუსულ ენაზე დაწერილი პოეზია, რომელმაც იგი დიდებულ რუს მკითხველს უძლიერეს თანამედროვე პოეტად წარუდგინა, პრობლემატურს და სადავოს ხდის თარგმანის პროცესს. თარგმანის დროს ხომ თავიდან უნდა შეიქმნას ლექსი, თორემ როგორც რობერტ ლოუელი გვაფრთხილებდა, მხოლოდ მოვლენათა აღნუსხვა შეგვრჩება ხელში. ადრე მის თარგმნას კარგად გაართვეს თავი ინგლისურენოვანმა პოეტებმა, რომლებიც მასთან "თანამშრომლობდნენ", ამ სიტყვის სრული გამართლებითა და დამსახურებით. თუმც შენიშვნაში, მის "მეტყველების ნაწილს" (1980) რომ ახლავს, ბროდსკი აცხადებს: ზოგჯერ მიხდებოდა ამ "ნამუშევართა გადამუშავება" მათი "მართებულობის" გაწირვის ფასად.

მოკლედ რომ მოვჭრა, სხვა უდიდეს პოეტთა მსგავსად, მისტერ ბროდსკიც მკითხველის ინტერესებს პოეზიის მოთხოვნილებას უქვემდებარებს, და რათა ინგლისური ენისათვის დაეჩნია საკუთარი წარმოსახვის უჩვეულობა და სიძლიერე, თავად შეუდგა გონებიდან გამოწურულ სტრიქონთა თარგმნას. მართალია, მას უყვარს ინგლისური ლექსი და ზოგჯერ ეს განცდა მესაკუთრის გრძნობასაც კი ემსგავსება, მაგრამ თარგმანში რუსული მუხტი დომინირებს, ორიგინალის მეტრიკა უცვლელია, ინგლისურ სმენას კი სწვდება ფონეტიკური ელემენტი - მაცოცხლებელი და მაინც უცხო. ზოგჯერ ამ სმენას ამბოხიც უწევს, მოულოდნელი სინტაქსი და მახვილი შეაშფოთებს, ან დაფიქრდება, სად გაქრა რითმა, რომელსაც ასე მოველოდიო; ხან კი ყუჩდება და უსიტყვოდ ეთანხმება ამ აღმატებულ და ყოვლისმომცველ ხელოვნებას.

Свобода --
это когда забываешь отчество у тирана,
а слюна во рту слаще халвы Шираза,
и, хотя твой мозг перекручен, как рог барана,
ничего не каплет из голубого глаза.

აი, რატომ შეძრა სტოკჰოლმი ოვაციამ!

ინგლისურიდან თარგმნა ***ასმათ ლეკიაშვილმა***

1 отказники - ებრაელები, რომლებსაც უარს ეუბნებოდნენ ისრაელში გამგზავრებაზე.

დიალოგი

ტოლერანტობის გაკვეთილები და თანამედროვე ლიტერატურული კულტურა

71 წლის პროფესორი რიჩარდ რორტი თავის სამშობლოში, ამერიკაში, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფილოსოფოსია და მას ახალი პრაგმატიზმის წინასწარმეტყველადაც მოიხსენიებენ. თუმცა, როგორც ამბობენ, რორტი თავის ტემპერამენტით სრულებითაც არ ჰგავს წინასწარმეტყველს. შედარებითი ლიტერატურის პროფესორი, სტენფორდის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორი რიჩარდ რორტი მხოლოდ მეცნიერული მოღვაწეობით არ შემოიფარგლება. შეიძლება ითქვას, რომ ის სახალხო ფილოსოფოსია, რომელიც თავის ნაშრომებში ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობს პოპულარულ საკითხებზე მსჯელობას. წინამდებარე ინტერვიუ რიჩარდ რორტის სულ ახლახანს ჩამოართვეს, მოსკოვში, 5-7 ივნისს გამართულ კონფერენციაზე. კონფერენცია ფილოსოფიის ინსტიტუტში მიმდინარეობდა და ეძღვნებოდა მორალის ფილოსოფიის პრობლემებს. სხვათა შორის, რორტი კონფერენციის სხვა მონაწილეებისგან განცალკევებით იდგა, სხდომებზე თავშეკავებული ჩანდა და თითქმის არ მონაწილეობდა კულუარულ დებატებში. ამიტომ ყველას ძალიან გაუკვირდა, როცა მაშინვე დათანხმდა ინტერვიუზე და მხოლოდ იმით დაინტერესდა, თუ რამდენ დროს წაართმევდა ეს საუბარი. ქვემოთ წარმოდგენილი რამდენიმე შეკითხვა პროფესორის მიერ 6 ივნისს წაკითხულ მოხსენებას ეხება. მოხსენების სახელწოდება იყო: "ჭეშმარიტება როგორც გამოსასყიდი, მისი დაცემა და ლიტერატურული კულტურის აღმავლობა".

- პროფესორო რორტი, როგორია, თქვენი აზრით, ინტელექტუალისა და რაციონალური ცოდნის როლი თანამედროვე საზოგადოებაში? ხომ არ ფიქრობთ, რომ ფილოსოფიამ თავისი თავი ამოწურა?

- არ მგონია, რომ ფილოსოფია ოდესმე ამოიწუროს. ფილოსოფიაში ჩვენ ვგულისხმობთ ისეთი საკითხების განხილვას, რომლებიც არ არის რომელიმე საექსპერტო სფეროს პრეროგატივა; ესაა განსჯა იმ კითხვებზე, რომელთა უმრავლესობასაც პასუხი არა აქვს და რომელთა ამოსახსნელად ერთიანი მეთოდი არ არსებობს. მანამ, სანამ კულტურა ცვლილებებს განიცდის, ყოველთვის იქნება ამ კითხვებზე პასუხის გაცემის მოთხოვნილება და ყოველთვის იარსებებს ფილოსოფია; მაგრამ დასავლეთში ფილოსოფიას უფრო ვიწრო მნიშვნელობაც აქვს - ეს არის რაღაც მეტაფიზიკის მსგავსი. ასე რომ, ფილოსოფიური ხედვა ნიშნავს ამოსვლას ერთადერთი ჭეშმარიტი კონტექსტიდან, რომელშიც ყველაფრის მოთავსება შესაძლებელია. მე ვფიქრობ, რომ საბოლოო ჯამში დასავლელი ინტელექტუალები უარყოფენ ასეთი ერთიანი კონტექსტის ცნებას. ამ თვალსაზრისით, ფილოსოფია თითქოს წარსულს უბრუნდება. მაგრამ თუ ფილოსოფიას სხვა კუთხით მოვიაზრებთ, მას დასრულებული სახე ვერ იქნება.

- მოხსენებაში თქვენ საუბრობდით ლიტერატურული კულტურის ზეაღსვლაზე. რას გულისხმობთ სიტყვათშეხამებაში - "ლიტერატურული კულტურა"?

- იმას, თუ როგორ კითხულობენ თანამედროვე ინტელექტუალები რომანებს, წინამორბედი ფილოსოფოსებისგან განსხვავებით, და რას ფიქრობენ, რომელი კატეგორიის პიროვნებებს მიეკუთვნებიან ისინი და როგორები უნდათ, რომ იყვნენ. აი, ეს არის "ლიტერატურული კულტურა". ლიტერატურული კულტურაა ისიც, თუ როგორ კითხულობენ ეს ადამიანები სამეცნიერო ფანტასტიკას და სხვადასხვა უტოპიურ თხზულებებს, რა სხვაობაა ამ თვალსაზრისით მათსა და მათ წინამორბედებს შორის, რომლებიც მსჯელობდნენ საზოგადოებრივ გარემოზე და იმაზე, თუ როგორ საზოგადოებაში ისურვებდნენ ცხოვრებას. ამგვარად, "ფანტაზიური ნარატივის" როლი უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

- ხომ არ ფიქრობთ, რომ ტრაგიკულია მდგომარეობა იმ ადამიანისა, რომელსაც გაცნობიერებული აქვს თავისი ცოდნის ფარგლები და, აგრეთვე, ცალკეული ჭეშმარიტების ზღვარი?

- არა მგონია. შეხედულება იმაზე, რომ შეიძლება გავექცეთ ისტორიებს, რადგანაც ჩვენთვის რაღაც უნივერსალურს მივაგენით, საინტერესო იდეა იყო. მაგრამ რეალურად ამ იდეამ ვერ გაამართლა, თუმცა ეს არ არის ტრაგედია.

- არის თუ არა განსხვავება მკითხველ ადამიანსა და ლიტერატურულ ადამიანს შორის? მიეკუთვნებიან თუ არა, მაგალითად, არქიტექტორები და მხატვრები ლიტერატურულ კულტურას?

- ბევრი ჩვენგანი კითხულობს, მაგრამ არაფერს ქმნის. რეალურად მხოლოდ თითოროლა ნიჭიერი ადამიანი ქმნის რაღაცას. მაგრამ ლიტერატურული კულტურა (იმ დატვირთვით, როგორც მე ვიყენებ ამ ცნებას), უპირველესად, მკითხველს ეხება და არა შემოქმედს.

- მიეკუთვნება თუ არა ლიტერატურულ კულტურას თანამედროვე ადამიანთა დიდი ნაწილი?

- ყველა არა, მხოლოდ ინტელექტუალები. ნამდვილად არ მიცდია იმის შესწავლა, რას ფიქრობენ, საერთოდ, ადამიანები და რა შეიცვალა მათ აზროვნებაში. მე მაინტერესებს, როგორ იცვლება ინტელექტუალების ლიტერატურული გემოვნება.

- როგორი შეიძლება იყოს კომუნიკაციის ფორმა იმ ადამიანთა შორის, რომლებიც არ აცხადებენ პრეტენზიას ერთპიროვნულ ჭეშმარიტებაზე და როგორია პოლიტიკური წყობის ფორმა ამ თვალსაზრისით?

- ინტელექტუალურ სფეროში მიმდინარე ცვლილებებს პოლიტიკასთან პირდაპირი კავშირი არა აქვთ. დღეს თითოეული ჩვენგანი ისურვებდა ცხოვრებას კონსტიტუციური დემოკრატიის პირობებში, სამართლებრივ საზოგადოებაში; მაგრამ რელიგიას, მეტაფიზიკასა და ლიტერატურას შორის არსებული განსხვავება კონსტიტუციური დემოკრატიის პირობებში არავითარ შემთხვევაში არ ახდენს გავლენას მოთხოვნილებაზე და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობებზე.

- ფიქრობთ თუ არა, რომ თანამედროვე ინტელექტუალი ტოლერანტული უნდა იყოს?

- ყველანი ტოლერანტები უნდა ვიყოთ.

- უნდა დაიცვან თუ არა ადამიანებმა თავიანთი შეხედულებები, იმ შემთხვევაშიც კი, როცა თავადაც იციან, რომ მათი პოზიცია ცალმხრივია?

- როცა ევროპაში რელიგიური ომები დასრულდა, ხალხმა თანდათანობით დაიწყო იმის გაცნობიერება, რომ საზოგადოებას შეუძლია გააერთიანოს სხვადასხვა რელიგიური შეხედულებების მქონე ადამიანები. სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ შესაძლებელია არსებობდეს საზოგადოება სხვადასხვა ფილოსოფიური მიმდინარეობებით. ბოლოს და ბოლოს, ცხადი ხდება ისიც, რომ, მიუხედავად ამა თუ იმ სფეროში არსებული განსხვავებებისა, საზოგადოების შექმნა შესაძლებელია. მხოლოდ ერთადერთი რამაა საჭირო - შეთანხმდე პროცედურაზე, მაგალითად, მთავრობის არჩევაზე ან კანონთა შექმნაზე და ასე შემდეგ. როდესაც ეს ცვლილებები ინტელექტუალურ სფეროს შეეხო, დემოკრატიული საზოგადოების წევრი მოქალაქეები უფრო მომთმენნი გახდნენ, რა თქმა უნდა, განსხვავებათა შესაბამისად. მაგრამ ამ ორ პროცესს შორის უშუალო კავშირი არ ყოფილა.